# SUSTAINABILITY SPOTLIGHT

UN Global Compact Network Georgia

April-June 2021

ISSUE N.2

**ECONOMY:** USAID enters a new phase of partnership with the private sector *6*

**SOCIETY:** Cross-Sectoral Cooperation for the Employment of Persons with Disabilities *60*

**ENVIRONMENT:** Greening up Tbilisi *120*

[ A TIME FOR ]

# GOALS-DRIVEN PARTNERSHIPS

# SUSTAINABILITY SPOTLIGHT




ECONOMY | SOCIETY | ENVIRONMENT

ეკონომიკა | საზოგადოება | გარემოსდაცვა

## სპონსორები / SPONSORS

ოქროს სპონსორი / Gold Sponsor — adjarabet.com

ვერცხლის სპონსორი / Silver Sponsor — TBC

ჟურნალი გამოცემულია შვედეთის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

The Magazine is published with the assistance from the Swedish Government and from the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the East-West Management Institute's (EWMI) ACCESS project.

შვედეთი Sverige

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

ჟურნალის შინაარსზე პასუხისმგებელია გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი.

The contents of the Magazine are the sole responsibility of Global Compact Network Georgia.

UN GLOBAL COMPACT Network Georgia

## ჟურნალზე მუშაობდნენ
## EDITORIAL TEAM

*ნინო კვანტრიშვილი*
*NINO KVANTRISHVILI*

*ეთუნა ცოტნიაშვილი*
*ETUNA TSOTNIASHVILI*

*ნანა კობაიძე*
*NANA KOBAIDZE*

Designer
*ნინო ჭინჭარაული*
*NINO CHINCHARAULI*

Photographer
*ზვიად როსტიაშვილი*
*ZVIAD ROSTIASHVILI*

ჟურნალში გამოყენებული ძირითადი ფოტომასალა გადაღებულია GCNG-ის დაკვეთით; ხოლო ნაწილი მოწოდებულია რესპონდენტების მიერ და გამოყენებულია მათივე თანხმობით.

Most of the photos used in the Magazine are produced on behalf of GCNG; the rest were provided by the respondents with the permission to publish.



| | | |
|---|---|---|
| პარტნიორობა: გზა ევოლუციიდან მდგრად ინოვაციამდე | 2 | FROM EVOLUTION TO SUSTAINABILITY INNOVATION THROUGH PARTNERSHIPS |
| USAID კერძო სექტორთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადადის | 6 | USAID ENTERS A NEW PHASE OF PARTNERSHIP WITH THE PRIVATE SECTOR |
| მდგრადი განვითარება ერთიან ძალისხმევას მოითხოვს | 14 | SUSTAINABLE DEVELOPMENT REQUIRES A CONCERTED EFFORT |
| პარტნიორობა ცვლილებებისთვის | 20 | PARTNERSHIP FOR CHANGE |
| მდგრადობა ეკონომიკის მომავალია | 26 | SUSTAINABILITY IS THE FUTURE OF THE ECONOMY |
| HG - ეკომეგობრული კამპანიით დაწყებული პარტნიორობა | 34 | HG - PARTNERSHIP COMMENCED WITH AN ECO-FRIENDLY CAMPAIGN |
| USAID საქართველოს პროექტები | 40 | PROJECTS OF USAID GEORGIA FOR PARTNERSHIP PROMOTION |
| შვეიცარია-საქართველო: მდგრადი განვითარების პერსპექტივები | 48 | SWITZERLAND-GEORGIA: SUSTAINABLE DEVELOPMENT PERSPECTIVES |
| „აჭარაბეთი" მდგრადი განვითარების გზაზე | 54 | ADJARABET ON THE PATH OF SUSTAINABLE DEVELOPMENT |
| სექტორთშორისი თანამშრომლობა შშმ პირთა დასაქმებისთვის | 60 | CROSS-SECTORAL COOPERATION FOR THE EMPLOYMENT OF PERSONS WITH DISABILITIES |
| „იზრუნე მომავალზე" - თანამშრომლობა ახალგაზრდობის გასაძლიერებლად | 68 | „CARE FOR THE FUTURE" - COOPERATION TO STRENGTHEN THE INDEPENDENCE OF DISADVANTAGED YOUTH |
| ბილივი - ახალგაზრდების განათლებისათვის | 76 | BELIEVE - FOR YOUTH EDUCATION |
| შრომის ბაზარი და გენდერული თანასწორობა | 80 | LABOR MARKET AND GENDER EQUALITY |
| ქართული მცირე და საშუალო კომპანიები გლობალური ხედვით | 84 | GEORGIAN SMES WITH A GLOBAL OUTLOOK |
| მულტისექტორული პარტნიორული პროექტი საგზაო უსაფრთხოების შესახებ | 92 | MULTI-SECTORAL PARTNERSHIP PROJECT ON ROAD SAFETY |
| ორიენტ ლოჯიკი - წარმატებული პარტნიორი | 98 | ORIENT LOGIC |
| მულტისექტორული პარტნიორობა: როგორც მიზანი, ასევე მიზნის მიღწევის საშუალება | 100 | MULTI-SECTORAL PARTNERSHIPS: AN END AND A MEANS FOR SUSTAINABILITY |
| აქციე გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად - გამოსავლების ძიება პარტნიორობის მეშვეობით | 106 | MAKING GLOBAL GOALS LOCAL BUSINESS–FINDING SOLUTIONS THROUGH PARTNERSHIPS |
| აგრონავტი - ადგილობრივიდან საერთაშორისო ბაზრისკენ | 112 | AGRICULTURAL APP AGRONAUT LAUNCHES TO LINK FARMERS WITH PRIVATE SECTOR |
| თბილისი - მწვანე ქალაქის პერსპექტივა | 120 | GREENING UP TBILISI |
| მდგრადი განვითარება ეროვნული ვალდებულებაა | 132 | SUSTAINABLE DEVELOPMENT IS A NATIONAL COMMITMENT |
| სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე პროგრესი არ მიიღწევა | 140 | WITHOUT STATE INVOLVEMENT, NO PROGRESS CAN BE MADE |
| მულტისექტორული პარტნიორული პროექტი - სამომხმარებლო და საწარმოო ნარჩენების გამოყენებით ნივთებისა და სათამაშოების გაკეთება | 148 | MULTISECTORAL PARTNERSHIP PROJECT - PRODUCING ITEMS AND TOYS USING CONSUMER AND INDUSTRIAL WASTE |
| ფინა | 150 | FINA |

# ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ: ᲒᲖᲐ ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲓᲒᲠᲐᲓ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲐᲛᲓᲔ

# FROM EVOLUTION TO SUSTAINABILITY INNOVATION THROUGH PARTNERSHIPS

„ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ (ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡᲐᲪ) ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ“. ᲩᲐᲠᲚᲖ ᲓᲐᲠᲕᲘᲜᲘ

აფრიკაში, პირველი ჰომო საპიენსის, „ჭკვიანი ადამიანის“ ჩამოყალიბებიდან, პარტნიორობა და თანამშრომლობა ადამიანის გადარჩენისა და განვითარების წინაპირობაა.

თავის ბესტსელერ რომანში „საპიენსი: კაცობრიობის მოკლე ისტორია“ იუვალ ნოა ჰარარი განმარტავს ჰომო საპიენსის ევოლუციის მიზეზს დედამიწის სხვა ბინადრებთან შედარებით. ისტორიკოსს მოჰყავს ჭიანჭველებისა და ფუტკრების მაგალითი, რომლებსაც ერთად დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლიათ თუმცა ისინი ამას აკეთებენ ძალიან ხისტად და მხოლოდ ახლო ნათესავებთან ერთად. ის განაგრძობს მგლებსა და შიმპანზეებზე საუბრით, რომლებიც ბევრად უფრო მოქნილად თანამშრომლობენ, ვიდრე ჭიანჭველები, მაგრამ მხოლოდ მცირე რაოდენობის სხვა სუბიექტებთან, რომლებსაც კარგად იცნობენ. პროფესორი ჰარარი საბოლოოდ აღნიშნავს, რომ საპიენსები უფრო მოქნილები არიან ამ მხრივ და შეუძლიათ ითანამშრომლონ უამრავ უცხო ადამიანთან. სწორედ ამიტომაა საპიენსი „სამყაროს მბრძანებელი“.



ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
SALOME ZURABISHVILI
ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲡᲔᲚᲘ
EXECUTIVE DIRECTOR
GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA

*ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ (ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡᲐᲪ) ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ*

*IT IS THE LONG HISTORY OF HUMANKIND (AND ANIMAL KIND, TOO) THAT THOSE WHO LEARNED TO COLLABORATE AND IMPROVISE MOST EFFECTIVELY HAVE PREVAILED*

*ᲩᲐᲠᲚᲖ ᲓᲐᲠᲕᲘᲜᲘ*
*CHARLES DARWIN*

"IT IS THE LONG HISTORY OF HUMANKIND (AND ANIMAL KIND, TOO) THAT THOSE WHO LEARNED TO COLLABORATE AND IMPROVISE MOST EFFECTIVELY HAVE PREVAILED." CHARLES DARWIN

Since the emergence of the first Homo sapiens, 'the wise man', in Africa, partnership and collaboration has been a precondition for human survival and development.

In his bestselling novel Sapiens: A Brief History of Humankind, Yuval Noah Harari explains how Homo sapiens' capacity for collaboration differs from that of other inhabitants of the earth. While ants and bees can work together in large numbers, he writes, they do so in a very rigid manner and only with close relatives. He continues with wolves and chimpanzees, who cooperate far more flexibly than ants, but only with a small number of other individuals that they know intimately. Professor Harari finally notes that Homo sapiens are more flexible in this regard and can cooperate with countless numbers of strangers, that is why the species has come to 'rule the world'.

The 21st Century is no exception to this rule, since partnerships have emerged as a key precondition to business success and human prosperity. In 2015,



არც 21-ე საუკუნეა ამ წესიდან გამონაკლისი, რადგან პარტნიორობა ხდება ბიზნესის წარმატებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ძირითადი წინაპირობა. 2015 წელს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა გლობალურ დღის წესრიგზე ხელმოწერისას, რაც მდგრადი განვითარების 15 წლიან სამოქმედო გეგმას გულისხმობდა, დიდი იმედი დაამყარეს პარტნიორობის ძალაზე, თავიანთი ამბიციების შესასრულებლად. არსებობს 5P, რომელიც განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნებს: ადამიანები (People), პლანეტა (Planet), კეთილდღეობა (Prosperity), მშვიდობა (Peace) და პარტნიორობა (Partnership). პარტნიორობა, რომელიც მე-17 მიზანშია ასახული, ხელს უწყობს ადგილობრივ და გლობალურ დონეზე თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორსა და ინსტიტუტს შორის ყველა წინა 4P-ის მისაღწევად და უფრო მდგრადი მომავლის შესაქმნელად.

COVID-19-ის პანდემიამ, რამაც გამოიწვია სოციალური, ეკონომიკური და, მეტ-ნაკლებად, ეკოლოგიური (პლასტმასის ჭარბი მოხმარების გამო) კრიზისი, გაზარდა პარტნიორობის მნიშვნელობა არსებული გამოწვევების უდიდესი ნაწილის მოსაგვარებლად.

პანდემიამ აჩვენა სოციალური ურთიერთობის გავლენა საქართველოსა და მსოფლიოს ბიზნეს სექტორის კეთილდღეობაზე. ბიზნესი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აღმოჩნდა. კომპანიებმა აღიარეს, რომ შეუძლებელი იყო მხოლოდ კერძო სექტორის მხრიდან შედეგებთან გამკლავება, განზე დგომა ასევე ვერ მოიტანდა სიკეთეს.

ბიზნესს ესმოდა, რომ კოლეგებთან და კონკურენტებთან, მთავრობასთან, სამოქალაქო სექტორთან და

United Nations member states, while signing up to the global agenda–a 15-year plan of action for sustainable development–heavily relied on the power of partnerships to fulfill their ambitions. There are 5 Ps that shape the Sustainable Development Goals: People, Planet, Prosperity, Peace, and Partnerships. Partnerships, reflected in Goal 17, promote collaboration on the local and global level among different sectors and institutions to achieve all the preceding 4 Ps and deliver a more sustainable future for all.

The COVID-19 pandemic, which instigated social, economic, and environmental (due to overconsumption of plastic) crises, has amplified the importance of partnerships to deal with the overwhelming number of existing challenges.

The pandemic demonstrated the power of the influence of societal encounters on the well-being of the business sector in Georgia and world-wide. Business was one of the primary victims of the economic crisis. Companies recognized that it was impossible for the private sector to deal with the consequences alone, while standing aside would also do no good.

Business understood that partnership with peers and competitors, with the government, the civil sector, the media was a key to overcoming the crisis, to a fast recovery, and for the well-being of society.

According to the study Influence of COVID-19 on Corporate Responsibility in Georgia – 2020, carried out by Global Compact Network Georgia, during the pandemic, some business competitors and companies from various industries worked together in

მედიასთან საზოგადოების კეთილდღეობისთვის პარტნიორობა, კრიზისის დაძლევისა და სწრაფი აღდგენის გასაღები იყო.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის „COVID-19-ის გავლენა კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე საქართველოში - 2020“ თანახმად, პანდემიის დროს საქართველოში ზოგიერთმა კონკურენტმა ბიზნესმა და სხვადასხვა ინდუსტრიის კომპანიებმა ერთად იმუშავეს, გააერთიანეს ძალისხმევა სხვადასხვა საზოგადოებრივ გამოწვევაზე გასამკლავებლად. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა არაკომერციულ სექტორთან პარტნიორობის სურვილი საერთო მიზნის მისაღწევად. კერძოდ, 2020 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, სადაც 1053 კომპანია იქნა გამოკითხული, მსხვილი კომპანიების 56%, საშუალო კომპანიების 42% და მცირე კომპანიების 30% გამოთქვამს სურვილს, ჩაერთონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობის პროექტებში. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია 2019 წელთან შედარებით, როდესაც მსხვილი კომპანიების მხოლოდ 26%-მა, საშუალო ზომის 27%-მა, ხოლო მცირე კომპანიების 21%-მა გამოხატა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობის სურვილი.

**რამ გამოიწვია ასეთი გარდატეხა?**

პასუხი მარტივია: მხოლოდ პარტნიორობას შეეძლო ვაქცინის შექმნა და მიწოდება, სამუშაო ადგილების შენარჩუნება, ნიღბების დროული მიწოდება, მოწყვლადი და ღარიბი მოსახლეობის დახმარება, ინფორმაციის ფართო წვდომის უზრუნველყოფა და მრავალი სხვა საკითხის გადაჭრა.

გონივრული გამოყენების პირობებში, სექტორებს შორის თანამშრომლობა იქნება მსოფლიო ეკონომიკის უფრო მდგრადი აღდგენის გასაღები; ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ძალით მოძრავი მომავლის გასაღები, მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებებით, ძლიერი ინსტიტუტებით, უსაფრთხო და მდგრადი დასახლებებით, რომლებიც ემყარებიან სუფთა ენერგიის და მდგრადი წარმოებისა და მოხმარების წესებს.

მდგრადობა მოითხოვს ყველას ძალისხმევას და ამით ყველა ისარგებლებს.

*როგორც კორპორაციული მდგრადობის ერთ-ერთი პირველი ადვოკატი, ჰენრი ფორდი, უსვამს ხაზს:*

*„გაერთიანება დასაწყისია. ერთიანობის შენარჩუნება პროგრესია. ერთად მუშაობა წარმატებაა.“*

*მოდით, გავხადოთ ჩვენი მომავალი წარმატებული მიზნებზე-ორიენტირებული პარტნიორობის მეშვეობით.*

Georgia, combining their efforts to tackle the various societal challenges that arose. The desire to also partner with the non-commercial sector to achieve common goals has increased significantly. Of 1053 companies included in the survey in 2020, 56% of the large companies, 42% of medium-sized companies, and 30% of small companies expressed a desire to be involved in partnership projects with non-governmental organizations. This figure is considerably improved compared to 2019, where only 26% of large companies 27% of medium-sized companies, and 21% of small companies expressed a desire to partner with CSOs.

**What caused such a shift?**

The answer is simple: only PARTNERSHIPS could create and deliver the vaccine, retain jobs, deliver masks in a timely fashion, support the vulnerable and poor, ensure broad access to information and tackle many other issues.

If applied shrewdly, collaboration between sectors will be a key to further sustainable recovery of the world economy. It will be crucial for an innovation- and technology-driven future with peaceful and inclusive societies, strong institutions, safe and resilient settlements relying on clean energy and sustainable production and consumption patterns.

Sustainability requires an effort by all and will benefit all.

*AS ONE OF THE FIRST ADVOCATES OF CORPORATE SUSTAINABILITY, HENRY FORD, EMPHASIZED:*

*"COMING TOGETHER IS A BEGINNING. KEEPING TOGETHER IS PROGRESS. WORKING TOGETHER IS SUCCESS."*

*SO, LET'S MAKE OUR FUTURE A SUCCESS, THROUGH GOALS-DRIVEN PARTNERSHIPS.*





# ECONOMY

# USAID კერძო სექტორთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადადის




*USAID-მა ამერიკელი ხალხის დახმარებით დაიწყო ახალი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური მმართველობის რეფორმების გატარებას*

ორ ათეულ წელიწადზე მეტია, USAID მისიის საქმიანობა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. USAID-მა ამერიკელი ხალხის დახმარებით დაიწყო ახალი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური მმართველობის რეფორმების გატარებას. ქვეყანას შესაძლებლობა აქვს, გაამყაროს წარსულში მიღწეული შედეგები – მოიზიდოს ინვესტიციები, დანერგოს ინოვაციები და დასავლურ ბაზრებზე გავიდეს.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება კერძო სექტორს, რომელიც სამომავლოდ მდგრადი განვითარების ყველაზე მყარი გარანტია – სწორედ ის განაპირობებს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას. USAID-ის მისიის ხელმძღვანელი, პიტერ ვიბლერი USAID-ის მიერ კერძო სექტორთან პარტნიორობის ხელშეწყობასა და ამ მიმართულებით სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრება.

*USAID, WITH THE HELP OF THE AMERICAN PEOPLE, HAS LAUNCHED NEW PROGRAMS TO SUPPORT EDUCATION, AGRICULTURE, AND ECONOMIC GOVERNANCE REFORMS*

## USAID ENTERS A NEW PHASE OF PARTNERSHIP WITH THE PRIVATE SECTOR

FOR MORE THAN TWO DECADES, THE USAID MISSION IN GEORGIA HAS BEEN DEVELOPING IN DIFFERENT DIRECTIONS. USAID, WITH THE HELP OF THE AMERICAN PEOPLE, HAS LAUNCHED NEW PROGRAMS TO SUPPORT EDUCATION, AGRICULTURE, AND ECONOMIC GOVERNANCE REFORMS. THE COUNTRY HAS THE OPPORTUNITY TO CONSOLIDATE THE RESULTS ACHIEVED IN THE PAST–ATTRACT INVESTMENT, TO INNOVATE AND TO ENTER WESTERN MARKETS.

A special role in this process is given to the private sector, which is the most solid guarantee of sustainable development in the future; it is what contributes to economic growth in the country. USAID Mission Director Peter Wiebler talks about USAID's partnership with the private sector and future prospects in this area.



*USAID-ის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მდგრად განვითარებას ნიშნავს*

**USAID'S OVERARCHING GOAL IS TO SUPPORT GEORGIA'S EURO-ATLANTIC INTEGRATION, WHICH INCLUDES SUSTAINABLE DEVELOPMENT**

**აშშ-ს მთავრობა წლების განმავლობაში აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მდგრად განვითარებას. ერთ-ერთი მიმართულება კერძო სექტორის გაძლიერებაა. რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესის პასუხისმგებლიან მართვას საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?**

USAID-ის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მდგრად განვითარებას ნიშნავს. მარტივად რომ ავხსნათ, ეს ხელშეწყობა ქვეყანას დაეხმარება მიაღწიოს განვითარების იმ ეტაპს, როდესაც თავად დაგეგმავს, დააფინანსებს და გადაჭრის ეკონომიკურ, სოციალურ და მმართველობაში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს მხარდაჭერის მიზნით, USAID ახალი სტრატეგიის ფარგლებში კერძო სექტორთან იწყებს მჭიდრო პარტნიორობას. საქართველოს მდგრად განვითარებაში კერძო სექტორს გადამწყვეტი როლი რამდენიმე მიზეზის გამო ენიჭება: პირველი და უმთავრესია ის, რომ კერძო სექტორი ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელია. კერძო ბიზნესი ინოვაციებისა და დასაქმების მთავარი წყაროა. მნიშვნელოვანია მისი როლი საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნაში.

**For a number of years the US government has been actively contributing to sustainable development in Georgia. One of the directions of this assistance is private sector development. From your point of view, what is the importance of responsible business conduct for ensuring economic, social, environmental development in Georgia.**

USAID's overarching goal is to support Georgia's Euro-Atlantic integration, which includes sustainable development. Put simply, that means helping Georgia reach a level of development where it is able to plan, finance, and implement Georgian solutions to economic, social and governance challenges.

To help Georgia reach this goal, USAID is increasing our commitment to partnering with the private sector under our new development strategy. The private sector is central to Georgia's sustainable development for several important reasons. First, because private enterprise is the main driver of economic growth. Private businesses are the first source of innovation and employment, and they play the leading role in developing products and services that are competitive on international markets.

Second, USAID views private businesses as key stakeholders in building the middle class, advancing Georgia's democratic development and strengthening community resilience. That means upholding

*USAID-ის ენერგეტიკის პროგრამის ფარგლებში მხარი დავუჭირეთ ისეთი რეფორმების განხორციელებას, რომლებიც განახლებად ენერგეტიკაში, მათ შორის, ქარისა და მზის ენერგიის წარმოებაში, კერძო სექტორის ინვესტიციებს მოიზიდავს*

მეორე – ქვეყანაში საშუალო კლასის შექმნის, დემოკრატიული განვითარებისა და თემების მდგრადი გაძლიერების თაობაზე საუბრისას USAID კერძო ბიზნესს წამყვან დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევს. ეს ნიშნავს კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვას და თავისი წვლილის შეტანას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა გარემოს დაცვა და მდგრადი ინვესტიციები.

მაგალითად, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამამ, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვას, შესაფუთი მასალების მწარმოებელთა და საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციასთან ერთად ჩაატარა ე.წ. იდეათონი – „დაამზადე მომხმარებლისთვის, შეფუთე დედამიწისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების მართვის სექტორში არსებული პერსპექტიული მეწარმეების მხარდაჭერას. გამარჯვებული კომპანია USAID-ის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსგან 60 000 ლარს მიიღებს პლასტიკური შეფუთვის ჩანაცვლების ბიოდეგრადირებადი ალტერნატივების შესაქმნელად.

USAID-ის ენერგეტიკის პროგრამის ფარგლებში მხარი დავუჭირეთ ისეთი რეფორმების განხორციელებას, რომლებიც განახლებად ენერგეტიკაში, მათ შორის, ქარისა და მზის ენერგიის წარმოებაში, კერძო სექტორის ინვესტიციებს მოიზიდავს. გარდა ამისა, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს გადავეცით ელექტრონული „განახლებადი ენერგიის შესახებ ინვესტორთა გზამკვლევი“, რომელიც წაახალისებს ამ სფეროში კერძო ინვესტიციების მობილიზებას. ამ გზით ხელს ვუწყობთ საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის სანდო ინვესტიციების მოზიდვას და ამავდროულად, კლიმატზე მორგებული მიდგომების დახვეწას.

**რა გავლენა აქვს COVID-19 პანდემიას ამერიკელი ხალხის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ საერთაშორისო დახმარებაზე და დაუჭერს თუ არა ის მხარს ეკონომიკის მდგრად აღდგენას, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებს და დაზარალებულ სექტორებს?**

– ჩვენ ჯერ კიდევ პანდემიამდე ვგეგმავდით კერძო სექტორთან პარტნიორობას, რაც მიზნად ისახავდა ბიზნეს გარემოს გაძლიერებას და ქვეყნის განვითარების პროცესში კერძო სექტორის ჩართვას. COVID-19-მა დაამტკიცა, რომ ეს საქართველოს მხარდაჭერისთვის სწორი და მნიშვნელოვანი მიდგომა იყო.

საქართველოში COVID-19-ის დაწყებიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა. ცალსახაა ის ეკონომიკური ზიანი, რაც ქვეყანას პანდემიისას მიადგა. გასულ წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 6%-ზე მეტით შემცირდა. სერიოზულად დაზარალდა ბიზნესი, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები გაუარესდა.

*ჩვენი მთავარი მიზანია, შევქმნათ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და მხარი დავუჭიროთ საქართველოს, ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი წარმოება ჰქონდეს*

**THROUGH THE USAID ENERGY PROGRAM, WE SUPPORTED REFORMS TO CREATE INCENTIVES FOR PRIVATE SECTOR INVESTMENT IN RENEWABLE ENERGY, INCLUDING WIND AND SOLAR**

standards for corporate social responsibility and contributing to urgent challenges such as environmental protection and sustainable investment.

To give a few examples, our Economic Security Program, which promotes innovation in Georgia's economy, recently partnered with the Packaging Manufacturers Association and the Georgian Waste Management Association to organize an "Ideathon" supporting forward-looking entrepreneurs in the waste management sector. The winning company will receive 60,000 GEL from USAID, UNDP, and Georgia's Innovation and Technology Agency to further develop a biodegradable alternative to plastic packaging.

Through the USAID Energy Program, we supported reforms to create incentives for private sector investment in renewable energy, including wind and solar. We also equipped the Georgia Energy Development Fund with a web-based Interactive Renewable Energy Investor Guidebook that helped mobilize private investment in clean energy. In this way, we're playing a key role in supporting responsible investment while advancing climate-friendly approaches to Georgia's sustainable development.

**What kind of influence does COVID-19 pandemic have on the international assistance from the American people to Georgia and will it support the sustainable recovery of the economy including support to SMEs and affected sectors/industries?**

*THE ULTIMATE GOAL IS TO CREATE HIGHER-PAYING JOBS WHILE HELPING GEORGIA BUILD INDUSTRIES THAT CAN COMPETE ON EUROPEAN AND OTHER INTERNATIONAL MARKETS*

Prior to the pandemic, we were already sharpening our focus on partnering with the private sector, both to strengthen the business environment and to engage private business as stakeholders in Georgia's development. COVID-19 really proved that this was, and is, the right approach for assisting Georgia.

Today, more than a year after COVID-19 first appeared in Georgia, the economic damage is obvious. Gross domestic product declined by more than six percent last year. Businesses have taken a serious hit, people are out of work, and many Georgian households have seen their living standards decline.

To help Georgia move forward, USAID is devoting a significant amount of our assistance to spurring a strong, inclusive economic recovery. That means supporting reforms and



ეკონომიკის აღდგენისთვის USAID-მა საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია, რაც გულისხმობს რეფორმების მხარდაჭერას და მეტი რესურსების გამოყოფას საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის, მათთვის საჭირო კერძო ინვესტიციების მოზიდვისა და თემებში მდგრადი, მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნისთვის. ხელშეწყობის კარგი მაგალითია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი ახალი პროგრამა, რომელიც ამ თვეში Gazelle Finance-თან ერთად დავიწყეთ. Gazelle Finance-თან პარტნიორობით 30-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს შესაძლებლობა ეძლევა, უპროცენტო სესხით, გრანტებით და ტექნიკური მხარდაჭერით ისარგებლონ. პროგრამა მეწარმეებს ხელს შეუწყობს ბიზნესის დინამიკურ ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და საქართველოს ეკონომიკის კარგად გათვლილ და გრძელვადიან განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ვთანამშრომლობთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთანაც“, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციასთან და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხელს ვუწყობთ მცირე ბიზნესის მფლობელი ქალებისა და რეგიონებში მცხოვრები მცირე მეწარმეების ფინანსებთან წვდომას.

ვთანამშრომლობთ „აწარმოე საქართველოსთანაც“, რათა ინოვაციურ მრეწველობაში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოვიზიდოთ. მათ შორის, ელექტრონიკის, სამედიცინო ინსტრუმენტების, საჰაერო და ავტომობილების ნაწილების წარმოებაში. ჩვენი

providing more resources to empower Georgia's small and medium-sized businesses to return to growth, attract the private investment they need, and ultimately create sustainable, high-value jobs for their communities.

As an example, just this month we launched a new SME support program in partnership with Gazelle Finance. Together, we will provide no interest loans, grants, and technical assistance to more than 30 SMEs, helping them achieve dynamic growth, create jobs, and contribute to Georgia's smart, long-term economic development. We are also partnering with Crystal Microfinance, the U.S. Development Finance Corporation, and the Swedish International Development Cooperation Agency to increase access to finance for small businesses that are owned by women or located outside of major urban centers.

We are also partnering with Enterprise Georgia to facilitate more foreign direct investment into innovative industries, including the manufacturing of electronics, medical instruments, and aerospace and automotive parts. The ultimate goal is to create higher-paying jobs while helping Georgia build industries that can compete on European and other international markets.

These are just a few examples of how, under our new development strategy for Georgia, USAID is transforming how we work with the private sector.

**The 2nd edition of the Sustainability Spotlight magazine is dedicated to the partnerships and importance of multi-sectoral cooperation. What is USAID/Georgia's experience in this regard and how do you promote public-private or multi-sectoral partnerships through your programmes in Georgia and why is it important?**





**WE KNOW FROM EXPERIENCE THAT DEVELOPMENT INITIATIVES - WHETHER IN ECONOMICS, GOVERNANCE, EDUCATION, OR OTHER SECTORS - ARE MOST IMPACTFUL AND SUSTAINABLE WHEN THE PRIVATE AND PUBLIC SECTORS COMBINE THEIR EFFORTS AND CAPABILITIES**

**გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ განვითარების ინიციატივები - იქნება ეს ეკონომიკაში, მმართველობაში, განათლებასა თუ რომელიმე სხვა სექტორში, მაშინაა მდგრადი და ეფექტიანი, როცა კერძო და საჯარო სექტორების ძალისხმევა და შესაძლებლობა ერთიანდება**

მთავარი მიზანია, შევქმნათ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და მხარი დავუჭიროთ საქართველოს, ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი წარმოება ჰქონდეს.

ქვეყნის განვითარების ახალი სტრატეგიის ფარგლებში, ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, თუ როგორ გადადის USAID კერძო სექტორთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე.

**Sustainability Spotlight-ის მეორე გამოცემა ეძღვნება მრავალსექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობას და პარტნიორობას. რა გამოცდილება აქვს ამ მხრივ USAID-ის მისიას საქართველოში? როგორ უწყობთ ხელს კერძო და საჯარო, ან მრავალსექტორულ პარტნიორობას საქართველოში თქვენი პროგრამების საშუალებით და რატომაა ეს მნიშვნელოვანი?**

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ განვითარების ინიციატივები – იქნება ეს ეკონომიკაში, მმართველობაში, განათლებასა თუ რომელიმე სხვა სექტორში, მაშინაა მდგრადი და ეფექტიანი, როცა კერძო და საჯარო სექტორების ძალისხმევა და შესაძლებლობა ერთიანდება.

ჩვენი სტრატეგია განსაკუთრებით ორიენტირებულია პარტნიორობაზე. 2020 წელს USAID-მა კერძო სექტორთან პარტნიორობით, ადგილობრივი ბიზნესის შემოსავლების საშუალებით 20 მილიონი დოლარის შემოსავლების გენერირება მოახდინა და 3 400-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. ამავდროულად, საქართველოს განვითარების მიზნებისთვის კერძო ინვესტიციების სახით შეძლო 6 მილიონი დოლარის მობილიზება.

We know from experience that development initiatives - whether in economics, governance, education, or other sectors - are most impactful and sustainable when the private and public sectors combine their efforts and capabilities.

Integral to our new strategy is a focus on partnerships. We are investing in the power of "win-win" collaboration where the public and private sectors come together for mutually-beneficial outcomes. In 2020, USAID partnered with the private sector to generate roughly $20 million in revenue for local businesses and create over 3,400 new jobs, while mobilizing more than $6 million in private investment toward Georgia's development goals.

To give a few examples: In 2020, USAID helped forge a public-private partnership between Georgia's Ministry of Health, Tbilisi State Medical University, and Foresight, a private investment company.

2020 წელს USAID-მა ხელი შეუწყო კერძო-საჯარო პარტნიორობას საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტსა და კერძო საფინანსო კომპანია - Foresight-ს შორის. საერთო ძალისხმევით დავაფუძნეთ კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა- თანამედროვე დაწესებულება, რომელიც გააუმჯობესებს საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ათასობით მოქალაქის მდგომარეობას. Foresight-მა ახალი შენობის ასაშენებლად და აღჭურვილობისთვის 5 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, ჯანდაცვის სამინისტრო კი უზრუნველყოფს მის ყოველდღიურ ოპერირებას. ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ უწყობს ხელს USAID საქართველოს განვითარებას მრავალსექტორული პარტნიორობის საშუალებით.

ცოტა ხნის წინ USAID-ის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის“ (PITA) პროგრამამ და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად ანაზღაურებადი სტაჟირებით სხვადასხვა საწარმოში დაასაქმა 32 ახალგაზრდა, მათ შორის, IT კომპანიებში, საფინანსო და სურსათის საწარმოებში. მათგან ცხრას სრული განაკვეთით შესთავაზეს დასაქმება.

*საერთო ძალისხმევით დავაფუძნეთ კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა- თანამედროვე დაწესებულება, რომელიც გააუმჯობესებს საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ათასობით მოქალაქის მდგომარეობას*

*TOGETHER, WE ESTABLISHED THE KEN WALKER UNIVERSITY CLINIC FOR MEDICAL REHABILITATION, A STATE-OF-THE-ART FACILITY THAT WILL IMPROVE THE LIVES OF THOUSANDS OF GEORGIAN PERSONS LIVING WITH DISABILITIES*

Together, we established the Ken Walker University Clinic for Medical Rehabilitation, a state-of-the-art facility that will improve the lives of thousands of Georgian persons living with disabilities. Foresight contributed about $5 million to constructing and equipping the new facility, and the Ministry of Health manages its day-to-day operations. This is a prime example of how USAID catalyzes and fosters multi-sectoral partnerships to advance Georgia's development progress.

Even more recently, USAID's Promoting Integration, Tolerance and Awareness (PITA) Program and the USAID Agriculture Program partnered with the Georgian Chamber of Commerce and Industry to place 32 young people in paid internships in various industries, ranging from IT to finance to food production. Nine of those talented young people have already been offered full-time employment. This is an example of how different aspects of USAID assistance - youth empowerment, skills development, our work with business associations – synergize to create impact.

When we successfully connect the dots between sectors, we can help Georgia achieve really great things.

**What are your recommendations for businesses and government in terms of promotion of corporate sustainability and implementation of UN Agenda 2030 in Georgia?**

As it recovers from the economic impacts of COVID-19, Georgia has an opportunity to consolidate its past development gains and deliver a bold vision for the future:



საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს USAID-ის მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტს - ახალგაზრდების გაძლიერებას, უნარ-ჩვევების განვითარებას, თანამშრომლობას ბიზნეს ასოციაციებთან.

**რა რეკომენდაციებს მისცემდით ბიზნესს და მთავრობას კორპორაციული მდგრადობისა და გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების შესახებ საქართველოში?**

როგორც კი დაიწყებს COVID-19 პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღდგენას, საქართველოს შესაძლებლობა მიეცემა, გაამყაროს მიღწევები და მომავლის თამამი ხედვა წარადგინოს; განახორციელოს რეფორმები, რომელიც მოსახლეობისთვის სასარგებლო მდგრად ინვესტიციებს და ინოვაციებს წაახალისებს. ამის მისაღწევად საჭიროა კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ რეფორმები, რომელიც არა მარტო ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღდგენას, არამედ უფრო მრავალფეროვან, კონკურენტუნარიან და 21-ე საუკუნის მოთხოვნებზე ორიენტირებულ ეკონომიკას შექმნის.

მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება საქართველოს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისას. თუმცა არსებობს დადებითი ტენდენციები, მათ შორის, განახლებადი ენერგიის მიმართულებით. იმედს იძლევა ბიზნესის მხრიდან გაეროს გლობალური შეთანხმებისადმი გაზრდილი ინტერესიც. USAID სიამოვნებით თანამშრომლობს კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულებით გამარჯვებულ ბიზნესებთან, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ და „აჭარა ჯგუფის“ ჰოლდინგთან. ეს ყველაფერი სამომავლოდ ქვეყნის წარმატებას უზრუნველყოფს.

*STAKEHOLDERS FROM THE PUBLIC AND PRIVATE SECTOR SHOULD WORK TOGETHER TO DESIGN, THEN IMPLEMENT REFORMS THAT WILL NOT ONLY SPUR RECOVERY BUT CREATE AN ECONOMY THAT IS MORE DIVERSIFIED, COMPETITIVE, AND BETTER EQUIPPED TO HANDLE THE CHALLENGES OF THE 21ST CENTURY*

*კერძო და საჯარო სექტორი უნდა თანამშრომლობდეს, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ რეფორმები, რომელიც არა მარტო ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღდგენას, არამედ უფრო მრავალფეროვან, კონკურენტუნარიან და 21-ე საუკუნის მოთხოვნებზე ორიენტირებულ ეკონომიკას შექმნის*

reforms that incentivize sustainable investment and unleash innovation to benefit people in communities across the country. To achieve this, stakeholders from the public and private sector should work together to design, then implement reforms that will not only spur recovery but create an economy that is more diversified, competitive, and better equipped to handle the challenges of the 21st century.

Significant challenges remain in Georgia's implementation of the UN's 2030 Agenda for Sustainable Development. However, it is good to see positive trends on some of the Sustainable Development Goals, including advances in affordable and clean energy. We are encouraged by the business community's growing commitment to the UN Global Compact, and USAID is pleased to partner with several of the winners of the most recent Corporate Responsibility Awards, including Crystal Microfinance and Adjara Group Holding.

# მდგრადი განვითარება ერთიან ძალისხმევას მოითხოვს

# SUSTAINABLE DEVELOPMENT REQUIRES A CONCERTED EFFORT

წლებია, შვედეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი და დონორია განვითარების საკითხებში. ეკონომიკური წინსვლისა და ევროპული ინტეგრაციისთვის საჭირო რეფორმების ხელშეწყობა მისი ერთ-ერთი მიზანია ამ ურთიერთობისას. შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ხელმძღვანელი, ერიკ ილესი გვესაუბრება საკუთარი ქვეყნის გამოცდილებაზე მდგრადი განვითარების საკითხებში, პარტნიორობის მნიშვნელობაზე ამ პროცესში და იმ როლზე, რასაც შვედეთი ასრულებს საქართველოსთან მიმართებით.

**როგორ უწყობს შვედეთი ხელს მდგრადობას და 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებას ქვეყანაში და პარტნიორებთან შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში?**

შვედეთი ისწრაფის, იყოს ლიდერი 2030-ის დღის წესრიგის განხორციელებისას, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე, გლობალურად. მსოფლიო პანდემიამ მდგრადი განვითარების მიზნებისკენ სვლაში ახალი გამოწვევები წარმოშვა. ამასთან, შექმნა ახალი შესაძლებლობები ძალთა გაერთიანების, პარტნიორობისა და ერთობლივად მუშაობისთვის, რათა არავინ დარჩეს პროცესებს მიღმა. შვედეთის საქმიანობა საქართველოში ხელს უწყობს მდგრადობას და ჩვენი

FOR YEARS, SWEDEN HAS BEEN ONE OF GEORGIA'S MOST IMPORTANT DEVELOPMENT AND DONOR PARTNERS. PROMOTING ECONOMIC PROGRESS AND THE REFORMS NEEDED FOR EUROPEAN INTEGRATION IS ONE OF THE GOALS OF THIS RELATIONSHIP. ERIC ILES, HEAD OF THE SWEDISH INTERNATIONAL DEVELOPMENT COOPERATION AGENCY (SIDA), TALKS ABOUT HIS COUNTRY'S EXPERIENCE IN SUSTAINABLE DEVELOPMENT, THE IMPORTANCE OF PARTNERSHIP IN THIS PROCESS AND THE ROLE THAT SWEDEN PLAYS IN RELATION TO GEORGIA.

**How does Sweden promote sustainability and Agenda 2030 in the country and with partners within the Swedish International Development Cooperation?**

Sweden strives for being a leader in implementation of Agenda 2030, nationally as well as globally. The global pandemic has posed further challenges in meeting the sustainable development goals, whilst it also created new opportunities to join forces, build partnerships and work together to ensure that no one is left behind. Sweden promotes the sustainability and Agenda 2030 in all its work in Georgia and its integral part and requirement of all our development projects to meet and contribute to the SDG Agenda. We strive for partnerships with international and

*WE STRIVE FOR PARTNERSHIPS WITH INTERNATIONAL AND LOCAL ACTORS TO RAISE THE AWARENESS ON AGENDA 2030, THROUGH OUR WORK ON ECONOMIC DEVELOPMENT, GOVERNANCE, GENDER EQUALITY, ENVIRONMENT, AND CLIMATE CHANGE*





*ვცდილობთ, ვითანამშრომლოთ საერთაშორისო და ადგილობრივ მხარეებთან, რათა გავზარდოთ 2030 წლის დღის წესრიგის შესახებ ცნობიერება ეკონომიკური განვითარების, მმართველობის, გენდერული თანასწორობის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების მიმართულებებით*

განვითარების პროგრამების განუყოფელი ნაწილია. ვცდილობთ, ვითანამშრომლოთ საერთაშორისო და ადგილობრივ მხარეებთან, რათა გავზარდოთ 2030 წლის დღის წესრიგის შესახებ ცნობიერება ეკონომიკური განვითარების, მმართველობის, გენდერული თანასწორობის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების მიმართულებებით. შვედეთი ხელს უწყობს და მხარს უჭერს სხვადასხვა სახის პარტნიორულ ურთიერთობას მთავრობას, ბიზნესს, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის – მრავალმხრივი ჩართულობის მიზნით, რათა უზრუნველყონ 2030 წლის დღის წესრიგის შესრულება საქართველოს ყველა რეგიონში.

**როგორ ეხმარება შვედეთი მრავალსექტორულ პარტნიორობას SDG-ების მიმართულებით და რა გზებს იყენებს მთავრობა ამ პროცესში ბიზნეს სექტორის მონაწილეობისთვის? რას წარმოადგენს შვედეთის ლიდერობისა და მდგრადი განვითარების ინიციატივა?**

local actors to raise the awareness on Agenda 2030, through our work on economic development, governance, gender equality, environment, and climate change. Sweden promotes and supports different type of partnerships in order to mobilize a multi stakeholder engagement from government, business, academia, CSOs to ensure the progress towards the Agenda 2030 in all regions of Georgia.

**How does Sweden encourage multi-sectoral partnerships around the SDGs? What are the ways Government engages business sector? Could you tell us more about Swedish Leadership for Sustainable Development initiative?**

All parts of society need to be engaged if we are to achieve the Sustainable Development Goals by 2030. To this end, Sweden supports partnerships between governments, civil society, academia, business and investors that support the SDGs.

*შვედეთი ხელს უწყობს და მხარს უჭერს სხვადასხვა სახის პარტნიორულ ურთიერთობას მთავრობას, ბიზნესს, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის - მრავალმხრივი ჩართულობის მიზნით, რათა უზრუნველყონ 2030 წლის დღის წესრიგის შესრულება საქართველოს ყველა რეგიონში*

## SWEDEN PROMOTES AND SUPPORTS DIFFERENT TYPES OF PARTNERSHIPS IN ORDER TO MOBILIZE A MULTI STAKEHOLDER ENGAGEMENT FROM GOVERNMENT, BUSINESS, ACADEMIA, CSOS TO ENSURE THE PROGRESS TOWARDS THE AGENDA 2030 IN ALL REGIONS OF GEORGIA

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში საზოგადოების ყველა ჯგუფი უნდა ჩაერთოს. ამ მიზნით, შვედეთი მხარს უჭერს პარტნიორობას მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას, აკადემიას, ბიზნესსა და ინვესტორებს შორის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში SDG-ებს ითვალისწინებენ.

ცალსახაა, რომ ბიზნეს სექტორს გადამწყვეტი როლი აქვს სიღარიბის შემცირებისა და SDG-ების მიღწევაში. შვედეთი თანამშრომლობს იმ კომპანიებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს მდგრად განვითარებას. ამისთვის სხვადასხვა გზა არსებობს: მაგალითად, მხარს ვუჭერთ თანამშრომლობას საჯარო და კერძო კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის; გავცემთ გარანტიებს სესხებისთვის, რაც ბანკებსა და სხვა ინვესტორებს ეხმარება სოციალურად დაუცველი ჯგუფების დაფინანსება გაზარდონ. ასევე, გვაქვს დიალოგის სხვადასხვა ფორმა ბიზნეს სექტორთან, რისი ერთ-ერთი მაგალითია შვედეთის ლიდერობა მდგრადი განვითარებისთვის (SLSD). ეს ქსელი ერთგვარი ხიდია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (SIDA) და 20-ზე მეტ მრავალეროვნულ კომპანიასა და შვედეთთან დაკავშირებულ საექსპერტო ორგანიზაციას შორის. თანამშრომლობა SIDA-ს ინიციატივით გლობალური კონსულტაციების ფარგლებში 2013 წელს დაიწყო, რომელთა შედეგადაც მიიღეს SDG-ები. მისი მიზანია დააჩქაროს 2030 წლის დღის წესრიგის შესრულება საერთაშორისო მასშტაბით.

**დაგვისახელეთ მრავალსექტორული პარტნიორობის წარმატებული მაგალითები SDG-ების მისაღწევად საქართველოსა და შვედეთში.**

შვედეთში საზოგადოების ინფორმირებულობამ და მდგრად გადაწყვეტილებებსა და პროდუქტებზე მოთხოვნამ შეცვალა კერძო და საჯარო სექტორის აზროვნება, მიზნები და სტრატეგიები. ეს ახალი მოცემულობა აერთიანებს, მაგალითად, მდგრად სახელმწიფო შესყიდვებს და ბიზნეს გეგმებში ინტეგრირებულ მდგრადობას. ეს ყველაფერი მწვანე და ცირკულარული ეკონომიკისკენ მიისწრაფის. შვედეთის ლიდერობა მდგრადი განვითარებისათვის (SLSD) SDG-ს მისაღწევად მრავალსექტორული პარტნიორობის ერთ-ერთი შვედური მაგალითია. მის რვაწლიან არსებობას არაერთი სასიკეთო შედეგი მოჰყვა. მათ შორის, UNIDO-ს პროექტები პროფესიული ტრენინგისთვის ზამბიასა და ეთიოპიაში, ერთობლივი ინიციატივა წყლისა და ქიმიური მოხმარების შესამცირებლად ტექსტილის ინდუსტრიაში, შვედეთის კერძო სექტორის მობილიზება კობალტის პასუხისმგებლიანი წარმოებისთვის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე, 2030 წლის გლობალური დღის წესრიგის შემუშავების პროცესში მონაწილეობა და მისი ნაწილობრივ განხორციელება შვედეთში. მან შთააგონა მსგავსი სახის თანამშრომლობაც. მაგალითად, SIDA-ს აქვს მსგავსი ქსელი – „შვედი ინვესტორები მდგრადი განვითარებისათვის“ (SISD), რომელიც ხაზს უსვამს ინვესტორების შესაძლო როლს SDG-ების მიღწევის პროცესში.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) შვედეთის მიერ საქართველოსადმი თანადგომის კარგი მაგალითია, რომლის დახმარებითაც 2018 წლიდან შვედეთი მხარს უჭერს სხვადასხვა დარგის თანამშრომლობას და ბიზნესის ჩართულობას საქართველოში 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისას. ვამაყობთ, რომ ჩვენი დახმარებით GCNG-ის წევრთა რიცხვი თითქმის გასამმაგდა და ამჟამად 88-ს მიაღწია. მათ შორისაა კომპანია HG, რომელმაც გლობალური პანდემიის საპასუხოდ ერთჯერადი და მრავალჯერადი პირბადეები აწარმოა, განახორციელა პარტნიორული პროექტი გორსა და წეროვნის დასახლებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან („კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ და „უკეთესი მომავლისთვის“) და პირბადეები სოციალურად დაუცველი ჯგუფების 500-მდე წარმომადგენელს მიაწოდა.

We see that the business sector has a crucial role to play in poverty reduction and in achieving the SDGs. Sweden partners with companies and private sector organisations that contribute to economic, social and environmental sustainable development. We do this in a number of ways. For example we support public-private development partnerships between companies and non-government actors. We provide guarantees for loans, which help banks and other investors extend financing to disadvantaged groups. We also engage in different forms of dialog with the business sector.

One example of such dialog is the network Swedish Leadership for Sustainable Development (SLSD). This network is a partnership between the Swedish International Development Cooperation Agency (Sida) and over 20 multinational companies and expert organizations with a Swedish connection. The partnership was initiated by Sida in 2013 as part of the global consultations leading up to adoption of the SDGs. Its goal is to accelerate the implementation of Agenda 2030 internationally. It provides a forum for action, inspiration and influence around a shared agenda.

**Could you provide successful examples of multi-sectoral partnerships for achieving of SDGs in Georgia, in Sweden?**

In Sweden the public awareness and demand for sustainable solutions and products has changed the mindset and the goals and strategies of the private sector and public sector. This new landscape includes sustainable public procurement and sustainability as integrated into business plans as examples. It all forms part of the transformation towards a green and circular economy. The Swedish Leadership for Sustainable Development (SLSD) is one Swedish example of a multi-sectoral partnership for achieving the SDGs.

In the eight years since it was formed, the partnership has led to a number of results. For example, it has inspired a number of concrete public-private development partnerships, such as projects with UNIDO in vocational training in Zambia and Ethiopia, a joint initiative to reduce water and chemical usage in the textile industry, mobilisation of the Swedish private sector in the responsible production of cobalt in DR Congo, as well as input to the development of Agenda 2030 globally, and as part of its implementation in Sweden. It has also inspired similar partnerships; for example, Sida has a similar network called Swedish Investors for Sustainable Development (SISD) which explores the role investors can play in achieving the SDGs.

Global Compact Network Georgia (GCNG) is such example of Swedish support to Georgia, through which since 2018, Sweden supports multi sectoral cooperation and business involvement in the implementation of the Agenda 2030 in Georgia. We are proud and excited that through our support, the GCNG membership has grown almost threefold and currently unites 88 members. The examples of successful multi sectoral partnerships in Georgia through GCNG include, GCNG member company, "HG", which produced one-time, multi-use masks in response to the global pandemic and implemented a partnership project with the NGOs working in Gori and Tserovani Settlement ("Welfare and Development Centre" and "For Better Future") and provided masks to up to 500 individuals representing socially unprotected and vulnerable groups. Within the project up to 30 internally displaced women were employed as seamstresses. Another example is cross sectoral partnership for employment of persons with disabilities, through which Association Anika, assisted the wooden toy company "Kodala" and the Microfinance Organization MBC in employing people with disabilities.

*გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) შვედეთის მიერ საქართველოსადმი თანადგომის კარგი მაგალითია, რომლის დახმარებითაც 2018 წლიდან შვედეთი მხარს უჭერს სხვადასხვა დარგის თანამშრომლობას და ბიზნესის ჩართულობას საქართველოში 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისას*

**GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA (GCNG) IS SUCH EXAMPLE OF SWEDISH SUPPORT TO GEORGIA, THROUGH WHICH SINCE 2018, SWEDEN SUPPORTS MULTI-SECTORAL COOPERATION AND BUSINESS INVOLVEMENT IN THE IMPLEMENTATION OF THE AGENDA 2030 IN GEORGIA**

შვედეთში საზოგადოების ინფორ-მირებულობამ და მდგრად გადაწ-ყვეტილებებსა და პროდუქტებზე მოთხოვნამ შეცვალა კერძო და საჯარო სექტორის აზროვნება, მიზნები და სტრატეგიები

# IN SWEDEN THE PUBLIC AWARENESS AND DEMAND FOR SUSTAINABLE SOLUTIONS AND PRODUCTS HAS CHANGED THE MINDSET AND THE GOALS AND STRATEGIES OF THE PRIVATE SECTOR AND PUBLIC SECTOR

პროექტის ფარგლებში 30-მდე იძულებით გადაადგილებულმა ქალმა შეძლო მუშაობა. კიდევ ერთი მაგალითია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სექტორული პარტნიორობა, რომლის მეშვეობითაც ასოციაცია „ანიკა“ დაეხმარა ხის სათამაშოების მწარმოებელ კომპანია „კოდალას“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MBC-ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებაში.

**რა რეკომენდაციას მისცემდით კერძო სექტორს, მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას: რატომ უნდა ითანამშრომლონ მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისთვის?**

თუ გვსურს, რომ მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს და მსოფლიოში სიღარიბე და ჩაგვრა შევამციროთ, ამ პროცესში საზოგადოების ყველა ჯგუფი უნდა ჩაერთოს. ეს გამოწვევა აღემატება ერთი სექტორის შესაძლებლობებს და საერთო ძალისხმევას მოითხოვს.

დიალოგი დაგვეხმარება, ერთობლივად გავიაზროთ პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ვეძებოთ; თანამშრომლობისა და ერთობლივი ინიციატივების საშუალებით შევძლებთ სხვადასხვა სექტორის ფინანსური და ტექნიკური რესურსი გავაერთიანოთ; გონიერება, განსხვავებული როლებისა და მანდატების პატივისცემა, ცნობისმოყვარეობა, თუ როგორ შეიძლება ამ როლებმა და მანდატებმა პოზიტიური სინერგია შექმნან და კომფორტის ზონიდან გამოსვლის სურვილი, ამ მიზნების განხორციელებას შეუწყობს ხელს. როგორც არაერთხელ დადასტურდა, ჩართული მხარეებისთვის ეს შეიძლება სასარგებლო იყოს.

**წლების განმავლობაში შვედეთი იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დონორი და განვითარების პარტნიორი საქართველოსთვის. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და რა ადგილი აქვს ამ გეგმებში საქართველოს? როგორ დაეხმარება შვედეთის მთავრობა ჩვენს ქვეყანას მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე?**

**What would be your recommendation to private sector, government and civil society – why do they need to cooperate for achievement of Sustainable Development Agenda 2030?**

All sectors of society need to be engaged if we are to reach the SDGs and reduce poverty and oppression in the world, simply because the challenges we face are more than one sector can address on its own. Moreover, the scope of these challenges are of such dignity that no sector can afford to ignore them, even if only considering their own operations and future success. Through dialogue, we can create a mutual understanding of the challenges and find new ways to tackle them. Through collaboration and joint initiatives, we can then mobilise the financial and technical resources of different sectors to turn these ideas into action and tangible change. Open-mindedness, respect for different roles and mandates, curiosity to find out how these roles and mandates may create positive synergies and willingness to at times step out of one's comfort zone will be key to make this happen. But, as proven in so many cases, this can also be extremely rewarding for everyone involved.

**Over the years, Sweden has been among the largest donors and development partners for Georgia. Could we learn more about your future plans? How will the Swedish Government be supporting Georgia on its path to sustainable development?**

Sweden remains one of the largest bilateral donors to Georgia and our support has continued to be aimed at lifting people out of poverty in a sustainable way. Swedish development cooperation takes a multidimensional view of poverty, implying that poverty not only means lack of material resources, but also lack of power, voice and respect for human rights,



ALL SECTORS OF SOCIETY NEED TO BE ENGAGED IF WE ARE TO REACH THE SDGS AND REDUCE POVERTY AND OPPRESSION IN THE WORLD

– თუ გვსურს, რომ მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს და მსოფლიოში სიღარიბე და ჩაგვრა შევამციროთ, ამ პროცესში საზოგადოების ყველა ჯგუფი უნდა ჩაერთოს

შვედეთი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ორმხრივ დონორად საქართველოსთვის. ჩვენი მხარდაჭერის მიზანი კვლავაც სიღარიბის დაძლევაა მდგრადი განვითარების გზით. ამ შემთხვევაში, მხოლოდ მატერიალური რესურსების სიმცირე არ იგულისხმება, არამედ, ძალაუფლების, ხმის და ადამიანის უფლებების პატივისცემის, შესაძლებლობების და არჩევანის ან/და ადამიანის უსაფრთხოების ნაკლებობაც.

მომდევნო წლებში მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ევროკავშირთან, რათა ერთობლივად დავეხმაროთ საქართველოს ტრანსფორმაციული რეფორმებისთვის ეროვნული SDG-ებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში. გვინდა, ამ პროცესში შვედეთის საზოგადოების უფრო დიდი ნაწილი ჩაერთოს, რათა საქართველოსთან გრძელვადიანი და მჭიდრო ურთიერთობები უზრუნველვყოთ.

ამჟამად ველოდებით 2021-2027 წლების შვედეთის ახალ სტრატეგიას აღმოსავლეთ ევროპისთვის, რომელიც განსაზღვრავს ორმხრივი საქმიანობის პირობებს საქართველოში, სომხეთში, მოლდოვაში, უკრაინასა და ბელორუსში, აგრეთვე რეგიონულ ღონისძიებებს აზერბაიჯანის მიმართულებით. ახალი სტრატეგიით, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერა გაგრძელდება მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისთვის და ფოკუსირდება შემდეგ მიზნებზე:

1. ადამიანის უფლებები, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და გენდერული თანასწორობა;

2. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება;

3. მდგრადი განვითარება გარემოსდაცვითი და კლიმატის თვალსაზრისით, მათ შორის, ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

4. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებები.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სამომავლო თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება და საქართველოს მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე დაეხმარება.

lack of opportunities and choice, and/or lack of human security. In the years to come we will work tightly together with EU to ensure that our support is joined up and complementary to be effective in our assistance to Georgia's transformative reforms towards the implementation of the national SDGs and the Association Agenda. We also want to increase the engagement of larger parts of the Swedish society to ensure that we build broader and long-lasting relations with Georgia.

The aim of Swedish development support is to strengthen democracy and respect for human rights, to improve the country's environmental work and to support Georgia's efforts to strengthen the ties with the European Union.

We are currently awaiting a new Strategy of Sweden for Eastern Europe 2021-2027, which will set out conditions for bilateral activities in Georgia, Armenia, Moldova, Ukraine and Belarus, as well as regional activities involving operations covering Azerbaijan. With the new strategy, Swedish government support will continue to have sustainable development and Agenda 2030 at its core and focus on following objectives:

1. HUMAN RIGHTS, DEMOCRACY, THE RULE OF LAW AND GENDER EQUALITY.

2. INCLUSIVE ECONOMIC DEVELOPMENT

3. ENVIRONMENTALLY AND CLIMATE-SUSTAINABLE DEVELOPMENT INCLUDING BIODIVERSITY AND SUSTAINABLE USE OF NATURAL RESOURCES

4. PEACEFUL AND INCLUSIVE SOCIETIES

# პარტნიორობა ცვლილებებისთვის

# TBC PARTNERSHIP FOR CHANGE

თიბისი ბანკი – საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი, კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მაღალი სტანდარტების დანერგვით, მუდმივად ცვლილებებისა და ინოვაციური ტრანსფორმაციის ავანგარდშია. როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელი, კომპანია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ფინანსურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

**TBC BANK, A LEADING FINANCIAL INSTITUTION IN GEORGIA WITH HIGH STANDARDS OF CORPORATE RESPONSIBILITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT, IS CONSTANTLY AT THE FOREFRONT OF CHANGE AND INNOVATIVE TRANSFORMATION. AS ONE OF THE LARGEST EMPLOYERS IN GEORGIA, THE COMPANY HAS A SIGNIFICANT IMPACT ON THE FINANCIAL, ECONOMIC AND SOCIAL DEVELOPMENT OF GEORGIA.**

კომპანიის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მულტისექტორულ თანამშრომლობასა და პარტნიორული პროექტების განხორციელებას

MULTI-SECTORAL COOPERATION AND THE PLANNING AND IMPLEMENTATION OF PARTNERSHIP PROJECTS TAKES A SPECIAL PLACE IN THE COMPANY'S ACTIVITIES

*THE PARTNERSHIP AIMS TO SUPPORT LOCAL STARTUPS AND SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES TO EMPOWER YOUNG PEOPLE, INCREASE ACCESS TO FINANCE IN THE REGIONS AND PROMOTE BUSINESS DEVELOPMENT*

*თანამშრომლობა ითვალისწინებს ადგილობრივი სტარტაპების, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას, ახალგაზრდების გაძლიერებას, რეგიონებში ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას*

გლობალიზაციის, ურთიერთდამოკიდებულებისა და სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების ეპოქაში კომპანიები ცდილობენ ფეხი აუწყონ ახალ რეალობას და დანერგონ ახალი სტანდარტები, მათ შორის, მდგრადი განვითარების სტანდარტები. სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა, ქალთა გაძლიერება, გამჭვირვალე და ეთიკური მმართველობა და ციფრული ტრანსფორმაცია (ე.წ. ESG საკითხები) ის საკითხებია, რომლებსაც თიბისი აქტიურად ნერგავს. ამ პროცესის ნაწილია მდგრადი განვითარების ანგარიში, რომელიც თიბისიმ სულ ახლახან წარადგინა.

ამ დროისთვის, თიბისის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება აქვს, რომელსაც კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მისი კორპორაციული კულტურის ნაწილია. ეს მიმართულებებია მეწარმეების მხარდაჭერა (თიბისის ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოვება), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება (მუზეუმების მხარდაჭერა), ლიტერატურისა და წიგნიერების მხარდაჭერა (ლიტერატურული პრემია

In an era of globalization, interdependence and rapid technological changes, companies are trying to keep up with new realities and introduce new standards, including standards for sustainable development. Social responsibility, environmental protection, women's empowerment, transparent and ethical governance, and digital transformation (so-called ESG issues) are issues that TBC is actively implementing. Part of this process is the Sustainable Development Report, which TBC has just completed and which it plans to present in the near future.

At the moment, TBC has several priority areas to which it pays special attention as part of its sense of corporate responsibility and corporate culture. These areas are support for entrepreneurs (TBC Annual Business Awards), preservation of Georgian cultural heritage (support for museums), support for literature and literacy (Saba Literary Award and e-book platform saba.ge), youth development (TBC Scholarship Support Program), women's empowerment and promoting women's involvement in the technology industries (Grace Hopper Award) and more.

*IMPACT HUB TBILISI, თიბისისა და UNDP საქართველოს მხარდაჭერით, იწყებს საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამას SOCIAL IMPACT AWARD*

„საბა“ და ელექტრონული წიგნების პლატფორმა saba.ge), ახალგაზრდების განვითარება (თიბისის სტიპენდიატების პროგრამა), ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა, ქალთა გაძლიერება და ტექ. ინდუსტრიებში ქალების ჩართულობის ხელშეწყობა (პრემია Grace Hopper Award) და სხვა.

კომპანიის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მულტისექტორულ თანამშრომლობასა და პარტნიორული პროექტების განხორციელებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინოვაციური პროექტების დანერგვას, ადამიანების დასაქმებას, ქალთა გაძლიერებას, ეკონომიკის გაჯანსაღებას და საბოლოოდ, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაახლოებას.

ამ მიზნების ნაწილია ღირსეული დასაქმება და სამუშაო პირობების შექმნა, მათ შორის, ახალგაზრდებისთვის. სწორედ ამას ითვალისწინებს პროექტი, რომელიც თიბისიმ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად განახორციელა. თანამშრომლობა ითვალისწინებს ადგილობრივი სტარტაპების, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას, ახალგაზრდების გაძლიერებას, რეგიონებში ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. პირველი თანამშრომლობა 2021 წელს შედგა. კერძოდ, Impact Hub Tbilisi, თიბისისა და UNDP საქართველოს მხარდაჭერით, დაიწყო საერთაშორისო სტუდენტური პროგრამა Social Impact Award.

Multi-sectoral cooperation and the planning and implementation of partnership projects takes a special place in the company's activities, which in turn contributes to the introduction of innovative projects, employment of people, empowerment of women, economic recovery and, finally, progress on the path towards the UN Sustainable Development Goals.

Creation of decent employment and working conditions, including for young people, is included in these goals. This is what the project implemented by TBC together with the United Nations Development Program (UNDP) in Georgia envisages. The partnership aims to support local startups and small and medium-sized enterprises to empower young people, increase access to finance in the regions and promote business development. The first collaboration took place in 2021. Namely, Impact Hub Tbilisi, with the support of TBC and UNDP Georgia, has launched an international student programme Social Impact Award - the largest student entrepreneurship programme in the field of social entrepreneurship implemented in 15 countries and aimed at supporting the education of students in the field of social entrepreneurship. The programme covers the entire process, from producing an idea to drawing up a business plan allowing young people to turn an idea into a reality.

As a technology driven company, TBC focuses on women's empowerment and gender equality. A new joint project by TBC and USAID addresses this issue by promoting women's involvement in the technology (ICT) industry. TBC is one of the partners of the Grace

**IMPACT HUB TBILISI, WITH THE SUPPORT OF TBC AND UNDP GEORGIA, HAS LAUNCHED AN INTERNATIONAL STUDENT PROGRAMME SOCIAL IMPACT AWARD**



**TBC IS ONE OF THE PARTNERS OF THE GRACE HOPPER AWARD, ESTABLISHED BY THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM, WHOSE MISSION IS IN LINE WITH THE COMPANY'S ASPIRATIONS TO PROMOTE THE ACTIVE INVOLVEMENT OF WOMEN IN THE TECHNOLOGY INDUSTRY**

*თიბისი USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ დაწესებული პრემია - Grace Hopper Award-ის ერთ-ერთი პარტნიორია, რომლის მისია თანხვედრაშია კომპანიის მისწრაფებასთან, ხელი შეუწყოს ქალთა აქტიურ ჩართულობას ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში*

ყველაზე დიდი სტუდენტური მეწარმეობის პროგრამა სოციალური მეწარმეობის სფეროში 15 ქვეყანაში ხორციელდება და მიმართულია სოციალური მეწარმეობის სფეროში სტუდენტების განათლების მხარდაჭერისაკენ. პროგრამა მოიცავს პროცესს - იდეის წარმოებიდან ბიზნეს გეგმის შედგენამდე, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, იდეა რეალობად აქციონ.

როგორც ტექნოლოგიური კომპანია, თიბისი დიდ ყურადღებას უთმობს ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებს. თიბისისა და USAID-ის ახალი ერთობლივი პროექტი სწორედ ამ საკითხს - ტექნოლოგიურ (ICT) ინდუსტრიაში ქალთა ჩართულობის წახალისებას ეხმიანება. თიბისი USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ დაწესებული პრემია - Grace Hopper Award-ის ერთ-ერთი პარტნიორია, რომლის მისია თანხვედრაშია კომპანიის მისწრაფებასთან, ხელი შეუწყოს ქალთა აქტიურ ჩართულობას ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში. პრემია ატარებს გრეის ჰოპერის, მე -20 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი კომპიუტერული მეცნიერის, აშშ -ს კომპიუტერული პროგრამირების პიონერის სახელს. გამარჯვებულები მიმდინარე წლის ივნისში ექვს კატეგორიაში გამოვლინდნენ. თიბისი „მომავლის ლიდერი ქალისა“ და „ტექნოლოგიური სტარტაპის“ კატეგორიებში გამარჯვებულებს თავიანთ საჭიროებებზე მორგებულ, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამებს სთავაზობს.

Hopper Award, established by the USAID Economic Security Program, whose mission is in line with the company's aspirations to promote the active involvement of women in the technology industry. The award is named after Grace Hopper, a famous 20th-century American computer scientist and pioneer of computer programming in the United States. The winners were announced in six categories in a ceremony held at the TBC Concept Flagship space on 15th of June this year. TBC will offer professional development-oriented programmes to the winners in the 'Emerging Woman Leader' and 'Tech Startup' categories.

TBC pays significant attention to supporting the development of entrepreneurship in Georgia and provides options of customized banking products. TBC has been

*THE COMPANY CONTINUES TO GENERATE VARIOUS INITIATIVES AND IN LINE WITH COMPANY'S PRIORITIES WILL KEEP ON FUNDING PROJECTS THAT WILL ENCOURAGE PARTNERSHIPS BETWEEN THE SECTORS, PROMOTE BENEFICIAL CHANGES IN VARIOUS AREAS AND HELP THE DEVELOPMENT OF THE COUNTRY*

*კომპანია განაგრძობს სხვადასხვა ინიციატივის გენერირებას და კომპანიის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით იმ პროექტების დაფინანსებას, რომლებიც წაახალისებს სექტორებს შორის პარტნიორობას, ხელს შეუწყობს სასიკეთო ცვლილებებს სხვადასხვა სფეროში და ქვეყნის განვითარებას დაეხმარება*

თიბისი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერას საქართველოში და მათზე მორგებული საბანკო პროდუქტების შეთავაზებებიც აქვს. თიბისიში წლებია მოქმედებს ინოვაციური პროგრამა „სტარტაპერი,“ სადაც მეწარმეებს სთავაზობენ სტარტაპების ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერას. ზოგადი დანიშნულების გარდა, სპეციალური სესხებია რესტორნების, სასტუმროებისა და აგრო ბიზნესისთვის. წელს დაემატა Startup Enterprise სესხი, რომელიც სთავაზობს ხელსაყრელ პირობებს, ადგილობრივი წარმოების განვითარებისკენ მიმართული სესხებისთვის. რაც შეეხება არაფინანსურ მომსახურებას, მომხმარებელს სთავაზობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, ღონისძიებებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. დაარსების დღიდან „სტარტაპერმა“ 47000-მდე კომპანია მოიზიდა. მთლიანი პორტფელი კი 600 სესხს შეადგენდა, 185 მილიონი ლარის ოდენობით.

კიდევ ერთი მიმართულება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაა. 2020 წელს, საქართველოს მთავრობის სქემებთან მჭიდრო პარტნიორობით ინიცირებული პროექტების ფარგლებში – „აწარმოე საქართველოში“ და „შეღავათიანი აგროკრედიტი“ – თიბისი დაეხმარა 12000 მსესხებელს ადგილობრივი ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში. ამ პროგრამების ფარგლებში მსესხებლებს



running an innovative programme 'Startuperi' for years, in which entrepreneurs are offered financial and non-financial support for startups. In addition to general-purpose loans, there are special loans for restaurants, hotels, and agro businesses. This year, a Startup Enterprise loan was added, which offers favorable conditions for loans aimed at developing local production. As for non-financial services, customers are offered various educational programmes, events, and individual consultations. Since its inception in 2017, Startuperi has attracted about 47,000 companies. The total portfolio comprises of about 600 loans, amounting to GEL 185 million.

Another direction is agricultural support. In 2020, within the framework of projects initiated in

## ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

## TBC PAYS SIGNIFICANT ATTENTION TO SUPPORTING THE DEVELOPMENT OF ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA

შეუძლიათ მთავრობისგან სუბსიდიის მოთხოვნა პროცენტის ხარჯის შესამცირებლად. 2020 წელს თიბისიმ 1800 ასეთი სესხი გასცა 191 მილიონი ლარის ოდენობით. საერთო ჯამში, სოფლის სესხებმა MSME სესხების მთლიანი წილის 42% შეადგინა.

კომპანია განაგრძობს სხვადასხვა ინიციატივის გენერირებას და კომპანიის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით იმ პროექტების დაფინანსებას, რომლებიც წაახალისებს სექტორებს შორის პარტნიორობას, ხელს შეუწყობს სასიკეთო ცვლილებებს სხვადასხვა სფეროში და ქვეყნის განვითარებას დაეხმარება.

close partnership with the Georgian government, Enterprise Georgia and Preferential Agro Credit, TBC has helped 12,000 borrowers to start or develop local businesses. Within these programmes, borrowers can apply for a subsidy from the government to reduce interest costs. In 2020, TBC issued 1,800 such loans in the amount of GEL 191 million. Overall, rural lending accounted for 42% of the total share of MSME loans.

The company continues to generate various initiatives and in line with company's priorities will keep on funding projects that will encourage partnerships between the sectors, promote beneficial changes in various areas and help the development of the country.












# მდგრადობა ეკონომიკის მომავალია

# SUSTAINABILITY IS THE FUTURE OF THE ECONOMY

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი და განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომლის მიზანია განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორში მდგრადი ინვესტიციების ხელშეწყობით სიღარიბის დაძლევა და ცხოვრების დონის ამაღლებაა. IFC ძირითადად კერძო სექტორთან თანამშრომლობს, რათა გააძლიეროს მეწარმეები და მდგრადი ბიზნესის შექმნაში დაეხმაროს. მისი საქმიანობა ბევრ მიმართულებას მოიცავს, მათ შორის, საფინანსო, გარემოსდაცვითი, საზოგადოებრივი და სამთავრობო სტანდარტების დანერგვაში დახმარებას, ქალ მეწარმეთა ფინანსურ ხელშეწყობას, სხვადასხვა სექტორში ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებას.



*IFC ძირითადად კერძო სექტორთან თანამშრომლობს, რათა გააძლიეროს მეწარმეები და მდგრადი ბიზნესის შექმნაში დაეხმაროს*

INTERNATIONAL FINANCIAL CORPORATION (IFC) IS THE LARGEST GLOBAL DEVELOPMENT INSTITUTION FOCUSED ON THE PRIVATE SECTOR IN DEVELOPING COUNTRIES. IFC, A MEMBER OF THE WORLD BANK GROUP, ADVANCES ECONOMIC DEVELOPMENT AND IMPROVES THE LIVES OF PEOPLE BY ENCOURAGING THE GROWTH OF THE PRIVATE SECTOR IN DEVELOPING COUNTRIES. IFC PRIMARILY WORKS WITH THE PRIVATE SECTOR TO EMPOWER ENTREPRENEURS AND HELP BUILD SUSTAINABLE BUSINESSES. ITS ACTIVITIES INCLUDE MANY AREAS, INCLUDING FINANCIAL, ENVIRONMENTAL, PUBLIC AND GOVERNMENTAL STANDARDS, FINANCIAL SUPPORT FOR WOMEN ENTREPRENEURS, AND STRENGTHENING THE VALUE CHAIN IN VARIOUS SECTORS.

*IFC PRIMARILY WORKS WITH THE PRIVATE SECTOR TO EMPOWER ENTREP-RENEURS AND HELP BUILD SUSTAINABLE BUSINESSES*

საქართველო ორგანიზაციის წევრი 1995 წლიდანაა. ამ პერიოდის განმავლობაში IFC ინვესტიციებით და საკონსულტაციო მომსახურებით ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას. როგორია დღესდღეობით IFC-ის საქმიანობის პრიორიტეტები, როგორ უპასუხა გლობალური პანდემიის გამოწვევებს, რა დამოკიდებულება აქვს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით და რას ფიქრობს პარტნიორობის საჭიროებასა და შესაძლებლობებზე - ამ და სხვა საკითხების შესახებ IFC–ის რეგიონული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიმართულების ხელმძღვანელი ევროპის, შუა აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონში, კაროლინ ბრაითი გვესაუბრება.

Georgia has been a member of the organization since 1995. During this period, IFC promotes private sector development through investments and consulting services. What are the current priorities of IFC? How has it responded to the challenges of the global pandemic, what is its attitude towards the Sustainable Development Goals and what does it think about the need and opportunities for partnership. Caroline Bright, IFC Regional Environmental, Social and Governance (ESG) Advisory Lead, Europe, Central Asia, and Latin America talks to us about these issues.





*IN JULY 2020, IFC LAUNCHED THE $4 BILLION GLOBAL HEALTH PLATFORM, WHICH IS INVESTING IN COMPANIES TO INCREASE THE SUPPLY OF CRITICAL MEDICAL EQUIPMENT AND SERVICES IN DEVELOPING COUNTRIES, INCLUDING FACE MASKS, VENTILATORS, TESTING KITS, AND VACCINES*

*2020 წლის ივლისში IFC-მ აამოქმედა 4 მილიარდი დოლარის გლობალური ჯანდაცვის პლატფორმა, რომელიც განვითარებად ქვეყნებში ახორციელებს ინვესტიციებს კომპანიებისთვის კრიტიკული სამედიცინო აღჭურვილობისა და მომსახურების მარაგის გასაზრდელად - პირბადეების, ვენტილატორების, ტესტებისა და ვაქცინების ჩათვლით*

**2020 წლის დასაწყისიდან პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე. როგორია IFC-ის პასუხი COVID-19 კრიზისზე?**

გლობალური პანდემიის საპასუხოდ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, 2020 წლის მარტში დაიწყო COVID-19 -ის სწრაფი რეაგირების პროგრამა 8 მილიარდი დოლარის მოცულობით, რათა არსებული კლიენტებისთვის ლიკვიდურობა უზრუნველეყო. შესაბამისად, კომპანიებს საშუალება აქვთ, სამუშაო ადგილები შეინარჩუნონ. დაფინანსების დიდი ნაწილი ხმარდება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs), რაც განვითარებად ქვეყნებში დასაქმების ძირითადი წყაროა. ასევე, მეწარმე ქალებს, რომლებიც პანდემიის დროს მეტად დაზარალდნენ.

2020 წლის ივლისში IFC-მ აამოქმედა 4 მილიარდი დოლარის გლობალური ჯანდაცვის პლატფორმა, რომელიც განვითარებად ქვეყნებში ახორციელებს ინვესტიციებს კომპანიებისთვის კრიტიკული სამედიცინო აღჭურვილობისა და მომსახურების მარაგის გასაზრდელად - პირბადეების, ვენტილატორების, ტესტებისა და ვაქცინების ჩათვლით.

**Since early 2020, the pandemic has negatively affected global economic growth. What is IFC's response to the COVID-19 crisis?**

In response to the global pandemic, the International Finance Corporation (IFC), a member of the World Bank Group, launched an $8 billion fast-track COVID-19 facility in March 2020 to provide liquidity to existing clients, thus helping companies sustain and preserve jobs. Much of the funding is going to micro, small, and medium enterprises (SMEs)-a major source of employment in developing countries-as well as women entrepreneurs, who have suffered disproportionately during the pandemic.

*A KEY TENET OF IFC'S WORK WITH OTHER INSTITUTIONS AND ORGANIZATIONS IS FOCUSED ON SHARING LESSONS LEARNED WHILE ADOPTING AND IMPLEMENTING ESG STANDARDS*

*IFC-ის სხვა ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან მუშაობის ძირითადი პრინციპი ორიენტირებულია ESG სტანდარტების მიღებისა და განხორციელებისას მიღებული ცოდნის გაზიარებაზე*

2021 წლის თებერვალში IFC-მ გააფართოვა COVID-19-ის სწრაფი რეაგირების პროგრამა იმ მცირე ბიზნესის, არაფორმალური საწარმოების და დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების დასახმარებლად, რომლებიც პანდემიამ ყველაზე მეტად დააზარალა. პროგრამით გათვალისწინებულია 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ფინანსური ორგანიზაციებისთვის.

მდგრადობა კრიზისის დაძლევის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რის გამოც აუცილებელია ადამიანების, კომპანიებისა და ეკონომიკის მომზადება სამომავლოდ გაუთვალისწინებელი კრიზისებისა და რისკებისთვის. მაგალითად:

საჭიროა იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც უშუალო საფრთხეს უქმნის გარემოს (მაღალი დაბინძურება, ბრაკონიერობა). ამ საკითხებს შორისაა სოციალური დაცვა (დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სამსახურიდან დათხოვნა) და გენდერული თანასწორობა (გენდერული ძალადობის შემთხვევები, გავლენა მომსახურების ინდუსტრიაში დასაქმებულ ქალ თანამშრომლებზე);

კრიზისების მართვა და გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესება, რაც შოკებისადმი გამძლეობას და კორპორაციული სტრუქტურების ყველა დონეზე რეაგირებას უზრუნველყოფს;

კრიზისის იმ გზით დაძლევა, რომ ინვესტიციებმა შეარბილონ პანდემიის გავლენა და შეამსუბუქონ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობითი (ESG) რისკები.

**IFC აერთიანებს სხვადასხვა მოთამაშეს ESG-ს საკითხების ერთობლივად გადასაწყვეტად. რამდენად მნიშვნელოვანია პარტნიორობა და როგორ უწყობს მას ხელს IFC?**



In July 2020, IFC launched the $4 billion Global Health Platform, which is investing in companies to increase the supply of critical medical equipment and services in developing countries, including face masks, ventilators, testing kits, and vaccines.

In February 2021, IFC added an expansion to the fast-track COVID-19 facility—the Base of the Pyramid Program—to help small businesses, informal enterprises, and low-income households that have been the hardest hit by the pandemic. The program will provide $400 million in own account investment for financial services providers.

Sustainability will be key to a resilient recovery, which is why it is essential to help prepare people, communities, companies, and economies for unexpected events and risks in the future. Examples include:

პარტნიორობა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელსაც შეუძლია ბაზარზე ESG-ის არსებითი ბიძგი გამოიწვიოს. IFC-ის სხვა ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან მუშაობის ძირითადი პრინციპი ორიენტირებულია ESG სტანდარტების მიღებისა და განხორციელებისას მიღებული ცოდნის გაზიარებაზე.

მაგალითად, IFC-ის ყოველწლიური ღონისძიება - Performance Standards Community of Learning - მთელ რიგ ინსტიტუტებს აერთიანებს, რომლებმაც მიიღეს IFC-ის მუშაობის სტანდარტები და კორპორაციული მართვის მეთოდოლოგია სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ცოდნის გაზიარების საშუალებით ESG-ის უწყობს ხელს, მდგრადი საბანკო ქსელია (SBN), რომელსაც IFC უჭერს მხარს. SBN არის განვითარებადი ბაზრების საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ორგანოების და საბანკო ასოციაციების ერთგვარი გაერთიანება, რომლებიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. საქართველოს ეროვნული ბანკი SBN-ის ერთ-ერთი პირველი წევრი იყო ამ რეგიონში, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ფინანსურ სექტორში ESG-ის ინტეგრაციისას.

Addressing issues that pose immediate risks to the environment and communities (higher pollution, illegal poaching), social protection (health and safety of workers, lay-offs) and gender equality (higher incidence of gender-based violence, greater impact on female workforce operating in services industry).

Improving crisis management and decision making to ensure resiliency to shocks as well as response at all levels of corporate structures.

Rebuilding better by ensuring that investments address the impact of the pandemic and mitigate environment, social, and governance (ESG) risks.

**IFC brings together a variety of players to address the ESG matters collectively. How important are partnerships and how does IFC promote them? Please provide specific examples.**

Partnerships and networks are one of the most effective tools that can prompt a substantial market push for ESG. A key tenet of IFC's work with other institutions and organizations is focused on sharing lessons learned while adopting and implementing ESG standards.

For example, IFC's annual event—Performance Standards Community of Learning—brings together a range of institutions that have adopted IFC's performance standards and corporate governance methodology, to share knowledge and experience in terms of applying the standards.

*IFC-ის ყოველწლიური ღონისძიება - PERFORMANCE STANDARDS COMMUNITY OF LEARNING - მთელ რიგ ინსტიტუტებს აერთიანებს, რომლებმაც მიიღეს IFC-ის მუშაობის სტანდარტები და კორპორაციული მართვის მეთოდოლოგია სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად*

**IFC'S ANNUAL EVENT-PERFORMANCE STANDARDS COMMUNITY OF LEARNING-BRINGS TOGETHER A RANGE OF INSTITUTIONS THAT HAVE ADOPTED IFC'S PERFORMANCE STANDARDS AND CORPORATE GOVERNANCE METHODOLOGY, TO SHARE KNOWLEDGE AND EXPERIENCE IN TERMS OF APPLYING THE STANDARDS**

ESG-ს მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ: მსოფლიო ველური ბუნების ფონდიდან - გაეროს სააგენტოების ჩათვლით. მაგალითად, გაეროს მდგრადი საფონდო ბირჟის ინიციატივასთან, რომელიც ხელს უწყობს ESG ინფორმაციის ანგარიშგებას განვითარებად ბაზრებზე.

ასევე, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რათა პირდაპირი კომუნიკაცია გვქონდეს კომპანიებთან. ვმართავთ ESG სერვისის მიმწოდებლების როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ ქსელებს, რომლებიც ხელს უწყობენ ESG ტრენინგს, კონსულტაციას და განვითარებას ადგილობრივ ბაზრებზე. IFC-ის ESG სტანდარტების პროგრამა ხორციელდება შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა SECO-ს სახელმწიფო სამდივნოსთან პარტნიორობით. მისი მიზანია, ამ რეგიონის ბაზრებზე, მათ შორის, საქართველოში, მდგრადობის სტანდარტების უკეთ ათვისებას დაეხმაროს. ჩვენი თანამშრომლობა SECO-სთან საშუალებას გვაძლევს, მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ პარტნიორებს, მაგალითად, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს. ეს მხარდაჭერა ჩვენი გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. აგრეთვე, ტრენინგებს IFC ESG სტანდარტების ჩარჩოებსა და მეთოდოლოგიებზე.

**რამდენად მნიშვნელოვანია ESG საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ინვესტორებისთვის მსოფლიოში?**

ESG სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ინვესტორებისთვის. ასევე, საქართველოს საფინანსო ინსტიტუტებისთვის. რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება ESG ინვესტორებისათვის, მით მეტად იზრდება მის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობათა არეალი.

Another example of a network that leverages knowledge sharing to help drive ESG efforts is the IFC-facilitated Sustainable Banking Network. SBN is a community of financial sector regulatory agencies and banking associations from emerging markets who are committed to advancing sustainable finance in line with international good practice. The National Bank of Georgia was one of the first members in this region, demonstrating leadership in promoting the integration of ESG into the financial sector.

We partner with a variety of different international organizations on ESG, ranging from the World Wildlife Fund, through to UN agencies. For example, we are partnering with the UN's Sustainable Stock Exchange initiative to strengthen ESG disclosure in emerging markets.

We also work closely with local organizations to reach out to companies directly. We run both global and regional networks of ESG service

**REGULATION ON ESG IS SOON GOING TO BE THE NORM NOT JUST IN EUROPE OR DEVELOPED MARKETS, BUT IN EMERGING MARKETS TOO. IT IS JUST A MATTER OF TIME**

*ESG-ის რეგულაცია მალე გახდება ნორმა არა მხოლოდ ევროპაში ან განვითარებულ, არამედ განვითარებად ბაზრებზეც. ეს მხოლოდ დროის საკითხია*



*SUSTAINABILITY IS THE FUTURE. IT IS IMPERATIVE THAT BOTH THE FINANCIAL SECTOR AND CLIENT COMPANIES FULLY MANAGE ESG RISKS AND OPPORTUNITIES FOR SUSTAINABILITY, RESILIENCE, AND LONG-TERM SURVIVAL*

*მდგრადობა ბიზნესისა და ეკონომიკის მომავალია. აუცილებელია, როგორც საფინანსო სექტორი, ასევე, კლიენტი კომპანიები სრულად მართავდნენ ESG რისკებს და მდგრადობის, მედეგობისა და გრძელვადიანი გადარჩენის შესაძლებლობებს*

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ESG უბრალოდ, კარგი ბიზნეს პრაქტიკაა.

პირველ რიგში, ESG რისკების კარგი მართვის საშუალებაა. ESG რისკები რეალურად ფინანსური რისკებია - აქტივების გაუფასურება, პასუხისმგებლობის რისკები, დატოვებული კვალის რისკი, კლიენტების გადახდისუნარიანობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საკრედიტო რისკზე; გარდა ამისა, ESG-ის კარგი პრაქტიკა ამყარებს რეპუტაციას, ბრენდის ღირებულებას და საერთაშორისო დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობას; ESG რისკის მართვა აუცილებელია მდგრადი ფინანსების - მწვანე, ლურჯი, მდგრადობის ობლიგაციების, კლიმატის, ენერგოეფექტურობის და სხვ. მოსაპოვებლად; და ბოლოს - ESG-ის რეგულაცია მალე გახდება ნორმა არა მხოლოდ ევროპაში ან განვითარებულ, არამედ განვითარებად ბაზრებზეც. ეს მხოლოდ დროის საკითხია.

ეს მაგალითი წარმოაჩენს, თუ როგორ არის ESG ჩართული საკრედიტო გადაწყვეტილებებში მსოფლიო მასშტაბით. ეკვატორის პრინციპები მოიცავს 37 ქვეყნის 118 საფინანსო ინსტიტუტის მიერ მიღებულ მდგრადობის ჩარჩოს, რომელიც განვითარებად ბაზრებზე საერთაშორისო პროექტების 70%-ზე მეტს აფინანსებს. IFC-ის ESG სტანდარტებს ამ პრინციპების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა და ჩვენ რეგულარულად ვუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას ეკვატორის პრინციპების წევრებს.

**რას ურჩევდით ბიზნესს - რატომ უნდა იფიქრონ უფრო მეტი ESG-ისა და მრავალსექტორულ პარტნიორობაზე?**

providers, who promote, train, advise, and advance ESG in their local markets. IFC's ESG Standards Program is implemented in partnership with the Swiss State Secretariat for Economic Affairs SECO. The aim is to promote better uptake of good sustainability standards in several markets in this region including Georgia. Our partnership with SECO enables us to support local partners – for example, Global Compact Georgia – by sharing our experience in using as well as delivering trainings on IFC ESG standards framework and methodologies.

**How important is ESG for international financial institutions and investors worldwide?**

Caroline Bright, IFC Regional Environmental, Social and Governance (ESG) Advisory Lead, Europe, Central Asia, and Latin America ESG is vitally important for international financial

კომპანიები ვეღარ უგულებელყოფენ ESG საკითხებს. უმოქმედობის ფასი ძალიან მაღალია. მყარი ESG პრაქტიკა ქმნის ღირებულებას კომპანიებისა და ინვესტორებისთვის, რასაც შესაბამისი კვლევები ადასტურებს: კვლევების 90%, რომლებიც კაპიტალის ღირებულებას იკვლევდა, აღნიშნავს, რომ მყარი მდგრადობის სტანდარტები კომპანიებს კაპიტალზე წვდომის ღირებულებას უმცირებს; 88% აჩვენებს, რომ ESG პრაქტიკა ზრდის კომპანიების საოპერაციო შედეგიანობას; 80% მიუთითებს, რომ მდგრადობის „კარგი“ პრაქტიკა დადებითად მოქმედებს კომპანიების აქციების ფასებზე; ასევე, იმასაც, რომ ESG-ის კარგი შედეგების მქონე კომპანიებმა COVID-19 კრიზისს უკეთესად გაართვეს თავს.

IFC ხელს უწყობს არსებულ და პოტენციურ კლიენტებს: როგორც კომპანიებს, ასევე ფინანსურ ინსტიტუტებს ESG-ს სფეროში. ESG დიაგნოსტიკის ჩასატარებლად მომსახურების შეთავაზებისას, ჩვენ და ჩვენი ადგილობრივი პარტნიორები ვეხმარებით კომპანიებს ამ მიმართულებით პრაქტიკის გაუმჯობესებაში. ეს შეიძლება იყოს მდგრადი მმართველობის შესახებ კონსულტაციები, ESG რისკების მართვა და სათანადო ანგარიშგება. ჩვენ გვაქვს მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და მასალები, რომლებიც კომპანიებს ამაში დაეხმარება: ჩვენი ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გზამკვლევი

*ჩვენი თანამშრომლობა SECO-სთან საშუალებას გვაძლევს, მხარი დავუჭიროთ ადგილობრივ პარტნიორებს, მაგალითად, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს. ეს მხარდაჭერა ჩვენი გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. ასევე, ტრენინგებს IFC ESG სტანდარტების ჩარჩოებსა და მეთოდოლოგიებზე*

*OUR PARTNERSHIP WITH SECO ENABLES US TO SUPPORT LOCAL PARTNERS – FOR EXAMPLE, GLOBAL COMPACT GEORGIA – BY SHARING OUR EXPERIENCE IN USING AS WELL AS DELIVERING TRAININGS ON IFC ESG STANDARDS FRAMEWORK AND METHODOLOGIES*

institutions and investors. It is also essential for Georgian financial institutions. There is a huge opportunity to be tapped as ESG becomes mainstream for all investors, but equally important is that ESG is simply good business practice.

First, ESG is all about good risk management. ESG risks are ultimately financial risks – asset impairment, liability risks, legacy risk, client repayment ability – which directly impact credit risk. Secondly, good ESG practices enhance reputation, brand value, and access to international financing. Thirdly, ESG risk management is essential for underwriting sustainable finance—green, blue, sustainability bonds, climate, energy efficiency, and others. Fourthly, regulation on ESG is soon going to be the norm not just in Europe or developed markets, but in emerging markets too. It is just a matter of time.

An example can help illustrate how ESG is embedded in lending decisions across the world. The Equator Principles comprise a sustainability framework adopted by 118 financial institutions in 37 countries, which covers more than 70 percent of international project finance debt in emerging markets. IFC's ESG standards were central in establishing these principles, and we regularly share our implementation experiences with members of the Equator Principles.

**What would you recommend to businesses – why should they think more about ESG and multi-sectoral partnerships?**







*მყარი ESG პრაქტიკა ქმნის ღირებულებას კომპანიებისა და ინვესტორებისთვის, რასაც შესაბამისი კვლევები ადასტურებს*

# SOUND ESG PRACTICES CREATE VALUE FOR COMPANIES AND INVESTORS AS EXPLAINED BELOW

(Toolkit) გადაიქცა პლატფორმად, რომლის საშუალებითაც კლიენტებს შეუძლიათ თავიანთი ანგარიშგების გაუმჯობესება. პლატფორმას რეგიონში წლის ბოლოს ავამოქმედებთ. ასევე, ადგილობრივ პარტნიორებს დავეხმარებით მის უკეთესად გამოყენებაში.

მდგრადობა ბიზნესისა და ეკონომიკის მომავალია. აუცილებელია, როგორც საფინანსო სექტორი, ასევე, კლიენტი კომპანიები სრულად მართავდნენ ESG რისკებს და მდგრადობის, მედეგობისა და გრძელვადიანი გადარჩენის შესაძლებლობებს.



Companies can no longer afford to ignore ESG issues. The cost of inaction is too high. Sound ESG practices create value for companies and investors as explained below: 90 percent of studies looking at the cost of capital indicate that sound sustainability standards reduce companies' cost of capital. 88 percent of studies show that robust ESG practices boost firms' operational performance. 80 percent of the studies indicate that "good" sustainability practices have a positive impact on the performance of companies' stock prices. Companies with good ESG performance weathered the COVID-19 crisis better.

IFC provides support to our clients and prospective clients—both firms and financial institutions—on ESG. While offering services to conduct ESG diagnostics, we and our local partners provide practical support to help firms improve their practices. This can range from advising them on sustainable governance, managing ESG risks, and proper disclosure. We have methodologies, tools, and support materials to help companies on this journey. For example, our Disclosure and Transparency toolkit is now being turned into a platform that clients can use to improve their disclosures. We will be launching the platform in the region later this year, while providing training to our local partners as to how they can use it.

Sustainability is the future. It is imperative that both the financial sector and client companies fully manage ESG risks and opportunities for sustainability, resilience, and long-term survival.

## HG - ეკომეგობრული კამპანიით დაწყებული პარტნიორობა

# HG - PARTNERSHIP COMMENCED WITH AN ECO-FRIENDLY CAMPAIGN

კომპანია HG -ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაა. პლასტმასის გამოყენების შემცირებისაკენ მიმართული კამპანიით ბაზარზე მათმა კრეატიულმა გამოჩენამ დადებითი შედეგი გამოიღო: დღესდღეობით ბევრი საჯარო თუ კომერციული დაწესებულება უარს ამბობს პლასტმასის ჭიქების გამოყენებაზე.

პანდემიამ HG -ის გეგმები მნიშვნელოვნად შეცვალა, თუმცა სწრაფად შეძლეს ადაპტაცია – მისმა დამფუძნებელმა, ნინო მათითაიშვილმა ეკოჭიქების წარმოება პირბადეების წარმოებით ჩაანაცვლა და ამ საქმეში იძულებით გადაადგილებული პირებიც დაიხმარა. კომპანია გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) ჩართულობით არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუკავშირდა და წეროვნის დევნილთა დასახლებაში 30-მდე ქალი დაასაქმა, მათ მიერ შეკერილი პირბადეების ნაწილი კი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და დასახლებაში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას გადასცა. ამ ინიციატივისა და ზოგადად, მისი საქმიანობის გამო, HG-ს გასულ წელს GCNG-ის მიერ დაწესებული კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო მიენიჭა, რაც მჭიდროდ უკავშირდება არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობასაც. ერთობლივ პროექტებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე მხარეები თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებენ.

THE MAIN ACTIVITY OF THE COMPANY HG IS THE MANUFACTURING OF ECO-FRIENDLY PRODUCTS. THEIR CREATIVE EMERGENCE ON THE MARKET WITH A CAMPAIGN TO REDUCE THE USE OF PLASTICS HAS CAUSED POSITIVE RESULTS: MANY PUBLIC AND COMMERCIAL INSTITUTIONS HAVE ALREADY DECIDED NOT TO USE PLASTIC CUPS.

The pandemic changed HG's plans significantly, but they were able to adapt quickly. Its founder, Nino Matitaishvili, replaced the production of eco-cups with the production of face masks, and hired internally displaced persons. The company contacted non-governmental organizations through the Global Compact Network Georgia (GCNG) and employed up to 30 women in the Tserovani IDP settlement. Some of the face masks they made were donated to people with disabilities and locals living in the settlement with the support of non-governmental organizations. For this initiative and for its work in general, HG was awarded the Corporate Responsibility Award by the GCNG last year, which is also closely linked to its partnership with the non-governmental sector. The parties shared with us their views on joint projects and cooperation perspectives.

*HG WAS AWARDED THE CORPORATE RESPONSIBILITY AWARD BY THE GCNG LAST YEAR, WHICH IS ALSO CLOSELY LINKED TO ITS PARTNERSHIP WITH THE NON-GOVERNMENTAL SECTOR*



*HG-ს გასულ წელს GCNG-ის მიერ დაწესებული კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო მიენიჭა, რაც მჭიდროდ უკავშირდება არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობასაც*



ნინო მათითაიშვილი, კომპანია HG-ის დამფუძნებელი

**თქვენი კომპანია საზოგადოებამ პლასტმასის საწინააღმდეგო ეკომეგობრული კამპანიით გაიცნო, თუმცა პანდემიამ გეგმები შეგიცვალათ. როგორ გაჩნდა პირბადეების წარმოების იდეა და ვინ დაგეხმარათ მის განხორციელებაში?**

იდეა პანდემიის დასაწყისშივე დაიბადა, როცა ქვეყანაში პირბადეების დეფიციტი დაიწყო. იმისათვის, რომ ყველაზე საჭირო და მოთხოვნადი პროდუქცია შედარებით ხელმისაწვდომი გაგვეხადა, გადავწყვიტეთ, თავად გვეწარმოებინა პირბადეები. ლუგარის ლაბორატორიის სერტიფიკატის მიღების შემდეგ, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს დავუკავშირდით და წეროვანში, დევნილთა დასახლებაში 30-მდე იძულებით გადაადგილებული ქალბატონი დავასაქმეთ, რომლებიც იმ პერიოდში უსამსახუროდ დარჩნენ. მათივე უსაფრთხოებისთვის საკუთარ სახლებში მუშაობდნენ და ყველა საჭირო მასალით ადგილზე ვამარაგებდით. საწყის ეტაპზე ჩვენი პროდუქცია სამთავრობო და კომერციულმა ორგანიზაციებმა შეისყიდეს, ნაწილი - გორში მცხოვრებ შშმ პირებს გადავეცით. დღესდღეობით HG-ს პირბადეებს ქსელურ მაღაზიებშიც შეხვდებით.

NINO MATITAISHVILI, FOUNDER OF HG

**Your company was introduced to the public by an anti-plastic eco-friendly campaign, but the pandemic has changed your plans. How did you come up with the idea to produce face masks and who helped you implement it?**

The idea was born at the very beginning of the pandemic when there was a shortage of face masks in the country. In order to make the most needed and demanded products relatively affordable, we decided to produce our own face masks. After receiving the Lugar Laboratory certificate, with the help of the Global Compact Network Georgia we contacted NGOs and employed 30 IDP women in the Tserovani IDP settlement who were left jobless during that period. For their own safety, they worked in their own homes and we provided them with all the necessary materials. At the initial stage, our products were purchased by governmental and commercial organizations. We also handed over a part of the produce to people with disabilities living in Gori. Nowadays, you can also find HG face masks in chain stores.

*PROTECTING HUMAN RIGHTS, REGULATING LABOR RELATIONS, CARING FOR THE ENVIRONMENT AND ANTI-CORRUPTION POLICIES ARE VALUABLE TO ALL PROGRESSIVE COMPANIES*

*ადამიანის უფლებების დაცვა, შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობით დარეგულირება, გარემოზე ზრუნვა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ყველა პროგრესული კომპანიისთვის ფასეულია*

**თქვენთან ერთად ამ პროექტში გორსა და წეროვნის დასახლებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები: „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი" და „უკეთესი მომავლისათვის" მონაწილეობდნენ. როგორ აისახება ეს პარტნიორობა მხარეებზე?**

მსგავსი თანამშრომლობა ჩართულ მხარეებზე დადებითად მოქმედებს: ჩვენ შემთხვევაში, ერთობლივი მუშაობის შედეგად კომპანიის შემოსავლები გაიზარდა, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა კი დასაქმების შესაძლებლობა მიიღეს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებს.

მნიშვნელოვანია, რომ პროცესი არ იყოს ერთჯერადი: ვაგრძელებთ თანამშრომლობას და უფრო მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოებას ვაპირებთ. მალე სასტუმროს ტექსტილისა და სამედიცინო ეკიპირების დამზადებას დავიწყებთ, რაც საწარმოს გაფართოებასა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება პანდემიით გამოწვეული სოციალური კრიზისის დაძლევისთვის.

**გასულ წელს HG -ს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ დაარსებული კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო გადაეცა. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ფაქტი და რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში კორპორაციული პასუხისმგებლობის კულტურის არსებობა?**

ეს ჯილდო ჩვენთვის დიდი აღიარებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ორი წელია ვარსებობთ. თანაც, ძალზე ცნობილი და წარმატებული კომპანიები გვყავდა კონკურენტებად, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო საინტერესო პროექტებზე ფიქრისკენ გვიბიძგებს. პასუხისმგებლიანი ბიზნესი იმ ღირებულებების დამკვიდრებას უჭერს მხარს, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ადამიანის უფლებების დაცვა, შრომითი ურთიერთობების კანონდებლობით დარეგულირება, გარემოზე ზრუნვა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ყველა პროგრესული კომპანიისთვის ფასეულია. HG -ის წარმატება სწორედ კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპების ერთგულებამ განაპირობა, რაც გარემოზე ზრუნვას, სოციალური პრობლემების გადაჭრას და ბევრ სხვა მიმართულებას მოიცავს. ეს ყველაფერი მხოლოდ ადამიანებისა და პლანეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ არის, გრძელვადიან ეკონომიკურ წარმატებას და კომპანიის მდგრად განვითარებასაც ემსახურება.



**The non-governmental organizations working in Gori and Tserovani settlements Welfare and Development Center and For a Better Future participated with you in this project. How does this partnership affect the parties?**

Such cooperation has a positive effect on the parties involved: in our case, as a result of joint work, the company's revenues increased, and IDPs received employment opportunities. Ultimately, all this improves the economic situation of the country.

It is important that this is not a one-off event: we continue to collaborate and are going to produce more diverse products. We will soon start manufacturing hotel textiles and medical equipment, which will lead to the expansion of the enterprise and an increase in the number of employees. This will be another step towards overcoming the social crisis caused by the pandemic.

**Last year, HG was awarded the Corporate Responsibility Award founded by the Global Compact Network Georgia. What does this fact mean to you and how important is it to have a culture of corporate responsibility in the modern world?**

This award is a great recognition for us, considering that we have existed for only two years. We had very famous and successful companies as competitors, which pushes us to think about even more interesting projects in the future. Protecting human rights, regulating labor relations, caring for the environment and anti-corruption policies are valuable to all progressive companies. HG's success is due to its adherence to the principles of corporate responsibility, which includes caring for the environment, solving social problems and many other areas. All this is not only a commitment to the people and the planet, but it also serves to ensure long-term economic success and the sustainable development of the company.

*ეს ყველაფერი მხოლოდ ადამიანებისა და პლანეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ არის, გრძელვადიან ეკონომიკურ წარმატებას და კომპანიის მდგრად განვითარებასაც ემსახურება*

**ALL THIS IS NOT ONLY A COMMITMENT TO THE PEOPLE AND THE PLANET, BUT IT ALSO SERVES TO ENSURE LONG-TERM ECONOMIC SUCCESS AND THE SUSTAINABLE DEVELOP-MENT OF THE COMPANY**



ნანა ჩქარეული, არასამთავრობო ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისთვის" ხელმძღვანელი

**როგორია თქვენი ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება კერძო კომპანიებთან და რა გამოწვევებია ამ თვალსაზრისით ქვეყანაში?**

ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობაა (წეროვანში დევნილთა დასახლების ფარგლებში), რაც პირველ რიგში, მათ ეკონომიკურად გაძლიერებას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებას ვახორციელებთ, მათ შორის, პროფესიულ გადამზადებას, დასაქმების ხელშემწყობ პროგრამებს და ა.შ. თუმცა კოვიდ 19-ის გამოწვევებმა ყველას პრობლემები შეუქმნა, მათ შორის, ჩვენს გრძელვადიან პარტნიორებსაც. ამ ფონზე დროული იყო თანამშრომლობა HG -სთან, თუმცა მსგავსი წარმატებული ურთიერთობის ბევრი მაგალითი არ გვაქვს. იმისთვის, რომ მათი რიცხვი გაიზარდოს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის აქტიურად წახალისება.

NANA CHKAREULI, HEAD OF THE NON-GOVERNMENTAL ORGANIZATION FOR A BETTER FUTURE

**What is the experience of your organization working with private companies and what are the challenges in this regard in the country?**

One of the main directions of our organization is to promote the integration of IDP women and youth (within the IDP settlement in Tserovani), which, first of all, aims to strengthen them economically. We carry out various activities in this direction, including vocational training, employment promotion programs, etc. However, the challenges of Covid-19 have created problems for everyone, including our long-term partners. Given the situation, the collaboration with HG came at a great time. We do not have many examples of such successful relationships. In order to increase their number, it is important for the state to actively encourage business.

**რა სახის ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს ამ მიმართულებით? როგორ შეიძლება სექტორთშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება?**

საქართველოს შეუძლია გაიზიაროს ევროპული გამოცდილება, სადაც სახელმწიფო აფასებს ბიზნესის პასუხისმგებლობას: იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი ახორციელებს ერთობლივ პროექტს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო უწესებს საგადასახადო შეღავათს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რათა ბიზნესს ჰქონდეს მეტი მოტივაცია და თანამშრომლობისთვის მზაობა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ არასამთავრობოთა დაფინანსების ძირითადი წყარო დონორი ორგანიზაციების დახმარებაა, რომელთა დასრულების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაგეგმილი პროექტები დაფინანსების გარეშე რჩება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ბიზნესი იყოს ის სექტორი, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რადგან საბოლოო ჯამში, მათ მსგავსი მიზნები აქვთ. თუ გვინდა, რომ ამ მიზნებს მივაღწიოთ: გვქონდეს ღია სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, შრომის უფლებები იყოს დაცული – ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის პარტნიორობა მნიშვნელოვანია.

ფიქრია გელაშვილი, „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის" წარმომადგენელი

**რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესის თანადგომა არასამთავრობო სექტორისთვის? რა სარგებელი მოაქვს მსგავს თანამშრომლობას ჩართული მხარეებისთვის?**

„კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი" ძირითადად შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან საქმიანობს. გვაქვს 3 სოციალური საწარმო, რომელთა ამუშავებისთვის ბიზნესის თანადგომა გვჭირდება.

*IT IS IMPORTANT FOR BUSINESSES TO ACTIVELY COOPERATE WITH CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS BECAUSE IN THE END, THEY HAVE SIMILAR GOAL*

*მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ბიზნესი იყოს ის სექტორი, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რადგან საბოლოო ჯამში, მათ მსგავსი მიზნები აქვთ*

**What kind of measures can be taken in this direction? How can cross-sectoral cooperation be improved?**

Georgia can examine the European experience in the matter, where the state assesses the responsibility of business: if a business implements a joint project with civil society organizations, the state provides a tax exemption. This is very important to give the business more motivation and willingness to collaborate. Especially considering that the main source of funding for NGOs is assistance from donor organizations, after the completion of which projects planned with persons with disabilities are left without funding. It is important for businesses to actively cooperate with civil society organizations because in the end, they have similar goals. If we want to achieve these goals–to have an open civil society, democracy, labor rights–partnership between business and civil society is important.

PIKRIA GELASHVILI, REPRESENTATIVE OF THE WELFARE AND DEVELOPMENT CENTER

**How important is business support for the non-governmental sector? What are the benefits of such cooperation for the parties involved?**

The Welfare and Development Center mainly works with people with disabilities. We have three social enterprises for which we require business support. This is a very painful topic for the non-governmental sector. Unfortunately, there is a lot to do in this direction in Georgia. During my stay in Germany, I had the opportunity to learn about a model where business

*მდგრადი განვითარების მიზნებს ვერ შევასრულებთ, ვიდრე ბიზნესი, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები არ გაერთიანდებიან და პრობლემის მოგვარების გზებს არ დასახავენ*

**WE WILL NOT BE ABLE TO ACHIEVE THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS UNTIL BUSINESS, THE STATE AND NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS UNITE AND FIGURE OUT WAYS TO SOLVE THE PROBLEM**

არასამთავრობო სექტორისთვის ეს ძალზე მტკივნეული თემაა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ მიმართულებით ბევრია სამუშაო. გერმანიაში ყოფნისას საშუალება მქონდა, გავცნობოდი იქაურ მოდელს, სადაც ბიზნესი და სოციალური საწარმო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობით არაჩვეულებრივად თანამშრომლობდნენ. რატომ არ შეიძლება მსგავსი რამ საქართველოშიც? რასაკვირველია, არიან პასუხისმგებლიანი კომპანიები, მათ შორის, HG, რომელმაც პანდემიისას ჩვენს ბენეფიციარებს მათ მიერ შეკერილი პირბადეები დაურიგა და ბევრს მუშაობს ამ მიმართულებით, მაგრამ ვითარების შესაცვლელად ერთეული შემთხვევები არ კმარა.

**როგორ შეიძლება ამ პროცესის ხელშეწყობა და უფრო ეფექტურად განვითარება?**

ბიზნესის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ითავისებს ბოლომდე სოციალურ პასუხისმგებლობას. კერძო სექტორი მხოლოდ არასამთავრობოთა დაინტერესებას ხედავს და საკუთარ როლს ვერ აცნობიერებს. თუმცა ეს მხოლოდ მათი პრობლემა არ არის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ვალდებულებაცაა – პროცესში სახელმწიფო უნდა ჩაერთოს. საჭიროა, შეიკრას ერთგვარი ციკლი და საერთო ინტერესები გამოიკვეთოს. მდგრადი განვითარების მიზნებს ვერ შევასრულებთ, ვიდრე ბიზნესი, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები არ გაერთიანდებიან და პრობლემის მოგვარების გზებს არ დასახავენ. თუმცა, ამას არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი სახე – შედეგს სისტემატურობა განაპირობებს. სექტორთშორისი თანამშრომლობა და დიალოგი მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და მისი ხელშეწყობა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა.

and a social enterprise collaborated in an extraordinary way with the engagement of the local municipality. Why is such a thing not possible in Georgia? Of course, there are responsible companies, including HG, which distributed the face masks sewn by them to our beneficiaries during the pandemic, and it works hard in this direction, but a few cases are not enough to change the state of affairs.

**How can this process be promoted and developed more effectively?**

A large part of the business sector still cannot fully assume social responsibility. The private sector does not see the interests of non-governmental organizations as their own and fails to acknowledge its own role. However, this is not only their problem, but also the responsibility of the local municipality: the state should be involved in the process. It is necessary to form a kind of cycle and outline common interests. We will not be able to achieve the Sustainable Development Goals until business, the state and non-governmental organizations unite and figure out ways to solve the problem. However, this should not take on a one-off character: you only get results if the approach is systematic. Cross-sectoral cooperation and dialogue are important for the development of the country and promoting it is a duty for all of us.

# USAID საქართველოს პროექტები

# PROJECTS OF USAID GEORGIA FOR PARTNERSHIP PROMOTION

პარტნიორობის ხელშეწყობისათვის პარტნიორული პროექტების წახალისება და ამ გზით მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა პრიორიტეტულია საქართველოს მეგობარი ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ერთ-ერთია პროგრამა - YES-GEORGIA, რომელიც ახალგაზრდებისა და ქალ მეწარმეთა გაძლიერებას უზრუნველყოფს. პროგრამის ფარგლებში, USAID -ის დაფინანსებით, ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალი“ საშუალებას აძლევს მეწარმეებს, საკუთარი ბიზნესი განავითარონ.

USAID/საქართველოს ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორი, მარიკა ოლსონი და ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არჩილ ბაკურაძე საუბრობენ USAID-ის ძალისხმევაზე, ხელი შეუწყოს კერძო სექტორთან პარტნიორობას და ამ თანამშრომლობის შედეგებსა და მნიშვნელობაზე.

მარიკა ოლსონი, USAID/საქართველოს ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორი

**პროგრამები, რომელთაც USAID საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ახორციელებს, სექტორებს შორის პარტნიორობას ეხმარება. რა გამოწვევების წინაშე დგას მრავალსექტორული პროექტები? რა სარგებელი მოაქვს ამ თანამშრომლობას მონაწილე მხარეებისთვის?**

ENCOURAGING PARTNERSHIP PROJECTS AND PROMOTING SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT IN THIS WAY IS A PRIORITY FOR GEORGIA'S FRIENDS, INCLUDING THE UNITED STATES. A NUMBER OF IMPORTANT PROJECTS ARE BEING IMPLEMENTED THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). ONE OF THEM IS THE PROGRAM YES-GEORGIA, WHICH PROVIDES SUPPORT TO YOUNG PEOPLE AND FEMALE ENTREPRENEURS. UNDER THE USAID-FUNDED PROGRAM, CRYSTAL, A FINANCIAL ENGAGEMENT ORGANIZATION, ALLOWS ENTREPRENEURS TO GROW THEIR OWN BUSINESSES.

Marika Olson, USAID / Economic Growth Office Director, USAID/Georgia, and Archil Bakuradze, Chairman of the Supervisory Board of Financial Inclusion Organization Crystal, discuss USAID's efforts to promote partnership with the private sector and the results and importance of this partnership.

MARIKA OLSON, USAID / GEORGIA ECONOMIC DEVELOPMENT OFFICE DIRECTOR

**Programs implemented by USAID for Inclusive Economic Growth in Georgia facilitate cross-sectoral partnerships. What are the challenges facing multi-sectoral projects? What are the benefits of this cooperation for the participating parties?**





**WE PLAN TO COLLABORATE WITH THE PRIVATE SECTOR AS A LIMITLESS SOURCE OF IDEAS, INNOVATIONS, EXPERTISE, ADVOCACY, INVESTMENT, AND RESOURCES**

USAID-ისთვის განვითარება კომპლექსური ცნებაა. COVID-19-ის პანდემიამ დაგვანახა, რომ ეკონომიკური საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოებისგან განცალკევებით არ მიმდინარეობს, ისევე, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტები არ არის მოწყვეტილი განათლების სისტემას. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით შევადგინეთ USAID-ის საქართველოს განვითარების მხარდამჭერი 2020-25 წლების სტრატეგია.

საქართველოში ბიზნეს გარემოს გაძლიერებისა და ქვეყნის განვითარებაში კერძო სექტორის უფრო მეტად ჩართულობისთვის, პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადავდივართ. ვგეგმავთ თანამშრომლობას კერძო სექტორთან, რომელიც იდეების, ინოვაციების, ექსპერტიზის, საერთო ადვოკატირების, ინვესტიციებისა და რესურსების უშრეტ წყაროდ გვევლინება.

ჩვენი ხელშეწყობით სექტორებს შორის ხელსაყრელი ურთიერთობა ყალიბდება: მაგალითად, სოფლის მეურნეობა სარესტორნო ინდუსტრიას უკავშირდება. შედეგად, ფერმერებს წვდომა აქვთ დიდ ბაზრებთან, რესტორნებს კი საშუალება - მიიღონ სტაბილური და ხარისხიანი პროდუქცია.

**თქვენ მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პროგრამა, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში, ახალგაზრდებისა და ქალი მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამაა, რომელიც YES-Georgia-ს სახელითაა ცნობილი. რა მიზანი აქვს და როგორაა ჩართული მასში ბიზნესი?**

*ვგეგმავთ თანამშრომლობას კერძო სექტორთან, რომელიც იდეების, ინოვაციების, ექსპერტიზის, საერთო ადვოკატირების, ინვესტიციებისა და რესურსების უშრეტ წყაროდ გვევლინება*

Development is a complex concept for USAID. COVID-19 Pandemic has shown us that economic activity is not segregated from civil society; just as democratic institutions are not disconnected from the education system. With this factor in mind, we have developed USAID's Strategy for 2020-25 to support Georgia's development.

We are moving to a new stage of partnership to strengthen the business environment in Georgia and better involve private sector in the development of the country. We plan to collaborate with the private sector as a limitless source of ideas, innovations, expertise, advocacy, investment, and resources.

With our support, a favorable relationship is formed between the sectors: for example, agriculture is linked to the restaurant industry. As a result, farmers have access to large markets, while restaurants have access to stable and quality products.

**One of the programs implemented by you, which is well known in Georgia, is the program of support for young and female entrepreneurs, which is known as YES-Georgia. What is its purpose and how is business involved?**

## FROM 2021, WE PAY SPECIAL ATTENTION TO WOMEN ENTREPRENEURS, BECAUSE DESPITE THEIR GOOD EDUCATION AND GREAT POTENTIAL, THEY STILL FACE SIGNIFICANT CHALLENGES

## 2021 წლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქალ მეწარმეებს, რადგან კარგი განათლებისა და დიდი პოტენციალის მიუხედავად, მათ წინაშე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას

ძლიერი კერძო სექტორი ნიჭიერ მეწარმეებს საჭიროებს, რომელთაც გამოცდილებასთან ერთად, ბიზნესის გაფართოებისა და ეკონომიკის გაჯანსაღებაში თავიანთი წვლილის შეტანის ამბიციაც აქვთ. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას.

2016 წლიდან YES-Georgia USAID-ის მეწარმეობის მხარდამჭერი წამყვანი პროგრამაა, რომელიც ახალგაზრდებსა და ქალებს წარმატებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში ეხმარება.

2021 წლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქალ მეწარმეებს, რადგან კარგი განათლებისა და დიდი პოტენციალის მიუხედავად, მათ წინაშე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას. ძირითადად, ეს იმითაა განპირობებული, რომ საკუთარი ბიზნესის დასაწყებად ფინანსური რესურსი ნაკლებად აქვთ.

YES-Georgia ეხმარება ქალ მეწარმეებს ამ სირთულეთა გადალახვაში და ჩვენს პარტნიორ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ ერთად, სთავაზობს საწყის კაპიტალს, ბიზნეს სერვისებს და USAID-ის მიერ მხარდაჭერილ ტრენინგებში მონაწილეობას. ეს წარმატებული პარტნიორობა კარგი მაგალითია, თუ როგორ თანამშრომლობს USAID მდგრადი განვითარების მიზნებისთვის კერძო სექტორთან, რაც, ამ შემთხვევაში, ქალების გაძლიერებასა და მეწარმეობაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს.

პანდემიის დროს კიდევ უფრო გავაღრმავეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ თანამშრომლობა. გასულ წელს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციასა და შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად დავიწყეთ ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც „კრისტალს“ კერძო სექტორიდან უპროცენტო საგარანტიო სესხს გადავცემთ. რვაწლიანი საგარანტიო სესხით ის შეძლებს სესხის გარანტია გაუზარდოს 5 000-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს, ძირითადად, ბიზნესის მფლობელ ქალებს და რეგიონებში მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლებს.

**რა გეგმები აქვს USAID-ს საქართველოში კორპორაციული მდგრადობისა და მრავალსექტორული თანამშრომლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად?**

მაისში დავიწყეთ ახალი პროგრამა – „კერძო სექტორი პროფესიული განათლებისთვის“, რომელიც კერძო ბიზნესთან და ბიზნეს ასოციაციებთან ერთად, ხელს უწყობს სტუდენტებს, სამუშაოს

A strong private sector needs talented entrepreneurs who, along with experience, have the ambition to contribute to business expansion and economic recovery. All this will help to create high-paying jobs for the population. Since 2016, YES-Georgia has been a leading USAID Entrepreneurship Support Program that helps young people and women acquire the skills needed to succeed.

From 2021, we pay special attention to women entrepreneurs, because despite their good education and great potential, they still face significant challenges. This is mainly due to the fact that they have fewer financial resources to start their own business.

YES-Georgia helps women entrepreneurs overcome these challenges and, together with our partner microfinance organization Crystal, offers start-up capital, business services and participation in USAID-supported trainings. This successful partnership is a good example of how USAID is working with the private sector for sustainable development, which in this case means economic growth based on women empowerment and entrepreneurship.

During the pandemic, we deepened our cooperation with the microfinance organization "Crystal". Last year, together with the United States Agency for International Development Finance Corporation and the Swedish International Development Agency, we launched a new program in which we will provide an interest-free guarantee loan to Crystal from the private sector. With an eight-year guarantee loan, it will be able to extend the loan guarantee to more than 5,000 small and medium-sized entrepreneurs, mainly women







მაძიებლებლებს და პროფესიონალებს, მიიღონ პროფესიული ზრდისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც საქართველოს ეკონომიკასაც დაეხმარება.

დაბალი კვალიფიკაციის კადრები ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ბიზნესი ვერ არხეხებს გაფართოებას. ახალი პროგრამა ითანამშომლებს კერძო სექტორთან. მოხდება ადამიანურ რესურსებში არსებული ხარვეზების წარმოჩენა, სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგების თანადაფინანსება. პროგრამის მიზანია, კომპანიებმა შეძლონ საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრების დაქირავება; პრიორიტეტი – ისეთი კადრების მომზადებაა, რომლებიც უპასუხებენ მზარდი პოტენციალის მქონე მრეწველობის მოთხოვნებს, შეამცირებენ უმუშევრობას და ხელს შეუწყობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას. მოვუწოდებ პარტნიორობის საკითხებით დაინტერესებულ თქვენს მკითხველს, ამ პროგრამას დაუკავშირდნენ.

არჩილ ბაკურაძე, ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის,“ ფონდ „კრისტალისა“ და USAID საქართველოს ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოში მეწარმე ქალთა გაძლიერებას ისახავს მიზნად, წარმატებული მულტისექტორული ურთიერთობის კარგი მაგალითია. როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ამჟამად?**

business owners and business representatives operating in the regions.

**What plans does USAID have to further strengthen corporate sustainability and multisectoral cooperation in Georgia?**

In May, we launched a new program - "Private Sector for Vocational Education", which, together with private business and business associations, helps students, job seekers and professionals to acquire the skills needed for professional growth, which will also help the Georgian economy.

Low-skilled staff is one of the reasons why businesses fail to expand. The new program will collaborate with the private sector. Gaps in human resources will be identified, study programs and trainings will be co-financed. The goal of the program is to enable companies to hire staff with necessary skills; the priority is to train staff who will meet the demands of an industry with growing potential, reduce unemployment and contribute to the development of an innovative economy. I encourage your readers interested in partnership issues to get in touch with this program.

ARCHIL BAKURADZE, CHAIRMAN OF THE SUPERVISORY BOARD OF FINANCIAL INCLUSION ORGANIZATION - CRYSTAL

**The joint project of the Financial Inclusion organization—Crystal, Crystal Fund and USAID Georgia—which aims to empower women entrepreneurs in Georgia, is a good example of a successful multi-sectoral relationship. How did your collaboration start and how is this process going now?**

## პრიორიტეტი – ისეთი კადრების მომზადებაა, რომლებიც უპასუხებენ მზარდი პოტენციალის მქონე მრეწველობის მოთხოვნებს, შეამცირებენ უმუშევრობას და ხელს შეუწყობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას

## THE PRIORITY IS TO TRAIN STAFF WHO WILL MEET THE DEMANDS OF AN INDUSTRY WITH GROWING POTENTIAL, REDUCE UNEMPLOYMENT AND CONTRIBUTE TO THE DEVELOPMENT OF AN INNOVATIVE ECONOMY



## - THE YOUTH AND WOMEN ENTREPRENEURS SUPPORT PROJECT (YES GEORGIA) STARTED IN 2016, BUT IN 2019, WITH THE HELP OF THE WELL-KNOWN WHITE HOUSE PROGRAM WOMEN'S GLOBAL DEVELOPMENT AND PROSPERITY INITIATIVE (W-GDP), WE WERE ABLE TO EXPAND IT AND FOCUS FULLY ON WOMEN ENTREPRENEURS

საქართველოში ახალგაზრდებისა და ქალი მეწარმეების მხარდაჭერის პროექტი (YES GEORGIA) 2016 წელს დაიწყო, მაგრამ 2019 წელს თეთრი სახლის ცნობილი პროგრამის - „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივა" (W-GDP) დახმარებით შევძელით მისი გაფართოება და ქალ მეწარმეებზე სრულად ფოკუსირება.

გლობალური პანდემიის გამო 2020 წელი არ იყო იოლი, თუმცა, შევძელით თითქმის ყველა აქტივობის ონლაინ რეჟიმში გადატანა. ამან გარკვეულწილად შეგვზღუდა, ამავე დროს აღმოვაჩინეთ დადებითი მხარეებიც. კერძოდ, ახალ ნაკადებზე გასამმაგდა ახალგაზრდა მეწარმეთა - სკოლის მონაწილეთა რაოდენობა.

მოულოდნელად წარმატებული აღმოჩნდა ბაზ-საქართველოს (Buzz-Georgia) ონლაინ-დებიუტი. ეს გახლავთ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ქსელი და სწავლების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც ლიდერული თვისებების განვითარებას, ასევე მეწარმეობისა და ფინანსების საფუძვლების შესწავლას.

პანდემიით გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ, კრისტალ-კონსალტინგმა ბიზნეს-მენტორინგის პროგრამის ფარგლებში ქალ მეწარმეებს ახალ რეალობასთან ადაპტაციის რჩევები გაუზიარა. ვიმედოვნებთ, წელს შევძლებთ რეგიონებში ჩასვლას და მეტი დაინტერესებული ქალი მეწარმის მოზიდვას. აპრილში წარმატებით ჩავატარეთ მობილიზაციის სამუშაო იმერეთის ოთხ მუნიციპალიტეტში, რასაც ბაზ-საქართველოს პოტენციური მონაწილეების დიდი დაინტერესება მოჰყვა.

*საქართველოში ახალგაზრდებისა და ქალი მეწარმეების მხარდაჭერის პროექტი (YES GEORGIA) 2016 წელს დაიწყო, მაგრამ 2019 წელს თეთრი სახლის ცნობილი პროგრამის - „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივა" (W-GDP) დახმარებით შევძელით მისი გაფართოება და ქალ მეწარმეებზე სრულად ფოკუსირება.*

The Youth and Women Entrepreneurs Support Project (YES GEORGIA) started in 2016, but in 2019, with the help of the well-known White House program Women's Global Development and Prosperity Initiative (W-GDP), we were able to expand it and focus fully on women entrepreneurs.

Due to the global pandemic, 2020 was not an easy year, however, we were able to move almost all activities online. This restricted us to some extent, at the same time we discovered some positive aspects as well. Namely, the number of young entrepreneurs–school participants–has tripled.

The online debut of Buzz-Georgia turned out to be unexpectedly successful. It is a women's economic empowerment network and training program that includes both leadership development as well as the fundamentals of entrepreneurship and finance.

**აღნიშნული პროექტი ქალ მეწარმეთა გაძლიერებას ემსახურება, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ამოცანაა. როგორია თქვენი ორგანიზაციის ხედვა ამ მიმართულებით და რამდენადაა დაცული ქალთა უფლებები და გენდერული ბალანსი უშუალოდ „კრისტალში"?**

„კრისტალი" არა მხოლოდ პასუხისმგებლიანი კომპანიაა, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ქალ თანამშრომლებს და ინვესტირებას ახდენს მათ განვითარებაში, არამედ, როგორც ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია, ემსახურება 115 ათას მომხმარებელს, რომელთა დაახლოებით 60%-ი ქალია და უმეტესობა - რეგიონის მცხოვრებია. ჩვენ ვაფინანსებთ საბრუნავ კაპიტალს, ძირითად საშუალებებს და სამომხმარებლო საჭიროებებს, როგორიცაა - საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ჯანდაცვა და განათლება; ზრდის პოტენციალის მქონე ქალ მეწარმეებს ვთავაზობთ ლიზინგს - მოწყობილობა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისევე, როგორც თანამედროვე და პრაქტიკულ ბიზნეს-კონსულტაციას და მენტორინგს. „კრისტალი" პირველი ორგანიზაცია იყო, რომელმაც რეგიონში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული კორპორაციული ობლიგაცია გამოუშვა.

2020 წელს კომპანიამ აშშ-ის განვითარების ფინანსური კორპორაციის (DFC), USAID-ის და შვედეთის განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით შექმნა საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, პანდემიით დაზარალებულ მეწარმეებს მივცეთ არაუზრუნველყოფილ სესხებზე წვდომა.

რაც შეეხება გენდერულ ბალანსს, ჯერჯერობით სამეთვალყურეო საბჭოს ექვსი წევრიდან, ისევე, როგორც მენეჯმენტის ექვსწევრიან გუნდში - ერთი ქალია. ის წარმატებით ხელმძღვანელობს კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ამბიციურ - კომერციულ მიმართულებას. გაცილებით უკეთესი ვითარებაა საშუალო მენეჯმენტის რგოლში, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია კომპანიის წარმატებისთვის.

*WE OFFER EQUIPMENT AND VEHICLE LEASING TO WOMEN ENTREPRENEURS WITH GROWTH POTENTIAL, AS WELL AS MODERN AND PRACTICAL BUSINESS CONSULTING AND MENTORING.*

*ზრდის პოტენციალის მქონე ქალ მეწარმეებს ვთავაზობთ ლიზინგს - მოწყობილობა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისევე, როგორც თანამედროვე და პრაქტიკულ ბიზნეს-კონსულტაციას და მენტორინგს*

In response to the problems caused by the pandemic, Crystal Consulting shared tips for women entrepreneurs to adapt to the new reality as part of a business mentoring program. Hopefully, this year we will be able to visit the regions and attract more interested female entrepreneurs. In April, we successfully conducted mobilization work in four municipalities of Imereti, which aroused great interest of potential participants of Buzz-Georgia.

**This project serves the empowerment of women entrepreneurs, which is one of the targets of sustainable development. What is the vision of your organization in this direction and to what extent are women's rights and gender balance ensured directly by Crystal?**

Crystal is not only a responsible company that offers equal opportunities to women employees and invests in their development, but also a financial inclusion organization, serving 115,000 customers, about 60% of whom are women and most of them live in the regions. We finance working capital, fixed assets, and consumer needs, such as improving living conditions, health care and education; we offer equipment and vehicle leasing to women entrepreneurs with growth potential, as well as modern and practical business consulting and mentoring. Crystal was the first company in 2020 to issue women empowerment corporate obligations in the region.

In 2020, with the support of the United States Development Finance Corporation (DFC), USAID, and the Swedish Development Agency (SIDA), Crystal created a credit-guarantee mechanism that allows pandemic-affected entrepreneurs to access unsecured loans.

As for gender balance, so far one out of six members of the Supervisory Board–as well as out of six-member management team–is a woman. She successfully manages one of the most difficult and ambitious business directions of the company.

*AS A RESPONSIBLE COMPANY, WE ACKNOWLEDGE THE ROLE OF ENGAGING WOMEN IN MANAGEMENT POSITIONS, AND WE WILL STRENGTHEN THIS DIRECTION IN THE FUTURE*

*როგორც პასუხისმგებლიანი კომპანია, ვაცნობიერებთ მმართველ პოზიციებზე ქალთა ჩართულობის როლს და სამომავლოდ აუცილებლად გავაძლიერებთ ამ მიმართულებას*

როგორც პასუხისმგებლიანი კომპანია, ვაცნობიერებთ მმართველ პოზიციებზე ქალთა ჩართულობის როლს და სამომავლოდ აუცილებლად გავაძლიერებთ ამ მიმართულებას.

**საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ კიდევ რა ღირებულებებს ეფუძნება თქვენი კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობა? რა განაპირობებს „კრისტალის“ მდგრად განვითარებას?**

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოციალურ, გარემოსდაცვით და კორპორაციული მმართველობის ასპექტებს (ESG). არჩეული გვაქვს და ვცდილობთ, სრულად დავიცვათ მსოფლიოში აღიარებული რამდენიმე სტანდარტი, როგორიცაა მდგრადი განვითარების მიზნები, გაეროს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპები, გაეროს გლობალური შეთანხმება, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კამპანია - Smart, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ჩარჩო და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსი.

გვინდა, მოვიპოვოთ საბანკო ლიცენზია, რაც მოითხოვს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობას. ამ კუთხით უკვე ჩავატარეთ მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაო.

რაც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას, რაც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია, „კრისტალი“ მუშაობს როგორც ენერგოდაზოგვით, ასევე განახლებადი ენერგიის მიმართულებით. გვაქვს ამბიციური გეგმები ტყის დეგრადაციის თავიდან აცილებისა და მზის ენერგიის გამოყენების კუთხით.

**რამდენად მნიშვნელოვანია პარტნიორობა ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორს შორის და როგორია მისი შედეგები როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში?**

არასამთავრობო ორგანიზაციებთან „კრისტალს“ მრავალმხრივი და საინტერესო ურთიერთობა აქვს. კომპანიის ისტორიის გათვალისწინებით, ჩვენს ორგანიზაციულ კულტურაში დღესაც ძლიერია არასამთავრობო სექტორის დნმ. ამის დასტურია ის, რომ განსაკუთრებულად ვზრუნავთ ჩვენს თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, გვაქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარეშე.

**რა მიზნები გაქვთ სამომავლოდ პარტნიორულ პროექტებთან დაკავშირებით და რა ტიპის აქტივობების განხორციელებას გეგმავთ?**

„კრისტალს“ ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციის მისიის შესასრულებლად. ამისთვის კი პარტნიორების გარდა, თანამშრომლობითი პროექტები იგეგმება საგანმანათლებლო სფეროსთან, ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიებთან და არასამთავრობო სექტორთან. ჩვენთვის ეს ინსტიტუტები წარმოადგენენ ტალანტების, ინოვაციებისა და სხვადასხვა მიმართულებით ექსპერტიზის წყაროს. პარტნიორებთან პასუხისმგებლიანი, ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა კი ჩვენი კორპორაციული ღირებულებების განუყოფელი ნაწილია.

The situation is much better in middle management, which is no less important for the success of the company. As a responsible company, we acknowledge the role of engaging women in management positions, and we will strengthen this direction in the future.

**What other values recognized by international standards is your company's corporate responsibility based on? What contributes to the sustainable development of Crystal?**

We pay great attention to the environmental, social, and corporate governance (ESG) aspects. We have chosen and are committed to fully adhering to several world-renowned standards, such as the Sustainable Development Goals, the UN Principles for the Women Economic Empowerment, the UN Global Compact, the Consumer Protection Campaign - Smart, the International Finance Corporation Environmental and Social Risk Management Framework, and the UK Corporate Governance Code.

We want to obtain a banking license, which requires compliance with the corporate governance code of commercial banks. We have already done important preparatory work in this regard. As for the impact on the environment, which is an important component of sustainable development, Crystal works both in terms of energy saving and renewable energy. We have ambitious plans to prevent forest degradation and use solar energy.

**How important is the partnership between business and non-governmental sector and what are its consequences both in the short and long term?**

Crystal has a multifaceted and interesting relationship with non-governmental organizations. Given the company history, the DNA of the non-governmental sector is still strong in our organizational culture. Proof of this is that we take special care of our employees, our customers, we have a large-scale corporate social responsibility program that would be unthinkable without collaborating with NGOs.

**What are your goals for future partnership projects and what type of activities do you plan to implement?**

Crystal still has a long way to go to fulfill the mission of the financial inclusion organization. In addition to traditional partners, collaborative projects are planned with the education sector, financial technology companies and non-governmental sector. For us, these institutions are a source of talent, innovation, and expertise in various fields. Responsible, open, and transparent relationships with partners are integral parts of our corporate values.

# RESPONSIBLE, OPEN, AND TRANSPARENT RELATIONSHIPS WITH PARTNERS ARE INTEGRAL PARTS OF OUR CORPORATE VALUES



*პარტნიორებთან პასუხისმგებლიანი, ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა კი ჩვენი კორპორაციული ღირებულებების განუყოფელი ნაწილია*

## შვეიცარია-საქართველო: მდგრადი განვითარების პერსპექტივები

# SWITZERLAND-GEORGIA: SUSTAINABLE DEVELOPMENT PERSPECTIVES



შვეიცარია მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის აქტიური მხარდამჭერია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. საგარეო პოლიტიკისა და განვითარების საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით ბევრს აკეთებს მდგარდი განვითარების მიზნების წარმატებული განხორციელებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც. 25-წლიანი მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის მანძილზე შვეიცარიის ჩართულობითა და მხარდაჭერით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, რაც მომავალშიც გაგრძელდება - ამჯერად, მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

როგორია მათი გამოცდილება მდგრადი განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე და როგორ აისახება ეს ყველაფერი შვეიცარია-საქართველოს სამომავლო ურთიერთობაზე, საქართველოში შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელი, დანიელ მევლი გვესაუბრება.

SWITZERLAND IS AN ACTIVE SUPPORTER OF THE 2030 SUSTAINABLE DEVELOPMENT AGENDA BOTH WITHIN THE COUNTRY AND ABROAD. THROUGH INTERNATIONAL COOPERATION IN FOREIGN POLICY AND DEVELOPMENT, IT IS DOING A LOT TO ACHIEVE THE CURRENT DEVELOPMENT GOALS IN VARIOUS COUNTRIES, INCLUDING GEORGIA. OVER THE COURSE OF THE LAST 25 YEARS OF FRIENDSHIP AND PARTNERSHIP, WITH THE INVOLVEMENT AND SUPPORT OF SWITZERLAND, A NUMBER OF INTERESTING PROJECTS HAVE BEEN IMPLEMENTED THAT WILL CONTINUE IN THE FUTURE–THIS TIME WITH THE GOAL OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN MIND.

Danielle Meuwly, a representative of the Swiss Embassy in Georgia, talks about Swiss experience from the perspective of sustainable development and how it will affect the future of Swiss-Georgian relations.

*მდგრადი განვითარება და მისი ხელშეწყობა შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუციითაა განსაზღვრული*

*SUSTAINABLE DEVELOPMENT AND ITS PROMOTION BY THE SWISS CONFEDERATION ARE STIPULATED IN THE FEDERAL CONSTITUTION*

*25-წლიანი მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის მანძილზე შვეიცარიის ჩართულობითა და მხარდაჭერით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა*

**OVER THE COURSE OF THE LAST 25 YEARS OF FRIENDSHIP AND PARTNERSHIP, WITH THE INVOLVEMENT AND SUPPORT OF SWITZERLAND, A NUMBER OF INTERESTING PROJECTS HAVE BEEN IMPLEMENTED**

**როგორ უწყობს ხელს შვეიცარიის მთავრობა მდგრად განვითარებას ქვეყანაში და მის გარეთ და რა როლი აქვს ამ პროცესში მრავალსექტორულ თანამშრომლობას?**

მდგრადი განვითარება და მისი ხელშეწყობა შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუციითაა განსაზღვრული. ქვეყანა მტკიცედ იცავს მდგრადობის პრინციპებს როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შემუშავებაში, რომლებიც მყარ საფუძველს ქმნის საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კოორდინაციისთვის. შვეიცარიის 2021-24 წლების საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგია 2030 წლის დღის წესრიგს ეხმიანება, რაც ნათლად ადასტურებს ქვეყნის სურვილს, საკუთარი ქმედებები საერთაშორისო თანამშრომლობით განსაზღვრულ პრინციპებს შეუსაბამოს.

მრავალსექტორული და მრავალმხრივი პარტნიორობა კონკრეტულ ქვეყნებთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპებია. პარტნიორების მიერ მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიების შემუშავებისას, ვცდილობთ, მხარი დავუჭიროთ მათ და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროცესების კოორდინაციასა და ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის განსაზღვრაში დავეხმაროთ; ასევე, უზრუნველვყოთ ამ პროცესების გამჭვირვალობა და ინკლუზიურობა. როდესაც თავად განვსაზღვრავთ და ვახორციელებთ თანამშრომლობის სტრატეგიებს, ვცდილობთ, ისინი პარტნიორი ქვეყნების მდგრადი განვითარების სტრატეგიებს და მიზნებს შევუსაბამოთ. რაც შეეხება პროექტებს, მათი შერჩევისას ყურადღება ექცევა პოტენციურ ზეგავლენას და წვლილს მდგრადი განვითარების მიზნებზე, სექტორთა ურთიერთქმედებასა და კავშირს შესაბამის SDG მიზნებთან; აგრეთვე, ახალი პარტნიორობისა და ფინანსური მოდელების სტიმულირებას და ამ პროცესში კერძო დაფინანსების გამოყენებას.

**How does the Swiss Government promote sustainability in the country [Switzerland] and within development cooperation?**

Sustainable development and its promotion by the Swiss Confederation are stipulated in the Federal Constitution. Switzerland is strongly committed to the principle of sustainability both at the national and international level. It played a particularly active role in the elaboration of the 2030 Agenda and the Sustainable Development Goals (SDGs), which set the framework for the international community to coordinate its efforts. Switzerland's International Cooperation Strategy 2021-24 explicitly refers to the 2030 Agenda, which clearly demonstrates that Switzerland wants its actions to be part of the international cooperation strive towards its implementation.

On the ground, multi-sector and multi-stakeholder partnerships are always key principles. When partners elaborate their national sustainable development strategies, we try to support and engage in multi-stakeholder coordination and advocate for evidence-based policymaking as well as transparent and inclusive consultation processes. When we define and implement our cooperation strategies, we closely align with partner countries' sustainable development strategies and SDG priorities. At the project level, Swiss international cooperation activities are selected on the basis of their potential impact and contribution to the SDGs; consider interactions and linkages between sectors and relevant SDG targets; stimulate new partnerships and financing models; and leverage private finance.

# WE ARE JUST CELEBRATING 25 YEARS OF COOPERATION TO PROMOTE BETTER GOVERNANCE, SUSTAINABLE GROWTH AND PEACE AND ARE ABOUT TO ADOPT A NEW REGIONAL COOPERATION PROGRAM FOR 2022-25

## მალე კარგი მმართველობის, მდგრადი განვითარებისა და მშვიდობის ხელშეწყობისთვის თანამშრომლობის 25 წლისთავს აღვნიშნავთ და 2022-25 წლების ახალი რეგიონული თანამშრომლობის პროგრამასაც დავამტკიცებთ

**შვეიცარიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს მდგრად განვითარებას. რა პრიორიტეტულ მიმართულებებსა და სამიზნე ჯგუფებს მოიცავს ეს თანამშრომლობა?**

შვეიცარია და საქართველო დიდი ხნის პარტნიორები არიან. მალე კარგი მმართველობის, მდგრადი განვითარებისა და მშვიდობის ხელშეწყობისთვის თანამშრომლობის 25 წლისთავს აღვნიშნავთ და 2022-25 წლების ახალი რეგიონული თანამშრომლობის პროგრამასაც დავამტკიცებთ. ეს პროგრამა დღემდე არსებულ გამოცდილებას გააერთიანებს და საშუალებას მოგვცემს, გავაგრძელოთ მუშაობა მდგრადი განვითარების სამი: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

შვეიცარია მხარს უჭერს ინკლუზიურ ზრდას საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სექტორს და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ჩვენი ერთ-ერთი სამომავლო ინიციატივა სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ პანდემიურ პერიოდში და შემავსებელია იმ საქმიანობის, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) პარტნიორობით ვახორციელებთ გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მართვის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით.

უფრო ფართო ჭრილში, ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისადმი მსგავსი მიდგომა შერწყმულია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობის ღონისძიებებთან და იმ ქმედებებთან, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას უკავშირდება. შვეიცარია, საქართველოს მთავრობასა და განვითარების სფეროში ჩართულ სხვა პარტნიორებთან ერთად, მხარს დაუჭერს სატყეო სექტორის რეფორმას: ამ შემთხვევაში ეკოლოგიური ასპექტი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა – სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს უკავშირდება: ტყის მახლობლად მცხოვრები ადამიანები გადამზადდებიან და მიიღებენ ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების შესაძლებლობას. დავამატებდი, რომ ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქალებისთვის. ზოგადად, ქალთა გაძლიერებას ხელს ვუწყობთ ყველა ჩვენი პროექტის ფარგლებში – იქნება ეს მათი ეკონომიკური გაძლიერება, მეტი ჩართულობა, თუ მათი, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა როლის გაზრდა რომ შევაჯამო, გასაკეთებელი კიდევ ბევრია და შვეიცარია გააგრძელებს სიღარიბის დაძლევისა და ინკლუზიური განვითარების მიმართულებით მუშაობას. სოფლად მცხოვრები ადამიანები, განსაკუთრებით ქალები და ახალგაზრდები, საჭიროებენ ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას, ასევე, პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას.

**The Swiss Government is supporting Georgia's sustainable development. What are the priority areas and target groups in our country?**

Switzerland and Georgia are long standing partners. We are just celebrating 25 years of cooperation to promote better governance, sustainable growth and peace and are about to adopt a new regional cooperation program for 2022-25; this program will consolidate and build on the achievements reached so far. So, we will continue to work on the three dimensions of sustainable development: economic, social and environmental.

In Georgia, the Swiss cooperation is supporting inclusive growth, with a strong focus on the agricultural sector and local economic development. For instance, we are about to launch a new initiative to support the access to finance for rural SMEs. This is particularly relevant for the post-pandemic recovery and it will also usefully complement our work with the IFC on ESG (environmental, social and governance) practices.

*IN GEORGIA, THE SWISS COOPERATION IS SUPPORTING INCLUSIVE GROWTH, WITH A STRONG FOCUS ON THE AGRICULTURAL SECTOR AND LOCAL ECONOMIC DEVELOPMENT*

*შვეიცარია მხარს უჭერს ინკლუზიურ ზრდას საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სექტორს და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას*

More generally, this approach to support growth is combined with activities to foster sustainable management of natural resources and with action to address challenges related to climate change. Together with the Government of Georgia and other development partners, Switzerland will support the implementation of the forest sector reform: this is a case where the environmental dimension – the sustainable management of natural resources is articulated with the social and economic dimensions – people living in and from forest areas will be trained and capacitated to ensure that their use of forest resources is sustainable. Let me add that this is particularly relevant for women. Women empowerment is supported through all our interventions, be it economically, or through their increased participation and decision-making role in society.

This said, we can always do better and Switzerland will further strengthen its approach to inclusion and to poverty reduction, making more systematic where possible. Rural people, women and youth are particularly in need of capacity building, skills development, and political representation.

**თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს მრავალსექტორული პარტნიორობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდაში და როგორ უწყობთ ხელს საქართველოში ამ პროცესის გაძლიერებას?**

**From your standpoint, how important is it to enhance social and economic growth through multi-sectoral partnerships? Do you promote this direction in Georgia?**

კომპრომისი და კონსენსუსი ცალმხრივად არ მიიღწევა – მდგრადი განვითარების სტრატეგიის ნაწილია, რომლის სიკეთეები ორივე მხარისთვის ხელმისაწვდომია

ეს ძალზედ მნიშვნელოვანია – პარტნიორობაზე საუბრისას ადამიანები ავტომატურად ფიქრობენ დიალოგზე, მოსაზრებათა გაცვლაზე, კომპრომისსა და კონსენსუსზე. ეს ყველაფერი ღრმადაა ფესვგადგმული შვეიცარიის კულტურაში და კარგად ასახავს ჩვენი ცხოვრების წესსა და მსოფლმხედველობას. კომპრომისი და კონსენსუსი ცალმხრივად არ მიიღწევა – მდგრადი განვითარების სტრატეგიის ნაწილია, რომლის სიკეთეები ორივე მხარისთვის ხელმისაწვდომია. ეს არის საკვანძო საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებში მონაწილეობას, მათ ინკლუზიურობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფართო ჩართულობას. შვეიცარია ხელს უწყობს მრავალსექტორულ პარტნიორობას გლობალურად და, რასაკვირველია, საქართველოშიც. ამისათვის სხვადასხვა რგოლთან ვთანამშრომლობთ. მათ შორის: სახელმწიფო სექტორის ეროვნულ და ადგილობრივ წარმომადგენლებთან, კერძო სექტორთან და ბიზნეს ასოციაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ ინსტიტუტებსა და სამეცნიერო ცენტრებთან. რა თქმა უნდა, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან.

**დაგვისახელეთ მრავალსექტორული პარტნიორობის წარმატებული მაგალითები – მდგრადი განვითარების მიზნებისა და Covid-19 კრიზისის მოგვარების პროცესში?**

This is of utmost importance: when people speak of partnership, they automatically think of dialogue, exchange, compromise, and consensus. These are deeply rooted in the Swiss culture and broadly reflect our way of functioning. We are very aware that making a compromise and reaching a consensus are not parts of a zero-sum game, but of a win-win strategy for sustainable development! They are key to ensure participation, inclusiveness and broad-based decision-making.

Switzerland promotes multi-sectoral partnerships globally, and definitely also in Georgia. With whom do we partner? Representatives from the public sector, at national and local level, with the private sector and its business associations, with civil society and academic institutions and think tanks. Of course, we closely collaborate with the multi-lateral and bilateral donors.

**Could you provide examples of successful multi-sectoral partnerships aimed at achieving the SDGs while dealing with the Covid-19 crisis?**

Most of our projects could be given as examples here, since partnerships and SDGs are at the core of our implementing principles. Let me mention the Swiss-financed IFC ESG project that I alluded to earlier. It builds on the evidence that better ESG practices are positively correlated with an enterprise performance, its access to capital and its development outcomes. The project aims at promoting sustainable investment

**MAKING A COMPROMISE AND REACHING A CONSENSUS ARE NOT PARTS OF A ZERO-SUM GAME, BUT OF A WIN-WIN STRATEGY FOR SUSTAINABLE DEVELOP-MENT!**







*SWITZERLAND PROMOTES MULTI-SECTORAL PARTNERSHIPS GLOBALLY, AND DEFINITELY ALSO IN GEORGIA*

*შვეიცარია ხელს უწყობს მრავალსექტორულ პარტნიორობას გლობალურად და, რასაკვირველია, საქართველოშიც*

– თუ გავითვალისწინებთ, რომ პარტნიორობა და მდგრადი განვითარების მიზნები ჩვენი პროექტების ძირითადი მამოძრავებელია, ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აღსანიშნავია შვეიცარიის მიერ დაფინანსებული ზემოთხსენებული IFC ESG პროექტი, რომელიც ემყარება გამოცდილებას, რომ ESG–ის სტანდარტების დანერგვა დადებითად აისახება საწარმოს საქმიანობაზე, კაპიტალის ხელმისაწვდომობასა და განვითარების შედეგებზე. პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაცია და მდგრადი ინვესტიციების ხელშეწყობა ESG სტანდარტების დანერგვით ფინანსურ ინსტიტუტებთან, ფირმებთან, სამთავრობო უწყებებთან და კერძო საკონსულტაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

რაც შეეხება COVID-19-ს, პანდემიამ ხაზი გაუსვა პარტნიორობის მნიშვნელობას. კრიზისი მართლაც მრავალსექტორულია: ჯანდაცვის სფეროდან დაწყებული პრობლემა სწრაფად გავრცელდა ცხოვრების სხვა ასპექტებზეც; პარტნიორობის ხარისხი მნიშვნელოვანი იყო COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებზე არა მხოლოდ სწრაფი, არამედ ადეკვატური რეაგირებისთვის. შვეიცარიას ამ მხრივ სანდო პარტნიორების იმედი აქვს. შემიძლია მოვიყვანო მიზნობრივი ქმედებების რამდენიმე კარგი მაგალითი, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარება სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში. ასევე, გამოიკვეთა დეცენტრალიზებულ დონეზე ჩვენი მუშაობის მნიშვნელობა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლის ზრდის საჭიროება – სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები იდგნენ წინა ხაზზე პანდემიასთან ბრძოლაში.

through the adoption of ESG standards by working with financial institutions, firms, governmental agencies and private consultancies. It also engages with the civil society to promote the SDGs.

The pandemic certainly emphasized the importance of partnerships. The crisis is indeed multi-sector: what started as a health problem rapidly expanded to other aspects of life; the quality of partnerships was key to ensure a response to COVID-19 related challenges that would not only be rapid, but also relevant. The Swiss cooperation could count on reliable partners in this respect and I could give you several examples of well targeted actions, such as the customized support provided to SMEs through the Rural SME Development project. The importance of our work at the decentralized level and of building the capacities of LSGs was also made clear, since LSGs were at the forefront of fighting against the pandemic.

# „აჭარაბეთი“ მდგრადი განვითარების გზაზე

# ADJARABET ON THE PATH OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

„აჭარაბეთი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ონლაინ გართობის კომპანიაა, რომლის მიზანია, დანერგოს ინოვაციური პროდუქტები და მუდმივად შესთავაზოს სიახლეები მომხმარებელს. ბოლო რამდენიმე წელია კომპანია აქტიურად ცდილობს მდგრადი განვითარების მიზნების გარშემო ახალი ინიციატივებისა და აქტივობების განხორციელებას. ამ მიზნების ნაწილია პარტნიორობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და სექტორთან, რაც „აჭარაბეთის“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. სწორედ ამ საკითხებზე საუბრობს ჩვენს გამოცემასთან „აჭარაბეთის“ მარკეტინგის დირექტორი, ირაკლი დავარაშვილი.

**20 წელზე მეტია „აჭარაბეთი“ საქართველოს ბაზარზე ოპერირებს. ბოლო რამდენიმე წელია კომპანია აქტიურად პოზიციონირებს, როგორც სხვადასხვა ინიციატივისა თუ მიმართულების მხარდამჭერი. როგორია კომპანიის გამოცდილება კორპორაციული პასუხისმგებლობის მხრივ, რა არის თქვენი პრიორიტეტი?**

ADJARABET IS ONE OF THE MOST WELL-KNOWN ONLINE ENTERTAINMENT COMPANIES IN GEORGIA, WHICH AIMS TO INTRODUCE INNOVATIVE PRODUCTS AND TO CONSTANTLY OFFER NOVELTIES TO CUSTOMERS. FOR THE LAST FEW YEARS, THE COMPANY HAS BEEN ACTIVELY TRYING TO IMPLEMENT NEW INITIATIVES AND ACTIVITIES RELATED TO THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS. THIS HAS INCLUDED PARTNERSHIPS WITH VARIOUS GROUPS AND SECTORS OF SOCIETY, WHICH HAS BECOME ONE OF THE PRIORITIES FOR ADJARABET. IRAKLI DAVARASHVILI, MARKETING DIRECTOR OF ADJARABET, TALKS ABOUT THESE ISSUES WITH OUR PUBLICATION.

**Adjarabet has been operating on the Georgian market for more than 20 years. For the last few years, the company has been actively positioning itself as a supporter of various initiatives or directions. What is the company's experience in terms of corporate responsibility, what is your priority?**

*ჩვენ ხელს ვუწყობთ ცალკეულ ათლეტებს მათ პროფესიულ ზრდაში. ასევე, საკუთარი წვლილი შეგვაქვს ამ დარგის განვითარებაში*

*WE SUPPORT INDIVIDUAL ATHLETES IN THEIR PROFESSIONAL GROWTH. WE ALSO CONTRIBUTE TO THE DEVELOPMENT OF THIS FIELD*



*ADJARABET HAS CREATED A CORPORATE RESPONSIBILITY PLATFORM; IT UNITES ALL THE PROJECTS OR INITIATIVES THAT THE COMPANY HAS IMPLEMENTED SO FAR IN ONE SPACE*

*„აჭარაბეთმა“ შექმნა კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმა „ინიციატივა“, სადაც ერთ სივრცეშია გაერთიანებული ყველა ის პროექტი თუ წამოწყება, რაც კომპანიას დღემდე განუხორციელებია*

უკვე 20 წელზე მეტია „აჭარაბეთი“ საქართველოს ბაზარზე ოპერირებს. ჩვენ გვჯერა, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებების საკუთარი ნებით აღებას და მათ შესრულებას ნიშნავს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ქართველი სპორტსმენების მხარდაჭერაა. კომპანია მუდმივად ცდილობს, გაზარდოს მათი ცნობადობა, მისცეს შესაძლებლობა, გამოავლინონ საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი და მნიშვნელოვან შეჯიბრებასა თუ ტურნირებში იასპარეზონ. ჩვენ ხელს ვუწყობთ ცალკეულ ათლეტებს მათ პროფესიულ ზრდაში. ასევე, საკუთარი წვლილი შეგვაქვს ამ დარგის განვითარებაში.

**რამდენიმე თვის წინ კომპანიამ კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმა – INICIATIVA.GE წარადგინა. გვიამბეთ მეტი ამ წამოწყების შესახებ.**

„აჭარაბეთმა“ შექმნა კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმა

Adjarabet has been operating on the Georgian market for more than 20 years. We believe that corporate responsibility means voluntarily taking on certain obligations and fulfilling them for the public.

One of the important directions is the support of Georgian athletes. The company is constantly trying to increase their awareness, give them the opportunity to develop their maximum potential and compete in important competitions or tournaments. We support individual athletes in their professional growth. We also contribute to the development of this field.

**A few months ago, the company introduced the corporate responsibility platform – iniciativa.ge. Tell us more about this venture.**

This is Adjarabet's corporate responsibility platform; it unites all the projects or initiatives that the company has implemented so far in

*ჩვენი მიზანია, პარტნიორებთან თანამშრომლობით შევქმნათ სწორედ ისეთი პროექტები, რომელიც კონკრეტული საჭიროებების მოგვარებაზე, მდგრადობასა და განვითარებაზეა ორიენტირებული*

„ინიციატივა“, სადაც ერთ სივრცეშია გაერთიანებული ყველა ის პროექტი თუ წამოწყება, რაც კომპანიას დღემდე განუხორციელებია. „ინიციატივის“ მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, აქტუალურ და განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებში. კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმა ორიენტირებულია პასუხისმგებლიანი თამაშის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე, ქართული სპორტისა და კრეატიული ადამიანების მხარდაჭერაზე.

**პარტნიორული პროექტების წახალისება და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია. როგორია ამ მხრივ თქვენი გამოცდილება? თანამშრომლობთ თუ არა სხვადასხვა სექტორთან, მათ შორის, არასამთავრობოებთან?**

ჩვენი მიზანია, პარტნიორებთან თანამშრომლობით შევქმნათ სწორედ ისეთი პროექტები, რომელიც კონკრეტული საჭიროებების მოგვარებაზე, მდგრადობასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში ვთანამშრომლობთ არაერთ კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. გამოვყოფ

**OUR GOAL IS TO CREATE PROJECTS IN COOPERATION WITH PARTNERS, WHICH ARE FOCUSED ON SOLVING SPECIFIC NEEDS, SUSTAINABILITY AND DEVELOPMENT**

one space. The aim is to contribute to important, topical and development-oriented issues for society. The corporate responsibility platform is focused on the development of responsible gaming, innovation, and technology and to provide support for Georgian sports and creative people.

**Encouraging partnership projects and cooperation between different sectors is one of the key aspects of the UN Sustainable Development Goals. What is your experience in this regard? Do you cooperate with various sectors, including non-governmental organizations?**

Our goal is to create projects in cooperation with partners, which are focused on solving specific needs, sustainability and development.

We cooperate with a number of private and non-governmental organizations within the framework of corporate responsibility. I will single out the project - 'An active life is my passion', which has no equivalent in Georgia. The aim of the project is to promote the full integration of people with disabilities in society, through sports and creativity and engagement in social projects.

I would like to mention the first project implemented within the framework of the CSR platform - a



## INITIATIVE THAT UNITES US




Corporate responsibility is one of the main priorities for adjarabet. We are implementing many interesting projects in this direction: promoting the integration of women, the development of para-sports and para-athletes. adjarabet makes a significant contribution in raising public awareness and promoting sports, thus successfully achieving the set goal.

# THE CORPORATE RESPONSIBILITY PLATFORM IS FOCUSED ON THE DEVELOPMENT OF RESPONSIBLE GAMING, INNOVATION, AND TECHNOLOGY AND TO PROVIDE SUPPORT FOR GEORGIAN SPORTS AND CREATIVE PEOPLE

# კორპორაციული პასუხისმგებლობის პლატფორმა ორიენტირებულია პასუხისმგებლიანი თამაშის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე, ქართული სპორტისა და კრეატიული ადამიანების მხარდაჭერაზე

პროექტს – „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა," რომელსაც საქართველოში ანალოგი არა აქვს. პროექტის მიზანია საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სპორტულ-შემოქმედებით და სოციალურ პროექტებში ჩართულობა.

მინდა აღვნიშნო „ინიციატივის" ფარგლებში ჩატარებული პირველი პროექტი – მომღერალ სტეფანეს კონცერტი-მარათონი, რომელიც ფონდ „1ანობის" ბენეფიციართა დასახმარებლად გაიმართა. კონცერტზე შემოსულ თანხასთან ერთად, კომპანია „აჭარაბეთმა" დამატებითი ფინანსური რესურსი გამოუყო ფონდ „1ანობის" ბენეფიციარებს, ადამიანებს, რომლებიც კორონავირუსის გამო ყველაზე მეტად დაზარალდნენ.

**რა ახალ ინიციატივებს უნდა ველოდოთ კომპანიისგან სამომავლოდ? რა გეგმები გაქვთ კორპორაციული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით?**

„აჭარაბეთი" მუდმივად სიახლეებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიაა. სწორედ ამიტომ ბევრი კარგი სიახლე გვექნება უახლოეს მომავალში, რადგან არაერთი საჭირო და სასარგებლო პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ვიმედოვნებთ, ამ პროექტებს ინტერესით შეხვდება საზოგადოება.

concert-marathon of singer Stephane, which was held to help the beneficiaries of 1anoba Foundation. Along with the money received at the concert, the company Adjarabet allocated additional financial resources to the beneficiaries of the 1anoba Foundation–the very people who suffered the most due to the coronavirus.

**What new initiatives should we expect from the company in the future? What are your plans for corporate responsibility?**

Adjarabet is a company constantly focused on novelties and innovation. That is why we will have a lot of good news in the near future, as we plan to implement a number of necessary and useful projects. We hope that the public will meet these projects with interest.



# SOCIETY



# სექტორთშორისი თანამშრომლობა შშმ პირთა დასაქმებისთვის

# CROSS-SECTORAL COOPERATION FOR THE EMPLOYMENT OF PERSONS WITH DISABILITIES



შშმ პირთა დასაქმება ქართულ რეალობაში აქტუალური და სენსიტიური საკითხია. თემა იმდენად ყოვლისმომცველია, სხვადასხვა სექტორის ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ სახელმწიფოს ჩართულობა არ არის საკმარისი - კერძო ინიციატივებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლიც მნიშვნელოვანია. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ, რათა რაც შეიძლება მეტი შშმ პირი მოიცვან.

ასოციაცია „ანიკა“ ერთ-ერთი მათგანია. მათი მხარდაჭერით დასაქმების პროგრამა ხელს უწყობს შშმ პირებს სამუშაოს მოძიებაში. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მეშვეობით ისინი ხის სათამაშოების მწარმოებელ კომპანია „კოდალას“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MBC-ის დაეხმარნენ შშმ პირების დასაქმებაში. ამ გამოცდილებასა და ზოგადად, სექტორთშორისი თანამშრომლობის როლსა და მნიშვნელობაზე ასოციაცია „ანიკასა“ და MBC-ის წარმომადგენლები საუბრობენ.

THE EMPLOYMENT OF PERSONS WITH DISABILITIES IS A SENSITIVE ISSUE IN GEORGIA, AND IS SUCH A BROAD TOPIC THAT IT REQUIRES THE JOINT EFFORTS OF VARIOUS SECTORS. GIVEN THE SCALE OF THE PROBLEM, STATE INVOLVEMENT ALONE IS NOT ENOUGH–THE ROLE OF PRIVATE INITIATIVES AND CIVIL SOCIETY IS ALSO IMPORTANT. NGOS ARE ACTIVELY WORKING TO INCLUDE AS MANY PEOPLE WITH DISABILITIES AS POSSIBLE INTO THE JOB MARKET.

Anika is just one of these organizations. With their support, the employment program helps people with disabilities find jobs. Through the Global Compact Network Georgia, they assisted wooden toy company Kodala and microfinance organization MBC in employing people with disabilities. Representatives of Anika and MBC talk about this experience and the role and importance of cross-sectoral cooperation in general.

*მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ სახელმწიფოს ჩართულობა არ არის საკმარისი - კერძო ინიციატივებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლიც მნიშვნელოვანია*

*GIVEN THE SCALE OF THE PROBLEM, STATE INVOLVEMENT ALONE IS NOT ENOUGH–THE ROLE OF PRIVATE INITIATIVES AND CIVIL SOCIETY IS ALSO IMPORTANT*

*OUR GOAL IS TO FOCUS ON THE COMPETENCE OF PEOPLE WITH DISABILITIES FOR A SPECIFIC POSITION AS THE MAIN CRITERIA OF EMPLOYMENT INSTEAD OF THEIR DISABILITIES*

*ჩვენი მიზანია, კონკრეტულ პოზიციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება მთავარ კრიტერიუმად, მათი კომპეტენტურობა მოიაზრებოდეს და არა შეზღუდული შესაძლებლობები*

ნინო გორგაძე, ასოციაცია „ანიკას“ მხარდამჭერითი დასაქმების სპეციალისტი:

**თქვენი ორგანიზაცია წლებია მუშაობს შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით. რა სირთულეებს უკავშირდებოდა ეს პროცესი საწყის ეტაპზე და როგორია დღესდღეობით ბიზნესის წარმომადგენელთა დამოკიდებულება?**

ასოციაცია „ანიკა“ 23 წელია აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შესაქმნელად – რათა მათი ღირსეული და დამოუკიდებელი ცხოვრება უზრუნველყოს. ამისთვის შშმ პირებსა და მათ ოჯახებს ვაწვდით ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას; ვცდილობთ, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები განვუვითაროთ, შრომის ბაზრისთვის მოვამზადოთ და დავეხმაროთ დასაქმებაში.

რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე ბევრ სირთულეს წავაწყდით, მათ შორის, ბიზნეს სექტორთან ურთიერთობისას: ამ სფეროს წარმომადგენელთა არასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარების შესახებ, ამ ადამიანთა ნაკლებ მიმღებლობას და „ზედმეტი პასუხისმგებლობის“ შიშს განაპირობებდა: მათ არარეალურ მოთხოვნებს უყენებდნენ. ქვეყანაში დამკვიდრებული ცრურწმენა და სტერეოტიპები ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა, თუმცა, ბოლო დროს დადებითი ცვლილებები შეინიშნება, რაშიც

NINO GORGADZE, ANIKA, SUPPORTIVE EMPLOYMENT SPECIALIST:

**Your organization has been working for years to employ people with disabilities. What were the difficulties associated with this process at the initial stage and what is the attitude of business representatives today?**

For 23 years Anika has been actively working to create equal opportunities and conditions for people with disabilities, to ensure they can live a dignified and independent life. To this end, we provide services tailored to individual needs of persons with disabilities and their families. We try to help them develop the skills necessary for independent living, prepare them for the labor market and help with employment.

Of course, at the beginning we faced many difficulties, including dealing with the business sector, insufficient knowledge and experience of people from this field regarding the skills of people with disabilities. These people were less receptive and feared 'extra responsibility', and thought they would face unrealistic demands. The superstitions and stereotypes in the country have further complicated the situation, however, positive changes have been observed recently to which Anika has contributed greatly. In parallel

# პარტნიორული პროექტები მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული კომპანიების, ასევე იმ საქმისთვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან

# PARTNERSHIP PROJECTS ARE IMPORTANT BOTH FOR INDIVIDUAL COMPANIES AND THE WORK THEY SERVE

„ანიკას“ დიდი წვლილი მიუძღვის არის ის, რომ სამუშაოს მაძიებლების პარალელურად, აქტიურად ვმუშაობთ დამსაქმებლებთანაც. ჩვენი მიზანია, კონკრეტულ პოზიციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მთავარ კრიტერიუმად მათი კომპეტენტურობა მოიაზრებოდეს და არა შეზღუდული შესაძლებლობები.

მუშაობის პროცესში, შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის გარდა, ვზრუნავთ ბიზნესის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებასა და მათი სამუშაო გარემოს მომზადებაზე, მათში სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდაზე. დასაქმების დროს კი აუცილებლად ვითვალისწინებთ ბიზნესის ინტერესს და დამსაქმებლებს ვაკანსიაზე მორგებულ კომპეტენტურ კანდიდატს ვთავაზობთ. თუ რამდენიმე წლის წინ კომპანიათა ნაწილი თავს იკავებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისგან, დღეს უკვე თავადვე გამოხატავენ ინტერესს და თანამშრომლობისთვის მოგვმართავენ. „ანიკას“ სანდოობა და რეპუტაცია ამ სფეროში ძალიან მაღალია.

**როგორ შედგა თქვენი თანამშრომლობა „კოდალასთან“ და MBC-ისთან და რა სპეციფიკა ჰქონდა თითოეულთან მუშაობას?**

„კოდალას“ და MBC-ის გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ხელშეწყობით დავუკავშირდით. ჩვენი ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრის („ბიზნესის სენსიტიზაცია შშმ საკითხების მიმართ“) შემდეგ, ამ ორმა კომპანიამ თანამშრომლობის მზაობა გამოხატა. დავიწყეთ თითოეულ მათგანთან მუშაობა, რაც საბოლოო ჯამში, წარმატებული აღმოჩნდა.

ზოგიერთი კომპანიისგან განსხვავებით, მათ ჰქონდათ სურვილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები დაესაქმებინათ და ინკლუზიური სამუშაო გარემო შეექმნათ. ამასთან, კარგად აცნობიერებდნენ ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა გამოწვევას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამშრომლობა COVID-19-ის პანდემიას დაემთხვა, მოლაპარაკებები დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რეგულაციების დაცვით მოეწყო შეხვედრაც და ამჟამად „ანიკას“ ხელშეწყობით MBC-ში ერთი ადამიანია დასაქმებული ქოლ-ცენტრის ოპერატორის პოზიციაზე,



with job seekers, we are actively working with employers. Our goal is to focus on the competence of people with disabilities for a specific position as the main criteria of employment instead of their disabilities.

During the working process, in addition to promoting the employment of people with disabilities, we raise the awareness of business representatives and prepare their work environment, increase their social responsibility. When hiring, we consider the interest of the business as a must and offer employers a competent candidate tailored to the vacancy. While several few years ago some companies refrained from employing individuals with disabilities, today they even often start the conversation and turn to us for cooperation. Anika's credibility and reputation in this field is very high.

**How did your cooperation with Kodala and MBC come into being, and what were the specifics of working with each of them?**

We contacted Kodala and MBC with the support of the Global Compact Network Georgia. After our joint information meeting (Business Sensitization to Disability Issues), the two companies expressed their willingness to cooperate. We started working with each of them, which ultimately proved to be successful. Unlike some companies, they had the desire to employ people with disabilities and create an inclusive work environment. However, they were well aware of all the challenges related to this issue. Although our cooperation coincided with the COVID-19 pandemic, the negotiations were conducted remotely and currently, with the support of Anika, one person is employed at MBC as a call center operator.

„კოდალასთან“ კი პანდემიის დარეგულირების შემდეგ განვაახლებთ თანამშრომლობას.

**რა მნიშვნელობა აქვს პარტნიორულ პროექტებს ცალკეული კომპანიებისა და თავად იმ საქმისთვის, რასაც ისინი ემსახურებიან? რა დადებითი შედეგები მოაქვს?**

პარტნიორული პროექტები მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული კომპანიების, ასევე იმ საქმისთვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ბუნებრივია, როცა კონკრეტული მიზნისთვის სხვა ორგანიზაციებთან ერთად მუშაობ, შედეგიც უფრო ეფექტიანია. ძალებისა და რესურსების გაერთიანება კი ხარისხსაც აუმჯობესებს და პროცესიც უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საერთო მიზნისთვის სხვადასხვა ინტერესებისა და მიზნების მქონე კომპანიები ერთიანდებიან: განსხვავებული რესურსებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა კარგ შედეგს იძლევა.

პარტნიორული პროექტები ცალკეული კომპანიებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან სექტორებს შორის კავშირი ძლიერდება, რაც ჩვენს რეალობაში უმნიშვნელოვანესია. გარდა ამისა, კომპანია იძენს ახალ და საინტერესო გამოცდილებას. ეს ყოველივე კი ინკლუზიურ გარემოს ქმნის და დიდი წვლილი შეაქვს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

**რა ზეგავლენას ახდენს ეს ყველაფერი საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებაზე?**

გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება, მეტი ორგანიზაცია ცდილობს შესაბამისი პროექტების დაგეგმვას, რაც ძალიან კარგია. შშმ პირთა უფლებები და მათი რეალიზება საზოგადოებაში აღნიშნულ თემას უკავშირდება და ამ მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. არაერთი ბარიერის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შშმ პირთა დასაქმების საკითხი წლების წინ არსებულთან შედარებით გაუმჯობესდა, რაც დიდწილად სწორედ იმ ორგანიზაციების, პარტნიორული პროექტების, ინიციატივებისა და ჩართულობის დამსახურებაა, რომლებიც ცდილობენ პრობლემის მოგვარებას. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ზრდის საქართველოში კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

*A COMBINATION OF VARIOUS RESOURCES AND CAPACITIES GIVES GOOD RESULTS*

*განსხვავებული რესურსებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა კარგ შედეგს იძლევა*

**What is the significance of partnership projects for individual companies and for the work they serve? What are the positive results?**

Partnership projects are important both for individual companies and the work they serve. Naturally, when you work with other organizations for a specific purpose, the result is also more effective. Combining forces and resources improves the quality further and the process goes faster.

It is especially important when companies with varying interests and goals come together for a common goal: a combination of various resources and capacities gives good results.

Partnership projects are also important for individual companies, as the connection between the sectors is strengthened, which is the most important in our reality. In addition, companies gains new and exciting experiences. All these create an inclusive environment and contribute greatly to the achievement of the UN Sustainable Development Goals.

**What impact does all this have on bolstering corporate responsibility in Georgia?**

As corporate responsibility becomes more and more relevant, more organizations are trying to plan relevant projects, which is a very positive sign. The rights of persons with disabilities and their inclusion in society are related to this topic and there is still a lot of work to be done in this direction. Despite multiple barriers, we can say that the employment of people with disabilities has improved compared to a number of years ago, which is largely due to the organizations, partnership projects, initiatives and engagement processes that are aimed at solving the problem. Ultimately, all of this, of course, increases corporate responsibility in Georgia.

*RESPONSIBLE BUSINESS FOR MBC IS AN ONGOING ACTIVITY THAT INVOLVES OUR SHARE OF RESPONSIBILITY TO THE COMMUNITY AND THE ENVIRONMENT IN WHICH WE OPERATE*

*MBC-ისთვის პასუხისმგებლიანი ბიზნესი მუდმივი საქმიანობაა, რომელიც მოიცავს ჩვენ წილ პასუხისმგებლობას საზოგადოებასა და იმ გარემოზე, რომელშიც გვიწევს მუშაობა*

ᲔᲗᲝ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ, ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ MBC-ᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:

**გვიამბეთ MBC-ის საქმიანობისა და იმ პრიორიტეტების შესახებ, რამაც გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკასთან“ თქვენი დაკავშირება.**

დაარსების დღიდან MBC აქტიურადაა ჩართული პარტნიორულ პროექტებში, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც ეხმარებიან, ერთი მხრივ, შშმ პირებს განვითარებასა და ინტეგრირებაში, მეორე მხრივ – კომპანიებს, მათი მდგრადი მიზნების განხორციელებისას.

MBC-ისთვის პასუხისმგებლიანი ბიზნესი მუდმივი საქმიანობაა, რომელიც მოიცავს ჩვენ წილ პასუხისმგებლობას საზოგადოებასა და იმ გარემოზე, რომელშიც გვიწევს მუშაობა. ვაცნობიერებთ, რომ კერძო სექტორს შშმ პირთა დამოუკიდებლად ცხოვრების, ჩართულობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი აქვს. სწორედ ამიტომ, კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მათი დასაქმება და პროფესიული განვითარება მიგვაჩნია.

ETO CHACHIBAIA, OPERATIONS DIRECTOR, MICROFINANCE ORGANIZATION MBC:

**Tell us about the activities of MBC and the priorities that led to your connection with the non-governmental organization Anika.**

Since its inception, MBC has been actively involved in partnership projects that serve the well-being of the community. It is especially important for us to work with organizations that support development and the integration of people with disabilities on the one hand, and with companies in achieving their sustainable goals on the other.

Responsible business for MBC is an ongoing activity that involves our share of responsibility to the community and the environment in which we operate. We recognize that the private sector has an important role to play in ensuring the independent living, inclusion, and equality of people with disabilities. That is why we consider their employment and professional development as one of the priority directions in the corporate responsibility strategy.





*ᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲨᲨᲛ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚ-ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ*

**WE RECOGNIZE THAT THE PRIVATE SECTOR HAS AN IMPORTANT ROLE TO PLAY IN ENSURING THE INDEPEN-DENT LIVING, INCLUSION, AND EQUALITY OF PEOPLE WITH DISABILITIES**

ასოციაცია „ანიკას“ დახმარებით, 2020 წლის დეკემბერში შევძელით ერთი შშმ პირის დასაქმება. მათივე მხარდაჭერით სპეციალური ტრენინგი გავიარეთ, რათა ახალი თანამშრომლისთვის მაქსიმალურად ადაპტირებული და ხელსაყრელი სამუშაო გარემო შეგვექმნა.

**გიწევთ თუ არა სხვა ტიპის ორგანიზაციებისგან განსხვავებით (არასამთავრობო, სოციალური საწარმო), რომელთა მიმართ საზოგადოება გაცილებით ლოიალურია, უფრო მეტი გარჯა პასუხისმგებლიანი ორგანიზაციის იმიჯის დასამკვიდრებლად? როგორ უმკლავდებით ამ გამოწვევას?**

დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ოპერირება 8 წლის წინ დავიწყეთ და მიკროსაფინანსო ბაზარზე არსებული სტერეოტიპები ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა. ამიტომ, დაარსების დღიდან მიზნად

With the help of Anika, in December 2020 we were able to employ one person with disabilities. With their support, we underwent special training to create the most adapted and favorable work environment for the new employee.

**Do you, unlike other types of organizations such as NGOs and social enterprises which are more amicably perceived of by the public, have to make more effort to establish the image of a responsible organization? How do you cope with this challenge?**

Yes, this is quite true. We started operating eight years ago and stereotypes about the microfinance market turned out to be a significant challenge for us. Therefore, since its inception, we have aimed to establish the reputation of a reliable and transparent, conscientious, customer-focused company on the market.

*THE MAIN SUCCESS OF THE COMPANY IS ITS ORGANIZATIONAL CULTURE, CORPORATE GOVERNANCE STYLE, EQUAL EMPLOYMENT CONDITIONS AND FAIR COMPETITION, OUR EXPERIENCED TEAM AND STRONG FINANCIAL PARTNERS*

*კომპანიის მთავარ წარმატებად მივიჩნევთ ორგანიზაციულ კულტურას, კორპორაციული მართვის სტილს, დასაქმების თანაბარ პირობებსა და ჯანსაღ კონკურენციას, გამოცდილ გუნდს და მყარ ფინანსურ პარტნიორებს*

დავისახეთ, ბაზარზე სანდო და გამჭვირვალე, კეთილსინდისიერი, მომხმარებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კომპანიის რეპუტაცია დაგვემკვიდრებინა.

კომპანიის მთავარ წარმატებად მივიჩნევთ ორგანიზაციულ კულტურას, კორპორაციული მართვის სტილს, დასაქმების თანაბარ პირობებსა და ჯანსაღ კონკურენციას, გამოცდილ გუნდს და მყარ ფინანსურ პარტნიორებს. ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობა და შესაბამისი ღირებულებითი ჩარჩოები აბსოლუტურ თანხვედრაშია ჩვენს ბიზნეს-ფილოსოფიასთან.

**რა მნიშვნელობა აქვს პარტნიორულ პროექტებს ბიზნესისთვის და როგორ შეიძლება ამ პროცესის უფრო მეტად გააქტიურება? რამდენად უწყობს ეს ხელს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას?**

დღეს კერძო სექტორს კარგად აქვს გააზრებული, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პარტნიორული პროექტები საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის, მდგრადი განვითარებისა და ბიზნეს რეპუტაციის გამყარების

The main success of the company is its organizational culture, corporate governance style, equal employment conditions and fair competition, our experienced team and strong financial partners. Our corporate responsibility and relevant value frameworks are in absolute harmony with our business philosophy.

**What is the importance of partnership projects for business and how can this process be further intensified? To what extent does this contribute to the achievement of Sustainable Development Goals?**

Today, the private sector has acknowledged that partnership projects implemented within the framework of corporate responsibility are tools for effective communication with the public, for strengthening sustainable development and one's business reputation, as well as for guaranteeing the healthy development of a company. Partnership projects do not consider the interests of merely one party, it is absolutely mutually beneficial. Seeing all these correctly and timely is most significant.



ინსტრუმენტი, ასევე, კომპანიის ჯანსაღი განვითარების გარანტია. პარტნიორული პროექტები არ ითვალისწინებს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს, ის აუცილებლად ორმხრივად მომგებიანია. მთავარია ამ ყველაფრის სწორი და დროული დანახვა.

თანამშრომლობის გააქტიურებისთვის აუცილებელია ცნობიერების ამაღლება, ცოდნის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებულ პროექტებზე ინფორმაციის გავრცელება, პროექტის შედეგად მიღებული ეფექტის შეფასება და საზოგადოებისთვის მიწოდება.

შშმ პირების შემთხვევაშიც, ვიცით, რომ ხშირად კომპანიები ერიდებიან მათ დასაქმებას, მაგრამ სირთულეები ყველამ ერთად უნდა დავძლიოთ. შშმ პირები პასუხისმგებლობისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების კარგ მაგალითს გვიჩვენებენ, რაც ზრდის სხვა თანამშრომლების პროდუქტიულობას, მოტივაციასა და ლოიალობას.

ამის თქმის უფლებას საკუთარი მაგალითი გვაძლევს და მოვუწოდებთ სხვა კომპანიებსაც, გაიზიარონ ჩვენი გამოცდილება, რადგან სწორედ ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ პროექტებს მოაქვთ მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები საზოგადოებაში.

To intensify cooperation, it is necessary to raise awareness, deepen knowledge, share experiences, disseminate information about successful projects, evaluate the effect of project outcomes and communicate them to the public.

In the case of people with disabilities, we know that companies often refrain from hiring them, but we all must overcome the difficulties together. People with disabilities set a good example of responsibility and a conscientious attitude towards work, which increases the productivity, motivation, and loyalty of other employees.

Our own example allows us to draw on this and we urge other companies to share our experience, because it is the projects implemented through joint efforts that bring significant positive changes in society.

პარტნიორული პროექტები არ ითვალისწინებს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს, ის აუცილებლად ორმხრივად მომგებიანია. მთავარია ამ ყველაფრის სწორი და დროული დანახვა



**PARTNERSHIP PROJECTS DO NOT CONSIDER THE INTERESTS OF MERELY ONE PARTY, IT IS ABSOLUTELY MUTUALLY BENEFICIAL. SEEING ALL THESE CORRECTLY AND TIMELY IS MOST SIGNIFICANT**

# „იზრუნე მომავალზე“ - თანამშრომლობა ახალგაზრდობის გასაძლიერებლად

# „CARE FOR THE FUTURE“ - COOPERATION TO STRENGTHEN THE INDEPENDENCE OF DISADVANTAGED YOUTH

„ფონდი ნატახტარი“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ უკვე 10 წელია საერთო მიზნისთვის გაერთიანდნენ: ისინი მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების პრობლემებმა დააკავშირა.

საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ხელშეწყობით 600-ზე მეტ მოზარდს მისცეს განათლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობა. ამ ხნის მანძილზე არაერთმა მათგანმა მიაღწია წარმატებას და მზადაა, სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება. მნიშვნელოვან საქმეში ფონდს მხარში „ჩვენი სახლი – საქართველოს“ გუნდი უდგას, რომლის წევრები მათ ხელთ არსებული ყველა რესურსით ცდილობენ, მისცენ ბენეფიციარებს ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა.

„ეფეს საქართველოს“ კორპორაციულ საქმეთა დირექტორი, ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი და „ჩვენი სახლი – საქართველოს“ ხელმძღვანელი, მანანა ომარაშვილი საუბრობენ ერთობლივი მუშაობის შედეგებსა და პერსპექტივებზე.

THE NATAKHTARI FOUNDATION AND THE ASSOCIATION OUR HOME - GEORGIA HAVE BEEN UNITED FOR 10 YEARS IN A COMMON GOAL TO ADDRESS THE PROBLEMS OF CHILDREN LEFT WITHOUT CARE.

With the support of the charity project Care for the Future, more than 600 adolescents have been given the opportunity to acquire an education and skills for independent living. During this time many of them have achieved success and are ready to share their experiences with others.
In this important endeavor, the Foundation is supported by the team of Our Home - Georgia, whose members try with all the resources at their disposal to give the beneficiaries of the programme the opportunity to start a new life.

Nikoloz Khundzakishvili, Director of Corporate Affairs at Efes Georgia, and Manana Omarashvili, Head of Our Home - Georgia, talk about the results and perspectives of working together.

*WITH THE SUPPORT OF THE CHARITY PROJECT CARE FOR THE FUTURE, MORE THAN 600 ADOLESCENTS HAVE BEEN GIVEN THE OPPORTUNITY TO ACQUIRE AN EDUCATION AND SKILLS FOR INDEPENDENT LIVING*

*საქველმოქმედო პროექტის - „იზრუნე მომავალზე“ ხელშეწყობით 600-ზე მეტ მოზარდს მისცეს განათლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობა*



ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი, კომპანია „ეფეს საქართველოს“ კორპორაციულ საქმეთა დირექტორი

**„ეფეს საქართველოსა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ ტანდემი ეფექტური პარტნიორობის კარგი მაგალითია. როდის და როგორ გაერთიანდით და რა მიზნებს ემსახურება თქვენი თანამშრომლობა?**

ჩვენი ერთობლივი მუშაობა უკვე 10 წელიწადს ითვლის. 2011 წელს, „ფონდი ნატახტარის“ დაარსებისთანავე, როცა დავგეგმეთ პროექტი – „იზრუნე მომავალზე,“ კომპეტენტური და გამოცდილი ორგანიზაციის ძებნა დავიწყეთ, ვინც ხელს შეგვიწყობდა კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტის სრულფასოვან განხორციელებაში. ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მიერ შემოთავაზებული მოდელი ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. ბენეფიციართა მუშაობის მოქნილმა სქემამ, რომელიც მოზარდებსა და ახალგაზრდებს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას და სერვისებს სთავაზობს, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ფონდი ნატახტარის“ წარმატებას.

NIKOLOZ KHUNDZAKISHVILI, CORPORATE AFFAIRS DIRECTOR OF EFES GEORGIA

**The teamwork of Efes Georgia and the association Our Home – Georgia is a good example of an effective partnership. When and how did you unite and what are the goals of your collaboration?**

Our joint work has been going on for 10 years already. In 2011, as soon as the Natakhtari Foundation was established, when we planned the project Care for the Future we started looking for a competent and experienced organization that would help us in the comprehensive implementation of this corporate responsibility project. The model proposed by the association Our Home - Georgia turned out to be the most acceptable. The flexible work scheme tailored to the individual needs of the beneficiaries, which offers different types of support and services to adolescents and young people, has significantly contributed to the success of the Natakhtari Foundation.

*SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS SUCH AS POVERTY REDUCTION, QUALITY EDUCATION AND PARTNERSHIP FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT ARE THE MAIN PRIORITIES OF THE NATAKHTARI FOUNDATION*

*სიღარიბის დაძლევა, ხარისხიანი განათლება და პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის „ფონდი ნატახტარის“ ძირითადი პრიორიტეტებია*

ზოგადად, ბენეფიციარების დამოუკიდებლობისთვის მომზადება ხანგრძლივი პროცესია. თავიდან ფსიქოლოგის დახმარებით განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროებები და მათი შესაძლებლობებიც იზომება. შემდეგ იწყება მზადება პროფესიის ან ხელობის დასაუფლებლად. უმეტესწილად, ახალგაზრდა ჯერ კოლეჯში ემზადება და შემდეგ ანაზღაურებად სტაჟირებას გადის რეგიონში სხვადასხვა ხელობის მცოდნე საუკეთესო სპეციალისტთან. ამ გზით მისი დასაქმების და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების ალბათობა იზრდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ხელობას გამოცდის, სანამ აირჩევს მისაღებ პროფესიას. სრული ციკლის მართვა კი „ჩვენი სახლი – საქართველოსა“ და მისი ფსიქოლოგების კომპეტენციაა. სწორედ ორგანიზაციის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიისა და მისი თანამშრომლების დაუღალავი შრომის შედეგია ამ ახალგაზრდების წარმატება.

სერვისები, რომლებსაც „ფონდი ნატახტარი“ სთავაზობს თავის ბენეფიციარებს, მრავალფეროვანია. მათ შორის, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მისაღებად მხარდაჭერა, პროფესიისთვის საჭირო იარაღების მასალის შეძენა, სტიპენდიით უზრუნველყოფა, ბინის ქირის, კვების, ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება და ა.შ. ამ პერიოდის განმავლობაში 600-მდე ახალგაზრდამ მიიღო სხვადასხვა სახის სერვისი ჩვენგან. მათ შორის, 270-ზე მეტმა – პროფესიული განათლება. 300-ზე მეტმა ბენეფიციარმა კი უკვე დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრება.

**რა მნიშვნელობა აქვს მსგავს პროექტებს კომპანია „ეფეს საქართველოს“ კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების თვალსაზრისით და რამდენად უწყობს ხელს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას?**

In general, preparing our beneficiaries for independence is a lengthy process. With the help of a psychologist, individual needs are identified, and their capabilities are measured. Then the preparation for mastering a profession or crafts begins. For the most part, the youngster first receives instruction in a trade college and then undergoes a paid internship with the best specialist in various crafts in the region. In this way, the probability of their employment and starting an independent life increases. Often there are situations when our beneficiaries try their hand at a few crafts before choosing a profession. Managing the complete cycle is the competence of Our Home - Georgia and its psychologists. The success of these young people is the result of the methodology created by the organization and the tireless work of its staff.

The services offered by Natakhtari Foundation to its beneficiaries are diverse. These include psychological consultation, support for vocational education and for getting driving licenses, purchase of tools / materials needed for the profession, scholarships, reimbursement of apartment rent, meals and transportation. During this period, nearly 600 young people received a variety of services from us. Among them, more than 270 received a vocational education. More than 300 beneficiaries have already started living independently.

**What is the significance of such projects in terms of the development of corporate responsibility of the company Efes Georgia and to what extent does it contribute to the fulfillment of the UN Sustainable Development Goals?**

*მნიშვნელოვან საქმეში ფონდს მხარში „ჩვენი სახლი – საქართველოს“ გუნდი უდგას, რომლის წევრები მათ ხელთ არსებული ყველა რესურსით ცდილობენ, მისცენ ბენეფიციარებს ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა*

დღეს მთელი მსოფლიო, წამყვანი და კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით გამორჩეული კომპანიები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს მიიჩნევენ საკუთარი კორპორაციული პასუხისმგებლობის ძირითად ორიენტირად. „ეფეს საქართველოც“ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს, მათ შორის, პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ განხორციელებისას. მდგრადი განვითარების მიზნები, როგორიცაა: სიღარიბის დაძლევა, ხარისხიანი განათლება და პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის „ფონდი ნატახტარის“ ძირითადი პრიორიტეტებია.

**როგორ გესახებათ სახელმწიფოს როლი და ჩართულობა ამ პროცესებში, როგორ შეიძლება სახელმწიფო გვერდში დაუდგეს ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას და კიდევ უფრო ეფექტურად დაეხმაროს მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდებსა და ახალგაზრდებს?**

**IN THIS IMPORTANT ENDEAVOR, THE FOUNDATION IS SUPPORTED BY THE TEAM OF OUR HOME - GEORGIA, WHOSE MEMBERS TRY WITH ALL THE RESOURCES AT THEIR DISPOSAL TO GIVE THE BENEFICIARIES OF THE PROGRAMME THE OPPORTUNITY TO START A NEW LIFE**



Today, leading and distinguished companies in terms of corporate responsibility, from all over the world, consider the UN Sustainable Development Goals the main focus of their corporate responsibility. Efes Georgia is also guided by these principles, including in the implementation of the project - Care for the Future. Sustainable Development Goals such as poverty reduction, quality education and partnership for sustainable development are the main priorities of the Natakhtari Foundation.

**How do you see the role and involvement of the state in these processes, how can the state stand shoulder to shoulder with business and civil society and help adolescents and young people left without care and with special needs even more effectively?**

The goal of the Natakhtari Foundation is to change the lives of our beneficiaries thoroughly and sustainably for the better. We knew from the beginning that we would reap the fruits of our labor in several years. Expectations have been met: we already have some results.

*TODAY, LEADING AND DISTINGUISHED COMPANIES IN TERMS OF CORPORATE RESPONSIBILITY, FROM ALL OVER THE WORLD, CONSIDER THE UN SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS THE MAIN FOCUS OF THEIR CORPORATE RESPONSIBILITY*

*დღეს მთელი მსოფლიოში, წამყვანი და კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით გამორჩეული კომპანიები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს მიიჩნევენ საკუთარი კორპორაციული პასუხისმგებლობის ძირითად ორიენტირად*

„ფონდი ნატახტარის“ მიზანია, ჩვენი ბენეფიციარების ცხოვრება საფუძვლიანად და მდგრადად შევცვალოთ უკეთესობისკენ. თავიდანვე ვიცოდით, რომ შრომის ნაყოფს რამდენიმე წელიწადში მოვიმკიდით. მოლოდინი გამართლდა – უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საამაყოა, რომ კომპანია „ეფეს საქართველოს“ და „ჩვენი სახლი – საქართველოს“ მიერ შემუშავებული მექანიზმი წარმატებულიც აღმოჩნდა, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. საჭიროა მუშაობა სხვა მიმართულებითაც. დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით, მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდების ხელშეწყობისათვის, ფონდი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, კომპანიებთან და რაც მთავარია, თვითმმართველობებთან. ბენეფიციარების უმეტესობა რეგიონებში ცხოვრობს და შესაბამისად, პარტნიორთა მხარდაჭერა ადგილებზე გადამწყვეტია.

რამდენიმე წელია, ფონდის ეგიდით ვატარებთ ადვოკატირების კამპანიასაც, რომელიც ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის გააქტიურებას და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეული დაფინანსების მიღებას ითვალისწინებს. რამდენიმე რეგიონში გვქონდა წარმატებული შედეგი: ზრუნვის სისტემიდან გასულ ახალგაზრდებს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და სხვ. ფინანსურად მერიის შესაბამისი სამსახურები დაეხმარნენ.

პანდემიის პირობებში გაძლიერდა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის აუცილებლობა: დაკარგეს

It is even more important and a point of pride that the mechanism developed by the company Efes Georgia and Our Home - Georgia was successful, but that alone is not enough. It is necessary to work in other directions as well. In order to prepare for independent life, to support youth without care, the foundation actively cooperates with various public organizations, companies and, most importantly, local governments. Most of the beneficiaries live in the regions and therefore local partner support is crucial.

For several years now, we have been running an advocacy campaign under the auspices of the foundation, which mainly involves activating local self-government and receiving some funding from the local budget. We have had successful results in several regions: young people leaving the care system in cities such as Zugdidi, Batumi, Kutaisi, Rustavi and others were supported financially by the local municipalities.



*ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ, ᲛᲝᲥᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ*

**THE MOST IMPORTANT THING THAT COOPERATION WITH BUSINESS BRINGS IS FLEXIBILITY AND FREEDOM OF CHOICE**

სამსახური, გაურთულდათ ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა. თუმცა მოცემულ ეტაპზე მთავარი სირთულეები გადალახულია და „ფონდი ნატახტარი“ და „ჩვენი სახლი – საქართველო“ მათ მხარდაჭერას აგრძელებენ. გრძელვადიანი თანამშრომლობა და სტაბილურობა ამ პროცესისთვის გადამწყვეტია: პროექტი – „იზრუნე მომავალზე“ დაფინანსდება მანამდე, ვიდრე საზოგადოებაში ამ ტიპის დახმარების აუცილებლობა იარსებებს.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲝᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

**თქვენი ასოციაციის საქმიანობის ძირითადი სფერო სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, მოწყვლადი ოჯახების გაძლიერება და სოციალური ადვოკატირებაა. როგორ იმოქმედა ბიზნესის ჩართულობამ თქვენს პროექტებზე? როგორია ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის მთავარი მახასიათებლები და მოტივაცია?**

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ბიზნესთან თანამშრომლობას მოაქვს, მოქნილობა და არჩევანის თავისუფლებაა. ეს შესაძლებელს ხდის, მოვერგოთ ბენეფიციართა ინტერესებს. ჩვენი და „ფონდი ნატახტარის“ შემთხვევაში სწორედ ასეთი ურთიერთობა ჩამოყალიბდა: წინასწარი კვლევის საფუძველზე ფონდი შესაძლებლობას გვაძლევს, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები – იქნება ეს ხელობის შესწავლა, განათლების მიღება, წიგნების შეძენა და ა.შ.

The pandemic has strengthened the need to support young people leaving the public care system: they have lost their jobs and often their physical and mental health has deteriorated. However, at this stage the main difficulties have been overcome and Natakhtari Foundation and Our Home – Georgia continue to support them. Long-term cooperation and stability are crucial to this process: the project Care for the Future will be funded as long as the need for this type of assistance in the community exists.

MANANA OMARASHVILI, HEAD OF THE ASSOCIATION OUR HOME - GEORGIA

**The main activities of your association are preparing young people that have come out of the state care system for independent life, empowering vulnerable families and conducting social advocacy. How has business involvement affected your projects? What are the main features and motivations of the cooperation between business and non-governmental organizations?**

The most important thing that cooperation with business brings is flexibility and freedom of choice. This makes it possible to adapt to the interests of the beneficiaries. In the case of Natakhtari Foundation and ourselves, the relationship was formed thus: based on a preliminary study, the foundation allows us to take into account the needs of the beneficiaries as much as possible - be it for the study of a craft, education, the purchase of books and so on.



*ჩვენი და „ფონდი ნატახტარის“ ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთი ამოცანაა, მხოლოდ კონკრეტული თანხა კი არ მივცეთ ახალგაზრდებს, ვასწავლოთ ამ თანხის გამომუშავება, რათა თავად გახდნენ კონტრიბუტორები, გაუჩნდეთ რაღაცის შექმნის მოთხოვნილება და არ ელოდონ შემწეობას*

ჩვენი და „ფონდი ნატახტარის“ ერთობლივი საქმიანობის კიდევ ერთი ამოცანაა, მხოლოდ კონკრეტული თანხა კი არ მივცეთ ახალგაზრდებს, ვასწავლოთ ამ თანხის გამომუშავება, რათა თავად გახდნენ კონტრიბუტორები, გაუჩნდეთ რაღაცის შექმნის მოთხოვნილება და არ ელოდონ შემწეობას. მათ, ვინც დიდხანს იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას, მომსახურების მიმღების ფსიქოლოგია უყალიბდება და გამუდმებით ამ დახმარების მოლოდინშია. ჩვენი მიზანია, შევცვალოთ ეს მიდგომა. ამ ეტაპზე ძირითადად 18 წლის ზემოთ უფროსებთან ვმუშაობთ, სახელმწიფოს ზრუნვის სისტემიდან გასულ პირებთან, რომელთათვისაც მაგალითის ძალა მნიშვნელოვანია. ამიტომ ვცდილობთ, ჩვენსავე ყოფილ, უკვე წარმატებულ ბენეფიციარებს შევახვედროთ, რათა საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ, მოტივაცია აუმაღლონ და გავუზიაროთ, რომ მონდომების შემთხვევაში, წარმატება ყველასთვის შესაძლებელია.

Another task of our joint activity with Natakhtari Foundation is not only to give a specific amount of money to young people, but to teach them how to generate this amount, so that they can become contributors themselves, have a need to create something and not depend on handouts. Those who have been receiving assistance from the state for a long time have developed the psychology of a service recipient and are constantly waiting for this help. Our goal is to change this approach. At this point, we are mainly working with people over the age of 18 and who are already out of the state care system, and for whom the power of example is important. That is why we try to have them meet with our former, already successful beneficiaries to share their experiences, motivate them, and show that success is possible for everyone with determination.

**ANOTHER TASK OF OUR JOINT ACTIVITY WITH NATAKHTARI FOUNDATION IS NOT ONLY TO GIVE A SPECIFIC AMOUNT OF MONEY TO YOUNG PEOPLE, BUT TO TEACH THEM HOW TO GENERATE THIS AMOUNT, SO THAT THEY CAN BECOME CONTRIBUTORS THEMSELVES, HAVE A NEED TO CREATE SOMETHING AND NOT DEPEND ON HANDOUTS**



*IF THE MAIN GOAL OF CORPORATE RESPONSIBILITY IS TO PROMOTE COMMUNITY DEVELOPMENT, LONG-TERM COOPERATION IS IMPORTANT, WHICH WILL BRING LONG-TERM AND LASTING RESULTS*

*თუ კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარი მიზანი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი თანამშრომლობა, რაც ხანგრძლივ და მყარ შედეგებს მოგვიტანს*

**თქვენ ისაუბრეთ, რა მნიშვნელობა აქვს ბიზნესის თანადგომას არასამთავრობოებისა და პროექტში ჩართული მხარის, ამ შემთხვევაში, ახალგაზრდებისთვის. რას აძლევს თავად ბიზნესს მათი კორპორაციული პასუხისმგებლობა?**

კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის მიმართ დიდია საზოგადოების კეთილგანწყობა. ხშირად უთქვამთ, რომ შეგნებულად ყიდულობენ „ნატახტარის“ ლიმონათს, რადგან ზუსტად იციან, ეს თანხა რას ხმარდება. უკვე ძალიან ბევრი იცნობს ჩვენს საქმიანობას. ბუნებრივია, როცა ამდენი კარგი საქმე კეთდება, ბიზნესის მიმართ კეთილგანწყობაც იზრდება და ამას კომპანიისთვის დადებითი შედეგი მოაქვს, მათ შორის, ფინანსურადაც.

თუ კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარი მიზანი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი თანამშრომლობა, რაც ხანგრძლივ და მყარ შედეგებს მოგვიტანს. ეფექტური თანამშრომლობისთვის კი აუცილებელია საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება.

ამ ორი ფაქტორის თანხვედრა საუკეთესო შედეგს განაპირობებს. კარგი იქნება, თუ ბიზნესისა და არასამთავრობოების ერთიანობის მეტი მაგალითი გვექნება–დღესდღეობით მათი რიცხვი არც ისე დიდია. არადა, პარტნიორობა ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი: გარდა იმისა, რომ უფრო პროდუქტიულს ხდის საქმიანობას, ხელს უწყობს ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებასაც, რაც, საბოლოო ჯამში, თითოეული ჩვენგანის მიზანია.

**You talked about the importance of business support for NGOs and the parties involved in the project, in this case – young people. What does corporate responsibility give to business itself?**

There is a great deal of public sympathy towards businesses that display a sense of corporate responsibility. It is often said that they deliberately buy Natakhtari's lemonade because they know exactly what this money is used for. Many are familiar with our activities already. Naturally, when so many good things are done, benevolence towards the business also increases and this brings positive results for the company, including financial ones. If the main goal of corporate responsibility is to promote community development, long-term cooperation is important, which will bring long-term and lasting results. For effective cooperation, it is necessary to consider the needs and requirements of the society.

The combination of these two factors yields the best results. It would be nice if we could have more examples of joint efforts from business and non-governmental organizations. This number is not so high today. However, partnership is important in many ways: in addition to making activities more productive, it also contributes to the development of the country in different directions, which, in the end, is the goal for each and every one of us.

# ბილივი – ახალგაზრდების განათლებისათვის

# BELIEVE - FOR YOUTH EDUCATION

ფონდ „ბილივის“ პარტნიორული პროექტები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს – ახალი თაობის განათლებას ემსახურება. ხარისხიან სწავლებაზე წვდომა მათთვის დაარსების დღიდან პრიორიტეტულია. უკვე მეშვიდე წელია, „ბილივი“ ფოთში მცხოვრები ახალგაზრდული ჯგუფის წევრებისათვის საგანმანათლებლო კურსს წარმართავს, რომლის ფარგლებში ისინი სხვადასხვა მიმართულებით იღებენ არაფორმალურ განათლებას. „ბილივის“ საგანმანათლებლო პროექტები 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა. სწავლის პროცესში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩართულიყვნენ მოხალისეობრივ აქტივობებში და თავადაც გამოეჩინათ ინიციატივა.

**THE BELIEVE FOUNDATION PARTNERSHIP PROJECTS SERVE ONE OF THE MOST IMPORTANT TASKS - EDUCATING THE NEW GENERATION. ACCESS TO QUALITY EDUCATION HAS BEEN A PRIORITY FOR THEM SINCE THEIR ESTABLISHMENT. FOR THE SEVENTH YEAR IN A ROW, BELIEVE HAS BEEN CONDUCTING AN EDUCATIONAL COURSE FOR MEMBERS OF A YOUTH GROUP IN POTI, WITHIN THE FRAMEWORK OF WHICH THEY RECEIVE NON-FORMAL EDUCATION IN VARIOUS FIELDS. MORE THAN 200 YOUNG PEOPLE HAVE COMPLETED THE EDUCATIONAL PROJECTS OF BELIEVE. IN THE LEARNING PROCESS, THEY HAD THE OPPORTUNITY TO ENGAGE IN VOLUNTEER ACTIVITIES AND TAKE UP INITIATIVES THEMSELVES.**

*IN ORDER TO POPULARIZE NEW TECHNOLOGIES AND RAISE STEM AWARENESS, AN INNOVATIVE PROJECT WAS LAUNCHED FOR THE REGION IN 2020 - THE STEM GENERATION OF 'BELIEVERS', WHICH AIMS TO INTEREST YOUNG PEOPLE, ESPECIALLY GIRLS, IN STEM (SCIENCE, TECHNOLOGY, ENGINEERING AND MATHEMATICS) FIELDS AND DISCOVER NEW TALENTS*

*ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაციისა და STEM ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2020-ში წამოიწყეს რეგიონისთვის ინოვაციური პროექტი – „ბილიველების“ STEM თაობა, რომლის მიზანია ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი, გოგონების დაინტერესება STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) სფეროებით და ახალი ტალანტების აღმოჩენა*

2019 წლიდან ფონდმა თავისი საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) დაუკავშირა: სიღარიბის აღმოფხვრას, ხარისხიან განათლებას, შემცირებულ უთანასწორობას, საერთო მიზნებისთვის პარტნიორობას. ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაციისა და STEM ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2020-ში წამოიწყეს რეგიონისთვის ინოვაციური პროექტი – „ბილიველების“ STEM თაობა, რომლის მიზანია ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი, გოგონების დაინტერესება STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) სფეროებით და ახალი ტალანტების აღმოჩენა. ფოთში, როგორც ინდუსტრიულ ქალაქში, ეს მიმართულება სულ უფრო აქტუალურია. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მომავალში მათ STEM პროფესიებით დასაქმებას და რეგიონის განვითარებასაც დაეხმარება. მასში მოხალისეობრივად ჩაერთნენ დარგის ექსპერტები, სხვადასხვა კერძო და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

Since 2019, the foundation has linked its activities to the United Nations Sustainable Development Goals (SDGs): eradication of poverty, quality education, reduced inequalities, and partnership for the Goals. In order to popularize new technologies and raise STEM awareness, an innovative project was launched for the region in 2020 - the STEM generation of 'Believers', which aims to interest young people, especially girls, in STEM (science, technology, engineering and mathematics) fields and discover new talents. In Poti, which is an industrial city, this direction is becoming more and more relevant. This project will facilitate their employment in STEM professions in the future and will also help the development of the region. Experts from the field and various private and educational institutions participated in the initiative voluntarily.



გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ფასილიტაციით მიმდინარე პარტნიორულ პროექტ “STEM თაობა”-ს ფარგლებში, სულ ახლახანს STEM კონკურსი ჩატარდა. კონკურსი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში STEM სფეროების მიმართ ინტერესის გაღვივებას და კრეატიული აზროვნების უნარის განვითარებას. კონკურსის თემატიკა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერა; გარემოს დაცვა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა. კონკურსში მონაწილე გუნდებს უნდა შეერჩიათ ერთი კონკრეტული პრობლემა და სპეციალური ჟიურისთვის წარედგინათ ამ პრობლემის გადაჭრის პრაქტიკული გზები STEM-ის გამოყენებით.

Recently, a STEM competition was held within the framework of the ongoing partnership project STEM Generation with the facilitation of the Global Compact Network Georgia. The competition aimed to stimulate interest in STEM fields among young people and to develop creative thinking skills. The topics of the competition included the following areas: support for people with disabilities; environmental protection, and; access to education. The participating teams were supposed to select one specific problem and present practical solutions using STEM to a special jury.

Partner organizations play a big role in the success of Believe. 96 percent of the fund's income comes from the private sector. Among them is the international shipping line MSC

**HIGHER EDUCATION INSTITUTIONS COOPERATE WITH THE FUND, SHARING THEIR EDUCATIONAL RESOURCES WITH THEM**





„ბილივის“ საქმიანობის წარმატებაში დიდ როლს თამაშობენ პარტნიორი ორგანიზაციები. ფონდის შემოსავლების 96% კერძო სექტორზე მოდის. მათ შორის გამორჩეულია საერთაშორისო საზღვაო ხაზი MSC Georgia, რომელიც 7 წელია მხარს უჭერს „ბილივის“ საქველმოქმედო და შემეცნებით საქმიანობას.

განათლების სექტორში მნიშვნელოვანია პარტნიორობა სახელმწიფოსთანაც. „ბილივის“ შემეცნებით პროექტებში უმეტესად სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ, შესაბამისად, ფონდს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, კერძო და საჯარო სკოლებთან, პროფესიულ კოლეჯთან. ფონდთან თანამშრომლობენ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც თავიანთ საგანმანათლებლო რესურსებს უზიარებენ მათ. მსგავსი პარტნიორობა ხელს უწყობს ახალგაზრდების დაინტერესებას ახალი ტექნოლოგიებით და განათლებული თაობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

Georgia, which has been supporting Believe's charitable and educational activities for seven years.

Partnership with the state is also important in the education sector. Mostly schoolchildren participate in Believe's educational projects, therefore, the fund has close relations with Poti Educational Resource Center, private and public schools and vocational colleges. Higher education institutions cooperate with the fund, sharing their educational resources with them. Such a partnership promotes young people's interest in new technologies and serves to build an educated generation.

*ფონდთან თანამშრომ-ლობენ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც თავიანთ საგანმანათ-ლებლო რესურსებს უზიარებენ მათ*



# შრომის ბაზარი და გენდერული თანასწორობა

# LABOR MARKET AND GENDER EQUALITY

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს შორის ქალთა უფლებების თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მათ შორის, შრომის ბაზარზე არსებული ვითარებისა და სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის კუთხით. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, დისკრიმინაციის ფაქტებზე მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შრომით ურთიერთობებში განხორციელებულ ფაქტებს უკავშირდება (16%). შრომის თანაბარი ანაზღაურების მიხედვით, საქართველომ 45-ე ადგილიდან 69-ზე გადაინაცვლა, ხოლო მამაკაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი საშუალოდ, ორჯერ აღემატება ქალისას. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა მხოლოდ კომპლექსური მიდგომით შეიძლება.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის თემატიკის განხილვისას სექტორთშორისი ურთიერთობა განსაკუთრებით აქტუალურია. ამ პროცესში პარტნიორულ პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეუძლია, უფრო ფართო აუდიტორიამდე მიიტანოს გენდერული თანასწორობის იდეა და ხელი შეუწყოს სხვადასხვა მიმართულებით მის გაძლიერებას.

WOMEN'S RIGHTS IS ONE OF THE IMPORTANT ISSUES AMONG THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS, IN ADDITION TO BEING A PRESSING MATTER ON THE LABOR MARKET AND AS CONCERNS WORKPLACE DISCRIMINATION. ACCORDING TO THE PUBLIC DEFENDER'S 2018 REPORT, THE HIGHEST REFERRALS (16%) OF DISCRIMINATION CASES ARE MADE WITH RESPECT TO LABOR RELATIONSHIPS. GEORGIA HAS MOVED FROM 45TH PLACE ACCORDING TO EQUAL PAY TO 69TH, WITH MEN'S APPROXIMATE ANNUAL INCOME BEING ON AVERAGE TWICE AS MUCH AS FEMALE INCOME. IS. CONSIDERING THIS DATA, EXISTING INEQUALITY CAN ONLY BE ERADICATED WITH A COMPLEX APPROACH.

When discussing gender-based discrimination, cross-sectoral relationships are particularly important. Partnership projects in this process are of high significance, as they can bring the idea of gender equality to a wider audience and support its strengthening in various directions.

*გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის თემატიკის განხილვისას სექტორთშორისი ურთიერთობა განსაკუთრებით აქტუალურია*

*DISCUSSING GENDER-BASED DISCRIMINATION, CROSS-SECTORAL RELATIONSHIPS ARE PARTICULARLY IMPORTANT*

*პარტნიორულ პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეუძლია, უფრო ფართო აუდიტორიამდე მიიტანოს გენდერული თანასწორობის იდეა და ხელი შეუწყოს სხვადასხვა მიმართულებით მის გაძლიერებას*



**PARTNERSHIP PROJECTS IN THIS PROCESS ARE OF HIGH SIGNIFICANCE, AS THEY CAN BRING THE IDEA OF GENDER EQUALITY TO A WIDER AUDIENCE AND SUPPORT ITS STRENGT-HENING IN VARIOUS DIRECTIONS**

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კოალიცია „თანასწორობისთვის“, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ თავმჯდომარეობით და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით დაგეგმილი პროექტი – „კოალიცია თანასწორობისთვის,” რომლის მიზანი იყო საჯარო და კერძო სექტორებში თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში GCNG-თან თანამშრომლობით გაიმართა ტრენინგები შერჩეული ორგანიზაციების („ჰილტონ ბათუმი“, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, გაგუას კლინიკა) იურისტებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ადამიანური რესურსების ხელმძღვანელებთან.

„საფარი“ დაეხმარა GCNG-ის წევრ კომპანიებს ბიზნეს პოლიტიკასა და ოპერაციებში გენდერული თანასწორობის დებულებათა ინტეგრაციაში. ორგანიზაციის მიერ გამართულმა ტრენინგებმა „ჰილტონ ბათუმის“, გაგუას კლინიკისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თანამშრომლებს

The coalition For Equality, chaired by the organization Safari, served this very goal, as well as the project Coalition for Equality, planned with support from the Open Society Georgia Foundation, which aimed to support equality policy in public and private sectors. Within the project, in collaboration with GCNG, trainings were held with lawyers, public relations divisions and heads of human resources from the selected organizations (Hilton Batumi, East European University, Gagua Clinic).

Safari supported GCNG member companies in integrating gender equality provisions within their business policies and operations. Trainings held by the organizations gave the employees from Hilton Batumi, East European University, and Gagua Clinic additional motivation to scrupulously approach their policies from a gender equality perspective.
In additional to discrimination issues, mechanisms and strategies for combating discrimination were also discussed during the training, which will support the establishment of an equal work environment and contribute to future success.

*„ჰილტონის“ მისიაა, შექმნას კოლექტიური კულტურა ქალთა წინსვლის მხარდასაჭერად – მათი ჩართულობის, გაძლიერებისა და განვითარების ქსელის საშუალებით, რაც შემდგომში მათ კარიერულ ზრდას უზრუნველყოფს*

**HILTON'S MISSION IS TO CREATE A COLLECTIVE CULTURE FOR SUPPORTING WOMEN'S PROGRESSION THROUGH ENGAGING, EMPOWERING AND DEVELOPING A NETWORK FOR THEM, WHICH WILL ENSURE THEIR FUTURE CAREER GROWTH**

დამატებითი მოტივაცია გაუჩინა, გენდერულ ჭრილში უფრო სკრუპულოზურად მიდგომოდნენ თავიანთ პოლიტიკას. ტრენინგებზე, გარდა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხებისა, განიხილეს ორგანიზაციებში დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმები და სტრატეგია, რომელიც თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს და მათ შემდგომ წარმატებაზეც აისახება.

როგორც მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, ორგანიზაციები აცნობიერებენ თანასწორი სამუშაო გარემოს აუცილებლობას და არსებული სურათის გაუმჯობესებისკენ ისწრაფიან. „ჰილტონი“, როგორც საერთაშორისო ბრენდი, ყველა მოთხოვნას პასუხობს და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმებიც დანერგილი აქვს. ის დაარსების დღიდან ცდილობს, განახორციელოს პროგრესული იდეები და იზრუნოს საკუთარი გუნდის განვითარებაზე. „ჰილტონის“ მისიაა, შექმნას კოლექტიური კულტურა ქალთა წინსვლის მხარდასაჭერად – მათი ჩართულობის, გაძლიერებისა და განვითარების ქსელის საშუალებით, რაც შემდგომში მათ კარიერულ ზრდას უზრუნველყოფს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში დასაქმებულთა შორის გენდერული ბალანსი ქალთა სასარგებლოდაა „დარღვეული,“ თუმცა მმართველ რგოლში ამ კუთხით სრული თანაფარდობაა: სხვადასხვა მიმართულებით მმართველ პოზიციებზე დასაქმებულია 11 ქალი და 11 მამაკაცი.

As uncovered during the work process, organizations acknowledge the necessity of an equal work environment and strive to improve the existing situation. Hilton, which is an international brand, responds to all demands and has established mechanisms to combat discrimination. It tries to implement progressive ideas and develop its team. Hilton's mission is to create a collective culture for supporting women's progression through engaging, empowering and developing a network for them, which will ensure their future career growth.

At East European University, there are more female employees overall, however, at the management level there is full equality: in various managing positions, there are 11 women and 11 men.

If we follow the general trend, working at educational institutions is more attractive for women, which is why training sessions conducted by Safari did not see a need for radical changes in the university, as for the balance at the managerial level, there is full proportion in this regard.

In Gagua Clinic, employee gender balance is mostly respected. Considering the specifics of the organization (obstetrics and gynecology), women prevail in certain fields (e.g., nurses,



ზოგადი ტენდენციით თუ ვიმსჯელებთ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმება ქალებისთვის უფრო მიმზიდველია, ამიტომ ორგანიზაცია „საფარის“ ტრენინგებს უნივერსიტეტში განსაკუთრებული ცვლილებების საჭიროება არ მოჰყოლია. რაც შეეხება ბალანსის დაცვას მმართველ პოზიციებზე (იქ, სადაც უნივერსიტეტს მეტი ბერკეტი აქვს), ამ მიმართულებითაც სრული თანაფარდობაა.

გაგუას კლინიკაში დასაქმებულთა შორის გენდერული ბალანსი უმეტესად დაცულია. დაწესებულების სპეციფიკიდან (სამეანო-გინეკოლოგიური) გამომდინარე, კონკრეტული მიმართულებით (მაგ. ექთნები, პედიატრები, რადიოლოგები) ქალები ჭარბობენ, თუმცა მმართველ პოზიციებზე მამაკაცები უფრო მეტნი არიან. ამის მიუხედავად, ორგანიზაციისთვის ქალთა თემა მნიშვნელოვანია და სამომავლოდ, მენეჯმენტის თქმით, მეტად იზრუნებენ მმართველ რგოლში გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად.

ეს საკითხი არა მხოლოდ ღირებულებითი თვალსაზრისით, ფინანსური კუთხითაც მნიშვნელოვანია: კვლევების შედეგები მოწმობს, რომ ორგანიზაციები, რომელთა მმართველ რგოლშიც დაბალანსებულია გენდერული თანაფარდობა, ფინანსურად უფრო მდგრადები და მეტად შემოსავლიანები არიან. გარდა ამისა, ეს ყველაფერი დადებითად აისახება კომპანიების კორპორაციულ პასუხისმგებლობაზეც, რაც დიდ როლს ასრულებს მათი სამომავლო განვითარების თვალსაზრისით.

pediatricians, radiologists), however at the managerial level, men are represented more.. Regardless of this, the topic of gender balance is relevant for the organization and according to the management, they will work towards improving gender balance at the management level in the future.

This topic is significant not only at the value level, but financially as well: studies have demonstrated that organizations where gender balance is ensured at the management level are more financially sustainable and have higher revenues. Additionally, all this positively reflects on the company's corporate responsibility, which plays a great role in its future development.

*STUDIES HAVE DEMONSTRATED THAT ORGANIZATIONS WHERE GENDER BALANCE IS ENSURED AT THE MANAGEMENT LEVEL ARE MORE FINANCIALLY SUSTAINABLE AND HAVE HIGHER REVENUES*

*კვლევების შედეგები მოწმობს, რომ ორგანიზაციები, რომელთა მმართველ რგოლშიც დაბალანსებულია გენდერული თანაფარდობა, ფინანსურად უფრო მდგრადები და მეტად შემოსავლიანები არიან*

# ქართული მცირე და საშუალო კომპანიები გლობალური ხედვით

# GEORGIAN SMEs WITH A GLOBAL OUTLOOK

თანამედროვე სამყაროში, სადაც კონკურენცია ძალიან მაღალია, ბრენდის ფილოსოფია ბევრ რამეს განსაზღვრავს. თუ ბოლო დრომდე ეს ძირითადად, მსხვილ კორპორაციებს ეხებოდა, დღესდღეობით ღირებულებითი სისტემა პატარა კომპანიებისთვისაც მნიშვნელოვანია და ხშირად ხელს უწყობს მათ წინსვლას. ბრენდები, რომელთაც დღეს წარმოგიდგენთ, საერთო ღირებულებებმა გააერთიანა: ზრუნვა ბავშვებზე, გარემოსა და ეკოლოგიაზე – სათამაშოების მწარმოებელი კომპანია „ჩიკატაის“ და ბავშვთა ტანისამოსის კომპანია „სპილოუს“ მთავარი მესიჯია, რაც კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად, მდგრადი განვითარების მიზნებსაც ეხმიანება.

რას საქმიანობენ და რა განაპირობებს არცთუ დიდი ხნის წინ დაარსებული კომპანიების წარმატებას, რა გეგმები აქვთ და როგორ შეუძლია სხვადასხვა სექტორს, თავისი წვლილი შეიტანოს მცირე ბიზნესის განვითარებაში, „ჩიკატაის“ დამფუძნებელი, თამარ ბუიღლიშვილი და „სპილოუს“ თანადამფუძნებელი, სოფო ჩხაიძე გვესაუბრებიან.

IN THE MODERN WORLD WHERE COMPETITION IS VERY HIGH, A BRAND'S PHILOSOPHY DEFINES A LOT. WHILE UNTIL RECENTLY THIS MAINLY CONCERNED LARGE CORPORATIONS, TODAY A VALUE SYSTEM IS IMPORTANT FOR SMALL COMPANIES AS WELL, AND OFTEN HELPS THEM MOVE FORWARD. THE BRANDS WE PRESENT TODAY ARE UNITED BY COMMON VALUES: CARING FOR CHILDREN, THE ENVIRONMENT, AND THE ECOLOGY ARE THE MAIN MESSAGES OF TOY COMPANY CHIKATAI AND CHILDREN'S CLOTHING COMPANY SPILOW, WHICH, ALONG WITH FORMING THE CORE OF THEIR SENSE OF CORPORATE RESPONSIBILITY, ALSO RESPONDS TO THE CHALLENGES AND GOALS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT.

Tamar Buighlishvili, the founder of Chikatai, and Sopho Chkhaidze, the co-founder of Spilow, talk about their businesses and what has determined the success of their recently established companies; what their plans are and how different sectors can contribute to the development of small businesses.

*CARING FOR CHILDREN, THE ENVIRONMENT, AND THE ECOLOGY ARE THE MAIN MESSAGES OF TOY COMPANY CHIKATAI AND CHILDREN'S CLOTHING COMPANY SPILOW, WHICH, ALONG WITH FORMING THE CORE OF THEIR SENSE OF CORPORATE RESPONSIBILITY, ALSO RESPONDS TO THE CHALLENGES AND GOALS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT*





*ზრუნვა ბავშვებზე, გარემოსა და ეკოლოგიაზე – სათამაშოების მწარმოებელი კომპანია „ჩიკატაის“ და ბავშვთა ტანისამოსის მწარმოებელი კომპანია „სპილოუს“ მთავარი მესიჯია, რაც კორპორაციულ პასუხისმგებლობას-თან ერთად, მდგრადი განვითარების მიზნებსაც ეხმიანება*

**თქვენი ბრენდის შესახებ გვიამბეთ: როგორ შეიქმნა და რა ღირებულებები გაქვთ?**

**თამარ ბუიღლიშვილი:** „ჩიკატაი“ 2017 წელს დაარსდა. გადავწყვიტეთ, შეგვექმნა მუსიკალური სათამაშო ქართული მელოდიით. ეს იყო პირველი პრეცენდენტი ქართულ ბაზარზე და სწრაფადაც მოიპოვა პოპულარობა. პროდუქციის ხარისხთან ერთად, ძალიან დაგვეხმარა გია ყანჩელის მელოდია, რომლის გამოყენების უფლება უსასყიდლოდ მივიღეთ კომპოზიტორისგან. ამან ჩვენი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაზარდა.

**Tell us about your brand: how it was created and what values do you have?**

Tamar Buighlishvili: Chikatai was founded in 2017. We decided to create a musical toy with a Georgian melody. This was a first on the Georgian market, and it quickly gained popularity. Along with the quality of the product, the melody by Gia Kancheli helped us greatly, the use of which we received free of charge from the composer. This increased our responsibility even more.

Every toy of Chikatai is an animal, this is not accidental: we are their friends, we care for them, we protect nature,

*CARING FOR THE ENVIRONMENT IS ALSO IMPORTANT FOR SPILOW, WHICH IS MANIFESTED IN A ZERO-WASTE PRODUCTION LINE*

*გარემოზე ზრუნვა „სპილოუსთვისაც“ მნიშვნელოვანია, რაც უნარჩენო წარმოებაში გამოიხატება*

„ჩიკატაის“ ყველა სათამაშო – ცხოველი, ფრინველი ან წყლის ბინადარია და ეს შემთხვევითი არაა: ვმეგობრობთ, ვზრუნავთ, ვიცავთ ბუნებას და ჩვენი ღირებულებითი სისტემაც ამან განსაზღვრა. სოციალურ პასუხისმგებლობაზე თავიდანვე დავიწყეთ ფიქრი. გვინდოდა, „ჩიკატაი“ ყოფილიყო მეტი, ვიდრე სათამაშოების მწარმოებელი კომპანია და ჩვენი მომხმარებელი უფრო დიდი იდეის გარშემო გაგვეერთიანებინა. დღეს ბევრი მეგობარი და თანამოაზრე გვყავს. ამას თან ერთვის ხარისხიც, რასაც მუდმივად ვაუმჯობესებთ: გვინდა, ისეთი პროდუქცია შევქმნათ, რომელიც გარემოს ნაკლებად დააზიანებს.

**სოფო ჩხაიძე:** გარემოზე ზრუნვა „სპილოუსთვისაც“ მნიშვნელოვანია, რაც უნარჩენო წარმოებაში გამოიხატება. 2016 წელს ტასო ჯაფარიძესა და მარინკა ღარიბაშვილთან ერთად დავაარსეთ საბავშვო სამოსის კომპანია. მიზანი: შეგვექმნა ხარისხიანი და კრეატიული ტანსაცმელი ცელქი ბავშვებისთვის, რომელიც ხელს არ შეუშლიდა თამაშში და არ შეზღუდავდა მათ თავისუფლებას. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ე.წ. „დინოჟაკეტი“ — „სპილოუს“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი მოდელი, რომელიც ბავშვებს გარდასახვასა და როლურ თამაშში ეხმარება. ამ ჟაკეტის ფერადი „ეკლებისთვის“ დავიწყეთ პირველად ნარჩენების გამოყენება, თუმცა ქსოვილის გარკვეული რაოდენობა მაინც გვრჩებოდა. „ჩიკატაისთან“ კოლაბორაციამ ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრა.

**როგორ შედგა თქვენი თანამშრომლობა და რა სიკეთეები მოგიტანათ ამან?**

**თამარ ბუიღლიშვილი:** ზოგადად, ტექსტილის წარმოებაში ნულოვანი დანაკარგით მუშაობა წარმოუდგენელია, ამიტომ, გადავწყვიტეთ, ეს მაჩვენებელი მინიმუმამდე დაგვეყვანა და გაგვეკეთებინა ერთობლივი ხაზი, რაც სხვა პასუხისმგებლიან

and our value system is determined by this. We started thinking about our sense of social responsibility from the very beginning. We wanted Chikatai to be more than just a toy company and to unite our customers around a bigger idea. We have many friends and associates today. This is accompanied by the quality of our products which we are constantly improving: we want to create products that are less harmful to the environment.

Sopho Chkhaidze: Caring for the environment is also important for Spilow, which is manifested in a zero-waste production line. In 2016, together with Taso Japaridze and Marinka Gharibashvili, we established a children's clothing company. Our objective was to create quality and creative clothing for 'mischievous' children that would not interfere with play or restrict their freedom. The so-called Dino Hoodie turned out to be exactly this, and is now one of the most popular and best-selling products that Spilow has to offer. It helps children to transform and take on a role. For the "thorns" of this colorful hoodie, we started using first-hand waste, however a certain amount of fabric was still left over. Collaboration with Chikatai has partially solved this problem.

**How did your cooperation come into being and what benefits did it bring you?**

Tamar Buighlishvili: In general, it is unimaginable to work with zero loss in textile industry, so we decided to minimize this figure and create a joint line, which would set a good example for other responsible brands. The collaboration was responded to very well. By the way, musical hangers, which are made from the remnants of Spilow dresses, are most popular among consumers. This fact turned out to be important in terms of raising



ბრენდებს კარგ მაგალითს მისცემდა. კოლაბორაციას ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. სხვათა შორის, მუსიკალური საკიდები, რომლებიც „სპილოუს“ კაბების ნარჩენებისგან იქმნება, მომხმარებელში ყველაზე პოპულარულია. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ცნობიერების ამაღლების კუთხითაც – ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი ბევრს გაუჩნდა. ვგეგმავთ, გავაფართოვოთ არეალი, რათა უფრო მეტი კომპანია ჩაერთოს ამ პროცესში.

**სოფო ჩხაიძე:** თანამშრომლობის იდეა თითქმის ერთდროულად დაიბადა. ჩვენ გვქონდა მაღალი ხარისხის ქსოვილი, რაც „ჩიკატაისთვის“ დამატებითი შესაძლებლობა იყო სათამაშოების შესაქმნელად. ამასთან, ნარჩენების გამოყენებით გარემოზე მავნე ზემოქმედებაც მცირდებოდა. ყოველთვის გვჯეროდა მსავსი ღირებულებების მქონე კომპანიების წარმატებული პარტნიორობის. „სპილოუსა“ და „ჩიკატაის“ მაგალითმა ეს კარგად გვიჩვენა.

**2020 მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორივე თქვენგანისთვის: პანდემიის მიუხედავად, მოახერხეთ პროდუქციის უცხოურ ბაზარზე გატანა. „ჩიკატაი“ მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივის „გაეროს გლობალური შეთანხმების“ წევრი გახდა, „სპილოუს“ პირბადეები კი ბრიტანულ „ამაზონზე“ გავიდა და ერთ-ერთი პოპულარული ადგილობრივი გამოცემის მიერ 5 საუკეთესო დიზაინერულ პირბადეს შორის დასახელდა. რას ნიშნავს მსგავსი ფაქტები თქვენთვის და რა ვალდებულებას აკისრებს კომპანიებს?**

**თამარ ბუიღლიშვილი:** „ჩიკატაისთვის“ ეს დიდი პატივია და მეტ სტიმულს გვაძლევს განვითარებისთვის. ჩვენი თანამშრომლობა ეხმიანება გაეროს მე-12 (მდგრადი წარმოება და მოხმარება) და მე-17 მიზანს (პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის), რაც „სპილოუსთან“ კოლაბორაციის საფუძველია. ერთი შეხედვით, ჩვენნაირი პატარა კომპანიების კორპორაციული პასუხისმგებლობა თითქოს ბევრს არაფერს ცვლის გლობალური თვალსაზრისით, მაგრამ სინამდვილეში, დიდ შედეგებამდე სწორედ ასეთი პატარა ნაბიჯებით მივდივართ.

awareness, and many people want to cooperate with us. We plan to expand the extent of our cooperation to get more companies involved in the process.

Sopho Chkhaidze: The idea of cooperation was born almost simultaneously: we had high quality fabric, which was an additional opportunity for Chikatai to create toys. At the same time, the impact on the environment was reduced through the utilization of the waste from our production. We have always believed in successful partnership with companies of similar values. The example of Spilow and Chikatai demonstrated this well.

**2020 turned out to be important for both of you: despite the pandemic, you managed to take your products to foreign markets. Chikatai has become a member of the world's largest corporate sustainability initiative, the UN Global Compact, while the Spilow face mask has become available on Amazon UK and has been named one of the top five designer face masks by one of the most popular local publications. What does this all mean to you and what commitment does this impose on your companies?**

*ერთი შეხედვით, ჩვენნაირი პატარა კომპანიების კორპორაციული პასუხისმგებლობა თითქოს ბევრს არაფერს ცვლის გლობალური თვალსაზრისით, მაგრამ სინამდვილეში, დიდ შედეგებამდე სწორედ ასეთი პატარა ნაბიჯებით მივდივართ*

**AT FIRST GLANCE, CORPORATE RESPONSIBILITY OF SMALL COMPANIES LIKE OURS DOES NOT SEEM TO CHANGE A LOT FROM THE GLOBAL PERSPECTIVE, BUT, IN REALITY, BIG RESULTS ARE ACHIEVED THROUGH SUCH SMALL STEPS**

*ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან მრავალჯერადი მოხმარების პროდუქტი დავამზადეთ, რომელიც, ამავდროულად, ლამაზიც იყო და საქართველოში მალევე გახდა პოპულარული*

**WE CREATED A REUSABLE PRODUCT FROM ECOLOGICALLY CLEAN MATERIAL, WHICH, AT THE SAME TIME, WAS BEAUTIFUL AND SOON BECAME POPULAR IN GEORGIA**

**სოფო ჩხაიძე:** პანდემიამ ჩვენს კომპანიას ახალი შესაძლებლობები მოუტანა. 2020-ში, როცა მთელ მსოფლიოში გაჩნდა პირბადეების დეფიციტი, გადავწყვიტეთ, ამ მიმართულებით გვემუშავა. ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან მრავალჯერადი მოხმარების პროდუქტი დავამზადეთ, რომელიც, ამავდროულად, ლამაზიც იყო და საქართველოში მალევე გახდა პოპულარული. მომდევნო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ინგლისში მცხოვრებ ჩვენს ერთ-ერთ პარტნიორს გავუგზავნეთ და დიდი მოწონება დაიმსახურა, გადავწყვიტეთ, პირბადეები ბრიტანულ „ამაზონზე" გაგვეტანა. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა, რასაც, ხარისხთან ერთად, ხელი შეუწყო გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით კომპანიის პასუხისმგებლობამაც. ერთჯერადმა პირბადეებმა ეკოლოგიას სერიოზული საფრთხე შეუქმნა, ამიტომაც, მრავალჯერადი გამოყენების პროდუქტი ევროპელებისთვის მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს საქართველოშიც გაჩნდა ინტერესი მსგავსი თემების მიმართ და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა ბევრი კომპანიისა თუ ორგანიზაციის პრიორიტეტი გახდა.

**ქართულ რეალობაში კორპორაციულ პასუხისმგებლობას დიდი ბრენდების „მოვალეობად" მიიჩნევენ, თუმცა მცირე კომპანიების როლიც არანაკლებ მნიშვნელოვანია: ერთობლივი ძალისხმევით ისინი უფრო მეტად შეუწყობენ ხელს ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით?**



Tamar Buighlishvili: It is a great honor for Chikatai and gives us more incentive for development. Our cooperation is in line with the UN's 12th (Sustainable Production and Consumption) and 17th (Partnership for Sustainable Development) Goals, which are the basis for collaboration with Spilow. At first glance, corporate responsibility of small companies like ours does not seem to change a lot from the global perspective, but, in reality, big results are achieved through such small steps.

Sopho Chkhaidze: The pandemic brought new opportunities to our company. In 2020, when there was a shortage of face masks all over the world, we decided to work in this direction. We created a reusable product from ecologically clean material, which, at the same time, was beautiful and soon became popular in Georgia. At the next stage, after sending face masks to one of our partners in England and seeing that it was well received, we decided to put them on Amazon UK. The project was successful, which, along with quality, was facilitated by the company's sense of responsibility in terms of caring for the environment. Disposable face masks pose a serious threat to the environment, so the fact that they are made of reusable materials is important to Europeans. It is gratifying that recently there has been an interest in similar topics in Georgia and caring for a healthy environment has become a priority for many companies and organizations.

**In the Georgian reality, corporate responsibility is considered a 'duty' of large brands, but the role of small companies is no less important: through joint efforts they will further contribute to the achievement of Sustainable Development Goals in the country. What should be done in this direction?**

**თამარ ბუიღლიშვილი:** ამ საკითხის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება, რასაც კარგად ახერხებენ ჩვენნაირი ბრენდები. დიდი კომპანიების კორპორაციული პასუხისმგებლობა დიდ ხარჯებს უკავშირდება, ჩვენთვის კი უფრო კრეატივია წარმმართველი. ყოველთვის შეიძლება იდეის საინტერესოდ შეფუთვა და გავრცელება, რისი კარგი მაგალითია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან - WWF Georgia-სთან გაფორმებული მეგობრობის მემორანდუმი: ერთი-ერთი პირველი პროექტი გადაშენების პირას მყოფ ზუთხისებრთა კონსერვაციას ეხებოდა, რაც ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს; მეორე - ასევე გადაშენების პირას მყოფი ქურციკების რეინტროდუქციისკენ იყო მიმართული. ორივე შემთხვევაში, შევკერეთ სათამაშო ზუთხი და ქურციკი, რომელთა გაყიდვით შემოსულ თანხას მათი დაცვის საჭიროებისთვის მივმართავდით. პარალელურად, ვეწეოდით საინფორმაციო კამპანიას: ვლაპარაკობდით ყველგან, სადაც შესაძლებლობა გვქონდა და ეს იყო ჩვენი პასუხისმგებლობა კონკრეტულ თემაზე. ყველაფერთან ერთად, კერძო ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობის კარგი მაგალითი შევქმენით და მომავალშიც ვაპირებთ პარტნიორობას ამ მიმართულებით.

**ეს მართლაც საყურადღებო თემაა. არანაკლებ აქტუალურია თანამშრომლობა სახელმწიფოსთან. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით?**

**სოფო ჩხაიძე:** სახელმწიფოს გვერდში დგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისთვის. კარგი იქნება, თუ მიზნობრივ გრანტებს გამოყოფენ, რადგან „იაფი კრედიტი" და მსგავსი პროგრამები ჩვენ შემთხვევაში არ არის დიდად შედეგიანი. კარგად მუშაობს „აწარმოე საქართველოში," რომლის დახმარებითაც 2019 წლიდან საერთაშორისო საბავშვო ტანსაცმლის სავაჭრო გამოფენებზე გავდივართ. ამან გარკვეულწილად, გაზარდა ჩვენი ცნობადობა უცხოეთში.

*THE CORPORATE RESPONSIBILITY OF LARGE COMPANIES IS ASSOCIATED WITH HIGH COSTS, WHILE FOR US CREATIVITY IS LEADING*

*დიდი კომპანიების კორპორაციული პასუხისმგებლობა დიდ ხარჯებს უკავშირდება, ჩვენთვის კი უფრო კრეატივია წარმმართველი*

Tamar Buighlishvili: To solve this issue, it is important to raise consumer awareness, which is well achieved by brands like ours. The corporate responsibility of large companies is associated with high costs, while for us creativity is leading. An idea can always be interestingly packaged and disseminated, a good example of which is the Memorandum of Understanding with the World Wildlife Fund - WWF Georgia: one of the first projects was the conservation of endangered sturgeon, aiming to raise awareness in this area. The second was also aimed at reintroducing endangered gazelles. In both cases, we sewed toy sturgeon and gazelles, the proceeds of which we used for projects that seek to preserve these animals. At the same time, we ran an information campaign: we spoke wherever we could, and that was our responsibility as concerns this topic. Alongside other things, we have set a good example of cooperation between private business and non-governmental organizations and we plan to continue the partnership in this direction.

**This is a truly significant topic. Cooperation with the state is no less relevant. What is the situation in this regard?**

Sopho Chkhaidze: Standing by the State is vital for small businesses. It would be good if targeted grants are allocated, because 'cheap credit' and similar programs in our case are not very effective. Enterprise Georgia works well, with the help of which we have been participating in international children's clothing trade fairs since 2019. This, to a certain extent, has increased our awareness abroad.

ექსპორტის კიდევ ერთი მექანიზმია ონლაინ მაღაზია, სადაც მსურველს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია ჩვენი პროდუქციის ყიდვა, თუმცა იმის გამო, რომ საზღვარგარეთ გაგზავნა ძალიან ძვირია, ეს რესურსი ჯერჯერობით, აუთვისებელია.

**თამარ ბუიღლიშვილი**: სახელმწიფოს ჩართულობა ამ საკითხში ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მცირე ბიზნესს არა აქვს სხვადასხვა მიმართულებით განვითარების, მათ შორის, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის საშუალება. რეალურად, ქართული ბაზარი ძალიან პატარაა ჩვენნაირი ბრენდებისთვის. ექსპორტის პოტენციალი უმთავრესია. „აწარმოე საქართველოში“ მაქსიმალურად გვეხმარება, თუმცა, მხოლოდ ეს არ კმარა. სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ჩაერთოს მცირე ბიზნესის განვითარებაში, გააცნობიეროს მისი შესაძლებლობები. შესაძლოა, პატარა კომპანიების წვლილი ცალ-ცალკე დიდი არ არის პატარა ქვეყნის ეკონომიკისთვის, თუმცა, სულ სხვა სურათი იკვეთება მათი რაოდენობის გათვალისწინებით.

**არასამთავრობო სექტორი თუ გიდგათ მხარში? როგორია მათი ჩართულობა მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად?**

**თამარ ბუიღლიშვილი:** აუცილებლად უნდა აღვნიშნო „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ (EPRC) თანადგომა: მათი ერთ-ერთი პროექტის GeClosetoEU-ს გრანტის დახმარებით შარშან, პანდემიისას, სერტიფიცირებული ქსოვილი შევიძინეთ და ჩვენი სათამაშოები გავაგზავნეთ უსაფრთხოების შესამოწმებლად თურქეთის ლაბორატორიაში. მსგავსი გრანტები ძალზე საჭიროა მცირე ბიზნესისთვის და საბოლოოდ, კარგ შედეგს იძლევა. სამწუხაროდ, პატარა კომპანიებს დიდ გრანტებზე ხელი ნაკლებად მიგვიწვდება. ყველა ერთბაშად დიდ შედეგს ელის, რაც ერთი ხელის მოსმით არ ხდება.

Another mechanism of export is our online store, where anyone can buy our products from anywhere in the world, however, since shipping abroad is very expensive, this resource is still untapped.

Tamar Buighlishvili: The involvement of the state in this issue is very important, because small businesses do not have the opportunity to develop in various directions, including participation in international exhibitions. In fact, the Georgian market is too small for brands like ours. Export potential is paramount. Enterprise Georgia helps us as much as possible, however, it is not enough. The State should be more involved in the development of small business, to understand its capacity. Maybe contribution from small companies individually does not mean much for the economy of a small country, however, a completely different picture emerges considering their number.

**Does the non-governmental sector support you? What is their involvement in supporting small businesses?**

Tamar Buighlishvili: I must mention the support of the Economic Policy Research Center (EPRC), with whose help (from their GeClosetoEU project) last year during the pandemic we purchased certified fabric and sent our toys to a Turkish laboratory for safety testing. Grants like these are very much needed for small businesses and, ultimately, give good results. Unfortunately, small companies have little access to large grants. Everyone expects great results at once, which do not happen with one stroke of the hand.



*შესაძლოა, პატარა კომპანიების წვლილი ცალ-ცალკე დიდი არ არის პატარა ქვეყნის ეკონომიკისთვის, თუმცა, სულ სხვა სურათი იკვეთება მათი რაოდენობის გათვალის-წინებით*



*MAYBE CONTRIBUTION FROM SMALL COMPANIES INDIVIDUALLY DOES NOT MEAN MUCH FOR THE ECONOMY OF A SMALL COUNTRY, HOWEVER, A COMPLETELY DIFFERENT PICTURE EMERGES CONSIDERING THEIR NUMBER*

*სახელმწიფოს გვერდში დგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისთვის*

**STANDING BY THE STATE IS VITAL FOR SMALL BUSINESSES**

სოფო ჩხაიძე: გრანტი ძალიან დიდი დახმარებაა ჩვენნაირი კომპანიებისთვის – ჟანგბადი, რომელიც სიცოცხლისთვის გვჭირდება. ყველამ, ვინც EPRC-ის დაფინანსება მიიღო, ზუსტად იცოდა ამ თანხის დანიშნულება: ჩვენ „ამაზონზე“ დავრეგისტრირდით, რაც ძვირადღირებული მომსახურებაა, „ჩიკატაიმ“ ხარისხიანი ქსოვილი შეიძინა და სათამაშოების სერტიფიცირება შეძლო, სხვებმა – დანადგარები იყიდეს. ეს ყველაფერი საბოლოოდ ისევ სახელმწიფოს წაადგება. ამ შემთხვევაში, თანამშრომლობა მნიშვნელოვანია: მცირე ბიზნესს თავისი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და ცდილობს, შეასრულოს საკუთარი მისია, თუმცა, არსებულ ვითარებაში, როცა უამრავი სირთულის გადალახვა გვიწევს, ხელშეწყობა და თანადგომა სახელმწიფოსგანაც გვჭირდება.

Sopho Chkhaidze: A grant is a great help for companies like ours - the oxygen we need for surviving. Everyone who received EPRC funding knew exactly what the money was for: we registered with Amazon, which is an expensive service; Chikatai bought quality fabric and managed to get certification for the toys, while others still bought equipment. All this will eventually help the State. In this case, cooperation is important, as small businesses have a role to play in the development of the country's economy and are trying to fulfill their mission. However, in the current situation, when we have a lot of difficulties to overcome, we also need support from the State.

# მულტისექტორული პარტნიორული პროექტი საგზაო უსაფრთხოების შესახებ

# MULTISECTORAL PARTNERSHIP PROJECT ON ROAD SAFETY


**ნინო კვანტრიშვილი**
*მდგრადობის საკითხებისა და პარტნიორობის მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

**NINO KVANTRISHVILI**
*Senior Manager of Sustainability and Partnerships, Global Compact Network Georgia*


გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და ფასილიტაციით საგზაო უსაფრთხოების შესახებ მულტისექტორული პარტნიორული პროექტი ხორციელდება. პროექტის მიზანი საგზაო უსაფრთხოების მდგრადი სტანდარტებისა და წესების შესახებ კომპანიებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებისათვის სასერტიფიკატო ონლაინ კურსის შემუშავება, ტრენინგების ჩატარება და საზოგადოებაში საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაა.

საგზაო უსაფრთხოების შესახებ პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნება კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო. პროექტი შედგება რამდენიმე ეტაპისგან: ტრენინგები მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებისთვის; ონლაინ სასერტიფიკატო მოდულის შემუშავება (კურსის გავლას შეძლებს როგორც კომპანიების, ასევე მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლები); ტრენინგები და შეხვედრები სკოლებისა და აკადემიური დაწესებულებებისთვის; უსაფრთხო ქალაქის კონცეფციის დანერგვა მუნიციპალიტეტებში და ცნობიერების გაზრდის მიზნით საინფორმაციო კამპანიის განხორციელება მონაწილე კომპანიებთან ერთად.

A MULTI-SECTORAL PARTNERSHIP PROJECT ON ROAD SAFETY IS BEING IMPLEMENTED BY THE INITIATIVE AND FACILITATION OF GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA. THE AIM OF THE PROJECT IS TO DEVELOP AN ONLINE CERTIFICATION COURSE FOR COMPANIES AND MUNICIPAL TRANSPORT DRIVERS ON SUSTAINABLE ROAD SAFETY STANDARDS AND RULES, TO CONDUCT TRAININGS AND TO RAISE PUBLIC AWARENESS ON ROAD SAFETY ISSUES.

The private sector, civil society and the state will be engaged in the implementation of the road safety project. The project consists of several phases: trainings for municipal transport drivers; development of an online certification module (companies and municipal transport drivers will both be able to take the course); trainings and discussions for schools and academic institutions; the introduction of the concept of a safe city in municipalities and launching an information campaign with participating companies to raise awareness.

*კომპანიებში საგზაო უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების პრაქტიკის გავრცელებას საზოგადოებაში*

**IMPLEMENTING A ROAD SAFETY PROGRAMME IN COMPANIES WILL HELP SPREAD SAFE PRACTICES IN THE COMMUNITY**

*THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE COUNTRY PRIMARILY MEANS SAFE MOBILITY*

*ქვეყნის მდგრადი განვითარება პირველ რიგში გულისხმობს უსაფრთხო მობილობას*

„Wissol Group"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სამსახურის ხელმძღვანელი რუსუდან კბილაშვილი თვლის, რომ კომპანიები ვალდებულნი არიან წვლილი შეიტანონ საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების გაზრდის საკითხში. „ფატალურად დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების გლობალურად შემაძრწუნებელი სტატისტიკა (როგორც ვიცით, მსოფლიოში 1.35 მილიონი ადამიანი იღუპება ყოველწლიურად) ცალსახად უწილადებს პასუხისმგებლობას ყველას, ვისაც რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, რომ ციფრი შეცვალოს. შესაბამისად, არა მხოლოდ სახელმწიფო, ბიზნესი თუ სამოქალაქო სექტორი, არამედ თითოეული ადამიანი უნდა იყოს ჩართული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით ცნობიერების ამაღლების, ინფრასტრუქტურის განვითარების თუ პოსტ საგზაო შემთხვევისას სამედიცინო დახმარების სისტემის სრულყოფის მიმართულებით. თითოეული სექტორის თუ ფართო საზოგადოების ჩართულობის დონე კი არსებული რესურსებით უნდა განისაზღვრებოდეს, რადგან მხოლოდ ერთიანი ძალებით შევცლით მწვავე რეალობას!"

ონლაინ სასერტიფიკატო მოდულის შექმნას უზრუნველყოფს საგზაო უსაფრთხოების თემებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ონლაინ სასერტიფიკატო მოდული მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ადამიანის როლი ავტოავარიების ზრდასა თუ შემცირებაში; ნასვამობა საჭესთან; სიჩქარის გადაჭარბება; ავტომობილის დაუდევარი/უყურადღებო/გადაღლილი მართვა; ღვედების და სხვა უსაფრთხოების წესების მნიშვნელობა მგზავრობისას; ქვეითებისა და

Rusudan Kbilashvili, Head of Public Relations and Corporate Social Responsibility at Wissol Group, believes that companies have a responsibility to contribute to road safety awareness. "The appalling global statistics of fatal road accidents (as we know, 1.35 million people die each year in the world) unequivocally impose the responsibility of anyone who can take any effective steps to change this number. Accordingly, it's not just the state, businesses, or civil sector that should get involved, but also each person should be involved in raising traffic safety awareness, infrastructure development or improvement of post-traffic medical assistance system. The level of engagement of each sector or the wider community should be determined by the available resources, because only with united forces can we change the harsh reality!"

The creation of an online certification module is being worked on by a group of experts working on road safety topics. The online module developed in accordance with international standards covers road safety issues such as: the role of infrastructure, transport and people in increasing or decreasing car accidents; driving under the influence; speeding; careless/inattentive/fatigued driving; the importance of seat belts and other safety rules while traveling; safe and attractive streets for pedestrians and cyclists; rules to be followed by passengers; rules for safe travel for persons with disabilities; legislation, obligations under the EU Association Agreement, new regulations and statistics; providing first aid during a car accident, and; the concept of a safe city - green transport, safe infrastructure and moped driving rules.

"Road safety is one of the main challenges for Georgian society, and it hinders the development of the economy along with creating healthcare and social problems. Human tragedies, lost working hours, material, financial losses,

ველომოყვარულებისთვის უსაფრთხო და მიმზიდველი ქუჩები; მგზავრების მიერ დასაცავი წესები; შშმ პირთა უსაფრთხო მგზავრობის წესები; კანონმდებლობა, ვალდებულებები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, ახალი რეგულაციები და სტატისტიკა; პირველადი დახმარების გაწევა ავტოავარიის დროს; უსაფრთხო ქალაქის კონცეფცია – მწვანე ტრანსპორტი, უსაფრთხო ინფრასტრუქტურა და მოპედებით სიარულის წესები.

„საგზაო უსაფრთხოება არის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, და ის ჯანდაცვისა და სოციალურ პრობლემებთან ერთად ეკონომიკის განვითარებასაც აფერხებს. ადამიანური ტრაგედიები, დაკარგული სამუშაო საათები, მატერიალური, ფინანსური ზარალი, გაზრდილი სამედიცინო ხარჯი – ეს არის პრობლემების მცირე ჩამონათვალი. არსებულ ვითარებაში ბიზნეს სექტორის ფინანსური დანაკარგები დიდია, აქედან გამომდინარე ბიზნესის საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვაში სახელმწიფოსთან ერთად აქტიური ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ქვეყნის მდგრადი განვითარება პირველ რიგში გულისხმობს უსაფრთხო მობილობას. კომპანიებში საგზაო უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს უსაფრთხოების პრაქტიკის გავრცელებას საზოგადოებაში,“ – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ხელმძღვანელმა გელა კვაშილავამ.

პროექტის პირველ ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ პარტნიორობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ქცევის ეტიკეტის შესახებ „მგზავრობა ბარიერების გარეშე“ ორი ტრენინგი გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებისთვის გაიმართა.

საგზაო უსაფრთხოება არის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, და ის ჯანდაცვისა და სოციალურ პრობლემებთან ერთად ეკონომიკის განვითარებასაც აფერხებს

ROAD SAFETY IS ONE OF THE MAIN CHALLENGES FOR GEORGIAN SOCIETY, AND IT HINDERS THE DEVELOPMENT OF THE ECONOMY ALONG WITH CREATING HEALTHCARE AND SOCIAL PROBLEMS

increased medical expenses - these make for just a small list of the existing problems. In the current situation, financial losses of the business sector are large, therefore active engagement of business with the state in compliance with the rules of road safety is critical. The sustainable development of the country primarily means safe mobility. Implementing a road safety programme in companies will help spread safe practices in the community," said Gela Kvashilava, head of the NGO Partnership for Road Safety.

In the first phase of the project, in partnership with Gori Municipality and youth organization Changes for Equal Rights, two trainings were held for Gori Municipality public transport drivers about etiquette of behavior with people with disabilities.

Talking about the importance of this project, Toma Kakabadze, head of the youth organization Changes for Equal Rights, said that "the implementation of such multi-sectoral (public, private and non-governmental) partnership projects is very important, because, on the one hand, more can be achieved by combining more resources and, on the other hand, it is a good step towards promoting the establishment of a standard of cooperation between the sectors. The project will also facilitate the exchange of information between sectors, identify new problems and enable the implementation of future joint projects."

Zurab Jirkvelishvili, Director of the Gori Municipality Transport Agency, says that the agency is always ready to cooperate with the private and non-governmental sectors to ensure passenger safety and raise awareness of traffic rules.

"Gori Municipality has recently instituted municipal transport for the first time, which, on the one hand, is very important news, on the other hand, gives us



PARTNERSHIP PROJECTS IS VERY IMPORTANT, BECAUSE, ON THE ONE HAND, MORE CAN BE ACHIEVED BY COMBINING MORE RESOURCES AND, ON THE OTHER HAND, IT IS A GOOD STEP TOWARDS PROMOTING THE ESTABLISHMENT OF A STANDARD OF COOPERATION BETWEEN THE SECTORS

პარტნიორული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ერთი მხრივ რესურსების გაერთიანებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი და მეორე მხრივ, სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომ-ლობის სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობისკენ გადადგმული კარგი ნაბიჯია

ახალგაზრდული ორგანიზაციის „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი თომა კაკაბაძე ამ პროექტის მნიშვნელობის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ „მსგავსი მულტისექტორული (საჯარო, კერძო და არასამთავრობო) პარტნიორული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ერთი მხრივ რესურსების გაერთიანებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი და მეორე მხრივ, სექტორებს შორის ურთიერთანამშრომლობის სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობისკენ გადადგმული კარგი ნაბიჯია. ასევე, პროექტი ხელს შეუწყობს სექტორებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ახალი პრობლემების იდენტიფიცირებას და სამომავლო საერთო პროექტების განხორციელების შესაძლებლობას“.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი ზურაბ ჯირკველიშვილი აცხადებს, რომ ტრანსპორტის სააგენტო მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის და საგზაო მოძრაობის წესების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველთვის მზად არის კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისთვის.

great responsibility as the organization responsible for passenger safety. I would like to point out that passengers' safety has become increasingly important during the pandemic, as it includes not only road infrastructure, well-trained professional drivers and technically maintained buses, but also anti-Coronavirus measures, as these concern the health of each passenger".

"The involvement of non-governmental and private sector in the work of road safety is crucial to provide information to passengers and drivers and raise awareness on the significant issues. The Transport Agency is always ready to cooperate with private and non-governmental sector," said the director of the Gori Municipality Transport Agency. From 2021, 30 new buses have been delivered to Gori Municipality. The buses meet all the technical requirements of modern standards. All buses are fully accessible for people with disabilities. To make modern bus travel safer and more comfortable for passengers, youth organization Changes for Equal Rights Head Toma Kakabadze discussed the issues of safe travel without barriers for people with disabilities, the rules for using ramps and stopping; correct forms of relations with persons with disabilities - terminology, treatment and other issues during the training.

„გორის მუნიციპალიტეტს პირველად ჰყავს მუნიციპალური ტრანსპორტი, რაც, ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა, მეორე მხრივ, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვანიჭებს ჩვენ, როგორც ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია მგზავრების უსაფრთხოებაზე. მინდა, აღვნიშნო, რომ მგზავრთა უსაფრთხოება პანდემიის პერიოდში უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, რადგან აქ იგულისხმება, არამხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურა, კარგად მომზადებული პროფესიონალი მძღოლები და ტექნიკურად გამართული ავტობუსები, არამედ – კორონავირუსის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაც, რადგან საქმე ეხება თითოეული მგზავრის ჯანმრთელობას.

საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით მუშაობაში უმნიშვნელოვანესია არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობა, რათა მოხდეს მგზავრებისა და მძღოლების ინფორმაციული უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება საჭირო საკითხებზე. ტრანსპორტის სააგენტო ყოველთვის მზად არის კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისთვის,“ –აცხადებს გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

2021 წლიდან გორის მუნიციპალიტეტს 30 ახალი ავტობუსი გადაეცა. ავტობუსები შეესაბამება თანამედროვე სტანდარტის ყველა ტექნიკურ მოთხოვნას. ყველა ავტობუსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. იმისათვის, რომ თანამედროვე ავტობუსებით მგზავრობა უსაფრთხო და კომფორტული იყოს მგზავრებისთვის ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის ხელმძღვანელმა თომა კაკაბაძემ ტრენინგის დროს განიხილა შშმ პირების ბარიერების გარეშე უსაფრთხოდ მგზავრობის საკითხები, პანდუსის გამოყენებისა და გაჩერების წესი; შშმ პირებთან ურთიერთობის სწორი ფორმები – ტერმინოლოგია, მოპყრობა და ა.შ.

თომა კაკაბაძე თვლის, რომ მგზავრობა ბარიერების გარეშე ნიშნავს – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მგზავრობის თანაბრად მისაწვდომობის უზრუნველყოფას. „ტრენინგის მთავარი მიზანია, რომ მოხდეს მძღოლების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებთან და სერვისის ღირსეულად მიწოდებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, როგორც საზოგადოების ნაწილთან გვქონდეს ჯანსაღი ურთიერთობა, რაც გაგვიადვილებს ქცევის ეტიკეტის წესების შესწავლას და პრაქტიკაში რეალიზებას. ასევე, როდესაც ვფიქრობთ, რომ შშმ პირს სჭირდება დახმარება, სანამ გადავწყვეტთ ქმედების განხორციელებას, აუცილებლად ვკითხოთ უშუალოდ მას – სჭირდება თუ არა დახმარება. თანხმობის შემთხვევაში, დავაზუსტოთ – რა ტიპის დახმარება სჭირდება და როგორ უნდა დავეხმაროთ. მსგავსი მიდგომით, ჩვენ, ერთი მხრივ ავიცილებთ უხერხულობას და მეორე მხრივ დავამკვიდრებთ ჯანსაღ და არაღირსებისშემლახავ მიდგომას შშმ პირებთან დაკავშირებით,“ – განაცხადა ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა თომა კაკაბაძემ.

Toma Kakabadze believes that travel without barriers means ensuring equal access to travel for people with disabilities. "The main goal of the training is to inform drivers about the needs of people with disabilities and the proper delivery of services. It is important to have healthy relationships with people with disabilities, who are part of society, which will make it easier for us to learn the rules of etiquette and put them into practice."

"Also, when we think that a person with a disability needs help, before we decide to act, make sure to ask them directly – do they need help? In case of consent, specify - what kind of help is needed and how to help. With such an approach, we will, on the one hand, avoid embarrassment and, on the other hand, adopt a healthy and non-disrespectful approach to people with disabilities," said Toma Kakabadze, head of Changes for Equal Rights.

Within the framework of the partnership project, three trainings will be held for 120 drivers of public transport in Gori Municipality on the topic of safe transportation of persons with disabilities.

The project partners include Partnership for Road Safety (working on the online certification module); youth organization Changes for Equal Rights (conducting trainings for safe transportation of persons with disabilities); and other organizations working on road safety (negotiations are underway with a number of organizations). The project also involves local NGOs working in Gori

პარტნიორული პროექტის ფარგლებში, შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების თემაზე, გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის 120 მძღოლისთვის სამი ტრენინგი ჩატარდება.

საგზაო უსაფრთხოების შესახებ პროექტის პარტნიორები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ (ონლაინ სასერტიფიკატო მოდულზე მუშაობა); ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ (შშმ პირების უსაფრთხო გადაადგილების ტრენინგები); და საგზაო უსაფრთხოების თემაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები (მიმდინარეობს მოლაპარაკებები არაერთ ორგანიზაციასთან). ასევე პროექტში ჩართული არიან გორის მუნიციპალიტეტში მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოება „ბილიკი“ და „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“. პროექტში გორის მუნიციპალიტეტის მსგავსად ჩაერთვება შესაბამისი სახელმწიფო უწყებები. ხოლო მას შემდეგ, რაც განისაზღვრება პროექტში კომპანიების ინტერესები და ჩართულობის დონე მათთან ერთად დაიგეგმება საინფორმაციო კამპანია საგზაო უსაფრთხოების წესების შესახებ.

საგზაო უსაფრთხოების შესახებ მულტისექტორული პარტნიორული პროექტის განხორციელების იდეა ეკუთვნის გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს. პროექტის განხორციელების ეტაპზე ორგანიზაციას ექნება ფასლიტატორის როლი დაინტერესებულ მხარეებს შორის.

Municipality, the Biliki Society and the Welfare and Development Center. State agencies, such as Gori Municipality, will be involved in the project as well. And once the interests and the level of engagement of the companies are determined, an information campaign on road safety rules will be planned with them.

The idea of implementing a multisectoral partnership project on road safety belongs to the Global Compact Network Georgia. At the project implementation stage, the organization will have the role of facilitator among stakeholders.

ტრანსპორტის სააგენტო ყოველთვის მზად არის კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისთვის



**TRANSPORT AGENCY IS ALWAYS READY TO COOPERATE WITH PRIVATE AND NON-GOVERNMENTAL SECTOR**

ORIENT LOGIC ორიენტ ლოჯიკი - წარმატებული პარტნიორი

# ORIENT LOGIC

„ორიენტ ლოჯიკი" მულტინაციონალური ვენდორის - DELL TECHNOLOGIES-ის პლატინუმ პარტნიორია. აღნიშნული სტატუსი DELL TECHNOLOGIES-თან განხორციელებული ერთობლივი პროექტების შედეგად მიენიჭა. ამ ორი კომპანიის საქმიანი ურთიერთობა წარმატებული თანამშრომლობის კარგი მაგალითია, რომელიც ეტაპობრივად ვითარდება წლების განმავლობაში.

**ORIENT LOGIC IS A PLATINUM PARTNER OF MULTINATIONAL VENDOR DELL TECHNOLOGIES. THIS STATUS WAS GRANTED AS A RESULT OF JOINT PROJECTS WITH DELL TECHNOLOGIES. THE BUSINESS RELATIONSHIP BETWEEN THESE TWO COMPANIES IS A GOOD EXAMPLE OF A SUCCESSFUL COLLABORATION THAT HAS BEEN GRADUALLY EVOLVING OVER THE YEARS.**

*„ორიენტ ლოჯიკის" გუნდმა DELL TECHNOLOGIES-თან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მოამზადა როგორც ადგილობრივი კომპანიების, ისე ტექნოლოგიური ბაზრის განვითარებისთვის*

*THE ORIENT LOGIC TEAM AND DELL TECHNOLOGIES HAS PREPARED A NUMBER OF IMPORTANT PROJECTS FOR THE DEVELOPMENT OF BOTH LOCAL COMPANIES AND THE TECHNOLOGY MARKET*



*NUMEROUS INNOVATIVE SOLUTIONS OF DELL TECHNOLOGIES HAVE BEEN IMPLEMENTED IN VARIOUS EDUCATIONAL INSTITUTIONS THROUGHOUT GEORGIA, BASED ON WHICH THE EDUCATIONAL PROCESS IS CARRIED OUT TO THE HIGHEST STANDARDS*

*საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში Dell Technologies-ის არაერთი ინოვაციური გადაწყვეტილება დაინერგა, რომელთა საფუძველზე უმაღლესი სტანდარტებით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი*

კომპანია „ორიენტ ლოჯიკი" 1995 წელს დაფუძნდა და უკვე 25 წელია ქართულ ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ინტეგრირებაში ეხმარება. მისი პარტნიორობა Dell Technologies-თან 1998 წლიდან იწყება. სწორედ „ორიენტ ლოჯიკი" იყო პირველი კომპანია, რომელმაც საქართველოში ეს უფლება მოიპოვა. 23 წლის მანძილზე ერთობლივი ძალისხმევით არაერთი მასშტაბური და წარმატებული ტექნოლოგია დანერგეს, რამაც ამ სფეროში სასიკეთო ძვრები განაპირობა.

„ორიენტ ლოჯიკის" გუნდმა Dell Technologies-თან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მოამზადა როგორც ადგილობრივი კომპანიების, ისე ტექნოლოგიური ბაზრის განვითარებისთვის. აღსანიშნავია სახელმწიფო სექტორში განხორციელებული პროექტები, რომელთა საფუძველზე მოსახლეობას მთელ საქართველოში უწყვეტად მიეწოდება სხვადასხვა სახის სერვისი. ამასთან, სახელმწიფო უწყებები შეუფერხებლად ოპერირებენ ყოველდღიურ რეჟიმში. მნიშვნელოვანია მუშაობა საგანმანათლებლო მიმართულებითაც. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში Dell Technologies-ის არაერთი ინოვაციური გადაწყვეტილება დაინერგა, რომელთა საფუძველზე უმაღლესი სტანდარტებით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. ეს კი განსაკუთრებით აქტუალურია პანდემიის პერიოდში, როდესაც სასწავლო რეჟიმი დისტანციურ სწავლებასაა მორგებული.

პარტნიორის სტატუსი ორგანიზაციებს რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის საფუძველზე ენიჭებათ, პლატინუმ სტატუსს კი გარკვეული რაოდენობით წარმატებული პროექტი, კომპანიაში დასაქმებული სპეციალისტების მაღალი კომპეტენცია და სხვადასხვა მიმართულების ტექნოლოგიური სერტიფიცირება განაპირობებს. „ორიენტ ლოჯიკის" გუნდმა სრულად დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნები, რაც ხაზს უსვამს მათ უმაღლეს პროფესიონალიზმს ქართულ ბაზარზე მსოფლიოს წამყვანი ვენდორის გადაწყვეტილებების დანერგვისა და შესაბამისი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

Orient Logic was founded in 1995 and has been supporting organizations on the Georgian market to introduce and integrate modern technologies for 25 years. Its partnership with Dell Technologies dates to 1998. Orient Logic was the first company to gain this right in Georgia. Over the course of 23 years, a number of large-scale and successful technologies have been introduced through joint efforts, which led to positive shifts in the field.

The Orient Logic team and Dell Technologies has prepared a number of important projects for the development of both local companies and the technology market. Projects implemented in the public sector are noteworthy: on their basis various services are continuously provided to the population all over Georgia. At the same time, government agencies daily operations are smooth.

It is important to work in the field of education as well. Numerous innovative solutions of Dell Technologies have been implemented in various educational institutions throughout Georgia, based on which the educational process is carried out to the highest standards. This has been especially relevant during the pandemic, when studies were adapted to distance learning requirements.

The Dell Technologies' partner status is given to organizations based on several important criteria, while platinum status is determined by a certain number of successful projects, high competence of specialists employed in the company and technological certification in various fields.

# მულტისექტორული პარტნიორობა: როგორც მიზანი, ასევე მიზნის მიღწევის საშუალება

**შორენა მეგრელიშვილი**
*ფონდების მოძიების კონსულტანტი გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

SHORENA MEGRELISHVILI
*Fundraising Consultant, Global Compact Network Georgia*

# MULTI-SECTOR PARTNERSHIPS: AN END AND A MEANS FOR SUSTAINABILITY

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ცხადად დაგვანახა თუ როგორი მოწყვლადი ვართ გლობალური გამოწვევების წინაშე შეუქცევადი გლობალიზაციის, სოციალური კავშირებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გამო. თუმცა ამ ფართომასშტაბიანმა გამოწვევამ ასევე დაამტკიცა, რომ ძალების ერთობლივ მობილიზებას და სექტორთშორისი რესურსების და პოლიტიკური ძალისხმევის თავმოყრას ვაქცინის შექმნა, ათწლეულების ნაცვლად, 10 თვეზე ნაკლებ დროში შეუძლია.

THE COVID-19 GLOBAL PANDEMIC HAS EXPOSED OUR VULNERABILITY TOWARDS GLOBAL CHALLENGES DUE TO IRREVERSIBLE GLOBALIZATION, SOCIAL CONNECTIONS AND ECONOMIC INTERDEPENDENCE. HOWEVER, THIS LARGE-SCALE PROBLEM HAS ALSO SHOWN THAT A JOINT MOBILIZATION OF FORCES AND THE COMBINATION OF INTER-SECTORIAL RESOURCES AND POLITICAL EFFORTS CAN DELIVER A VACCINE IN LESS THAN 10 MONTHS, INSTEAD OF DECADES.

*ახალი გამოწვევები ახალ შესაძლებ-ლობებს ქმნის და საფუძველს უყრის მდგრად, ინოვაციურ და ფართო ზეგავლენის მქონე მიდგომებს*

*NEW CHALLENGES PROVIDE NEW OPPORTUNITIES AND PROVIDE A FOUNDATION TO SUSTAINABLE, INNOVATIVE, AND HIGH IMPACT APPROACHES*





*ბიზნესის და რაც მთავარია, მდგრადი ბიზნესის თანამედროვე გაგება ნულოვან-ჯამოვანი თამაში აღარაა, „მოგება" სხვების „წაგებაზე" არ არის დამოკიდებული და კორპორაციული მიზნების მიღწევისთვის, სულ უფრო წამყვანი პოზიცია უჭირავს სხვა სექტორებთან პარტნიორობას*

**FOR BUSINESSES, AND VERY IMPORTANTLY, FOR SUSTAINABLE BUSINESSES, "BUSINESS AS USUAL" IS NO LONGER A ZERO-SUM GAME, AND ONE'S "WIN" DOES NOT CONSTITUTE ANOTHER'S "LOSS". INTER-SECTORAL, MULTI-STAKEHOLDER PARTNERSHIPS ARE LEADING THE CORPORATE GOAL-SETTING AGENDA MORE AND MORE**

ახალი გამოწვევები ახალ შესაძლებლობებს ქმნის და საფუძველს უყრის მდგრად, ინოვაციურ და ფართო ზეგავლენის მქონე მიდგომებს. თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს შორის ზღვარი ნელ-ნელა იშლება, რადგან საზოგადოებები იაზრებენ ამ სფეროებს შორის უწყვეტ კავშირსა და ერთმანეთზე არსებულ ზეგავლენას. იმ მდგრადი მომავლის შესაქმნელად, რომელსაც 2015 წელს, გაეროს მიერ შემუშავებული 17 მდგრადი განვითარების მიზანი გვპირდება, საჭიროა უპრეცენდენტო ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსის მობილიზება. სწორედ ამიტომ, მე-17 მიზანი – პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად – საჯარო, არასამთავრობო, ბიზნეს, საგანმანათლებლო თუ სხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას ემსახურება. შესაბამისად, მულტისექტორული თანამშრომლობა მიზანთან ერთად, მიზნის მიღწევის საშუალებაცაა.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი უნიკალური შესაძლებლობაა ქართული ბიზნესისთვის ადგილობრივ დონეზე შესრულებული საქმიანობით ჩაებას გლობალური მიზნების მიღწევის ფერხულში.

New challenges provide new opportunities and provide a foundation to sustainable, innovative, and high impact approaches. In the modern world, boundaries between social, economic, and environmental challenges are blurred as societies realize the existing uninterrupted connections between these spheres and the impact they can have on each other. To create the sustainable future that the 2015 UN 17 Sustainable Development Goals promise, the unprecedented mobilization of human capital, financial, technical, and technological resources is required. Accordingly, Goal 17–Partnerships for Goals–serves to promote cooperation among public, non-governmental, business, educational and other sectors. Therefore, multi-sector cooperation is both an end and a means for sustainability.

UN Global Compact Network Georgia (GCNG) is a unique opportunity for Georgian businesses to contribute to achieving global goals by local actions. For businesses, and very importantly, for sustainable businesses, "business as usual" is no longer a zero-sum game, and one's "win" does not constitute another's "loss". Inter-sectoral, multi-stakeholder partnerships are leading the corporate goal-setting agenda more and more.

*COLLABORATING WITH NGOS AND IMPLEMENTING SOCIAL INITIATIVES, INCLUDING IN NON-MATERIAL FORMS, SUCH AS VOLUNTEERING OR MENTORING, IMPROVES STAFF ATTITUDE AND LOYALTY TOWARDS A BRAND AND DEVELOPS AN INTERNAL ORGANIZATIONAL CULTURE IN BUSINESSES*

*არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო ინიციატივების განხორციელება, თუნდაც არამატერიალური საშუალებებით, როგორიცაა მოხალისეობა, მენტორობა თუ სხვა, მნიშვნელოვნად ამაღლებს თანამშრომლების განწყობას და ბრენდის მიმართ ერთგულებას და ავითარებს შიდა ორგანიზაციულ კულტურას*

ბიზნესის და რაც მთავარია, მდგრადი ბიზნესის თანამედროვე გაგება ნულოვან-ჯამოვანი თამაში აღარაა, „მოგება“ სხვების „წაგებაზე“ არ არის დამოკიდებული და კორპორაციული მიზნების მიღწევისთვის, სულ უფრო წამყვანი პოზიცია უჭირავს სხვა სექტორებთან პარტნიორობას. ბიზნესის კეთების პროცესში, კორპორაციულთან ერთად, სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილების შემოტანა ქმნის ერთგვარ „საზიარო ღირებულებას“ – მოგებული რჩება ყველა – როგორც ბიზნესი, ასევე საზოგადოება.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი უკვე რამდენიმე წელია ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოში მოქმედ ბიზნესებს შორის მულტისექტორულ თანამშრომლობას. 2019-2020 წლებში, როგორც ქსელის პარტნიორობის კონსულტანტს, საშუალება მქონდა მემუშავა არაერთ არასამთავრობო და ბიზნეს აქტორთან მულტისექტორული პარტნიორული პროექტების შემუშავებისთვის. როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულად საქართველოს კონტექსტში, მულტისექტორულ თანამშრომლობას შემდეგი დადებითი ასპექტები გააჩნია: პარტნიორულ პროექტს შეუძლია როგორც კორპორაციული ინტერესების ან პრიორიტეტების დაკმაყოფილება, ასევე სოციალური სარგებელის მოტანა. მაგალითად, პროექტი შეიძლება ხელს უწყობდეს ბიზნესის მიერ ახალი ტალანტების მოძიებას და ამავდროულად, რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, თუ სხვა) დასაქმებას;

GCNG has been promoting multi-sectoral partnerships between businesses and non-governmental organizations (NGOs) in Georgia for several years. In 2019-2020, as a partnerships consultant, I had the opportunity to work with various NGOs and businesses to develop multi-sector partnership projects. Generally speaking, and in Georgia as well, multi-sector cooperation may have the following positive aspects:

Partnership projects may help satisfy corporate interests and priorities in addition to bringing social benefits. For example, a project may promote finding new talents by a business and employ a certain vulnerable group (people with disabilities, socially vulnerable youth, ethnic minorities, etc.) at the same time.



## კორპორაციული მდგრადობა ყოველდღიური პროცესია და არა ზოგადი მიზანი

## CORPORATE SUSTAINABILITY IS A DAY-TO-DAY JOURNEY AND NOT AN END GOAL

პარტნიორულ პროექტში ჩართვით, არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ იფიქრონ კრეატიულად, „ჩარჩოს გარეთ“ და დონორი ორგანიზაციების გარდა, ბიზნესიც განიხილონ როგორც დაფინანსების და არამატერიალური მხარდაჭერის მიღების საშუალება;

პარტნიორობის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ბიზნესებს საშუალება ეძლევათ გაცვალონ ექსპერტული ცოდნა და კოლაბორაცია განახორციელონ საერთო მიზნების გარშემო. მაგალითად, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია და ბიზნესი რომლის პრიორიტეტი გარემოს დაცვაა თავისი საქმიანობის ზეგავლენიდან გამომდინარე, შესაძლოა ერთად ახორციელებდეს პარტნიორულ გარემოსდაცვით პროექტს;

არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ბიზნესს მიაწოდონ მნიშვნელოვანი ცოდნა, უკუკავშირი და გამოცდილებაზე დაფუძნებული ექსპერტული მოსაზრებები ბიზნეს საქმიანობაში ანტიკორუფციულ, შრომითი უფლებების დაცვის, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, გენდერულად სენსიტიურ და სხვა მიდგომებსა და პრინციპებთან დაკავშირებით;

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საზოგადოებისთვის სასარგებლო ინიციატივების განხორციელება, თუნდაც არამატერიალური საშუალებებით, როგორიცაა მოხალისეობა, მენტორობა თუ სხვა, მნიშვნელოვნად ამაღლებს

Partnership projects enable NGOs to think creatively, "out of the box" and in addition to donor organizations, consider businesses as well as a source of funding and non-material support.

Through partnerships, NGOs and businesses may exchange expert knowledge and collaborate for common goals. For example, an environmental NGO may collaborate with a business that prioritizes environmental protection due to its environmental impact on an environmental partnership project).

NGOs may provide businesses with important knowledge, feedback, and experience-based expert opinions regarding anti-corruption, labor rights protection, human rights-based, gender sensitive and other approaches and principles.

Collaborating with NGOs and implementing social initiatives, including in non-material forms, such as volunteering or mentoring, improves staff attitude and loyalty towards a brand and develops an internal organizational culture in businesses.

Partnership projects contribute to a significant improvement of the reputation of a business in a target community. They increase brand recognition and promote trust and positive attitudes towards the business.

თანამშრომლების განწყობას და ბრენდის მიმართ ერთგულებას და ავითარებს შიდა ორგანიზაციულ კულტურას;

პარტნიორული პროექტების განხორციელება საამიზნე თემში ბიზნესის რეპუტაციას მნიშვნელოვნად ამაღლებს, ზრდის ბრენდის ცნობადობას და მის მიმართ ნდობას და კეთილგანწყობას;

**რამდენიმე მიგნება და რეკომენდაცია პირადი გამოცდილებიდან:**

საჭიროა ცნობიერების ამაღლება კორპორაციულ მდგრადობასა და მულტისექტორულ თანამშრომლობაზე – კორპორაციული მდგრადობის არსი კიდევ ბევრ ბიზნესს უნდა გავაგებინოთ, რადგან ხშირ შემთხვევაში დაბალ ცნობიერებასთან ერთად, გვხვდება ბევრი შემთხვევა, როცა ბიზნესის საქმიანობა კორპორაციული მდგრადობის პრინციპებს მთლიანად ეწინააღმდეგება;

კორპორაციული მდგრადობა ხშირად აღიქმება როგორც პიარის ან მარკეტინგული კომუნიკაციების მიმართულება. ასევე ხშირია მოსაზრება, რომ ამ „მიმართულებას“ საკუთარი ბიუჯეტი სჭირდება. სინამდვილეში, კორპორაციული მდგრადობა ბიზნესის კეთების გზაა, პრინციპია და მას არა საკუთარი ბიუჯეტი, არამედ ბიზნესის ყველა განზომილებაში გათვალისწინება სჭირდება.

არსებობს საქმიანი კავშირების და ნდობის დაბალი ხარისხი ბიზნესსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის – შესაბამისად, საკმაოდ ბევრია სამუშაო, რომ ხელი შეეწყოს ორივე სექტორის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას ერთმანეთის საქმიანობის პრინციპების და მიდგომების შესახებ. ასევე საჭიროა, რომ სათანადოდ წარმოჩინდეს ყველა პარტნიორული პროექტი, რათა საზოგადოებამ მეტი გაიგოს მულტისექტორული თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკის შესახებ.

პარტნიორულ პროექტებზე გადაწყვეტილებები არა ბიუჯეტის ან რომელიმე კონკრეტული დეპარტამენტის სურვილის მიხედვით, არამედ კორპორაციული მიზნებიდან გამომდინარე უნდა იქნას მიღებული, რაც ნიშნავს, რომ კორპორაციული მდგრადობის მისაღწევად საჭიროა პროცესში ჩართული იყოს კომპანიაში მომუშავე ყველა რგოლი და პირველ რიგში, აღმასრულებელი მენეჯმენტი.

პარტნიორულ პროექტების წარმოჩენასა და პოპულარიზაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს იმ არასამთავრობო, საჯარო თუ ბიზნეს ლიდერებს შორის კოლაბორაციას და თანამშრომლობას, ვისაც

**Several findings and recommendations from my own experience:**

There is a need to raise awareness about corporate sustainability and multi-sectoral cooperation–the essence of corporate sustainability must be explained to many more businesses. Along with the low awareness, there are many cases when business activities are completely contrary to the principles of corporate sustainability.

Corporate sustainability is often perceived as a direction of PR or marketing communications. It is also considered that this 'direction' needs its own budget. In fact, corporate sustainability is a way of doing business, it is a principle, and it needs not its own budget, rather it is incorporated into all dimensions of business.

There is a low degree of business connections and trust between businesses and NGOs –a lot of work needs to be done to raise awareness of working principles and approaches of both sectors. It is also necessary to properly promote all partnership projects so that the public can learn more about successful cross-sectoral practices.

Decisions on partnership projects should not be made based on the available budget or wishes of any department but should instead consider corporate goals. To achieve corporate sustainability, it is necessary to involve all levels of governance in the process, and primarily the executive management.





გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება მდგრადობის ხელშეწყობის მიმართულებით. ეს უფრო მეტად განავითარებს ინოვაციულ იდეებსა და მიდგომებს და ექნება წამახალისებელი ეფექტი აღნიშნულ სფეროებში მომუშავე სხვა პროფესიონალებზე.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ყველა ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს, ისაა, რომ კორპორაციული მდგრადობა ყოველდღიური პროცესია და არა ზოგადი მიზანი. მდგრადობის შესანარჩუნებლად კი სხვა სექტორებთან პარტნიორობა მრავალჯერ გამოცდილი და ეფექტური გზაა: ერთი მშვენიერი ქართული ანდაზის არ იყოს, ძალა ნამდვილად ერთობაშია.

*პარტნიორულ პროექტებზე გადაწყვეტილებები არა ბიუჯეტის ან რომელიმე კონკრეტული დეპარტამენტის სურვილის მიხედვით, არამედ კორპორაციული მიზნებიდან გამომდინარე უნდა იქნას მიღებული*

*DECISIONS ON PARTNERSHIP PROJECTS SHOULD NOT BE MADE BASED ON THE AVAILABLE BUDGET OR WISHES OF ANY DEPARTMENT BUT SHOULD INSTEAD CONSIDER CORPORATE GOALS*

In addition to presenting and promoting partnership projects, it is important to foster cooperation and collaboration among non-governmental, public sector, or business leaders who have relevant knowledge and experience in sustainability. This will further develop innovative ideas and approaches and incentivize other professionals working in the same fields.

Finally, one important thing that every business should consider is that corporate sustainability is a day-to-day journey and not an end goal, while partnering with other sectors to maintain sustainability is a tested and effective way: as one wonderful Georgian proverb goes, power is truly in unity.



## აქციე გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად – გამოსავლების ძიება პარტნიორობის მეშვეობით

# MAKING GLOBAL GOALS LOCAL BUSINESS–FINDING SOLUTIONS THROUGH PARTNERSHIPS

25-26 მარტს საქართველომ უმასპინძლა გაეროს გლობალური შეთანხმების ფლაგმანურ ღონისძიებას. ღონისძიებამ შეკრიბა მაღალი დონის დელეგაციები რეგიონიდან, რომლის მიზანი იყო კოლექტიური მოქმედების და 10 პრინციპსა და მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG) პოზიტიური გავლენის დასახვა.

მთავრობების, ადგილობრივი და გლობალური ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და გლობალური შეთანხმების ქსელების ძირითადი დაინტერესებული მხარეები საქართველოდან, უკრაინიდან, თურქეთიდან, ბელორუსიიდან და პოლონეთიდან შეიკრიბნენ თბილისში, რათა პარტნიორობის გზით მოეძიებინათ გადაწყვეტები გლობალური მიზნების ადგილობრივ მიზნებად გარდასაქმნელად, რაც ემსახურება 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევას რეგიონში.

გლობალური შეთანხმების ქსელის საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ქსელის

GEORGIA HOSTED A UN GLOBAL COMPACT FLAGSHIP EVENT ON MARCH 25-26. THE EVENT BROUGHT TOGETHER HIGH-LEVEL DELEGATIONS FROM THE REGION WITH THE GOAL OF SETTING COLLECTIVE ACTION AND POSITIVELY IMPACTING THE TEN PRINCIPLES AND THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS (SDGS).

Key stakeholders from governments, local and global businesses, civil society, international organizations and Global Compact Networks in Georgia, Ukraine, Turkey, Belarus, and Poland convened in Tbilisi to make global goals local business by finding solutions through partnerships to achieve the Agenda 2030 in the region.

Executive Director of the Global Compact Network Georgia and Chair for the Regional Network Council for Eastern Europe Salome Zurabishvili said the SDGs "set objectives that guide the state on how to overcome sustainability challenges and go beyond to improve the life of human beings everywhere in the world".

*„მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღწევა სასარგებლოა ყველა ჩართული მხარისთვის: სახელმწიფოებისთვის, ბიზნესის სექტორისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემებისთვის“*

*"ACHIEVING THE SUSTAINABLE DEVELOPMENT AGENDA IS BENEFICIAL FOR ALL PARTIES INVOLVED: STATES, BUSINESS SECTOR, CIVIL SOCIETY, AND LOCAL COMMUNITIES"*



*CEO AND EXECUTIVE DIRECTOR OF THE UNITED NATIONS GLOBAL COMPACT SANDA OJIAMBO URGED NOT ONLY SOCIETIES, BUSINESSES, AND GOVERNMENTS TO ACCELERATE SUPPORT FOR THE 2030 AGENDA, BUT ALSO EMPHASIZED THE IMPORTANCE OF THE ROLE OF THE UN GLOBAL COMPACT TO UNITE BUSINESS FOR A BETTER WORLD*

*გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების CEO-მ და აღმასრულებელმა დირექტორმა სანდა ოჯიამბომ მოუწოდა არა მხოლოდ საზოგადოებებს, ბიზნესებსა და მთავრობებს, დააჩქარონ 2030 წლის დღის წესრიგის მხარდაჭერა, არამედ ასევე ხაზი გაუსვა გაეროს გლობალური შეთანხმების როლს უკეთესი სამყაროსთვის ბიზნესის გაერთიანებაში*

საბჭოს თავმჯდომარემ, სალომე ზურაბიშვილმა, განაცხადა, რომ მდგრადი განვითარების მიზნები „განსაზღვრავს მიზნებს, რომლებიც წარუძღვება სახელმწიფოს მდგრადობის გამოწვევების გადალახვასა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.“

„მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღწევა სასარგებლოა ყველა ჩართული მხარისთვის: სახელმწიფოებისთვის, ბიზნესის სექტორისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემებისთვის“, – განაცხადა მან და მოუწოდა თითოეულ დაინტერესებულ მხარეს, მონაწილეობა მიიღონ მიზნების განხორციელებაში, რადგან „პარტნიორობა ნამდვილად მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის წარმართვისა და SDG-ების მიღწევისთვის.“

მეზობელი ქვეყნების გლობალური შეთანხმების ქსელების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან სწავლა, თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

მისასალმებელ სიტყვაში გაერთიანებული ერების გლობალური შეთანხმების CEO-მ და აღმასრულებელმა დირექტორმა სანდა ოჯიამბომ მოუწოდა არა მხოლოდ საზოგადოებებს, ბიზნესებსა და მთავრობებს, დააჩქარონ 2030 წლის დღის წესრიგის მხარდაჭერა, არამედ ასევე ხაზი გაუსვა გაეროს გლობალური შეთანხმების როლს უკეთესი სამყაროსთვის ბიზნესის გაერთიანებაში.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების თანახმად მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის საკითხზე თანამშრომლობის შესახებ საქართველოს პასუხისმგებლობაზე საუბრისას, ოჯიამბო მიესალმა საქართველოს ძალისხმევას, შეინარჩუნოს ეს გარდამავალი ეტაპი და პრიორიტეტები მიანიჭოს მდგრად განვითარებას და ცირკულარულ ეკონომიკას ახალი პოლიტიკებისა და კანონების განხორციელებით.

"Achieving the sustainable development agenda is beneficial for all parties involved: states, business sector, civil society, and local communities", she said, encouraging each and every stakeholder to play a role in the implementation of the goals because "partnerships are really key to drive the green economy and achieve SDGs".

Representatives of Global Compact Networks of neighboring countries agreed on the importance of learning from each other, collaboration and building up partnerships together.

In her welcome speech, CEO and Executive Director of the United Nations Global Compact Sanda Ojiambo urged not only societies, businesses, and governments to accelerate support for the 2030 Agenda, but also emphasized the importance of the role of the UN Global Compact to unite business for a better world.

Speaking about Georgia's responsibility under the EU-Georgia Association Agreement to cooperate

„ნულოვანი ნახშირბადის ეკონომიკის რეალობად ქცევა მოითხოვს კერძო სექტორის, მთავრობის, გაეროს, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა პარტნიორების მჭიდრო თანამშრომლობას”, – განაცხადა ოჯიამბომ და დასძინა, რომ ეს ამოცანა წარმოადგენს უზარმაზარ გამოწვევას და მომავლის შესაძლებლობას, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს, „ხელახლა გამოიგონონ საკუთარი თავი, გარდაქმნან მიწოდების ჯაჭვები მდგრადი განვითარების ძრავებად, შექმნან ბიზნეს მოდელები, რომლებშიც პრინციპები და მოგება თანხვედრაშია იქნება“.
Covid-19-ის მიერ გაძლიერებული უპრეცედენტო გამოწვევების სამყაროში, სადაც კლიმატის ცვლილების, სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის დამანგრეველი შედეგები კვლავ სახეზეა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ქმედების მნიშვნელობა, ახალი შესაძლებლობებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების შექმნა SDG-ების მიღწევის გზაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ კორონავირუსის პანდემია და კლიმატის ცვლილებები საფრთხეს უქმნის გლობალურ სტაბილურობას, რის გამოც ქვეყნებმა უნდა ეძებონ ინოვაციური გზები და უფრო მწვანე გადაწყვეტილებები.

მისი თქმით, საჯარო და კერძო პარტნიორობის კარგი მაგალითებია გარემოს დაცვის მიმართულებით, მან განაცხადა, რომ „სახელმწიფოს შემუშავებული და ზუსტი სტრატეგია უზრუნველყოფს ეფექტიან შედეგებს საქართველოს კერძო სექტორთან ძალების გაერთიანებისას, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან პარტნიორობის განმტკიცებისას”.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა კახაბერ კუჭავამ, რომელიც მხარს უჭერს კერძო სექტორის აქტიურ ჩართვას საპარლამენტო მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის რეალიზებაში, განაცხადა, რომ მსოფლიოში ბევრი ადამიანი თანხმდება, რომ „მომავალი მწვანეა... ჩვენ ნამდვილად უნდა გვესმოდეს, რას ვგულისხმობთ და რა არის ის, რაც გვჭირდება მწვანე მომავლის მისაღწევად“.

*“MAKING A ZERO-CARBON ECONOMY A REALITY WILL REQUIRE CLOSE COLLABORATION BY THE PRIVATE SECTOR, GOVERNMENT, THE UN, CIVIL SOCIETY, AND OTHER PARTNERS”*

*„ნულოვანი ნახშირბადის ეკონომიკის რეალობად ქცევა მოითხოვს კერძო სექტორის, მთავრობის, გაეროს, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა პარტნიორების მჭიდრო თანამშრომლობას”*

on the transition to a green economy, Ojiambo welcomed Georgia's effort in keeping with that transition and prioritizing sustainable development and the circular economy by implementing new policies and laws.

"Making a zero-carbon economy a reality will require close collaboration by the private sector, government, the UN, civil society, and other partners", Ojiambo said, adding that this task presents immense challenges and opportunities for the future, allowing companies to "reinvent themselves, transform their supply chains into engines for sustainable development, create business models in which principles and profits go hand in hand".

In today's world of unprecedented challenges amplified by Covid-19, the devastating effects of climate change, social injustice and inequality, the importance of local action as well as the creation of new opportunities and innovative solutions on the journey to achieving SDGs is vital.

Georgian Minister of Environmental Protection and Agriculture Levan Davitashvili also spoke, noting that the coronavirus pandemic and climate change threaten global stability, which is why countries should seek innovative ways and greener solutions.

Giving good examples of public-private partnerships for the environmental cause, he said "the state-elaborated and accurate strategy ensures effective outcomes upon joining forces with Georgia's private sector, as well as fostering partnerships with other countries".

Georgian Parliament Speaker Kakhaber Kuchava, who supports the active engagement of the private sector in the parliamentary green economy policy realization, said although many people



*მწვანე და ინკლუზიური მომავლის განხილვისას, კონფერენცია მიზნად ისახავდა საქართველოს პლატფორმად ჩამოყალიბებას მონაწილე ქვეყნების ბიზნესის ლიდერებსა და მონაწილე ქვეყნების მთავრობებს შორის მრავალმხრივი დიალოგის განვითარების მიზნით, ახალი პარტნიორობის მისაღწევად*

**DISCUSSING GREEN AND INCLUSIVE FUTURE, THE CONFERENCE SERVED AT MAKING GEORGIA A PLATFORM TO FOSTER A MULTI-STAKEHOLDER DIALOGUE BETWEEN BUSINESS LEADERS AND GOVERNMENTS OF THE PARTICIPATING COUNTRIES YIELD NEW PARTNERSHIPS**

გააქტიურდნენ კერძო ორგანიზაციებიც, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ. ფინანსური ჩართულობის ორგანიზაციის კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ბაკურაძის თქმით, მის გუნდს მიაჩნია, რომ მდგრადობა მიიღწევა არა მხოლოდ მათი სოციალური ზემოქმედებით, არამედ ახლო წარსულში წარმოქმნილი მწვანე პორტფელის საშუალებით.

ენერგოეფექტურობაში ინვესტიციის გრძელვადიანობაზე საუბრისას ბაკურაძემ ისაუბრა  იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც კომპანიები დადგნენ მწვანე ზრდისთვის თანამშრომლობისას. ამასთან, მან განაცხადა, რომ კრისტალი მომავალში თავს მდგრად ბანკად ხედავს და მდგრადობა მიიღწევა არა მხოლოდ მათი სოციალური გავლენის, არამედ მწვანე ინვესტიციების საშუალებით.

Caparol-ის უკრაინის კომერციული დირექტორი ანდრეი კოროლი ასევე ეთანხმება, რომ მიუხედავად იმისა, რომ პლანეტის გადასარჩენად გრძელვადიანი სარგებლის მიღება ადვილი არ არის, Caparol უკრაინა ქმნის პროგრამებს, რომლებიც გათვლილია მომხმარებელთა სარგებლის, მათი ჯანმრთელობის, ეფექტიანობისა და მდგრადობისთვის.

მწვანე და ინკლუზიური მომავლის განხილვისას, კონფერენცია მიზნად ისახავდა საქართველოს პლატფორმად ჩამოყალიბებას მონაწილე ქვეყნების ბიზნესის ლიდერებსა და მონაწილე ქვეყნების მთავრობებს შორის მრავალმხრივი დიალოგის განვითარების მიზნით, ახალი პარტნიორობის მისაღწევად და პოლიტიკის განხორციელებისთვის ინოვაციური გადაწყვეტილებების შესასწავლად, რომლებიც ხელს უწყობენ ნულოვანი ნახშირბადის ეკონომიკურ ზრდას და აჩქარებენ პროგრესს პარიზის შეთანხმებისა და SDG-ების მიზნებისკენ.

ნულოვანი ნახშირბადის ეკონომიკური ზრდის მიზნის მისაღწევად და პარიზის შეთანხმების მიზნებისკენ

in the world agree that "the future is green...we have to really understand what we mean and what is that we want to achieve with a green future".

Private organizations which are eager to contribute have also stepped up. According to Chairman of the Supervisory Board of Financial Inclusion Organization Crystal Archil Bakuradze, his team believes that sustainability will be achieved not only by their social impact, but also, with the newly emerged green portfolio.

Noting that investing in energy efficiency is a long-term investment, Bakuradze spoke about the challenges the companies face in collaboration for green growth. He however said that Crystal is seeing itself in the future as a sustainable bank and that sustainability will be achieved not only by their social impact, but also, with green investments.

Commercial Director at Caparol Ukraine Andrii Korol also agrees that although it is not easy to communicate the long-term benefit to save the planet, Caparol Ukraine is creating programs which are for customer benefits, their health, efficiency and sustainability.

Discussing green and inclusive future, the conference served at making Georgia a platform to foster a multi-stakeholder dialogue between business leaders and governments of the participating countries yield new partnerships and explore innovative solutions to advance policies that fast track zero-carbon economic growth and accelerate progress towards the objectives of the Paris Agreement and SDGs.

წინსვლის დასაჩქარებლად, საჭიროა კორპორატიული ქმედებების მასშტაბირება. იმის გამო, რომ აღმოსავლეთ ევროპული კომპანიები აქტიურდებიან და ლიდერობენ, საჭიროა უფრო მეტი გზის გაკვლევა და ერთობლივი მოქმედებები, რათა ისინი სწორი მიმართულებით წავიდნენ.

დაინტერესებულ მხარეებთან მრავალმხრივი პარტნიორობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისას USAID საქართველოში კერძო სექტორის ჩართულობის კოორდინატორმა, ბევერლი ჰუვერმა განაცხადა, რომ 2020 წელს მხოლოდ USAID საქართველო და კერძო სექტორი თანამშრომლობდნენ 20 მილიონის ოდენობის შემოსავლის მისაღებად ადგილობრივი ბიზნესისთვის და შექმნეს 3400 ახალი სამუშაო ადგილი.

გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ჯგუფის ხელმძღვანელმა UNDP საქართველოში, ნინო ანთაძემ ასევე აღნიშნა, რომ UNDP ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან კლიმატის პოლიტიკის გაუმჯობესების, ტექნიკური დახმარებისა და სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველსაყოფად და დარწმუნებულია, რომ საქართველო მიუყვება თავის ვალდებულებებს და შეუძლია მათი შესრულება.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში კერძო სექტორის მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები ან სესხები ნამდვილად არ იქნება საკმარისი.

მაღალი დონის კონფერენციის მსვლელობისას, არაერთმა სტუმარმა გაუსვა ხაზი პარტნიორობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, ყველასათვის საერთო მიზნების მისაღწევად.

*უნდა ჩაერთონ დაინტერესებულ მხარეებთან მრავალმხრივ დიალოგში”, რადგან „მწვანე და ინკლუზიური ეკონომიკა მხოლოდ სწორი არჩევანი და მდგრადი გადაწყვეტა კი არაა, არამედ კარგი ბიზნესიცაა“.*

*COUNTRIES NEED TO ENGAGE IN MULTI-STAKEHOLDER DIALOGUE” BECAUSE “GREEN AND INCLUSIVE ECONOMY IS NOT ONLY THE RIGHT THING TO DO, IT IS NOT ONLY THE SUSTAINABLE SOLUTION, IT IS INDEED ALSO A GOOD BUSINESS*

In order to meet the goal of zero-carbon economic growth and accelerate progress towards the objectives of the Paris Agreement, corporate action needs to be scaled up. As Eastern European companies are stepping up and showing leadership, more guidance and joint actions are needed to steer them in the right direction.

Sharing the best practices of multi-stakeholder partnerships Private Sector Engagement Coordinator at USAID Georgia, Beverly Hoover said in 2020 only USAID Georgia and the private sector partnered to generate 20 million in revenue for local businesses and create over 3400 new jobs.

Environment & Energy Team Leader at UNDP Georgia Nino Antadze also noted that UNDP works very closely with the government of Georgia to improve climate policies, provide technical assistance and guidance, and make sure that Georgia is in line with its obligations and able to implement commitments.

She also underscored that it is crucially important to ensure the participation and engagement of the private sector in this process, otherwise, only grants or loans from international organizations will definitely not be enough. During the high-level conference, a number of guests stressed the importance of partnership and cooperation in order to achieve the goals they all have in common. Ambassador of Sweden to Georgia H.E. Ulrik Tideström believes that “the countries need to engage in multi-stakeholder dialogue” because “green and inclusive economy is not only the right thing to do, it is not only the sustainable solution, it is indeed also a good business”.



შვედეთის ელჩი საქართველოში მისი აღმატებულება ულრიკ თიდესრომი მიიჩნევს, რომ „ქვეყნები უნდა ჩაერთონ დაინტერესებულ მხარეებთან მრავალმხრივ დიალოგში”, რადგან „მწვანე და ინკლუზიური ეკონომიკა მხოლოდ სწორი არჩევანი და მდგრადი გადაწყვეტა კი არაა, არამედ კარგი ბიზნესიცაა“.

კომპანიების წახალისებისთვის, რათა მათ გამოწვევები აქციონ ბიზნეს გეგმად, ელჩმა განაცხადა: „ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, რომ უკეთესად განვავითაროთ და კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ უფრო მწვანე და ინკლუზიური მომავლისკენ, ისე, რომ არავინ დავტოვოთ უკან“.

აქციე გლობალური მიზნების ადგილობრივი ბიზნესად – საქართველო წარმოადგენს ბიზნეს ლიდერების და მონაწილე ქვეყნების მთავრობების პლატფორმას, რათა ხელი შეუწყონ დაინტერესებულ მხარეებთან მრავალმხრივ დიალოგს, ჩამოაყალიბონ ახალი პარტნიორობა და აღმოაჩინონ ინოვაციური გადაწყვეტები იმ პოლიტიკის დასახვეწად, რომლებიც ხელს უწყობს ნულოვან ნახშირბადის ეკონომიკურ ზრდას და დააჩქარებს პროგრესს პარიზის შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. იგი შეიქმნა ადგილობრივი და რეგიონული გადაწყვეტების და პარტნიორობის კონტექსტში, რეგიონში 2030 წლის დღის წესრიგის მისაღწევად.

Encouraging companies for action in order to turn challenges into business plans, he said “we must use this opportunity to build back better and take concrete steps towards a greener and more inclusive future leaving no one behind.”

Making Global Goals Local Business – Georgia is a platform for business leaders and Governments of the participating countries to foster multi-stakeholder dialogues, yield new partnerships and explore innovative solutions to advance policies that fast track zero-carbon economic growth and accelerate progress towards the objectives of the Paris Agreement and Sustainable Development Goals. It was set within the context of finding local and regional solutions and partnerships to achieve Agenda 2030 in the region.



# აგრონავტი – ადგილობრივიდან საერთაშორისო ბაზრისკენ



# AGRICULTURAL APP AGRONAUT LAUNCHES TO LINK FARMERS WITH PRIVATE SECTOR

AGRONAUT IS A PLATFORM WITH AN INTERESTING HISTORY IN THE DIGITAL WORLD, CREATED AT THE END OF 2017 BY THE GEORGIAN FARMERS' ASSOCIATION WITH FINANCIAL SUPPORT FROM USAID'S ZRDA PROJECT. ITS AIM WAS TO INVOLVE YOUNG PEOPLE IN FARMING, DIGITIZE THE AGRICULTURAL SECTOR AND SUPPORT LOCAL PRODUCTION. ADJARA GROUP ENGAGED IN THE INITIATIVE AND RAISED THE ISSUE OF THE DIFFICULTY IT FACED IN SOURCING HIGH-QUALITY PRODUCE IN GEORGIA. THE ONE-STOP-SHOP APPLICATION ALLOWS FARMERS TO RECEIVE VARIOUS INFORMATION ABOUT WHAT AGRICULTURAL GOODS ARE IN DEMAND AND TO SELL THEIR OWN PRODUCTS. THE APP WAS INITIALLY SOCIAL AND INFORMATIVE IN NATURE, BUT LATER, TO MAINTAIN SUSTAINABILITY, IT BECAME NECESSARY TO ADAPT ITS BUSINESS MODEL.

„აგრონავტი“ ციფრულ სამყაროში საინტერესო ისტორიის მქონე პლატფორმაა, რომელიც 2017 წლის ბოლოს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ USAID/ZRDA პროექტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. მისი მიზანი ფერმერულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა, აგრარული სექტორის გაციფრულება და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა იყო. ამ ინიციატივაში ჩაერთო „აჭარა ჯგუფი“, რომელმაც დღის წესრიგში იმპორტირებული პროდუქტის ადგილობრივით ჩანაცვლების საკითხი დააყენა. ერთი ფანჯრის პრინციპით შექმნილ აპლიკაციას, სადაც ფერმერებს ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მიღება და საკუთარი პროდუქტის რეალიზაციაც შეუძლიათ, თავდაპირველად სოციალური ხასიათი ჰქონდა, თუმცა, მოგვიანებით, მდგრადობის შესანარჩუნებლად, საჭირო გახდა მისი ბიზნეს-მოდელზე გადაწყობა.



ერთი ფანჯრის პრინციპით შექმნილ აპლიკაციას, სადაც ფერმერებს ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მიღება და საკუთარი პროდუქტის რეალიზაციაც შეუძლიათ

THE ONE-STOP-SHOP APPLICATION ALLOWS FARMERS TO RECEIVE VARIOUS INFORMATION ABOUT WHAT AGRICULTURAL GOODS ARE IN DEMAND AND TO SELL THEIR OWN PRODUCTS

საქართველოს ბანკის მხარდაჭერით გასულ წელს აპლიკაციამ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) გრანტი მოიპოვა, რაც კიდევ უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. კომპანია „აგრონავტის” აღმასრულებელი დირექტორი, თამთა მამულაიძე და GITA-ს ხელმძღვანელი, ავთანდილ კასრაძე საუბრობენ ამ პროექტის მნიშვნელობაზე, მის პერსპექტივასა და სარგებელზე, რასაც ციფრული პლატფორმა პირდება სხვადასხვა სეგმენტს.

თამთა მამულაიძე, კომპანია „აგრონავტის” აღმასრულებელი დირექტორი

**„აგრონავტის“ თავდაპირველი მიზანი ფერმერული სექტორის გაახალგაზრდავება და თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით ამ დარგის უფრო ეფექტურად ამოქმედება იყო. რა გახდა მისი შექმნის საფუძველი?**

2017 წლის ბოლოს, როცა საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში გაჩნდა „აგრონავტის“ შექმნის იდეა, ვფიქრობდით, რომ აგრარულ სექტორში ახალგაზრდების ჩართულობისთვის კარგი მოტივაცია იქნებოდა. ის, რომ ადამიანებს ერთ სივრცეში და ერთი ფანჯრის პრინციპით შეეძლოთ ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება, მათ საქმიანობაში ბევრ რამეს აიოლებდა. მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი წარმოების წახალისებაც, რის საშუალებასაც „აჭარა ჯგუფის“ მხარდაჭერა იძლეოდა: ციფრული პლატფორმით ფერმერებმა ამ ჯგუფის სტუმარმასპინძლობის ობიექტებზე წარმატებით მოახერხეს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია. ეს აგროტურიზმის პოპულარიზაციისთვისაც მნიშვნელოვანი იყო და აგრობიზნესის წარმომადგენლებსაც მეტი მუშაობის სტიმულს აძლევდა.

Last year, with support from the Bank of Georgia, the application received funding from Georgia's Innovation and Technology Agency (GITA), which provides an opportunity for further development. Tamta Mamulaidze, CEO of Agronaut, and Avtandil Kasradze, Head of GITA, talk about the importance of this project, in addition to the prospects and benefits which the digital platform promises to different segments of the economy.

TAMTA MAMULAIDZE, EXECUTIVE DIRECTOR AGRONAUT

**The initial goal of Agronaut was to rejuvenate the farming sector and to make this field more effective with the help of modern technologies. What was the basis for its creation?**

At the end of 2017, when the idea of creating Agronaut appeared in the Georgian Farmers' Association, we thought it would be a good motivation for young people to engage in the agricultural sector. The fact that people could receive all the necessary information in one space and with the principle of a one-stop-shop made many things easier for them. It was also important to encourage local production, which the support of Adjara Group enabled: through the digital platform, farmers were able to successfully sell their products to the Group's hospitality facilities. It was also important for the popularization of agritourism and gave more incentive to the representatives of agribusiness to develop.

*AGRONAUT IS A PLATFORM WHICH BRINGS TOGETHER EACH GROUP INTERESTED IN THE AGRICULTURAL SECTOR. WE WANT TO GIVE A VOICE TO ALL PEOPLE INVOLVED IN THIS FIELD, INCLUDING ETHNIC MINORITIES, SO THAT ALL THIS IS ACCESSIBLE TO THEM*

*„აგრონავტი“ არის პლატფორმა, რომელიც თავს უყრის აგრარული სექტორით დაინტერესებულ თითოეულ ჯგუფს. გვინდა, ხმა მივაწვდინოთ ამ სფეროში ჩართულ ყველა ადამიანს, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებსაც, რათა ეს ყველაფერი მათთვისაც ხელმისაწვდომი იყოს*

„აგრონავტის“ შექმნა ღირებული კიდევ ერთი გამოწვევის – სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით აღმოჩნდა. თვითკმარი პროდუქტის წარმოება ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და პანდემიის დროს ეს ნათლად გამოჩნდა: ერთი მხრივ, მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, დიდი კრიზისისა და გამოწვევების წინაშე დადგა, მეორე მხრივ, ამ გამოწვევებმა დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია. თუმცა, ჩვენ მანამდე დავიწყეთ აპლიკაციაზე მუშაობა და ამაში ძალიან დაგვეხმარა საქართველოში USAID-ის პროექტი „ZRDA.“

**ინოვაციებისა და ტექნოლოგიის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებამ და 500 Startup Georgia ბიზნეს აქსელერატორში მონაწილეობამ „აგრონავტს“ გზა გაუხსნა ახალი შესაძლებლობებისკენ. რას ითვალისწინებს ეს პროცესი?**

2020 წლიდან „აგრონავტი“ ახალ პლატფორმაზე გადავიდა. მდგრადობის შენარჩუნებისთვის საჭირო იყო სოციალური პროექტიდან გადავსულიყავით მდგრად ბიზნეს-მოდელზე, რაც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. სრულიად ახალი სერვისები შევქმენით მომხმარებლისთვის, როგორიცაა ონლაინ რეჟიმში აგრონომის, ვეტერინარის და სხვა დარგობრივი ექსპერტების კონსულტაციის დაჯავშნა და მიღება; ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებით ფერმერებისა აგროსექტორით დაინტერესებულ პირთათვის აგრობიზნესის მართვის ყველა ჯაჭვში დახმარება. აქ ჩვენი პარტნიორი გახდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც აგროსექტორში ცოდნის გავრცელების თანამედროვე მიდგომების დანერგვაში გვეხმარება.

The creation of Agronaut also brought about big changes in terms of food safety in the country, with the development of GeoGAP: a set of agricultural standards which acts as a stepping stone towards Global GAP.

Self-sufficient production is vital for any country, and this became especially clear during the pandemic: on the one hand, the world, including Georgia, faced great crisis and challenges, on the other hand, these challenges accelerated digital transformation. However, we had started working on the application before and the USAID project ZRDA in Georgia helped us greatly.

**Winning the competition announced by the Innovation and Technology Agency and participating in the 500 Startup Georgia Business Accelerator paved the way for new opportunities for Agronaut. What does this process entail?**

Starting in 2020, Agronaut moved to a new platform. To maintain sustainability, we needed to move from a social project to a sustainable business model, which includes the formation of an organizational-legal form. We have created completely new services for our customers, such as online booking of consultations with agronomists, veterinarians, and other industry experts, in addition to assistance to all agribusiness management chains for interested farmers and others interested in agriculture sector through the integration of artificial intelligence. Here the Georgian Innovation and Technology Agency became our partner, and they are helping us introduce modern approaches to knowledge dissemination in the agricultural sector.



**ეს პროექტი სექტორთშორისი თანამშრომლობის კარგი მაგალითია – როცა ერთმანეთს ეხმარებიან სახელმწიფო, ფერმერთა ასოციაცია და ბიზნესი. რამდენად სარგებლიანი იქნება „აგრონავტი“ სახელმწიფოსა და ბიზნესისთვის?**

სახელმწიფოს რაც შეეხება, „აგრონავტი“ ხელს უწყობს ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი დარგის – აგროსექტორის განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება სასურსათო უსაფრთხოებასა და მოქალაქეთა დასაქმებაზე. ბიზნესთან დაკავშირებით კი ვმუშაობთ და პლატფორმაზე საბანკო, დაზღვევის და საწვავის სერვისების ინტეგრირებას ვაპირებთ. ფაქტობრივად, ცალკე პლატფორმას ვუქმნით კერძო ბიზნესს, სადაც ისინი კონკრეტულ სეგმენტზე შეძლებენ თავიანთი პროდუქტის თუ მომსახურების რეალიზებას. „აგრონავტი“ არის პლატფორმა, რომელიც თავს უყრის აგრარული სექტორით დაინტერესებულ თითოეულ ჯგუფს. გვინდა, ხმა მივაწვდინოთ ამ სფეროში ჩართულ ყველა ადამიანს, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებსაც, რათა ეს ყველაფერი მათთვისაც ხელმისაწვდომი იყოს.

**რამდენად იქნება შესაძლებელი ეთნიკური უმცირესობებისთვის „აგრონავტით“ სარგებლობა ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით?**

აპლიკაცია მარტივად იძლევა ენების გენერირების საშუალებას. ეს თავიდანვე იყო გათვალისწინებული, რადგან გლობალურ ბაზარზე ვაპირებთ გასვლას და გვინდა, ყოველმხრივ კონკურენტული ვიყოთ. საერთაშორისო კონკურენტების კუთხით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი ტიპის მულტიფუნქციური აპლიკაცია, სადაც სხვადასხვა სერვისი ერთი ფანჯრის პრინციპითაა აკუმულირებული, არ არსებობს, რაც ზრდის ჩვენს შანსებს ამ მიმართულებით და გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქვეყნის გარეთაც წარმატებული ვიქნებით.

**This project is a good example of both cross-sectoral and public-private cooperation, with the State, donor organizations, Adjara Group and the Georgian Farmers' Association and business all working together. How useful will Agronaut be for the State and business in general?**

As concerns the State, Agronaut contributes to the development of a very important field for the country – agriculture. This in turn directly affects food safety and the employment of citizens. We intend to integrate banking, insurance, and fuel services on the platform. In fact, we have created a separate platform for private companies, where they will be able to sell their product or service to a specific segment. Agronaut is a platform which brings together each group interested in the agricultural sector. We want to give a voice to all people involved in this field, including ethnic minorities, so that all this is accessible to them.

**To what extent will it be possible for ethnic minorities to use Agronaut considering the language barrier?**

The application allows you to easily generate languages. This was planned from the very beginning because we are going to enter the global market and we want to be competitive in every way. Research conducted with respect to international competitors has demonstrated that there is not a similar type of multifunctional application, in which different services are accumulated on the principle of one-stop-shop. This increases our chances in this field and allows us to say that we will be successful outside the country as well.

*საერთაშორისო კონკურენტების კუთხით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი ტიპის მულტიფუნქციური აპლიკაცია, სადაც სხვადასხვა სერვისი ერთი ფანჯრის პრინციპითაა აკუმულირებული, არ არსებობს, რაც ზრდის ჩვენს შანსებს ამ მიმართულებით და გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქვეყნის გარეთაც წარმატებული ვიქნებით*

**RESEARCH CONDUCTED WITH RESPECT TO INTERNATIONAL COMPETITORS HAS DEMONSTRATED THAT THERE IS NOT A SIMILAR TYPE OF MULTI-FUNCTIONAL APPLICATION, IN WHICH DIFFERENT SERVICES ARE ACCUMULATED ON THE PRINCIPLE OF ONE-STOP-SHOP. THIS INCREASES OUR CHANCES IN THIS FIELD AND ALLOWS US TO SAY THAT WE WILL BE SUCCESSFUL OUTSIDE THE COUNTRY AS WELL**

# ALL AREAS ARE IMPORTANT– AGRICULTURE, MECHANICAL ENGINEERING, AND BIOTECHNOLOGY ALIKE. THE IMPORTANT THING IS FOR THE PROJECT TO BE INNOVATIVE AND FOCUSED ON LARGE-SCALE DEVELOPMENT

ყველა სფერო მნიშვნელოვანია - სოფლის მეურნეობაც, მექანიკური ინჟინერიაც და ბიოტექნოლოგიებიც, თუ პროექტი ინოვაციურია და მასშტაბურ განვითარებაზე ორიენტირებული

ავთანდილ კასრაძე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელი

**რა პრიორიტეტებით იხელმძღვანელა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) „აგრონავტის“ დაფინანსებისას, რით იყო მნიშვნელოვანი ეს პროექტი?**

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ქვეყანაში ინოვაციურ და გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპებს აფინანსებს. ჩვენ არ გვაქვს კონკრეტული პრიორიტეტები: ყველა სფერო მნიშვნელოვანია – სოფლის მეურნეობაც, მექანიკური ინჟინერიაც და ბიოტექნოლოგიებიც, თუ პროექტი ინოვაციურია და მასშტაბურ განვითარებაზე ორიენტირებული. წელიწადში 40 სტარტაპს ვაფინანსებთ 100 ათას ლარიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში. ერთ-ერთი გახლდათ „აგრონავტი“, რომელმაც ამერიკელი სპეციალისტების ინტერესი დაიმსახურა. მოგეხსენებათ, გამარჯვებულ პროექტებს სააგენტო არ არჩევს – „სილიკონი ველიდან“ ჩამოგვყავს წამყვანი ექსპერტები, რომლებიც სტარტაპების წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ გადაწყვეტილებას თავად იღებენ.






AVTANDIL KASRADZE, HEAD OF GEORGIA'S INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY

**What were the priorities of Georgia's Innovation and Technology Agency (GITA) in financing Agronaut? Why was this project important to you?**

Georgia's Agency for Innovation and Technology finances startups with innovative and global potential in the country. We do not have specific priorities. All areas are important– agriculture, mechanical engineering, and biotechnology alike. The important thing is for the project to be innovative and focused on large-scale development. We finance 40 startups a year within the framework of our contests, with each of them receiving 100,000 GEL in funding. One of them was Agronaut, which attracted the interest of American specialists. As you know, the winning projects are not selected by the agency– we bring leading experts, who make the decision themselves after interviewing representatives of the startups, from Silicon Valley.





საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როცა დაამტკიცა კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ, რაც ამ ორი სექტორის ინსტიტუციონიზებას უზრუნველყოფს

THE GEORGIAN PARLIAMENT TOOK AN IMPORTANT STEP IN THIS DIRECTION WHEN IT ADOPTED THE LAW ON PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIP, WHICH PROVIDES FOR THE INSTITUTIONAL-IZATION OF THESE TWO SECTORS

**როგორ ფიქრობთ, რა ზეგავლენას მოახდენს ეს პლატფორმა სამომავლოდ საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებაზე?**

თავად პროექტი ძალიან საინტერესოა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. მისი მთავარი ამოცანაა, ფერმერს სწორი მართვის ინსტრუმენტები მისცეს, რომელთა დახმარებითაც უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს, ვიდრე აპლიკაციის გამოყენებამდე. სწორედ ესაა იმ სიღრმისეული პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი გზა მცირე და საშუალო ფერმერებისთვის, რაც ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია.
დარწმუნებული ვარ, როგორც კი საქართველოში ამ იდეის დანერგვა დაიწყება, სხვა ქვეყნებშიც სწრაფად

**What do you think the impact of this platform on the development of the agricultural sector in Georgia in the future will be?**

The project itself is very interesting, but so far it only operates within the country. Its main task is to give the farmer the correct management tools, with the help of which they can earn more income than before by using the application. This is one of the ways to eliminate the in-depth problems for small and medium farmers which are important for the further development of the country. I am certain that as soon as this idea is introduced in Georgia, it will spread quickly to other countries. Accordingly, the startup Agronaut will become a global player in this direction.

სახელმწიფოს თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს, კერძო სექტორს - თავისი და მათი საერთო მიზნისთვის გაერთიანება, პირველ რიგში, ეკონომიკას გააუმჯობესებს

## THE STATE HAS ITS SHARE OF RESPONSIBILITIES AND THE PRIVATE SECTOR HAS ITS OWN: THEIR JOINT EFFORTS FOR THE COMMON GOAL WILL IMPROVE THE ECONOMY

გავრცელდება. შესაბამისად, სტარტაპი „აგრონავტი“ ამ მიმართულებით გლობალური მოთამაშე გახდება.

**ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო სახელმწიფო ორგანიზაციას წარმოადგენს. როგორია სახელმწიფოს ჩართულობა და როლი ამ პროცესში ვგულისხმობ ერთობლივ პროექტებს?**

ჩვენ მაქსიმალურად ვეხმარებით პროექტს გლობალურ გარდაქმნაში. ვფლობთ როგორც დაფინანსების მექანიზმებს – 15 ათასიდან დაწყებული – 650 ათასი ლარის ჩათვლით; ასევე, ვაკავშირებთ საერთაშორისო აქსელერაციის პროგრამასთან 500 Startups, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის; გვაქვს ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, ტექნოპარკები და ა.შ. – რაც აუცილებელია ინოვაციური პროექტების გლობალურ ბაზარზე გასვლისთვის.

**რა მნიშვნელობა აქვს ზოგადად, პარტნიორულ პროექტებსა და ერთობლივ ინიციატივებს უკეთესი შედეგის მისაღწევად ჩართული მხარეების, მათ შორის, სახელმწიფოსთვის?**

რა თქმა უნდა, სახელმწიფოსთვის საჯარო და კერძო პარტნიორობა ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სახელმწიფოს თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს, კერძო სექტორს – თავისი და მათი საერთო მიზნისთვის გაერთიანება, პირველ რიგში, ეკონომიკას გააუმჯობესებს. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როცა დაამტკიცა კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ, რაც ამ ორი სექტორის ინსტიტუციონიზებას უზრუნველყოფს. საბოლოო ჯამში, მსგავსი პარტნიორობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას განაპირობებს, ბიზნესს კი მეტ შესაძლებლობას მისცემს, გლობალურ ბაზარზე გახდეს კონკურენტუნარიანი.

**Georgia's Innovation and Technology Agency is a state entity. What is the involvement and role of the State in this process in terms of joint projects?**

We have other financing mechanisms - starting from 15,000 GEL up to 650,000 GEL; we also enable contact with the international acceleration program 500 Startups, which is very important for their development. We have infrastructural support, Techno Parks, etc., which are necessary for innovative projects to enter the global market.

**In general, what is the significance of partnership projects and joint initiatives for the parties involved, including the State, to achieve better results?**

Of course, public-private partnership is a very important tool for the state. The state has its share of responsibilities and the private sector has its own: their joint efforts for the common goal will improve the economy. The Georgian parliament took an important step in this direction when it adopted the Law on Public-Private Partnership, which provides for the institutionalization of these two sectors. Ultimately, such partnership will create new jobs and give businesses more opportunities to become competitive in the global marketplace.





# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ - ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ



# GREENING UP TBILISI

**TBILISI MAYOR'S OFFICE ACTIVELY COOPERATES WITH THE UN AND OTHER ORGANIZAT-IONS, INCLUDING THE WORLD HEALTH ORGANIZATION, TO MAKE THE CAPITAL BETTER FOR LIVING**

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲒᲝᲚᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ - ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ.

დედაქალაქის მონაწილეობაზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში, ურბანულ ხედვაზე ამ მიმართულებით, კერძო და არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და თბილისის, როგორც მწვანე ქალაქის პერსპექტივაზე დედაქალაქის მერი, კახი კალაძე გვესაუბრება.

THE IMPORTANCE OF STATE SUPPORT IN ACHIEVING THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS IS UNDENIABLE. ALL SECTORS ENGAGED IN THE EFFORT DO THEIR PART TO MOVE TOWARDS THIS AIM, AND THE ROLE OF THE GOVERNMENT OF TBILISI IS REMARKABLE IN THIS REGARD.

Kakha Kaladze, Mayor of Tbilisi, talked to us about the participation of the capital in implementing the Sustainable Development Goals, on urban vision in this direction, on partnership with both the private and civil society sectors, on transport infrastructure development and about Tbilisi's prospectives to become a green city.



*THE MAIN TRANSPORT DOCUMENT OF THE CAPITAL WILL MAKE IT POSSIBLE TO DEVELOP TBILISI TRANSPORT INFRASTRUCTURE IN ACCORDANCE WITH MODERN REQUIREMENTS, REDUCING THE TRAFFIC JAMS AND ADVERSE IMPACT OF EMISSIONS IN THE STREETS OF THE CITY*

*დედაქალაქის მთავარი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელი გახდება თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რაც დედაქალაქის ქუჩებში საცობებისა და გამონაბოლქვით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას შეამცირებს*

*ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲡ ᲒᲐᲔᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ*

**რა როლი აკისრია თბილისის მერიას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და გაქვთ თუ არა ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმა?**

თბილისის მერია აქტიურად თანამშრომლობს გაეროსა და სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, რათა დედაქალაქი იყოს საცხოვრებლად უკეთესი. 2019 წელს შევიმუშავეთ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც თბილისი მწვანე, მედეგი და კომპაქტური ქალაქი გახდება.

ამავე წელს, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტმა თბილისის განვითარების ფონდთან და საერთაშორისო კომპანია Ramboll-თან თანამშრომლობით, მდგრადი, ურბანული მობილობის გეგმაზე (SUMP - Sustainable Urban Mobility Plan) დაიწყო მუშაობა. მას საფუძვლად დაედება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და სხვადასხვა სახის სატრანსპორტო და ურბანული ხასიათის კვლევები.

**What is the role of the Tbilisi Mayor's Office in achieving the UN Sustainable Development Goals and do you have an action plan in this direction?**

The Tbilisi Mayor's Office actively cooperates with the UN and other organizations, including the World Health Organization, to make the capital better for living. In 2019 we adopted a Land Use Master Plan, according to which Tbilisi will become a green, resilient, and compact city.

That same year with support from the Asian Development Bank, the Municipality, together with the Tbilisi Development Fund and international company Ramboll, commenced work on a Sustainable Urban Mobility Plan (SUMP).

Tbilisi the Land Use Master Plan and various transport and urban studies will be used as a foundation for the SUMP. An action plan will be drafted for short, mid and long-term strategies, which will be implemented over the next 20 years.

*THE GUIDELINES ARE A FIRST ATTEMPT TO BRING SUCH PRACTICAL DIRECTIVES SPECIFIED FOR TBILISI URBAN DEVELOPMENT TOGETHER, WHICH CAN SUPPORT THE FORMATION OF A HUMAN-ORIENTED, FAIR, INCLUSIVE AND GENDER-SENSITIVE RESIDENTIAL ENVIRONMENT*

*გზამკვლევი პირველი მცდელობაა თავი მოუყაროს თბილისის ურბანული განვითარების თავისებურებებზე მორგებულ ისეთ პრაქტიკულ მითითებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანზე ორიენტირებული, სამართლიანი, ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას*

სამოქმედო გეგმა გაიწერება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებზე, რომლებიც თანმიმდევრულად განხორციელდება მომდევნო 20 წლის განმავლობაში. დედაქალაქის მთავარი სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელი გახდება თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რაც დედაქალაქის ქუჩებში საცობებისა და გამონაბოლქვით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას შეამცირებს.

მნიშვნელოვანია „საცხოვრებელი განაშენიანების დაგეგმარების სახელმძღვანელო მითითებები“, რომელიც აზიის განვითარების ბანკის პროექტის – „მომავლის ქალაქები მომავლის ქალებისთვის" ფარგლებში დამუშავდა. გზამკვლევი პირველი მცდელობაა თავი მოუყაროს თბილისის ურბანული განვითარების თავისებურებებზე მორგებულ ისეთ პრაქტიკულ მითითებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანზე ორიენტირებული, სამართლიანი, ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას. ეს რეფორმები თბილისს უფრო მეტად დაახლოებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

**რა მნიშვნელობა აქვს მულტისექტორულ თანამშრომლობას (კერძო-საჯარო პარტნიორობას) მდგრადი განვითარების ძირითადი მიზნების შესრულებისას და როგორია ქალაქის როლი და ჩართულობა ამ პროცესში?**

გაეროს 2015 წლის მდგრადი განვითარების მიზნები ის უნივერსალური ფორმატია, რომელიც აყალიბებს მასშტაბურ და ყოვლისმომცველ ხედვას იმ სისტემური ცვლილებებისთვის, რომლებიც აუცილებელია მდგრადი გლობალური დღის წესრიგის შესაქმნელად. ამისათვის საჭიროა კოლექტიური ძალისხმევა, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, მულტისექტორული თანამშრომლობა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია

The main transport document of the capital will make it possible to develop Tbilisi transport infrastructure in accordance with modern requirements, reducing the traffic jams and adverse impact of emissions in the streets of the city.

The Residential Development Planning Guidelines, drawn up within Asian Development Bank project "Future Cities for Future Women", is significant. The guidelines are a first attempt to bring such practical directives specified for Tbilisi urban development together, which can support the formation of a human-oriented, fair, inclusive and gender-sensitive residential environment. These reforms will bring Tbilisi closer to the UN Sustainable Development Goals.

**What is the relevance of multi-sector cooperation (public-private partnership) when achieving the main Sustainable Development Goals and what is the engagement of the city in this process?**



მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესში. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოწვევები, რომლებსაც მდგრადი განვითარების მიზნები ეხმიანება, თავისი არსით, მრავალსექტორულია.

ამ მიმართულებით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, თბილისის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. ისინი დედაქალაქში მიმდინარე თითოეულ მსხვილ პროექტში მონაწილეობენ. აღსანიშნავია თბილისის სტრატეგიული სატრანსპორტო დოკუმენტი, მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა (SUMP), რომელიც ამჟამად დამუშავების ეტაპზეა და არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. რაც შეეხება კერძო-საჯარო პარტნიორობის ფორმატს, ამჟამად მუნიციპალიტეტი განიხილავს ამ მოდელით პროექტების

*GIZ-ის მხარდაჭერით 2020 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მუშაობა სატყეო პოლიტიკის ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუნიციპალიტეტის ტყეების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოსაყალიბებლად*

**WITH GIZ SUPPORT THE WORK ON A STRATEGY AND ACTION PLAN FOR FOREST POLICY INSTITUTIONAL DEVELOPMENT COMMENCED IN 2020 AND IT IS STILL UNDERWAY. IT WILL SERVE TO ENSURE THE ESTABLISHMENT OF EFFICIENT GOVERNANCE OF MUNICIPAL FORESTS**

The UN 2015 Sustainable Development Goals provide a universal format, establishing an overarching and high magnitude vision for systemic changes, which is necessary to create a sustainable global agenda. Collective effort is necessary for it, on both international and national levels. Therefore, multi-sector collaboration is one of the mandatory components in the ongoing transformation process. Especially, if we consider, that the challenges which the Sustainable Development Goals respond to are in their nature multisectoral.

In this direction, during the strategic planning process, Tbilisi municipality is actively cooperating with the non-government sector. They are engaged in each large-scale project in the capital. It is noteworthy that the strategic transport document of Tbilisi, the Sustainable Urban Mobility Plan (SUMP), is currently being drawn up with the active engagement from both the non-government sector and academia.

As for public-private partnership formats, currently, the municipality is reviewing the possibility of planning projects with this model and with the support of international partners, it is uncovering such projects.

**What kind of partnership projects does the Government of Tbilisi run with non-government and private sectors in Tbilisi? Does it have programmes to support public-private partnership and what are the priorities?**

Pursuant to the Green Plants (Forests) Management Plan, the Tbilisi Mayor's Office, with the support of the German Agency for International Collaboration



დაგეგმვის შესაძლებლობასა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ჩართულია მსგავსი პროექტების გამოვლენაში.

**რა სახის პარტნიორულ პროექტებს ახორციელებს დედაქალაქის მთავრობა არასამთავრობო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით თბილისის მუნიციპალიტეტში? აქვს თუ არა პროგრამები კერძო-საჯარო პარტნიორობის ხელშესაწყობად და როგორია პრიორიტეტები?**

თბილისის მერიამ მწვანე ნარგავების (ტყეების) მართვის გეგმის შესაბამისად, 2019 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ოთხ სატყეო უბანში, 20 ჰა-მდე ფართობზე, ფიჭვის სახეობებისგან ფორმირებული ტყის კორომებში

(GIZ), conducted the natural regeneration of natural pine forest on 20 ha, in four forest areas.

In 2019, with support from GIZ, a medium difficulty hiking trail connecting Turtle Lake with Mtatsminda was established, with a total distance of 6.8km. The aim of the project was to develop an educational and recreational trail, which enables the establishment of forest ecosystem services and underlines its relevance, as well as supports awareness raising campaigns on biodiversity.

With GIZ support the work on a strategy and action plan for forest policy institutional development commenced in 2020 and it is still underway, It will serve to ensure the establishment of efficient governance of municipal forests.

*მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის (2017-2030) მნიშვნელოვანი მიმართულებებია მყარი ნარჩენები, მიწის მართვა და ბიომრავალ-ფეროვნება*

*THE GREEN CITY ACTION PLAN'S (2017-2030) RELEVANT DIRECTIONS ARE WASTE MANAGEMENT, LAND MANAGEMENT AND BIODIVERSITY*



*THE TBILISI MAYOR'S OFFICE IS ALSO ENGAGED IN A EUROPEAN COUNCIL PROJECT AIMED AT STRENGTHENING AND INTEGRATING CITIZEN ENGAGEMENT MECHANISMS IN MUNICIPAL POLICY PLANNING PROCESSES*

*თბილისის მერია ასევე ჩართულია ევროპის საბჭოს პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის მერიის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დამატებით გაძლიერებასა და ინტეგრირებას*

ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები განახორციელა.
2019 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ - ის თანადგომით, კუს ტბა-მთაწმინდის დამაკავშირებელი საშუალო სირთულის სალაშქრო ბილიკი მოეწყო, რომლის სიგრძე 6,8 კმ-ია. აღნიშნული პროექტის მიზანია საგანმანათლებლო და სარეკრეაციო ბილიკის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ტყის ეკოსისტემური სერვისების დანერგვასა და მისი მნიშვნელობის გამოკვეთას, ასევე, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

GIZ-ის მხარდაჭერით 2020 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მუშაობა სატყეო პოლიტიკის ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუნიციპალიტეტის ტყეების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

2020 წელს გაფორმდა მემორანდუმი თბილისის მერიასა და „ფონდ განვითარება და გარემოს" შორის, რომლის ფარგლებში დაგეგმილია 677 ჰა ფართობზე ტყის აღდგენა-განახლება. აღნიშნული ფართობი ემიჯნება ქალაქის ცენტრალურ უბნებს: წავკისს, ოქროყანას, სოლოლაკს, მთაწმინდას, ვერას, ვაკეს, ბაგებს, წყნეთსა და უძოს მთის მიდამოებს და თბილისის გამწვანების ერთ-ერთ ძირითადი კვანძია.

თბილისის მერია ასევე ჩართულია ევროპის საბჭოს პროექტში, რომელიც მიზნად

In 2020 a memorandum was signed between the Tbilisi Mayor's Office and the Development and Environment Fund, which covers a plan to carry out reforestation activities over 677 hectares of space in Tbilisi. This area borders with central neighborhoods: Tsavkisi, Okrokana, Sololaki, Mtatsminda, Vera, Vake, Bagebi, Tskneti and Udzo Mountain areas and is the main focus for Tbilisi greening.

The Tbilisi Mayor's Office is also engaged in a European Council Project aimed at strengthening and integrating citizen engagement mechanisms in municipal policy planning processes. The [roject's goal is to establish a sustainable discussion/coordination platform, the Citizen Engagement Working Group, within which specific initiatives selected for urban parks and gardens renovation and/or construction shall be discussed and decided on with civil society organizations and citizens.

*A STRATEGIC GOAL, WHICH ENVISAGES THE SUSTAINABLE URBAN PLANNING SYSTEM ESTABLISHMENT BASED ON THE LAND USE MASTER PLAN, IS BEING EXECUTED FROM 2019*

*სტრატეგიული მიზანი, რომელიც ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე დაყრდნობით მდგრადი ურბანული დაგეგმარების სისტემის განხორციელებას ეხება, 2019 წლიდან სრულდება*

ისახავს თბილისის მერიის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დამატებით გაძლიერებასა და ინტეგრირებას. პროექტის მიზანი მდგრადი დისკუსიის/კოორდინაციის პლატფორმის – ,, სამოქალაქო მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი“ ჩამოყალიბებაა, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან თანამშრომლობით განიხილება და გადაწყდება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საქალაქო პარკებისა და სკვერების განახლებისა და/ან მშენებლობის კუთხით შერჩეული კონკრეტული ინიციატივები.

2021 წლის 20 იანვარს ქალაქ თბილისის მთავრობამ დაამტკიცა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პარკების დაგეგმვის პროცესში საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის მიზნით საკონსულტაციო ჯგუფის შექმნისა და მისი საქმიანობის წესი“. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს სახელმძღვანელო პრინციპებს, გამოკვეთს პარკების დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და მათ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს. მერიამ აღნიშნული ფორმატი გამოიყენა თბილისის დენდროლოგიური პარკის შექმნისთვის. მიმდინარეობს კონსულტაციები ვერის პარკის პროექტის შექმნისთვის.

**ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შეიმუშავა, თბილისის, როგორც მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმაა, რომელიც 2017-2030 წლებზეა გაწერილი და სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ითვალისწინებს, მათ შორის, დედაქალაქის სწორი ურბანული და გარემოსდაცვითი დაგეგმარების კომპონენტებს. რა ეტაპზეა დღესდღეობით ეს ყველაფერი და როგორ მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებული პროექტები?**

On January 20, 2021 Tbilisi Government approved a regulation on the “Creation and Operation rules of Consultative Group for Holding Community Consultations for Tbilisi Municipality Park Planning Process". This document sets out in detail the guidelines, sets out the stakeholders for engaging in the park planning process and describes their responsibilities. The Mayor's Office used the same format for creating the Tbilisi Dendrology Park. Consultations on the Vera Park project are underway.

**One of the significantprojects which Tbilisi Mayor's Office has adopted with the financial support of the European Bank of Reconstruction and Development, is the “Tbilisi, Green City Action Plan”, which is set out for 2017-2030 and envisages relevant activities in various directions, including, correct urban and environmental planning components for the capital. What is the current condition of this and how are projects derived from the plan being carried out?**



*რაც შეეხება მყარ ნარჩენებს, თბილისის მერიამ შეასრულა სტრატეგიული მიზანი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიმართულებით*

**AS FOR SOLID WASTE, TBILISI MAYOR'S OFFICE HAS IMPLEMENTED A STRATEGIC GOAL WITH REGARDS TO A WASTE MANAGEMENT PLAN**

მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის (2017-2030) მნიშვნელოვანი მიმართულებებია მყარი ნარჩენები, მიწის მართვა და ბიომრავალფეროვნება.

2017 წელს შემუშავებულ მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა ის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები, რომელთა შესრულებითაც თბილისში მივიღებთ ეკოლოგიურად სუფთა, საცხოვრებლად კომფორტულ და ჯანსაღ გარემოს.

სტრატეგიული მიზანი, რომელიც ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე დაყრდნობით მდგრადი ურბანული დაგეგმარების სისტემის განხორციელებას ეხება, 2019 წლიდან სრულდება, როცა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცდა. თბილისის მერია აღნიშნული დადგენილების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს, გასცემს ნებართვებს და ჩართულია მდგრადი ურბანული დაგეგმარების სისტემის განხორციელებაში.

სტრატეგიული მიზანი – ახალი მწვანე სივრცეების განვითარება ქალაქის ურბანულ საზღვრებში ითვალისწინებს როგორც პარკებისა და სკვერების შექმნას, რეაბილიტაციას, ასევე, საგზაო და ქუჩების მწვანე ნარგავების რაოდენობის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან ქალაქში არსებული დიდი და მცირე ზომის სკვერების მასშტაბური რეაბილიტაცია (2018-2020 წლებში 20 ერთეული) მიმდინარეობს. ასევე, მოეწყო/განახლდა 30 ერთეული საგზაო ტერიტორია, სადაც განთავსდა მწვანე ნარგავები (ხეები, ბუჩქები, ბალახის საფარი).

The Green City Action Plan's (2017-2030) relevant directions are waste management, land management and biodiversity.

The Green City Action Plan adopted in 2017 has defined the strategic goals and priorities, which, if achieved, will result in an ecologically clean, comfortable to live and healthy environment.

A strategic goal, which envisages the sustainable urban planning system establishment based on the Land Use Master Plan, is being executed from 2019, when the Land Use Master Plan for Tbilisi was approved. The Tbilisi Mayor's Office makes decisions, issues permits and is engaged in a sustainable urban planning system based on this regulation.

The strategic goal of developing new green spaces within city bounds envisages the creation/rehabilitation of parks and gardens, as well as increasing the quantity of road and street green plants.

It is noteworthy, that since 2018 the large scale rehabilitation of existing large and small gardens (20 units in 2018-2020) has been ongoing. Additionally, 30 road territories have been renovated, where green plants (trees, bushes, grass coverage) have been sown.

Rehabilitation and green planting have been ongoing for Tbilisi adjacent territories (slopes) to ensure protection from erosion, wind, landslides, and floods. Additionally, both banks of the Mtkvari River have been planted with large trunk trees to improve the enbankment territories.

*სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, თბილისის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. ისინი დედაქალაქში მიმდინარე თითოეულ მსხვილ პროექტში მონაწილეობენ*

**DURING THE STRATEGIC PLANNING PROCESS, TBILISI MUNICIPALITY IS ACTIVELY COOPERATING WITH THE NON-GOVERNMENT SECTOR. THEY ARE ENGAGED IN EACH LARGE-SCALE PROJECT IN THE CAPITAL**

რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გამწვანდა თბილისის მიმდებარე ტერიტორიები (ფერდობები) ქალაქის ეროზიების, ქარის, მეწყერებისა და წყალდიდობებისგან დასაცავად. ასევე, მდინარე მტკვრის მიმდებარე ტერიტორიების გასაუმჯობესებლად ორივე სანაპიროზე დაირგა დიდტანოვანი ხეები.

რაც შეეხება მყარ ნარჩენებს, თბილისის მერიამ შეასრულა სტრატეგიული მიზანი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიმართულებით. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წელს შემუშავდა თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მომავალი ხუთი წლის (2019 - 2024) განმავლობაში განსახორციელებელ იმ ღონისძიებებს განსაზღვრავს, რომლებიც მყარ საფუძველს შექმნის ნარჩენების მდგრადი და ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

As for solid waste, Tbilisi Mayor's Office has implemented a strategic goal with regards to a waste management plan. Pursuant to the Waste Management National Strategy and Action Plan, Tbilisi Waste Management Action Plan was drawn up in 2019, which outlines actions to be taken over the next five years (2019-2024), creating the basis for sustainable and efficient waste management system.

The Tbilisi Mayor's Office works per the waste prevention and recycling strategy from 2020, the project of which (Tbilisi Solid Waste Project) is under development currently.

**One of the significant parts of the "Tbilisi, Green City Plan" is the development of transport infrastructure. How is this direction adapted to global challenges and how will it support the implementation of the Sustainable Development Goals, including in respect to environmental security? How much have the views and needs of various sectors been considered when working on this project and were civil society organizations and business sector engaged in the process?**

Tbilisi has been consistently implementing transport infrastructure activities, which, apart from drawing, also includes complex approaches, expressed in the replanning of streets oriented for vehicles Per the project, public



ქ. თბილისის მერია 2020 წლიდან მუშაობს ქალაქ თბილისის ნარჩენების პრევენციისა და რეციკლირების სტრატეგიაზე, რომლის პროექტი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი) ამ დროისთვის მუშავდება.

**თბილისის, როგორც მწვანე ქალაქის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაა. როგორ არის ადაპტირებული ეს მიმართულება გლობალურ გამოწვევებთან და რამდენად შეუწყობს ხელს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას, მათ შორის, ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით? რამდენად იყო ამ პროექტზე მუშაობისას გათვალისწინებული სხვადასხვა სექტორის მოსაზრებები და საჭიროებები და თუ მონაწილეობდნენ ამ პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი?**

რამდენიმე წელია ქალაქი თანმიმდევრულად ახორციელებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამუშაოებს, რომელიც დახაზვითი ნაწილის გარდა, კომპლექსურ მიდგომასაც მოიაზრებს, რაც გამოიხატება მანქანებზე ორიენტირებული ქუჩების გადაგეგმარებით. მუნიციპალიტეტის მიზანია, საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილეს თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს გადაადგილებისათვის. მსგავსი პროექტის განხორციელებისას საზოგადოებრივ ტრანსპორტს და უმოტორო სატრანსპორტო საშუალებებს ეთმობა საკუთარი

transport and non-motor vehicles receive their own lane, ensuring their non-hindered movement, including during peak hours. Such an approach will cause a decrease in car-dependency, which will reflect positively on the environment.

The sustainable transport strategic planning process in Tbilisi envisages the renovation of the public transport system as well. Several steps have been made in this direction: starting with bus park renewal with ecologically clean transport and optimization of traffic network, ending with the modernization of the Tbilisi Metro and cable way transport development. In the process of

*WHEN COMING UP WITH THE DEVELOPMENT REGULATION PLAN (DRP), THE TBILISI MAYOR'S OFFICE REVIEWS ALL PROPOSED DOCUMENTS TOGETHER WITH THE PRIVATE COMPANIES DURING THE PROCESS OF ISSUING PERMITS*

*განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ნებართვის გაცემისას, კერძო კომპანიებთან ერთად, ყველა შემოთავაზებულ დოკუმენტს განიხილავს*

## THE SUSTAINABLE TRANSPORT STRATEGIC PLANNING PROCESS IN TBILISI ENVISAGES THE RENOVATION OF THE PUBLIC TRANSPORT SYSTEM AS WELL. SEVERAL STEPS HAVE BEEN MADE IN THIS DIRECTION: STARTING WITH BUS PARK RENEWAL WITH ECOLOGICALLY CLEAN TRANSPORT AND OPTIMIZATION OF TRAFFIC NETWORK, ENDING WITH THE MODERNIZATION OF THE TBILISI METRO AND CABLE WAY TRANSPORT DEVELOPMENT

## თბილისში მდგრადი ტრანსპორტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გულისხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განახლებასაც. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა: დაწყებული ავტობუსის პარკის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით განახლებითა და სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციით, დასრულებული თბილისის მეტროს მოდერნიზაციითა და საბაგირო ტრანსპორტის განვითარებით

სავალი ზოლი, რაც მათი შეუფერხებელი მოძრაობის გარანტორია, მათ შორის, პიკურ საათებში. აღნიშნული მიდგომა გამოიწვევს მანქანაზე დამოკიდებულების შემცირებას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ეკოლოგიაზე.

თბილისში მდგრადი ტრანსპორტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გულისხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის განახლებასაც. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა: დაწყებული ავტობუსის პარკის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით განახლებითა და სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციით, დასრულებული თბილისის მეტროს მოდერნიზაციითა და საბაგირო ტრანსპორტის განვითარებით. ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაციის პროცესში შემუშავდა იერარქიული სამარშრუტო სქემა (ტრანზიტული, საუბნო და ადგილობრივი ხაზები), რაც გულისხმობს თბილისში 11 სწრაფი სატრანზიტო დერეფნის ე.წ. Tbilisi Bus Transit (TBT) მოწყობას, რომელიც მოემსახურება დედაქალაქის ძირითად ქუჩებსა და საგზაო დერეფნებს მაღალი ტევადობის, სწრაფი ავტობუსებით.

მნიშვნელოვანია ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დანერგვა, რაც აქამდე არ არსებობდა. ზონალური პარკირებით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა მობილური აპლიკაცია - Tbilisi Parking უნდა ჩამოტვირთონ და ელექტრონული გადახდის მეთოდით, ფასიანი ავტოსადგომით ისარგებლონ. აპლიკაციაში მოცემულია რუკა, სადაც ნომრების მიხედვით, ზონალური პარკირების ყველა არეალია აღნიშნული. პარკირებით სარგებლობა უფასოდ შეუძლიათ შშმ პირებსა და ელექტრომობილების მფლობელებს.

restructuring the bus network, a hierarchical traffic network was drawn up (transit, precinct, and local lines), which includes 11 rapid transit corridors, a so-called Tbilisi bus Transit (TBT) formation which serves the main streets and traffic corridors for large-capacity rapid buses.

The establishment of a zonal, hourly parking system is significant. Citizens need to download mobile application Tbilisi Parking and through electronic payment methods can use paid parking spots. The application includes a map with zoning parking areas by numbers. Parking spots are free of charge for people with disabilities and electric car owners.

**როგორ შეიძლება კერძო კომპანიების წახალისება დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისას? თუ არსებობს რაიმე სახის ხედვა ამ მიმართულებით?**

განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ნებართვის გაცემისას, კერძო კომპანიებთან ერთად, ყველა შემოთავაზებულ დოკუმენტს განიხილავს. შეთანხმების საფუძველზე ითვალისწინებენ არსებულ გარემო პირობებს და ორივე მხარე მაქსიმალურად ცდილობს, ხელი შეუწყოს დედაქალაქის მდგრად განვითარებას. ეს ნიშნავს, რომს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისას, ტერიტორიაზე შენარჩუნდეს რეკრეაციული სივრცე და მწვანე საფარი.

აღნიშნული პოლიტიკით თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახალისებს კერძო კომპანიებს, საკუთარის წვლილი შეიტანონ ქალაქის მდგრად განვითარებაში.

**How is it possible to incentivize private companies when implementing important projects for the capital? Is there any vision in this direction?**

When coming up with the Development Regulation Plan (DRP), the Tbilisi Mayor's Office reviews all proposed documents together with the private companies during the process of issuing permits. Surrounding conditions are considered based on agreement and both parties make a maximum effort to support the sustainable development of the city. This means that when implementing important projects, recreation spaces and green coverage should be preserved.

Through this policy the Tbilisi Mayor's Office incentivizes private companies to make their own contribution in the sustainable development of the city.



# მდგრადი განვითარება ეროვნული ვალდებულებაა

# SUSTAINABLE DEVELOPMENT IS A NATIONAL COMMITMENT

CENN არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც იცავს გარემოს სამხრეთ კავკასიაში და ამით ხელს უწყობს რეგიონში მდგრად განვითარებას. ორგანიზაცია ეხმარება საზოგადოებრივ და კერძო სექტორს, მთავრობასა და ადგილობრივ თემებს მათ წინაშე არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში, წარმატებული სოციალური აქტივობების განხორციელებასა და რესურსების ეფექტიან მართვაში. ამ პროცესში აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სექტორსა და ორგანიზაციასთან. როგორია მათი წვლილი მდგრადი განვითარების მიზნებისკენ მიმავალ გზაზე და რა როლი აქვს ამ პროცესში სექტორთშორის თანამშრომლობას, CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი, ნანა ჯანაშია გვესაუბრება.

**– გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN აქტიურად ნერგავს მდგრადი განვითარების პრინციპებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. როგორია მისი როლი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში?**

CENN IS A NON-GOVERNMENTAL ORGANIZATION THAT PROTECTS THE ENVIRONMENT IN THE SOUTH CAUCASUS AND THUS PROMOTES SUSTAINABLE DEVELOPMENT IN THE REGION. THE ORGANIZATION ASSISTS THE PUBLIC AND PRIVATE SECTORS, GOVERNMENT AND LOCAL COMMUNITIES IN SOLVING THE ENVIRONMENTAL PROBLEMS THEY FACE, IMPLEMENTING SUCCESSFUL SOCIAL ACTIVITIES AND MANAGING RESOURCES EFFECTIVELY. IN THIS PROCESS, ACTIVELY COOPERATES WITH VARIOUS SECTORS AND ORGANIZATIONS. CENN EXECUTIVE DIRECTOR NANA JANASHIA TALKS ABOUT THEIR CONTRIBUTION TO THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS AND THE ROLE OF MULTI-SECTORAL COOPERATION IN THIS PROCESS.

**Environmental protection organization CENN is actively establishing Sustainable Development Principles in Georgia, Armenia, and Azerbaijan. What is its role in achieving the sustainable development goals?**

*არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კერძო სექტორთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რაც განაპირობებს უფრო ფართო მასშტაბის საკითხების დაფარვას, მდგრადობას და რესურსების გადანაწილებას*

*COOPERATION AND THE INVOLVEMENT OF THE PRIVATE SECTOR IN THE DEVELOPMENT SECTOR IS IMPORTANT: IT ENSURES COVERAGE OF WIDER ISSUES, SUSTAINABILITY AND RESOURCE DISTRIBUTION*



**SDGS HAVE A BIG SIGNIFICANCE FOR CENN AS THEY ARE DIRECTLY LINKED TO THE VALUES FOR WHICH OUR ORGANIZATION STANDS. THEIR FULFILLMENT OF THE SDGS ARE NOT JUST THE RESPONSIBILITY OF THE GOVERNMENT, BUT IT IS A NATIONAL COMMITMENT, THAT SHOULD UNITE ALL SECTORS – INCLUDING CSOS, BUSINESS AND ACADEMIA.**

*მდგრადი განვითარების მიზნებს დიდი მნიშვნელობა აქვს CENN-ისთვის, რადგან ჩვენს ღირებულებებს უკავშირდება. მათი შესრულება არ არის მხოლოდ მთავრობის პასუხისმგებლობა – ეროვნული ვალდებულებაა, რომელმაც სხვადასხვა სექტორი – მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნესი და აკადემია უნდა მოიცვას*

მდგრადი განვითარების მიზნებს დიდი მნიშვნელობა აქვს CENN-ისთვის, რადგან ჩვენს ღირებულებებს უკავშირდება. მათი შესრულება არ არის მხოლოდ მთავრობის პასუხისმგებლობა – ეროვნული ვალდებულებაა, რომელმაც სხვადასხვა სექტორი – მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნესი და აკადემია უნდა მოიცვას. ამიტომ, ყველას ვურჩევთ, მონაწილეობა მიიღონ ამ ინიციატივაში და უფრო მდგრადი მომავლისთვის ითანამშრომლონ.

CENN სპეციალიზებულია SDG-ებისთვის მნიშვნელოვან რიგ სფეროებში, მათ შორის, რესურსების მდგრად მენეჯმენტში, კატასტროფების რისკის შემცირებაში (DRR), სოფლის განვითარებაში, ნარჩენების მართვაში, ჯანსაღი და განვითარებადი კლიმატისადმი მდგრადი საზოგადოების/თემების შექმნაში, ქალებისა და გოგონების გაძლიერებაში, რათა მონაწილეობა მიიღონ ინკლუზიურ

SDGs have a big significance for CENN as they are directly linked to the values for which our organization stands. Their fulfillment of the SDGs are not just the responsibility of the government, but it is a national commitment, that should unite all sectors – including CSOs, business and academia. Therefore, we encourage everyone to take part in this initiative and work together for a more sustainable future.

CENN specializes in a number of areas relevant for SDGs including the sustainable management of resources, disaster risk reduction (DRR), rural development, waste management, WASH (water, sanitation and hygiene), building healthy and prosperous climate-resilient communities, empowering women and girls to participate in the creation and implementation of inclusive solutions, etc. The ongoing projects of CENN are linked to 16 out of the 17 SDGs in addition to relevant global and

გადაწყვეტილებებში და ა.შ. CENN-ის მიმდინარე პროექტები უკავშირდება 17-დან 16 SDG-ს და შესაბამის გლობალურ და ნაციონალიზებულ მიზნებს. განსაკუთრებული მოვლენაა ნიკო კეცხოველის სკოლის ყოველწლიური პრემია, რომელიც 500-ზე მეტ სკოლას აერთიანებს ქვეყნის მასშტაბით. ახალგაზრდული კონკურსის მთავარი თემა გლობალური SDG-ია, რაც აქტუალურს ხდის ამ თემას ახალ თაობაში.

**რა გამოცდილება აქვს CENN-ს პარტნიორული პროექტების ჭრილში. რატომ არის მნიშვნელოვანი სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობა?**

მდგრადი განვითარების ხელშეწყობა CENN-ის მისიის ნაწილია, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, გარემოს დაცვას, კლიმატის მედეგობას, ინკლუზიურ ზრდას, კარგ მმართველობას. ამის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მულტისექტორულ თანამშრომლობას. რეალური ცვლილებისთვის საჭიროა ყველა სექტორის ჩართულობა, რაშიც აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ორგანიზაცია.

ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტყის მდგრადი მართვა სოფლის განვითარებისათვის“ – ფარგლებში, CENN-მა ხელი შეუწყო სატყეო სექტორის მნიშვნელოვან რეფორმებს. შემუშავდა სატყეო კონცეფციის – პოლიტიკის დოკუმენტი და 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა; შეიქმნა და დამტკიცდა ტყის ახალი კოდექსი ეროვნულ დონეზე, რაც მრავალსექტორული თანამშრომლობის შედეგი იყო – პროცესში მონაწილეობდა სხვადასხვა მხარე, მათ შორის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო საზოგადოება, საგანმანათლებლო და კერძო სექტორი.

nationalized targets. A special highlight is the annual Niko Ketskhoveli School Award, which unites over 500 schools across the country with global SDGs as the main theme of the youth competition.

**What is CENN's experience in partnership projects, why is partnership with various sectors relevant?**

Part of CENN's mission is the promotion of sustainable development, which encompasses many different aspects such as environmental protection, climate resilience, inclusive growth and good governance, to name a few. For this to be achieved it is absolutely crucial that multi-sectoral cooperation be practiced. In order to make a real difference, all sectors have to be involved and represented, in which our organization actively participates.

Within the Sustainable Forest Resource Management for Rural Development project funded by the Austrian Development Cooperation (ADC), CENN contributed to significant reforms in the forestry sector. The Forest Concept, a policy document was developed and it was approved by the Parliament of Georgia in 2013. Furthermore, a new Forest Code was developed and approved on a national level, which was the result of a multi-sectoral cooperation – parties from all sides were involved in the process including public and private sector, non-governmental organizations, the scientific community and the education sector.

The Georgia Climate Action Project (GEO-CAP) funded by the EU is another project in which the multi-sectoral approach is core to the aim of the project. The project aims to promote civil society engagement in climate change policy design implementation and will be establishing multi-stakeholder regional action groups as well as a national platform on climate change, environment and

*მდგრადი განვითარების ხელშეწყობა CENN-ის მისიის ნაწილია, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, გარემოს დაცვას, კლიმატის მედეგობას, ინკლუზიურ ზრდას, კარგ მმართველობას*

**PART OF CENN'S MISSION IS THE PROMOTION OF SUSTAINABLE DEVELOPMENT, WHICH ENCOMPASSES MANY DIFFERENT ASPECTS SUCH AS ENVIRONMENTAL PROTECTION, CLIMATE RESILIENCE, INCLUSIVE GROWTH AND GOOD GOVERNANCE**

*WHEN COMING UP WITH THE DEVELOPMENT REGULATION PLAN (DRP), THE TBILISI MAYOR'S OFFICE REVIEWS ALL PROPOSED DOCUMENTS TOGETHER WITH THE PRIVATE COMPANIES DURING THE PROCESS OF ISSUING PERMITS*

*განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ნებართვის გაცემისას, კერძო კომპანიებთან ერთად, ყველა შემოთავაზებულ დოკუმენტს განიხილავს*

საქართველოს კლიმატის სამოქმედო პროექტი (GEO-CAP) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი პროექტია, სადაც მოქმედებს მულტისექტორული მიდგომა. მისი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებისას; ასევე, იგეგმება დაინტერესებულ მხარეთა რეგიონული სამოქმედო ჯგუფებისა და კლიმატის ცვლილების, გარემოს და ჯანდაცვის ეროვნული პლატფორმის შექმნა. ეს მნიშვნელოვანია ნდობის აღსადგენად და თანამშრომლობის გასაძლიერებლად სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისთვის. პლატფორმა მარგინალურად დაუცველი და გარიყული ჯგუფების ჩართვასაც უზრუნველყოფს.

CENN-ს კერძო სექტორთან მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. ნარჩენების მართვის წინა პროგრამის ფარგლებში, USAID-ის დაფინანსებით დავაარსეთ საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია, რომელიც თანამშრომლობის, ადვოკატირებისა და კოორდინაციის პლატფორმა გახდა.

მულტისექტორული პარტნიორობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია თანამშრომლობა ამერიკის სავაჭრო პალატასთან (AmCham). CENN-მა შექმნა AmCham-ის გარემოს დაცვის კომიტეტი და რეგულარულად ატარებს საკოორდინაციო შეხვედრებს, რათა განიხილონ გარემოსდაცვით საკითხებზე პოტენციური თანამშრომლობა.

მულტისექტორული მიდგომით განხორციელდა ბრიტანეთის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი სასურსათო ნარჩენების პროექტი, რომლის საჭიროება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დადგა. დაარსდა მრავალდარგობრივი პლატფორმა – სურსათის დონაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც კერძო სექტორისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. დაიწყო სამთავრობო უწყებებთან დიალოგი, რომლის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები არსებული რეალობის გათვალისწინებით.

health. This is important for building trust and increasing collaboration between state and non-state actors for inclusive policy design. The platforms also ensure the involvement of marginalised, disadvantaged and excluded groups.

In line with this approach, CENN has excellent precedence in working with the private sector. Within our previous waste management programme funded by USAID, we established the Georgian Waste Management Association, which became a platform for cooperation, advocacy and coordination.

Another important example of multi-sectoral cooperation is the work we do with the American Chamber of Commerce (AmCham). CENN established an environmental committee within AmCham and regularly holds coordination meetings to discuss potential cooperation on pressing environmental issues.

A multi-sectoral approach was implemented food waste project supported by the British Embassy, The need for which has become especially acute recently. The project established a multi-sectoral platform Food



*ყველა თანხმდება, რომ გარემოს დაცვა მხოლოდ მთავრობებისა და დონორების საქმე არაა*

**EVERYONE HAS COME TO TERMS WITH THE FACT THAT ENVIRONMENTAL PROTECTION IS NOT ONLY THE WORK OF GOVERNMENTS AND DONORS**

**არაერთ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო სექტორისგან იღებენ დახმარებას. უნდა გააქტიურდეს თუ არა საქართველოში ბიზნესსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის მსგავსი თანამშრომლობა?**

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კერძო სექტორთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რაც განაპირობებს უფრო ფართო მასშტაბის საკითხების დაფარვას, მდგრადობას და რესურსების გადანაწილებას. ასევე, ბიზნესის ჩართულობის ინსტრუმენტია განვითარებისა და გარემოს დაცვის დღის წესრიგში. საერთაშორისო მიდგომაც ასეთია: ყველა თანხმდება, რომ გარემოს დაცვა მხოლოდ მთავრობებისა და დონორების საქმე არაა.

საქართველოში მსგავსი მიდგომა არც ისე წარმატებულია, რადგან კორპორაციული პასუხისმგებლობის კომპონენტი ჯერ კიდევ ბევრ კომპანიას არა აქვს. თუმცა, ვცდილობთ მათთან კომუნიკაციას და სამუშაო პროცესში კერძო სექტორის ჩართვას.

ამის მაგალითია თანამშრომლობა „კოკა-კოლას“ ფონდთან WASH-ის საკითხებზე, პროექტის – „საზოგადოების მოქმედება WASH სერვისების გაუმჯობესებისათვის საქართველოს დაუცველ სოფლებში“ ფარგლებში, რომელსაც ფინანსურად გლობალური წყლის გამოწვევის (Global Water Challenge) და „კოკა-კოლას“ ფონდი (TCCF) ეხმარება. პროექტი ინფრასტრუქტურულ განვითარებას და საგანმანათლებლო კამპანიებს მოიცავს.

გარდა ამისა, სოფლის განვითარების პროექტების (ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ENPARD პროექტები) ფარგლებში, ქედასა და წალკაში მხარს ვუჭერთ კერძო სექტორს და ადგილობრივ მეწარმეებს. რესურსები თანადაფინანსებით ნაწილდება.

Donations Working Group, comprised of private sector and charity organisations, in which key players affected by food donations initiated a dialogue with governmental agencies. As a result of this dialogue policy recommendations were drafted that took into consideration the existing reality on the ground.

**Non-governmental organisations receive certain aid and support from the private sector in many countries. Do you believe that similar cooperation should be more active between the business and civil society organisations in Georgia? If so, why?**

Cooperation and the involvement of the private sector in the development sector is important: it ensures coverage of wider issues, sustainability and resource distribution. It also serves as a tool to bring businesses onboard with the development and environment agenda. This is now also the international approach, and everyone has come to terms with the fact that environmental protection is not only the work of governments and donors.



*WITHIN OUR PREVIOUS WASTE MANAGEMENT PROGRAMME FUNDED BY USAID, WE ESTABLISHED THE GEORGIAN WASTE MANAGEMENT ASSOCIATION, WHICH BECAME A PLATFORM FOR COOPERATION, ADVOCACY AND COORDINATION.*

*ნარჩენების მართვის წინა პროგრამის ფარგლებში, USAID-ის დაფინანსებით დავაარსეთ საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია, რომელიც თანამშრომლობის, ადვოკატირებისა და კოორდინაციის პლატფორმა გახდა*

პროექტის ფარგლებში ქედაში 300-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა და 97 ადგილობრივმა ბიზნესმა მიიღო დახმარება. საერთო ჯამში, მობილიზებული იყო 7 357 119 ლარი, საიდანაც ჩვენი და ევროკავშირის წილი იყო 3 500 000 ლარი, თანადაფინანსება კი 4 400 000 ლარს შეადგენდა.

**რა რეკომენდაციებს მისცემდით არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც ბიზნესთან თანამშრომლობა სურთ, თუმცა სათანადო გამოცდილება არა აქვთ?**

თანამედროვე წარმატებული არაკომერციული ორგანიზაციების უმეტესობა კომპანიების მსგავსად იმართება. როგორც კერძო, ისე არასამეწარმეო სუბიექტები თავიანთი მისიისა და ღირებულებების გათვალისწინებით მუშაობენ და საზოგადოებას სთავაზობენ (კლიენტები ან ბენეფიციარები) მათთვის საჭირო პროდუქტს ან მომსახურებას.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ბიზნესი ეკოლოგიურად ან სოციალურად სულ უფრო შეგნებული ხდება – ეს მომხმარებლის მოთხოვნაცაა. კერძო კომპანიებთან საქმიანობის დაწყება იგივეა, რაც დონორთან მუშაობა. ეფექტიანი თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

არაკომერციულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ხილვადობის ბრენდი, გამორჩეული პოზიცია ბაზარზე, განსხვავდებოდნენ სხვებისგან საკუთარი უნიკალური ბიზნეს წინადადებით და გამოირჩეოდნენ მაღალი სანდოობით, რაც ჩატარებულ სამუშაოებში გამოიხატება;

ორგანიზაციებმა უნდა მოძებნონ პარტნიორები, რომლებთანაც საერთო მისია და ღირებულებები აკავშირებთ და შესთავაზონ ბიზნეს პროექტები, რომლებიც აღნიშნულ ღირებულებებზე დაყრდნობით ქმნის პროდუქტს ან მომსახურებას. ბიზნეს

In Georgia, this approach has not yet been as successful as not many companies have a corporate social responsibility component. However, we always try to establish these working relationships and involve the private sector.

Example of it is cooperation with the Coca-Cola foundation on WASH issues within the project 'Community Action to Improve WASH Services in Vulnerable Rural Communities of Georgia', which is financially supported by the Global Water Challenge and the Coca-Cola Foundation (TCCF). The project involves infrastructural developments and educational campaigns.

In addition, within our rural development projects (EU supported ENPARD projects) in Keda and Tsalka, we support the private sector and local entrepreneurs. Resources are shared through a co-financing approach. For example, in Keda over 300 jobs were created as a result of the project and 97 local businesses were supported. In total, 7,357,119 GEL was mobilised, from which our and the EU's share was 3,500,000 GEL and co-financing came to 4,400,000 GEL.

**What would you recommend to non-governmental organisations that want to cooperate with businesses but have no experience?**

Today, most modern successful non-profit organisations are managed like companies. Both private and non-profit entities work based on their mission and values and offer the public (clients or beneficiaries) services or products that they need.

პროექტს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ გამოხატული გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებელი და გრძელვადიანი მდგრადი შედეგები;

ამ ნაბიჯით ორგანიზაციები კომპანიებს არსებითად ბიზნეს პარტნიორობას სთავაზობენ და არ ითხოვენ გრანტებს ან დაფინანსებას, რადგან, ამავდროულად, მომსახურებასაც უწევენ. შესაბამისად, პროდუქტის მართვა ბიზნეს პროდუქტის მსგავსად უნდა მოხდეს. ამისათვის ორგანიზაციას ბიზნეს უნარებით აღჭურვილი თანამედროვე და მოქნილი გუნდი უნდა ჰყავდეს.

**თქვენი ორგანიზაცია სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებთანაც თანამშრომლობს. რა გამოცდილება გაქვთ ამ მხრივ და რამდენად უწყობს ხელს ეს პარტნიორობა საერთო მიზნების ჯეროვნად შესრულებას?**

CENN-ის პროექტების უმეტესობა მიმართულია საქართველოს სოფლის დასახლებებზე და მათი ძირითადი პარტნიორები მუნიციპალიტეტები არიან. დემოკრატია ადგილობრივ დონეზე ხორციელდება და სწორედ აქ მყარდება კარგი მმართველობა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პარტნიორობაა, რომლის გაძლიერება ჩვენი არაერთი პროექტის ამოცანაა.

EU-ENPARD პროგრამების ფარგლებში აქტიურად ერთვებიან ადგილობრივი თემები. წალკასა და ქედაში ჩამოვაყალიბეთ კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები, რომლებსაც თემები ირჩევენ და რომლებიც მონაწილეობენ ეკოლოგიურად მგრძნობიარე ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, რაც გულისხმობს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას. მასში ასევე წარმოდგენილია ადგილობრივი ახალგაზრდობა, ქალები და დაუცველი ჯგუფები.

Based on today's reality, businesses are becoming increasingly environmentally or socially conscious as consumers are now demanding this. Starting work with private companies is the same as working with donors. Thus, for effective cooperation, the following factors are important:

Non-profit organisations should have a brand with a high visibility and they should have a distinguished position on the market. They should stand out from other organisations with their unique business proposition, and should be a trusted brand, which is demonstrated by the work they have carried out.

Organisations should find partners with whom they share values and a mission and should offer business projects that create a product or services based on these values. The business project should have a clearly outlined environmental or social benefit and should yield long-term, sustainable results.

In this partnership organisations are essentially offering companies a business partnership and not asking for funding or grants as they are also offering services. Consequently, the product should be managed like a business product. To achieve this, the organisation needs to have a modern and flexible team equipped with business skills.

**Your organisation cooperates with municipalities as well with regards to various projects. What experience do you have in this respect and how much does cooperation with municipalities support achieving common goals more efficiently?**

Most of our projects are implemented in rural Georgia and our main partners are local municipalities. Democracy happens on a local level and this is where good governance is established. For this reason, CENN considers this partnership essential and strengthening their capacity also forms part of our many projects.

*არაკომერციულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ხილვადობის ბრენდი, გამორჩეული პოზიცია ბაზარზე, განსხვავდებოდნენ სხვებისგან საკუთარი უნიკალური ბიზნეს წინადადებით და გამოირჩეოდნენ მაღალი სანდოობით, რაც ჩატარებულ სამუშაოებში გამოიხატება*

**NON-PROFIT ORGANISATIONS SHOULD HAVE A BRAND WITH A HIGH VISIBILITY AND THEY SHOULD HAVE A DISTINGUISHED POSITION ON THE MARKET. THEY SHOULD STAND OUT FROM OTHER ORGANISATIONS WITH THEIR UNIQUE BUSINESS PROPOSITION, AND SHOULD BE A TRUSTED BRAND, WHICH IS DEMONSTRATED BY THE WORK THEY HAVE CARRIED OUT**



*OUR ORGANIZATION WITH THE FINANCIAL SUPPORT OF USAID, ASSISTED THE GOVERNMENT IN DRAWING UP MUNICIPAL WASTE MANAGEMENT PLANS, WHICH ARE CURRENTLY BEING IMPLEMENTED*

*ჩვენი ორგანიზაცია, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, დაეხმარა მთავრობას მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შედგენაში, რომლებიც ამჟამად გამოიყენება პრაქტიკაში*






გარდა ამისა, CENN მუშაობდა შესაბამის სამთავრობო უწყებებთან, მათ შორის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი ორგანიზაცია, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, დაეხმარა მთავრობას მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შედგენაში, რომლებიც ამჟამად გამოიყენება პრაქტიკაში.

სამომავლოდ კლიმატის პროგრამისთვის ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე კლიმატის მიმართ მდგრადი განვითარების გეგმებისა და სცენარების შესაქმნელად ვიმუშავებთ, რაც ამ სფეროში გრძელვადიან წარმატებას და მდგრადობას უზრუნველყოფს.

Local communities are actively involved in EU-ENPARD programmes. We have established local actions groups, both in Tsalka and Keda, which are comprised of representative of private, public and non-governmental organisations. They are selected by the community themselves and participate in the development of environmentally-sensitive local development strategies and action plans which involve defining priority directions. Local youth, women and vulnerable groups are also represented in this group.

In addition, CENN has also worked on a policy level with government agencies, including local municipalities. Our organization with the financial support of USAID, assisted the government in drawing up municipal waste management plans, which are currently being implemented.

For our climate programme, we will work on a local municipal level to develop climate-resilient development plans and scenarios. Working with the local government ensures long-term sustainability and success.

# სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე პროგრესი არ მიიღწევა

# WITHOUT STATE INVOLVEMENT, NO PROGRESS CAN BE MADE



მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე მულტისექტორული პროექტების განხორციელებისას სახელმწიფოს როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ პროცესებში ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებას. ამ უკანასკნელს – კანონშემოქმედებითი თვალსაზრისითაც. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, მაია ბითაძე გვიზიარებს თავის მოსაზრებებს სექტორთაშორის თანამშრომლობისა და პარტნიორული პროექტების, ამ პროცესებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ჩართულობის, სახელმწიფოს როლისა და სამოქალაქო და ბიზნეს სექტორებთან ურთიერთობის შესახებ.

THE ROLE OF THE STATE IS EXTREMELY IMPORTANT IN THE IMPLEMENTATION OF MULTI-SECTORAL PROJECTS ON THE ROAD TO SUSTAINABLE DEVELOPMENT. BOTH THE EXECUTIVE AND THE LEGISLATIVE BRANCHES HAVE A KEY ROLE IN THESE PROCESSES. MAIA BITADZE, CHAIRPERSON OF THE PARLIAMENTARY COMMITTEE OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES, SHARES HER VIEWS ON CROSS-SECTORAL COOPERATION AND PARTNERSHIP PROJECTS, THE INVOLVEMENT OF THE ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES COMMITTEE IN THESE PROCESSES, THE ROLE OF THE STATE THE RELATIONS WITH CIVIL AND BUSINESS SECTORS.

*შეუთანხმებელ სექტორულ მიდგომებს არასასურველი შედეგები მოჰყვება, რომელთაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან სხვა სფეროებში პროგრესს და შეასუსტონ ერთიანი პოლიტიკა*

*UNCOORDINATED SECTORAL APPROACHES WILL HAVE UNINTENDED CONSEQUENCES THAT MAY ENDANGER PROGRESS IN OTHER AREAS AND WEAKEN THE UNIFIED POLICY*

**რა მნიშვნელობა აქვს მულტისექტორულ თანამშრომლობას 2030 წლისთვის განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად და რა როლი აქვს ამ პროცესში სახელმწიფოს?**

**What is the significance of multi-sectoral cooperation to achieve the Sustainable Development Goals set for 2030 and what is the role of the state in this process?**





*THE EXPERIENCE OF MANY COUNTRIES SHOWS THAT THE INTEGRATION OF SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS INTO NATIONAL STRATEGIES AND DEVELOPMENT PLANS IS A KEY POSITIVE FACTOR, AND WITHOUT STATE PARTICIPATION NO PROGRESS CAN BE MADE*

*ბევრი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია ეროვნულ სტარტეგიებსა და განვითარების გეგმებში საკვანძო პოზიტიური ფაქტორია, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე კი პროგრესი არ მიიღწევა*

2030 წლის მდგრადი განვითარების გლობალური დღის წესრიგის მისაღწევად მულტისექტორული თანამშრომლობა ერთ-ერთი ყველაზე შედეგზე ორიენტირებული მიდგომაა. საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას: გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და სათბურის გაზების ემისიების შემცირება, წარმოებისა და მოხმარების მდგრად მოდელებზე გადასვლა და სხვა. ამას მთელი რიგი სირთულეები ახლავს, რადგან გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფაა ამოცანა.

შესაბამისად, მსგავსი კომპლექსური საკითხები და ცალკეული მიზნები თუ ამოცანები შეთანხმებული და ინტეგრირებული პოლიტიკის გარეშე ვერ მიიღწევა. შეუთანხმებელ სექტორულ მიდგომებს არასასურველი შედეგები მოჰყვება, რომელთაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან სხვა სფეროებში პროგრესს და შეასუსტონ ერთიანი პოლიტიკა. ამიტომ, საჭიროა ამ მიზნების ერთად, როგორც ქვეყნის განვითარების ერთიანი დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილის განხილვა. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის პოლიტიკის თანმიმდევრულობას სხვადასხვა სექტორულ პროგრამებთან მიმართებით, ხელს უწყობს საჭირო რესურსების მობილიზებასა და სწორად განაწილებას. შესაბამისად, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას განაპირობებს.

ბევრი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია ეროვნულ სტარტეგიებსა და განვითარების გეგმებში საკვანძო პოზიტიური ფაქტორია, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე კი პროგრესი არ მიიღწევა. ამდენად, უდავოა სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში „თუმცა, წარმატებისთვის აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ამ პროცესში მონაწილეობა. ასევე, საზოგადოების, მათ შორის, სამოქალაქო და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა.

Multi-sectoral collaboration is one of the most result-oriented approaches to achieve the 2030 Global Sustainable Development Agenda. Georgia faces multiple challenges: reducing the impact on the environment and greenhouse gas emissions, moving to sustainable production and consumption models, and more. This is accompanied by several difficulties, as the task is to ensure environmental sustainability.

Therefore, such complex issues and specific goals or objectives cannot be achieved without an agreed upon and integrated policy. Uncoordinated sectoral approaches will have unintended consequences that may endanger progress in other areas and weaken the unified policy. Hence, it is necessary to consider these goals together as an integral part of the unified development agenda of the country. Such an approach significantly increases policy consistency in relation with different sectoral programmes, facilitates the mobilization of resources and proper allocation. Accordingly, it determines the achievement of the set goals and objectives.

The experience of many countries shows that the integration of Sustainable Development Goals into national strategies and development plans is a key positive factor, and without state participation no progress can be made. Thus, there is no doubt that the state has a crucial role to play in achieving the Sustainable Development Goals, but the engagement of stakeholders in this process is essential for success as well. The joint efforts of the public, including the civil and private sectors, are just as important.

**როგორია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ჩართულობა სექტორთშორისი თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, რა ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით?**

მე-10 მოწვევის პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ფორმირებისთანავე შემუშავდა კომიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას საზოგადოებასთან, სამოქალაქო და კერძო სექტორთან მჭიდრო კომუნიკაცია წარმოადგენს, რადგან დემოკრატიული გარემოსდაცვითი მმართველობის პრინციპები ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ჩვენი გუნდის მთავარ ღირებულებად.

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, რომლებიც მუდმივად თანამშრომლობენ კომიტეტთან კანონმდებლობის შემუშავების, ცვლილებებისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების განხილვის პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციები კომიტეტის მიერ ჩატარებულ თემატურ მოკვლევებსა და ნორმატიული აქტების აღსრულების პროცესსაც აკონტროლებენ.

წარმატებულია კომიტეტის თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთანაც. ამ ეტაპისთვის გაიმართა რამდენიმე შეხვედრა ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებზე ბიზნეს სექტორთან აქტიური თანამშრომლობის მიზნით, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში, საქართველოს პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურების წევრებთან ერთად, შედიან ბიზნეს ომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი და სხვადასხვა კერძო სამართლის იურიდიული პირის 23 წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებზე იმუშავებს და უზრუნველყოფს ადრეულ ეტაპზე ბიზნეს სექტორის ჩართვას კომიტეტის სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

*PRINCIPLES OF DEMOCRATIC ENVIRONMENTAL GOVERNANCE HAVE ALWAYS BEEN AND CONTINUE TO BE A CORE VALUE OF OUR TEAM*

*დემოკრატიული გარემოსდაცვითი მმართველობის პრინციპები ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ჩვენი გუნდის მთავარ ღირებულებად*

**What is the engagement of the Committee on Environmental Protection and Natural Resources to improve cross-sectoral cooperation, what measures are being taken in this direction?**

- With the formation of the Committee on Environmental Protection and Natural Resources of the Parliament of the 10th convocation, the Action Plan of the Committee for 2021-2024 was developed, one of the strategic directions of which is close communication with the public, that is, the civil and private sector, because the principles of democratic environmental governance have always been and continue to be a core value of our team.

There are active non-governmental organizations in the field of environmental protection in Georgia which constantly cooperate with the Committee in the process of drafting legislation, reviewing changes and environmental challenges. Non-governmental organizations also monitor the process of thematic inquiries and post-legislative scrutiny conducted by the committee.

The cooperation of the committee with the business sector has also been successful. At this stage, several meetings have been held with the participation of representatives of business associations. To actively cooperate with the business sector on environmental and natural resource management issues, the committee decided to establish a working group consisting of the Acting Business Ombudsman and 23 representatives of various legal entities of private law, together with members of the Georgian parliament and governmental bodies. The working group will work on environmental and natural resource management issues and ensure the involvement of the business sector



*გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, რომლებიც მუდმივად თანამშრომლობენ კომიტეტთან კანონმდებლობის შემუშავების, ცვლილებებისა და გარემოსდაცვითი გამოწვევების განხილვის პროცესში*

**THERE ARE ACTIVE NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS IN THE FIELD OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN GEORGIA WHICH CONSTANTLY COOPERATE WITH THE COMMITTEE IN THE PROCESS OF DRAFTING LEGISLATION, REVIEWING CHANGES AND ENVIRONMENTAL CHALLENGES**

ასევე, წინასწარ გააცნობს სახელმწიფოს გეგმებს, რომლებიც გამომდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან. მსგავსი კომუნიკაცია საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ ბიზნეს სექტორთან ახალი სამართლებრივი საფუძვლების შემოღებით წამოჭრილ და მეწარმეებისთვის საკამათო საკითხებზე.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, ასევე შექმნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვისა და ეკოტრანსპორტის დანერგვის ხელშეწყობის საკითხების, ქვემო ქართლის რეგიონში გარემოს დაბინძურებისა და სატყეო რეფორმის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფები. ისინი ერთგვარი პლატფორმაა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და კერძო სუბიექტებს შორის პოზიციების შეჯერებისა და შეთანხმებული პოლიტიკის შესამუშავებლად.

**გაგვიზიარეთ წარმატებული პარტნიორობის მაგალითები და პროექტები, რომლებიც განახორციელეთ არასამთავრობო თუ კერძო სექტორთან თანამშრომლობით. როგორაა რეგულირებული ამ ტიპის ურთიერთობა კანონმდებლობით? ხომ არ იგეგმება რაიმე სახის ცვლილებები?**

უკვე ვახსენე არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, რაც პრაქტიკულად, რუტინად იქცა. მთელი ეს პროცესი ერთგვარი პარტნიორობის მაგალითია, ვინაიდან საქმიანი და გააზრებული შენიშვნა-წინადადებები საერთო საქმეს ემსახურება. რაც შეეხება წარმატებულ პროექტებს, მინდა დავიწყო იმ ცვლილებებით, რომელიც 2018 წელს შევიდა კანონში, რომელიც არეგულირებს თბილისში მწვანე ნარგავების ჭრას.

at an early stage in the committee's legal decision-making process; it will also provide information on state plans arising from the obligations under the EU Association Agreement. Such communication will allow us to discuss issues that have arisen with the business sector by introducing new legal bases and on controversial issues for entrepreneurs.

By the decision of the committee, working groups have been created to study the issues of vehicle emissions and eco-transport promotion, environmental pollution in the Kvemo Kartli region and forest reform. They are a platform for reconciling positions and developing coordinated policies between the executive and private entities.

**- Please share examples of successful partnerships and projects you have implemented in partnership with the non-governmental or private sector. How is this type of relationship regulated by law? Are any changes planned?**

I have already mentioned the contribution of non-governmental organizations in the process of drafting legislation, which has practically become a routine. As for successful projects, I would like to start with the changes that were introduced in 2018 in the law that regulates the cutting of green plants in Tbilisi.

The basis for the changes was a legislative proposal submitted to the committee by a construction company requesting the abolishment of the so-called restoration cost when cutting diseased and withered trees. This was followed by legislative proposals from two other NGOs that opposed this requirement. A working group was set up with the committee, in the work of which nearly all non-

*A WORKING GROUP WAS SET UP WITH THE COMMITTEE, IN THE WORK OF WHICH NEARLY ALL NON-GOVERNMENTAL ORGANIZATIONS IN THE FIELD PARTICIPATED*

*კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამ სფეროში არსებულმა პრაქტიკულად ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ*

ცვლილებების საფუძველი გახდა სამშენებლო კომპანიის მიერ კომიტეტში შემოტანილი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითხოვდა ე. წ. აღდგენითი ღირებულების გაუქმებას დაავადებული და ხმობადი ხეების მოჭრისას. ამას მოჰყვა კიდევ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც ოპონირებდნენ ამ მოთხოვნას. კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამ სფეროში არსებულმა პრაქტიკულად ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ. მწვავე განხილვების შედეგად, მოქმედ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზე გაუქმდა აღდგენითი ღირებულების გადახდის ვალდებულება დაავადებული და ხმობადი ხეების მოჭრაზე. სამაგიეროდ, დაწესდა მნიშვნელოვანი კომპენსაციები: აღდგენითი ღირებულება და საკომპენსაციო რგვა – ჯანმრთელი ხეების მოჭრის შემთხვევაში.

აღსანიშნავია კანონპროექტი, რომელიც შინაურ-ბინადარ ცხოველთა მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. აღნიშნულ პროექტზე კომიტეტი ამჟამადაც აქტიურად მუშაობს და სულ მალე პარლამენტს წარედგინება განსახილველად. ის არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობისა და სამუშაო ჯგუფში მათი მონაწილეობის შედეგია, რომელმაც კანონპროექტის პირველადი ვერსია შეიმუშავა.

უნდა აღინიშნოს ქვემო ქართლის რეგიონში კომიტეტთან არსებული გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის წარმატებული საქმიანობაც, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში შეიქმნა ა(ა)იპ „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“ და ორგანიზაცია – „მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი და სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმების“ წარმომადგენლებით, ჩვენი კომიტეტის გადაწყვეტილებით კი მე-10 მოწვევის პარლამენტშიც აქტიურად განაგრძობს მუშაობას. სამუშაო ჯგუფი მუდმივ მონიტორინგს უწევს კომპანია „არემჯის" საქმიანობას გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით. აღნიშნული ჯგუფის მუშაობის შედეგად 2018 წელს მომპოვებელ კომპანიას

governmental organizations in the field participated. As a result of heated discussions, amendments were made to the current law, on the basis of which the obligation to pay restoration cost to cut down diseased and withered trees was abolished. Instead, significant compensations were imposed: restoration cost and compensatory planting in the case of cutting down healthy trees.

Noteworthy is the draft law that regulates issues related to the care of domestic animals. The committee is still actively working on the project and will soon submit it to the parliament for consideration. It is the result of the activity of non-governmental organizations and their participation in the working group that developed the initial version of the draft law.

The successful work of the working group on environmental pollution in the Kvemo Kartli region should be noted, which was established in the previous convocation of the parliament with representatives of the Sakdrisi Committee for Cultural Heritage and the Green Policy Public and Scientific Research Platforms. According to the decision of our committee, this group continues to work actively in the 10th convocation of Parliament. The working group constantly monitors the activities of the company RMG and how it fulfills its environmental obligations. As a result of the work of this group, in 2018 the mining company was given a plan for the implementation of environmental measures, which is supervised by both the committee and the Ministry of Environmental Protection and Agriculture. Together with the working group, RMG and the Georgian Government, serious results have been achieved, which includes the





*რაც შეეხება საზოგადოების უფლებას, მონაწილეობდეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ეს უფლება გარანტირებულია, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციით*

**AS FOR THE RIGHT OF THE PUBLIC TO PARTICIPATE IN DECISION-MAKING ON ENVIRONMENTAL ISSUES, THIS RIGHT IS GUARANTEED, FIRST, BY THE CONSTITUTION OF GEORGIA**

განესაზღვრა გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულების გეგმა, რომელსაც ზედამხედველობას უწევს როგორც კომიტეტი, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფის, კომპანია „არემჯისა" და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივი მუშაობით მიღწეულია ხელშესახები შედეგები, რომელიც გულისხმობს როგორც საწარმოო ციკლისა და საწარმოო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, მასშტაბური რეკულტივაციის სამუშაოებს ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული როგორც წყლის, ასევე, ჰაერის დაბინძურების პრევენციისათვის.

2018-2020 წლებში კომიტეტმა განახორციელა 3 საკომიტეტო მოკვლევა და 2 ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის პროცედურა. აღნიშნული კვლევების საფუძველი იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებები. აღნიშნული პროექტების მიმდინარეობისას დაიგეგმა და ჩატარდა არაერთი შეხვედრა, რომლებშიც ყველა დაინტერესებული პირი მონაწილეობდა. კომიტეტის მიერ განხორციელებული ყველა პროექტის ანგარიში კომიტეტის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება საზოგადოების უფლებას, მონაწილეობდეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ეს უფლება გარანტირებულია, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 29), იმ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, რომელთა ხელმომწერია საქართველო; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, საქართველოს პრაქტიკულად ყველა გარემოსდაცვითი კანონით, კომიტეტის დებულებითა და სამუშაო გეგმით.

improvement of the production cycle and production process, as well as large-scale reclamation works in the area. Significant measures have been taken to prevent water and air pollution.

In 2018-2020, the committee carried out three committee investigations and two post-legislative scrutiny procedures. The basis of these studies was substantiated opinions submitted by NGOs and citizens. Numerous meetings were planned and held during the mentioned projects, in which all interested persons participated. Reports of all projects implemented by the committee are available on the committee website.

As for the right of the public to participate in decision-making on environmental issues, this right is guaranteed, first, by the Constitution of Georgia (Article 29), by the international legal instruments to which Georgia is a party, by the Rules of Procedure of the Parliament of Georgia, practically all environmental laws of Georgia, the Charter, and the work plan of the committee.

**Can you tell us about the experience of other countries based on the experience of your committee – how do the state, non-governmental sector and business cooperate in the field of environmental protection? How do you take into account this experience and is this experience being adapted to the Georgian reality?**

In 2007-2015, multi-sectoral partnership groups were established in major cities such as London, Rotterdam and Durban (the second largest city in South Africa). All three cities face complex environmental and climate

**DUE TO THE DIVERSE AND COMPLEX NATURE OF EXISTING AND FUTURE CLIMATE RISKS, COOPERATION BETWEEN SECTORS IS A KEY CONDITION FOR ENSURING RESILIENCE OF CITIES TO CLIMATE CHANGE**

*არსებული და მომავალი კლიმატური რისკების მრავალფეროვანი და რთული ბუნებიდან გამომდინარე, სექტორებს შორის თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების მიმართ ქალაქების მედეგობის უზრუნველყოფის საკვანძო პირობაა*

**სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე თუ შეგიძლიათ გვესაუბროთ თქვენი კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე – როგორ თანამშრომლობენ სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორი და ბიზნესი გარემოსდაცვითი მიმართულებით? რამდენად ითვალისწინებთ და თუ ხდება ამ გამოცდილების ქართულ რეალობაში ადაპტირება?**

2007-2015 წლებში ისეთ მსხვილ ქალაქებში, როგორიცაა ლონდონი, როტერდამი და დურბანი (სიდიდით მეორე ქალაქი სამხრეთ აფრიკაში) შეიქმნა მულტისექტორული პარტნიორული ჯგუფები. სამივე ქალაქი რთული ეკოლოგიური და კლიმატური რისკების წინაშეა, რომელთა ეფექტიანად გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მხარის მიერ და ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება.

პარტნიორული ჯგუფების ძირითადი საქმიანობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ქსელებით ინფორმაციის გავრცელება იყო. მათი მუშაობის ანალიზმა აჩვენა, რომ მსგავსი თანამშრომლობა ზრდის სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის პასუხისმგებლობას, მათ ინტერესს მმართველობითი ასპექტების, იურიდიული შედეგებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის მიმართ, რომელიც ამგვარი თანამშრომლობით მიიღება. ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ არსებული და მომავალი კლიმატური რისკების მრავალფეროვანი და რთული ბუნებიდან გამომდინარე, სექტორებს შორის თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების მიმართ ქალაქების მედეგობის უზრუნველყოფის საკვანძო პირობაა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორთან. როგორც უკვე აღვნიშნე, მე-10 მოწვევის პარლამენტში კომიტეტის შექმნისთანავე შემუშავდა მისი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ინტეგრირებულია მდგრადი განვითარების მიზნები, ეხმიანება საქართველოს მთავრობის 2021-2024 წლების პროგრამას და თანხვედრაშია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნების სამინისტროს გეგმასთან. იგი ითვალისწინებს კომიტეტის საქმიანობის პროცესში პერმანენტულ შეხვედრებს, როგორც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, ასევე, სამოქალაქო და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან.

**Can you tell us about the experience of other countries in terms of your committee's specifics – how do the state, non-governmental and business sectors cooperate in the environmental field? To what extent do you take this experience into account and is it adapted to the Georgian reality?**

In 2007-2015, multi-sector partnership groups were created in large cities such as London, Rotterdam and Durban (the second largest city in South Africa). All three cities face complex environmental and climate risks that cannot be effectively solved by one side alone and require joint efforts.

The main activities of the partner groups were to raise public awareness and spread information through relevant networks. An analysis of their work demonstrated that such cooperation increases the responsibility of civil society and the business sector, their interest in governance aspects, legal consequences and economic efficiency that will be achieved through such cooperation. The results of the analysis show that due to the diverse and complex nature of existing and future climate risks, cooperation between sectors is a key condition for ensuring resilience of cities to climate change.

The Committee of Environmental Protection and Natural Resources actively cooperates with government agencies, as well as with civil and business sectors. As I have already mentioned, as soon as the committee was established in the 10th Convocation Parliament, its Action Plan was developed, which integrates the Sustainable Development Goals, responds to the program of the Government of Georgia for 2021-2024 and coincides with the plan of the Ministry of Environmental Protection and Agriculture. It includes regular meetings with representatives of various government agencies, as well as civil society and business sectors within the framework of the committee activities.





*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორთან*

**რა ბერკეტები და მექანიზმები აქვს სახელმწიფოს იმისათვის, რომ სამოქალაქო სექტორთან გრძელვადიანი თანამშრომლობის მიზნით, კერძო სექტორის პარტნიორულ პროექტებში მონაწილეობა წაახალისოს?**

კერძო სექტორის პარტნიორულ პროექტებში მონაწილეობის წახალისება ერთდროულად რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება: მნიშვნელოვანია მუდმივი კონსულტაციები ბიზნეს სექტორთან – ახალი საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელების საწყის ეტაპზე; საინტერესო „მწვანე" პროექტების შეთავაზება, შესაძლო შეღავათიანი კრედიტები და კონკურსები გარემოსდაცვითი კუთხით ინოვაციური პროექტების გამოსავლენად და მათი დაფინანსებისთვის; მომავალში ეკომარკირების შემოღება, რომელიც გაზრდის მეწარმის ცნობადობას და პრესტიჟს; საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შუამავლობა, შესაძლო საგადასახადო შეღავათების შემოღება და სხვ.

**What kind of tools and mechanisms does the state have to encourage participation in private sector partnership projects for long-term cooperation with the civil sector?**

Encouraging participation of private sector in partnership projects is linked to several factors simultaneously: it is important to have ongoing consultations with the business sector at the initial stage of implementing new legislative initiatives; to offer interesting "green" projects, possible soft loans and competitions to identify and finance environmentally innovative projects; to introduce eco-labeling in the future, which will increase the entrepreneur awareness and prestige; to mediate with international donor organizations and to introduce possible tax incentives.

*THE COMMITTEE OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES ACTIVELY COOPERATES WITH GOVERNMENT AGENCIES, AS WELL AS WITH CIVIL AND BUSINESS SECTORS*

# მულტისექტორული პარტნიორული პროექტი – სამომხმარებლო და საწარმოო ნარჩენების გამოყენებით ნივთებისა და სათამაშოების გაკეთება

# MULTI-SECTORAL PARTNERSHIP PROJECT - PRODUCING ITEMS AND TOYS USING CONSUMER AND INDUSTRIAL WASTE

**ნინო კვანტრიშვილი**
*მდგრადობის საკითხებისა და პარტნიორობის მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

NINO KVANTRISHVILI
*Senior Manager of Sustainability and Partnerships, Global Compact Network Georgia*

*COVID 19 პანდემიის შედეგად ბავშვები სახლში არიან, ცხოვრების ჩვეულებრივი წესის დაკარგვის გამო მათ არაერთ უარყოფით ემოციასთან გამკლავება უწევთ.*

*სწორედ ამიტომ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და ფასილიტაციით მულტისექტორული პარტნიორული პროექტის განხორციელება დაიგეგმა, რომლის ფარგლებშიც ბავშვები სახალისო ვორკშოპებზე სამომხმარებლო ნარჩენების გამოყენებით ნივთებისა და სათამაშოების გაკეთებას შეძლებდნენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ისწავლეს თუ როგორ შეუძლიათ გაუფრთხილდნენ გარემოს მსგავსი ნივთების გაკეთების გზით.*

*კომპანიებმა „Art Inception Edu” და „Spilow” არასამთავრობო ორგანიზაციის „SOS ბავშვთა სოფელი“ ბენეფიციარებს ონლაინ ვორკშოპები ჩაუტარეს*

*COMPANIES ART INCEPTION EDU AND SPILOW CONDUCTED ONLINE WORKSHOPS FOR BENEFICIARIES OF NGO SOS CHILDREN'S*

**AS A RESULT OF THE COVID 19 PANDEMIC, MANY CHILDREN ARE NOW STUCK AT HOME, HAVING TO DEAL WITH A NUMBER OF NEGATIVE EMOTIONS DUE TO THE LOSS OF THEIR NORMAL LIFESTYLE.**

**THIS IS WHY A MULTI-SECTORAL PARTNERSHIP PROJECT WAS PLANNED WITH THE INITIATIVE AND WITH THE FACILITATION OF THE GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA, WHICH ALLOWS CHILDREN TO MAKE ITEMS AND TOYS USING CONSUMER WASTE AT ENTERTAINING WORKSHOPS. BY MAKING SUCH ITEMS, CHILDREN CAN NOT ONLY ENTERTAIN THEMSELVES BUT ALSO LEARN ABOUT HOW TO TAKE CARE OF THE ENVIRONMENT.**



კომპანიებმა „Art Inception Edu” და „Spilow” არასამთავრობო ორგანიზაციის „SOS ბავშვთა სოფელი“ ბენეფიციარებს ონლაინ ვორკშოპები ჩაუტარეს თემაზე: სამომხმარებლო და საწარმოო ნარჩენებით ნივთებისა და სათამაშოების გაკეთება.

“Art Inception Edu”-ს ვორკშოპზე ბავშვებმა პლასტმასის ბოთლისგან ყვავილის ქოთნის გაკეთება ისწავლეს. მათ ასევე გაიგეს თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ გარემოს პლასტმასის ბოთლებისა და პოლიეთილენის პარკების ნაკლებად გამოყენებით.

კომპანიამ „Spilow” კი „SOS ბავშვთა სოფლის“ ბენეფიციარებს ვორკშოპზე ნატურალური ტექსტილისგან პირბადის გაკეთება ასწავლა. ბავშვებმა „Spilow“-ს ორიგინალური ნაჭრებისგან თავად გააკეთეს პირბადეები და ისწავლეს თუ როგორ შეუძლიათ შეკერონ მსგავსი პირბადეები მეორადი ქსლოვილებისგან. ასევე ბავშვები ვირტუალურად „სპილოუს“ საწარმოო პროცესსაც გაეცვნენ და საჩუქრად კომპანიის მიერ წარმოებული პირბადეებიც მიიღეს.

ინიციატივის მეორე ეტაპზე, კომპანიები სამიზნე ჯგუფებისთვის მოკლე სასწავლო ვიდეოების ჩაწერას გეგმავენ.

Companies Art Inception Edu and Spilow conducted online workshops for beneficiaries of NGO SOS Children's Village on the topic of producing items and toys from consumer and industrial waste.

At the Art Inception Edu workshop, children learned how to make a flowerpot from a plastic bottle. They also learned how to take care of the environment by making less use of plastic bottles and polyethylene bags.

Spilow taught the beneficiaries of SOS Children's Village to make a facemask from natural textiles at the workshop. Children made their own facemasks from the original fabrics of Spilow and learned how to sew similar facemasks from used fabrics. Children also got acquainted with the production process of Spilow and were gifted facemasks made by the company.

In the second phase of the initiative, companies plan to record short instructional videos for target groups.

*გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და ფასილიტაციით მულტისექტორული პარტნიორული პროექტის განხორციელება დაიგეგმა*

**MULTI-SECTORAL PARTNERSHIP PROJECT WAS PLANNED WITH THE INITIATIVE AND WITH THE FACILITATION OF THE GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA**

# ფინა

# FINA

*„ფინა“ პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში მოღვაწე კომპანიაა, რომელიც 2006 წლიდან ოპერირებს. მისი ძირითადი მიმართულებაა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი და IT კონსალტინგი ფინანსური საზედამხედველო ორგანიზაციებისთვის. კომპანიამ არაერთი უნივერსალური ქართული პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი შექმნა და დანერგა მსოფლიო მასშტაბით, რომელთანაც მუშაობს 10 000-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ფინანსური ორგანიზაცია; განახორციელა პროექტები 10-ზე მეტი ქვეყნის მარეგულირებელში, მათ შორის, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, კოსოვოში, მონღოლეთში, ლაოსში, ყირგიზეთში; შეიმუშავა პროგრამული უზრუნველყოფა ფინანსური ზედამხედველობისთვის - FINA IRP - INTEGRATED REGULATORY PLATFORM (ინტეგრირებული რეგულირების პლატფორმა).*

**SOFTWARE COMPANY FINA HAS BEEN ON THE GEORGIAN MARKET SINCE 2006. ITS FOCUS IS SOFTWARE DEVELOPMENT AND IT CONSULTING FOR FINANCIAL SUPERVISORY ORGANIZATIONS. THE COMPANY HAS CREATED AND INTRODUCED SEVERAL UNIVERSAL GEORGIAN SOFTWARE PRODUCTS WORLDWIDE, WITH WHICH MORE THAN 10,000 DIFFERENT TYPES OF FINANCIAL ORGANIZATIONS WORK. MOREOVER, IT HAS IMPLEMENTED PROJECTS FOR REGULATORY BODIES IN MORE THAN 10 COUNTRIES, INCLUDING AZERBAIJAN, TAJIKISTAN, KOSOVO, MONGOLIA, LAOS AND KYRGYZSTAN, AND HAS DEVELOPED A SOFTWARE FOR FINANCIAL SUPERVISION CALLED FINA IRP, AN INTEGRATED REGULATORY PLATFORM.**

პარტნიორულ პროექტებში მონაწილეობა „ფინასთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: საინტერესო გამოცდილებასთან ერთად, განვითარების შესაძლებლობასაც იძლევა. ნაყოფიერი იყო 2018 წელს მათი თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან: მომზადდა ერთობლივი პროექტი - შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რასაც მოჰყვა გარემოს საინფორმაციო სისტემის (ცოდნის მართვის პლატფორმის) მასშტაბური ინფრასტრუქტურის განხორციელება; სხვადასხვა იდენტიფიცირებული წყაროებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გარდაქმნა; მონაცემთა მიღების, ინტეგრაციისა და ანალიტიკური მოდულების დანერგვა. ეს ყველაფერი გაცილებით მოქნილს და ეფექტურს ხდის სისტემას.

Participation in partnership projects is especially important for Fina: in addition to interesting experiences, it also provides opportunities for development. Their cooperation with the Ministry of Environmental Protection and Agriculture was productive in 2018 with a joint project - Environmental Information and Knowledge Management System preparation, followed by the implementation of a large-scale infrastructure of the environmental information system (knowledge management platform); collecting, processing, and transforming data from various identified sources; and the introduction of data acquisition, integration, and analytics modules . All this makes the system much more flexible and efficient.

*მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა რესურსების მომპოვებელ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, ოპერატიულად მიიღონ როგორც საჯარო, ისე კომერციული ინფორმაცია და უფრო ეფექტურად გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში*

*IT IS IMPORTANT THAT COMPANIES SOURCING VARIETY OF RESOURCES ARE GIVEN THE OPPORTUNITY TO QUICKLY OBTAIN BOTH PUBLIC AND COMMERCIAL INFORMATION AND USE IT MORE EFFECTIVELY IN THEIR ACTIVITIES*

## TODAY, THE FINA TEAM IS ACTIVELY WORKING TO SOLVE ENVIRONMENTAL PROBLEMS. ENVIRONMENTAL PROTECTION IS A PRIORITY FOR THEM, AS IT IS FOR MANY RESPONSIBLE COMPANIES, FOR WHICH THE DYNAMIC KNOWLEDGE MANAGEMENT PLATFORM (DKMS) WAS CREATED

*დღესდღეობით „ფინას“ გუნდი აქტიურად მუშაობს გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად. გარემოს დაცვა, ბევრი პასუხისმგებლიანი კომპანიის მსგავსად, მათთვისაც პრიორიტეტია, რისთვისაც შეიქმნა დინამიური ცოდნის მართვის პლატფორმა (DKMS)*

**რა როლს თამაშობს მსგავსი პროექტები მასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული მხარეებისთვის და როგორ უწყობს ხელს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას?**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის პროექტი, რომელიც PPP ტიპის აქტივობის თვალსაჩინო ნიმუშსაც წარმოადგენს, ამის კარგი მაგალითია. მისი მონაცემებით სხვადასხვა ინსტიტუციამ ისარგებლა. მათ შორის: მთავრობამ, რომელსაც საშუალება აქვს, უფრო ეფექტურად შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია; გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთაც სისტემის საშუალებით შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მოპოვება; გარემოსდაცვითი საკითხების დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, რომლებიც სისტემაში ანალიტიკოსების რანგში ერთვებიან; საზოგადოებამ - რომელიც ერთდროულად გახდა ამ მონაცემების მომხმარებელ-მომწოდებელი და გაუჩნდა რეალური მონიტორინგის საშუალება; კერძო ბიზნესმა - პირველ რიგში, საკონსულტაციო კომპანიებმა, რომელთაც შეძლეს მონაცემების მიღება და ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა რესურსების მომპოვებელ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, ოპერატიულად მიიღონ როგორც

**What role do similar projects play for directly or indirectly linked parties and how do they contribute to the achievement of Sustainable Development Goals?**

The Environmental Information and Knowledge Management System project, which is also a visible example of a PPP-type activity, is a good example of this. Its data was used by various institutions including: the government that is able to collect and analyze information more efficiently; environmental NGOs that can obtain the necessary information through the system; independent environmental experts involved in the system as analysts and the public, which simultaneously became both a consumer and supplier of this data and had the opportunity to engage in real monitoring. Private business was also a beneficiary, primarily consulting companies that have been able to obtain and analyze data. It is important that companies sourcing variety of resources are given the opportunity to quickly obtain both public and commercial information and use it more effectively in their activities. The environment became an important issue for Fina four years ago, before that it worked mainly in the field of financial regulators. In 2017, the company became involved in a

საჯარო, ისე კომერციული ინფორმაცია და უფრო ეფექტურად გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში. გარემოსდაცვითი მიმართულება ოთხი წლის წინ გახდა აქტუალური „ფინასთვის," მანამდე ძირითადად საფინანსო მარეგულირებლების კუთხით მუშაობდა. 2017 წელს კომპანია ჩაერთო UNDP-ს მიერ დაფინანსებულ პროექტში - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში," რამაც მისი საქმიანობის არეალი გააფართოვა. დღესდღეობით „ფინას" გუნდი აქტიურად მუშაობს გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად. გარემოს დაცვა, ბევრი პასუხისმგებლიანი კომპანიის მსგავსად, მათთვისაც პრიორიტეტია, რისთვისაც შეიქმნა დინამიური ცოდნის მართვის პლატფორმა (DKMS). პლატფორმის კომპონენტები ძირითადად Open Source პროდუქტებია.

საკუთარი პლატფორმით და მობილური აპლიკაციით ცდილობენ, თავისი წვლილი შეიტანონ გარემოს დაცვის საკითხში და თითოეულ ადამიანს დაანახონ, რომ კლიმატის ცვლილება, გაუდაბნოება და დაბინძურებული ჰაერი მხოლოდ გაწყენებული მეცნიერული ნაშრომების თემა არ არის. სამომავლოდ სხვადასხვა მიმართულებით გეგმავენ განვითარებას. კომპანიის ყველაზე დიდი მიზანი სამოქმედო არეალის გაზრდა და ევროპის ბაზარზე გასვლაა, რისთვისაც გუნდი უკვე წლებია აქტიურად ემზადება.

UNDP-funded project called "Harmonization of Information Management for Improved Knowledge and Monitoring of the Global Environment in Georgia", which expanded its scope of activities.

Today, the Fina team is actively working to solve environmental problems. Environmental protection is a priority for them, as it is for many responsible companies, for which the Dynamic Knowledge Management Platform (DKMS) was created. The components of the platform are mainly Open-Source products.

With its own platform and mobile app, Fina tries to contribute to environmental protection and show each person that climate change, desertification and polluted air are not just the subjects of isolated scientific papers.

They plan to develop in different directions in the future. The biggest goal of the company is to increase the scope of operations and penetrate the European market, for which the team has been actively preparing for years.

*IT IS IMPORTANT THAT COMPANIES SOURCING VARIETY OF RESOURCES ARE GIVEN THE OPPORTUNITY TO QUICKLY OBTAIN BOTH PUBLIC AND COMMERCIAL INFORMATION AND USE IT MORE EFFECTIVELY IN THEIR ACTIVITIES*

*მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა რესურსების მომპოვებელ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, ოპერატიულად მიიღონ როგორც საჯარო, ისე კომერციული ინფორმაცია და უფრო ეფექტურად გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში*



ISSUE N.3

ECO -INNOVATION
THE FUTURE IS
GREEN
AND INCLUSIVE

Coming soon...